

# ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში



"ჩემი ქმრისგან და  
მასი უჯახესებან  
ძალადობის  
განვიტოლი და  
17 წელი  
დამჭრილი იმას  
მასხველის  
რომ მსხვერპლი  
ვაყვარ"  
(მსხვერპლი)

ქსლის 78.3%-ს  
მასშინა, რომ  
უჯახება  
ძალადობის  
პრინციპები  
მხოლოდ უჯახება  
უნდა  
განხილულიდნენ.



ქსლის 35.9%  
მეუღლებს/პარენტ  
ურის მხრიდან  
განვიტოლი  
უზნებოლობა  
მაჩნია  
განხორციელებუ  
ლი ქმედება



ქორწინებაში  
მყოფი ყოველი  
მე-11 ქსლი  
ფიზიკური  
ძალადობის  
მსხვერპლის



"როგორც უ  
დაივრებოდა  
ჩემი ქმარი, ცემაზე  
გადადოთ.  
დახმარებისთვის  
ჩემს დედამითის  
მავმართე, მაგრამ  
მან მიჰასუება, რომ  
ჩემი ძრისლი იყო"  
(მსხვერპლი)



რესპონსი  
უმრავლესობის  
მახედვით, პრი  
რომელსაც  
ძალადობა აქვს  
ჩადენელი  
ფეხმძიმე ქსლის  
მამართ, მათ  
შვილის მამა.



United Nations Population Fund

გამოისახება უძრავი მოსახლეობის ფინანსი





ქალთა მიმართ ობიექტი ქალადობის საკითხების  
ეროვნული კვლევა საქართველოში

## საბოლოო ანგარიში

მკვლევართა ჯგუფი

პროფესორი: მარინე ჩიტაშვილი  
პროფესორი: ნინო ჭავახიშვილი  
ასოცირებული პროფესორი: ლუიზა არუთინოვი  
ასოცირებული პროფესორი: ლია წულაძე,  
ქალბატონი სოფო ჩაჩანიძე

კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ოჭახში ძალადობის შესახებ ჩატარდა გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის – „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ ფარგლებში 2009 წელს.

კვლევა ჩატარდა შემდეგ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: „ეისითი კვლევა“ და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ი.ჰავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამ პუბლიკაციაში ჩამოყალიბებული შეხედულებები განხილულ უნდა იქნას როგორც ავტორთა შეხედულებები და არა როგორც გაეროს მოსახლეობის (UNFPA) ფონდის და ნორვეგიის მთავრობის შეხედულებები.

ესლოთა მიმართ ოჭახში ძალადობის საპიტხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010 საბოლოო ანგარიში

ყდაზე გამოყენებული ფოტოების ავტორები: ანა სიგუა, თამარ მამრიკაშვილი, ქეთი ბუბიაშვილი, მარია შირშვავა, ინა ნერსენიანი, თათია ნადარეიშვილი

დამატებითი ინფორმაციისთვის ამ ანგარიშის შესახებ მიმართეთ:

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, ერისთავის ქუჩა 9, ტელ: (995 32) 25 11 26

გამოცემის ელექტრონული ვერსია: [www.genderbasedviolence.ge](http://www.genderbasedviolence.ge)

დაბეჭდილია: შპს „ფაუნდეიინ ჯორჯია“

ISBN: ISBN 978-9941-0-2566-2

UDC(უავ)343.54+343.61 კ-473

# სარჩევი

წინასიტყვაობა.....	6
მადლობა.....	8
შემაგამებელი დასკვნა.....	9
თავი 1. შესავალი.....	14
მარინე ჩიტაშვილი, ნინო ჭავახიშვილი	
კვლევის წინაისტორია.....	14
ქალის მიმართ ძალადობის შესახებ არსებული სამართლებრივი ინფრასტრუქტურა	
და ინსტიტუციური მექანიზმები საქართველოში.....	21
სტატისტიკა ოჯახში ძალადობის შესახებ.....	24
კვლევის ამოცანა.....	25
თავი 2. მეთოდოლოგია.....	26
სოფიო ჩახანიძე, მარინე ჩიტაშვილი	
რაოდენობრივი კვლევა.....	26
შერჩევის დიზაინი.....	26
კითხვარი.....	28
საპილოტეკვლევა.....	29
მონაცემთამობროვება.....	29
საკვლევ სამუშაოების სტრატეგია.....	30
საკვლევ სამუშაოების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგია.....	30
საკვლევ სამუშაოების განხორციელება კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში.....	31
მონაცემთა შეყვანა და წმენდა.....	31
მონაცემთა შეწონვა.....	31
მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი.....	31
თვისებრივი კვლევა.....	31
ფოკუსური კვლევები.....	32
ჩაღმავებული ინტერვიუები.....	33
ჩართული დაკვირვება.....	34
თავი 3. შინამეურნეობებისა და რეპონდენტების მახასიათებლები.....	35
სოფიო ჩახანიძე	
შინამეურნეობების სტრუქტურა.....	36
რესპონდენტთა ფონური მახასიათებლები.....	37
თავი 4. ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება.....	39
ნინო ჭავახიშვილი	
ძალადობა ქმრებისა და სქესობრივი პარტნიორების მხრიდან.....	39
ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა.....	39
ფიზიკური ძალადობის აქტები.....	40
სქესობრივი ძალადობის ფაქტები.....	41
ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა.....	41
ემოციური ძალადობა.....	41
ეკონომიკური ძალადობა.....	42
ქალის კონტროლის მიზნით ჩადნილი ქმედებები.....	43
ქალის მიერ ადრეულ ასაკში გადატანილი ძალადობა საკუთარ ოჯახში.....	43
ქალთა დამოკლებულება გენდერული როლებისა და ძალადობისადმი.....	44
ქალთა განწყობები ფიზიკური და სქესობრივი ძალადობისა და ძალადობის გამოცდილების მიმართ.....	47
ძალადობა ქალთა მიმართ არა მეუღლის/პარტნიორის მიერ (ურა პარტნიორების შერიცან ძალადობის გავრცელება 15 წლის ასაკს ზემოთ ქალებში; შედარება პარტნიორი მოძალადებების მონაცემებთან).....	47
ფიზიკური ძალადობა 15 წლის ასაკს ზემოთ, არაპარტნიორის მიერ.....	47
სქესობრივი ძალადობა 15 წლის ზემოთ ასაკის ქალთა მიმართ (პარტნიორის და არაპარტნიორის მიერ).....	48
სქესობრივი ძალადობა 15 წლამდე ასაკის გოგონებში.....	48
შედეგების განხილვა.....	48
თავი 5. ოჯახში ძალადობა ქალთა მიმართ და ძალადობის შედეგები ჭანმრთელობაზე.....	50
მარინე ჩიტაშვილი, ლუიზა არუთინოვა	
ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები.....	50
ფეხმძიმების პერიოდში მიღებული ძალადობის გამოცდილება.....	56
ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა და ზოგადი ჭანმრთელობა.....	57
ძალადობის გავლენა ბარეზებზე.....	60

<b>თავი 6. ქალთა მიმართ ოჭახში ძალადობასთან ბრძოლა</b>	61
მარინე ჩიტაშვილი, ლუიზა არუთინოვი	
ქალის თვალით დანახული ძალადობის მიზეზები.	61
ძალადობის გამოცდილების გაზიარება.	63
სოციალურ ქსელში და სხვა ოფიციალურ ინსტიტუტებში დამარების ძიება.	66
წინააღმდეგობის განვევა ძალადობაზე.	68
ძალადობის გამო ოჭახის დატოვება.	69
<b>თავი 7. სცენის მიღმა: თვისებრივი კვლევის შედეგები</b>	72
ლია წულაძე	
რა არის ძალადობა?	72
როგორ და რატომ ხდება ძალადობა?	79
ძალადობაზე გავლენის მომზდენი და ხელშემწყობი ფაქტორები.	83
რას აკეთებენ ქალები და რისი გავეთება შეუძლიათ ოჭახში ძალადობასთან საბრძოლებელად.	86
იდეალური სამყარო – რას გვთავაზობენ ქალები და სხვები ოჭახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად?	90
<b>თავი 8. კვლევის ძირითადი შედეგების მიმოხილვა</b>	95
მარინე ჩიტაშვილი	
ძალადობის სხვადასხვა ფორმები.	95
ძალადობასთან ბრძოლის ქალთა სტრატეგიები.	98
კონტროლის მიზნით ჩადენილი ქმედებები და ძალადობის მიზეზები.	13
<b>თავი 9. რევოლუციები</b>	103
მარინე ჩიტაშვილი, ნინო ჭავახიშვილი, ლუიზა არუთინოვი, ლია წულაძე, სოფიო ჩაჩანიძე	
დანართი 1. მკვლევართა ჯგუფი.	111
დანართი 2. თანამშრომელთა სია.	113
დანართი 3. კითხვარი.	116
დანართი 4. თვისებრივი კვლევა.	159
დანართი 5. კვლევის დეტალური შედეგები რეგიონების მიხედვით.	163
<b>ცხრილი 2.1 ოჭახში ძალადობის კვლევა, შერჩევის განაწილება რევიონების მიხედვით</b>	27
ცხრილი 2.2 – კვლევა ქალთა მიმართ ოჭახში ძალადობის საკითხების შესახებ საქართველოში,	
კვლევის სამუშაოების შედეგები.	30
ცხრილი 2.3 – ქალთა მიმართ ოჭახში ძალადობის კვლევა საქართველოში, ფოკუსური ჯგუფის შერჩევა.	33
ცხრილი 3.1. შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკორივი განაწილება.	36
ცხრილი 3.2 შინამეურნეობის შემადგენლობა.	37
ცხრილი 3.3 შინამეურნეობებისა და მოსახლეობის რაოდენობა.	37
ცხრილი 3.4. რესპონდენტების ფონური მახასიათებლები - 1.	38
ცხრილი 3.5 რესპონდენტთა ფონური მახასიათებლები - 2.	38
ცხრილი 4.1: ფიზიკური ძალადობა ქალთა მინართ.	40
ცხრილი 4.2: ქალთა მიერ გადატანილი ემიციური ძალადობა.	42
ცხრილი 5.1 ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები.	51
ცხრილი 5.2 ძალადობის შედეგად მიღებულ დაზიანებათა წილი.	55
ცხრილი 5.3. ფიზიკური ძალადობა ფეხშიმობის დროს.	57
ცხრილი 5.4 ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა (აქვს თუ არა მამაკაცს გასამართლებელი მიზეზი ქალის საცემად).	59
ცხრილი 6.1 ქალის თვალთახედვით დანახული ფიზიკური ძალადობის მიზეზები-1.	62
ცხრილი 6.2 ქალის თვალთახედვით დანახული ფიზიკური ძალადობის მიზეზები-2.	62
ცხრილი 6.3.0 ოჭახში ძალადობის გამოცდილების გაზიარება.	63
ცხრილი 6.3.ბ ოჭახში ძალადობის გამოცდილების გაზიარება.	64
ცხრილი 6.4.ა ახლობლები, რომლებიც ოჭახში ძალადობის მსხვერპლს დახმარებას სთავაზობენ.	66
ცხრილი 6.4.ბ ახლობლები, რომლებიც ოჭახში ძალადობის მსხვერპლს დახმარებას სთავაზობენ.	67
ცხრილი 6.5 ორგანიზაციისგან ან პიროვნებისგან დახმარების ძიების ან არძიების ყველაზე გავრცელებული მიზეზები.	68
ცხრილი 6.6 ქალების საპასუხო და თავდაცვითი რეაქციის ფიზიკურ ძალადობაზე.	68
ცხრილი 6.7 ძალადობის გამო სახლიდან ნასვლის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები.	70
ცხრილი 6.8 ძალადობის გამო სახლიდან ნასვლის შემდეგ დაბრუნების ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები.	70
ცხრილი 6.9 ოჭახიდან არნასვლის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები ძალადობის მიუხედავად.	71
<b>გრაფიკი 3.1. მოსახლეობის პირამიდა.</b>	35
გრაფიკი 4.1 ქალების პროცენტული მაჩვენებელი ვინც ფიქრობს, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი პქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს,	
საცხოვრებელი ადგილის ჭრილში. საქართველო, 2009 წ.	45
გრაფიკი 4.2 ქმრის მორჩილება, ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მიიჩნევს,	
რომ ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს; განათლების დონის მიხედვით; საქართველო, 2009 წ.	45
გრაფიკი 4.3 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ აუცილებელია მამაკაცმა ცოლს/პარტნიორს კარგად დანახოს, თუ ვინ არის ოჭახის უფროსი; განათლების დონის მიხედვით, საქართველო, 2009 წ.	45
გრაფიკი 4.4. ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ ცოლს მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი პქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს; განათლების დონის მიხედვით, საქართველო, 2009 წ.	
გრაფიკი 4.5. ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ ქალს შეუძლია უარი უთხრას მეუღლეს სქესობრივ კავშირებე, თუ მას თავად ეს არ სურს; განათლების დონის მიხედვით, საქართველო, 2009 წ.	46

გრაფიკი 5.1. ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც მიუღიათ დაზიანება ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის შედეგად; დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე და არმქონე ქალები.....	50
გრაფიკი 5.2 ქალის მიერ ცხოვრების მანძილზე ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების პროცენტული და განაწილება, საქართველო, 2009 წ.....	52
გრაფიკი 5.3 პარტნიორების მხრიდან ოჯაში ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანების ტიპების პროცენტული მაჩვენებელი, საქართველო, 2009 წ.....	53
გრაფიკი 5.4 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ოდესმე დაუკარგავთ გონება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად; დამოუკიდებელი შემოსავლის ქონა-არქონის ჭრილში.....	54
გრაფიკი 5.5 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის შედეგად ერთხელ ან რამდენიმეჭრ მძიმე დაზიანება მიიღეს და საჭირობდნენ სამედიცინო დახმარებას.....	55
გრაფიკი 5.6 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც სამედიცინო მომსახურება დასჭირდათ ინტიმური პარტნიორის მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო; დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობს/არ არსებობის ჭრილში.....	55
გრაფიკი 5.7ა ძალადობა და ბოგადი ჭანმრთელობა.....	57
გრაფიკი 5.7ბ ძალადობა და ბოგადი ჭანმრთელობა.....	58
გრაფიკი 5.8A ძალადობა და ჭანმრთელობის მდგომარეობა.....	58
გრაფიკი 5.8 ბ. ძალადობა და ჭანმრთელობის მდგომარეობა.....	58
გრაფიკი 5.9. ძალადობის გავლენა ბავშვებზე (5-12 ასაკობრივი ჭგუფი).	60
გრაფიკი 6.1.ა ძალადობის გამოცდილების გაზიარება .....	65
გრაფიკი 6.1.ბ ძალადობის გამოცდილების გაზიარება .....	65
გრაფიკი 6.1.გ ძალადობის გამოცდილების გაზიარება .....	65
გრაფიკი 6.1.დ ძალადობის გამოცდილების გაზიარება .....	66
გრაფიკი 6.2 სახლიდან წასვლა ძალადობის გამო .....	69
გრაფიკი 6.3 სახლიდან წასვლა ძალადობის გამო .....	69

# ნინა სიმეონი

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის გაზაფხულზე მიიღო კანონი “ოფახში ძალადობის აღკვეთის, ოფახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”, რითაც სახელმწიფომ აღიარა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და შემაშფოთებელი პრობლემის არსებობა და იგი საკანონით მიეღო რეგულირების სთირობის მოაყვანა.

მას შემდეგ სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჭი გადადგა ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათთვის მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით. შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმები და გაუმჯობესდა კოორდინაცია ღარისხში ძალადობის დაძლევის მიმართულებით.

დღესდღობით, მონაცემების სიმწირე ოჯახში ძალადობის შესახებ წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებას ამ პრობლემის წინააღმდეგ ეფუძნებოდა პოლიტიკური შემუშავებისათვის.

გაეროს მოსახლეობის ფონდის პროექტის „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ მიერ ჩატარებული ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული მონაცემები საშუალებას მოგვცემს განვისაბლვროთ პრობლემის მასშტაბები, ვიმსჯელოთ მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ და შევიმუშავოთ ეფექტური სტრატეგიები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

კალეგის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის საქართველოს პარლამენტან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოს, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში. მაღლიერება მინდა გამოვხატო გაეროს მოსახლეობის ფონდის მიმართ აღნიშნული ინიციატივისა და მჭიდრო თანამშროომლობისათვის საქართველოში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## რუსულან პერვალიშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გინდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

فریضه / علی / ۳

# ნინასიტყვაობა

21-ე საუკუნეში სულ უფრო ხშირად ისმის საკითხი ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების კონსოლიდაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დაღვევად არის აღიარებული და ბოლო პერიოდში ქართული საზოგადოებაც აღნიშნული პრობლემისადმი უფრო გახსნილი და შეუწყნარებელი ხდება, სამწუხაოდ, როგორც კვლევები ადასტურებს, ქალთა მიმართ ძალადობა საკმაოდ გავრცელებული ფენომენია საქართველოში. ქალთა 78%-ს კვლავაც მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემა მხოლოდ ოჯახში უნდა წყდებოდეს, ხოლო ქალთა 34.1% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს და ოჯახში ძალადობას სამართალდარღვევად არ მიიჩნევს.

ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოების პრობლემაა და მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა ასპექტს. მისი შედეგები აისახება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში და კავშირშია როგორც საზოგადოების ჰანდაცვასთან, არასრულწლოვნების უფლებების დაცვასთან, ასევე სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ჩატარებული კვლევები ადასტურებს პრობლემის კომპექსურ ხასიათს და მისი გამომწვევი მიზეზების არაეთგვაროვნებას, მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის ინტერსექტორული თანამშრომლობის, პრობლემისადმი ფართო და ყოვლისმომცველი მიდგომის აუცილებლობას.

ეროვნული მასშტაბით ქალების მიმართ ოჯახში ძალადობის ფორმების, ინტენსივობის, გავრცელების არეალის, მიზგებისა და შედეგების შესწავლა ხელს შეუწყობს სახელმწიფო პოლიტიკის სწორად განსაზღვრას და პრობლემის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციის, აღკვეთის და მხვერპლთა უფლებების მაქსიმალურად დაცვაზე ორიენტირებული სისტემის შექმნას.

**ლალი ფაფიაშვილი**  
ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა  
განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს  
თავმჯდომარე

ლ. ჭავჭავაძე

# მაღლობა

ვაცნობიერებთ რა, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ ეროვნული მონაცემების სიმწირე წარმოადგენს გენდერული და ოჯახში ძალადობის დაძლევის ერთ-ერთ ყველაზე არსებით დაბრკოლებას, რაც თავის მხრივ ადამიანის სიცოცხლისა და ღირსებისათვის ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელ გამოწვევაა საზოგადოების ყველა დონეზე – რეგიონულ, ეროვნულ, საზოგადოებრივ, ოჯახურ და ინდივიდუალურ დონეებზე,

გვსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ განეული ფინანსური მხარდაჭერისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევის ჩატარება.

გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ საქართველოს პარლამენტს, განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს მ.ა. რუსუდან კერვალიმვილს, მისი ფასდაუდებელი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

ასევე, მადლობას ვუხდით ოჯახში ძალადობის სახელმწიფო საუნივერსალო საბჭოს, განსაკუთრებით საბჭოს თავმჯდომარეს, ქ–ნ ლალი ფაფიაშვილს რეგულარული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

მადლობას მოვახსენებთ კვლევის ავტორებს: პროფესორ მარინე ჩიტაშვილს, პროფესორ ნინო ჭავახიშვილს, ასოცირებულ პროფესორ ლუიზა არუთინოვას, ასოცირებულ პროფესორ ლია წულაძეს და ქ–ნ სოფიო ჩაჩანიძეს, ასევე საერთაშორისო ექსპერტებს: პროფესორ ტურგეი უნალანს, პროფესორ სიბელ კალაიჭიოლლეს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავიანთი აკადემიური ექსპერტიზის სახით. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური კვლევის მიმდინარეობისას აქტიური თანამშრომლობისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის წარმომადგენლებს: ქ–ნ თამარ ხომასურიძეს, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს, ქ–ნ ლელა ბაქრაძეს, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის პროგრამის კოორდინატორს და თურქეთის ოფისის წარმომადგენლებს: ბ–ნ პირ ზიბენს, გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლებს თურქეთში, რეგიონალურ დირექტორს საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში (2007–2010), ბ–ნ ზაპილულ ჰუსე, გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლებს თურქეთში, რეგიონალურ დირექტორს საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში, ქ–ნ სელენ არსს, რეგიონალური პროგრამის კოორდინატორს, ასევე პროექტის „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ გუნდს: თეა მაისურაძეს, პროექტის კოორდინატორს (2008–2009), თეა ჭალიაშვილს, პროექტის კოორდინატორს, თამარ ვამაკიძეს, კომუნიკაციის სპეციალისტს, შორენა ძონენიძეს, პროექტის ასისტენტს (2008), ნინო ედილაშვილს, პროექტის ასისტენტს კვლევის დიზაინის, დაგეგმვისა და ფინანსური აღმინისტრების პროცესში დახმარებისთვის.

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ იმ 2,385 ქალაბორნს, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობით, მნიშვნელოვნად გამდიდრებს ჩვენი ცოდნა საქართველოში ოჯახში ძალადობის ფენომენის შესახებ.

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების და პირების მონაწილეობის გარეშე.

# შემაჯამებელი დასკვნა

## შესავალი

2009 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა გამოკითხვა საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ. კვლევა ჩატარდა UNFPA-ის პროექტის “დავძლიოთ გენდერული ძალადობა სამხრეთ კავკასიაში” (GBV-SC) ფარგლებში. აღნიშნული პროექტი არის რეგიონული, მრავალფუნქციური პროექტი, რომელიც განხორციელდა ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერითა და UNFPA-ის თანადაფინანსებით სამ სამხრეთ-კავკასიულ ქვეყანაში – სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. პროექტის მთავარი ამოცანაა ძალადობის შემცირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება აღნიშნულ სამ ქვეყანაში, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ქალების ჩართულობის ხელშეწყობა.

გენდერული ძალადობა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთ ფორმას. ოჯახში ძალადობა გლობალური მოვლენაა, რომელსაც არ აქვს ეროვნული, ეკონომიკური, რელიგიური, გეოგრაფიული და კულტურული საზღვრები. ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც წესი, ადგილი აქვს მათ უშუალო სოციალურ გარემოში, რაც გავლენას ახდენს ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჭანმრთელობაზე. ძალადობას უარყოფითი გავლენა აქვს სოციალურ კეთილდღებაზე, ბავშვებზე, ოჯახებსა და საზოგადოებაზე. ოჯახში ძალადობა ლახავს ქალთა უფლებას ჩართული იყვნენ სოციალურ ცხოვრებაში.

გლობალური ეკონომური ფორმის ყოველწლიური მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 134 ქვეყანას შორის საქართველოს უჭირავს 84-ე ადგილი გენდერული თანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით: ეკონომიკური მონაწილეობითა და

შესაძლებლობით საქართველო 55-ე ადგილზე, განათლების დონით 82-ე ადგილზე; ჭანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით – 131-ე ადგილი, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილობის მიხედვით - 103-ე ადგილი.

UNFPA მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო საქართველოში გენდერული ძალადობის დაძლევის გზების ჩამოყალიბებას და ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, რათა უკეთ განხორციელდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებები, რაზეც საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ ხელმომწერ მხარეს. ამ მიზნით UNFPA-მ ჩატარდა კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფორმების, ინტენსიურობის, გავრცელების არეალის, მიზეზებისა და შედეგების შესწავლის მიზნით. პროექტის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა კვლევის შედეგების გამოყენებით ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისთვის ბაზის მომზადება და გეგმების ჩამოყალიბება საქართველოში ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და გენდერული თანასწორობის დასამყარებლად.

ოჯახში ძალადობის შესახებ თემატური კვლევები მრავალჭერ ჩატარებულა საქართველოში. 1999 და 2005 წლებში ჩატარდა ორი გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით რეპროდუქციული ჭანმრთელობის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავდა საკითხებს ოჯახში ძალადობის შესახებ. შედეგებმა გამოავლინა მასშტაბური კველევის ჩატარების საჭიროება, რომელიც, ერთის მხრივ, შეაგროვებდა ინფორმაციას გენდერული ძალადობის სიხშირის, მისი ფორმებისა და ინტენსიურობის, დამოკიდებულებებისა და შეხედულებების, ძალადობის პირადი და სოციალური ისტორიის, ოჯახში ძალადობის დაძლევის მექანიზმების

შესახებ, და მეორეს მხრივ, მოგვცემდა საქართველოს სოციალური რეალობის საერთაშორისო კვლევებთან შედარების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი გამოკითხვა საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ წარმოადგენს პირველ სრულყოფილ კვლევას, რომელიც ჩატარდა ქვეყანის მასშტაბით ამ საკითხებე. მასშტაბური შერჩევის საშუალებით მივიღეთ ინფორმაცია საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ. კვლევა აერთიანებს რაოდენობრივსა და თვისებრივ მიღვომებს ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზგებისა და შედეგების, ასევე ოჯახში ძალადობის მიმართ ქალთა შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ეს არის პირველი კვლევა, რომელიც შეეხო არასრულწლოვან ქალთა მიმართ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის საკითხს, ასევე ქმრისა და ოჯახის წევრების გარდა სხვა მოძალადის მიერ განხორციელებული სქესობრივი ძალადობის პრობლემას. აღნიშნული გამოკითხვა წარმოადგენს ამ საკითხებ პირველ საბაზისო კვლევას. კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კომპონენტებს; საერთო ჭამში რაოდენობრივი კომპონენტის გამოყენებით გამოიკითხა 2391 ქალი (ასაკობრივი ჰგუფი 15-49 წელი), ხოლო თვისებრივი კომპონენტის საშუალებით ჩატარდა 14 ფოკუს ჰგუფი, 34 სიღრმისეული ინტერვიუ და 2 ჩართული დაკვირვება.

## კვლევის მიზანი

საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ეროვნული მასშტაბით განხორციელებული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა:

- ოჯახში ქალთა მიმართ მათი მეუღლეების/პარტნიორების მხრიდან როგორც ფიზიკური, ასევე სქესობრივი, ემოციური, ეკონომიკური ძალადობის სიხშირის დადგენა
- არასრულწლოვანთა მიმართ (15 წლის ქვემოთ) სქესობრივი ძალადობის სიხშირის დადგენა
- გენდერული როლებისა და ძალადობის მიმართ ქალთა შეხედულებების გარკვევა
- ფეხმძიმობის დროს ძალადობისა და ძალადობის შედეგად დაზიანებების მიღების ფაქტების დადგენა

- იმ ქალთა მიერ ძალადობასთან გამკლავების მეთოდების დადგენა, რომლებსაც გამოცდილი აქვთ ოჯახში ძალადობა.
- ძალადობის შედეგების განსაზღვრა ქალებისა და ძალადობის შემსწრე ბავშვების ჭანმრთელობაზე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ მონაცემების შეკრება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის საქართველოს პოლიტიკის შემუშავებისთვის, საზოგადოების ინფორმირება და განათლება გენდერული უფლებებისა და საკითხების შესახებ; კანონების, პოლიტიკისა და გეგმების შემუშავება; აგრეთვე, გენდერული ნიშნით ძალადობის აქტებისადმი ბრძოლის, დაცვისა და პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავება და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა.

## კვლევის მეთოდოლოგია

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის სიღრმისა და გავრცელების დასადგენად კვლევაში გამოყენებულ იქნა ორი ტიპის მეთოდოლოგია – რაოდენობრივი და თვისებრივი.

## რაოდენობრივი კვლევა

### შერჩევის დიზაინი

ოჯახში ძალადობის საკვლევად შერჩევის დიზაინისთვის გამოყენებულ იქნა შეწონილი, სტრატიფიცირებული და მრავალკომპონენტიანი კლასტერული შერჩევის მიდგომა. შერჩევის დიზაინის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მაჩვენებლების შეფასება ეროვნულ დონეზე, აგრეთვე ქალაქებს/სოფლებსა და თბილისში შესაფერისი სიზუსტის მონაცემების დადგენა 95% ნდობის ინტერვალის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი განხილული იყო როგორც ცალკეული ერთეული. შერჩევა ეფუძნებოდა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის<sup>1</sup> კლასტერულ მონაცემთა ბაზას; ჩატარდა ორი პროცესი მონაცემთა განახლებისთვის. ოჯახების შერჩევა სისტემატურად ხდებოდა მოცემული კლასტერების შესაბამისად. საერთო ჭამში გამოიკითხა 2391 ქალი, ასაკობრივი ჰგუფი 15-49.

1. სტატისტიკის დეპარტამენტის კლასტერული მონაცემთა ბაზა ლია კვლევებისთვის. მონაცემთა ბაზაში შესულია დაახლოებით 16,500 კლასტერი.

## კითხვარები

კვლევის კითხვარები შედგა ქვეყნის მოთხოვნილებების გათვალისწინებით; ისინი დაფუძნებული იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მიერ მრავალ ქვეყანაში ჩატარებულ ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა მიმართ მოკახში ძალადობის შესახებ კვლევის კითხვარზე დაყრდნობით. გამოყენებულ იქნა ორი კითხვარი: მოკახში ძალადობისთვის და ქალებისთვის. კითხვარების შედეგად შეგროვდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- პოპულაცია ოჭახების მიხედვით ყველა მოკახში საცხოვრებლის მახასიათებლები;
- ქალების წარსულის მახასიათებლები და გათხოვების ისტორია; ქალთა ჯანმრთელობა და მათი შვილების ქცევა;
- ქალების მიერ გამოცდილი ფიზიკური, სქესობრივი, ემოციური და ეკონომიკური ძალადობა (მთელი ცხოვრების განმავლობაში და ინტერვიუს ჩატარებამდე 12 თვის განმავლობაში), რომელიც მათ მიაყენეს ქმრებმა/პარტნიორებმა;
- სქესობრივი ძალადობა 15 წლამდე.
- ქალების დამოვიდებულება გენდერული როლებისა და ძალადობისადმი;
- ძალადობა ორსულობის დროს და ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები;
- იმ ქალთა მიერ ძალადობასთან გამოვლების გზები, რომლებსაც გამოცდილი აქვთ ოჭახში ძალადობა;
- ოჭახში ძალადობის მიზეზების კულტურული სპეციფიკა

## პრაქტიკული სამუშაოები და პასუხების მაჩვენებელი

შერჩეულ იქნა ქალთა 15-49 წლის ასაკობრივი ჯგუფი. შერჩეულ 5080 ოჭახში 3872 ინტერვიუ ჩატარდა წარმატებით და საერთო ჯამში აღნიშნულ მოკახში ნაპოვნი იქნა 15-49 წლის ასაკის 3768 ქალი. 2621 ქალი იქნა შერჩეული კიშის მეთოდის გამოყენებით – ერთი ქალი ერთი ოჭახიდან. ჩატარდა 2385 ინტერვიუ ქალებთან.

## თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა პირველადი ინფორმაციის მოპოვება მამაკაცებსა და ქალთა შეხედულებებს შორის სხვაობის

დასადგენად ძალადობის გაგებისადმი, ოჭახში ძალადობის გამოცდილებასა და მონაწილეთა გამოცდილებისადმი, ასევე მათი ძალადობის აღქმისა და ძალადობასთან გამკლავების სტრატეგიების, ოჭახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული მომსახურებების შეფასებისა და ხედვის შესახებ.

თვისებრივი კომპონენტის გამოყენებით ჩატარდა 14 ფოკუს ჯგუფი, 34 სიღრმისეული ინტერვიუ და 2 ჩართული დაკვირვება.

ფოკუს ჯგუფის განხილვები ჩატარდა თბილისში - 5 ჯგუფი, კახეთში (თელავი) – 5 ჯგუფი, და სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე) – 4 ჯგუფი. ჯგუფები შედგა შემდეგნაირად: 35-39 წლის ასაკის ქალთა ჯგუფი (1 ქალაქში და 2 სოფელში), გათხოვილები, მათ არ გამოცდილიათ ძალადობა; 35-39 წლის ასაკის მამაკაცთა ჯგუფი (1 ქალაქში და 2 სოფელში), დაქორნინებულები, მათ არ პქონიათ კრიმინალური წარსული; ექსპერტთა ჯგუფი (ხელისუფლების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები – 1 ჯგუფი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი/პოლიტიკოსები/ აქტივისტი ქალები – 2 ჯგუფი); მომსახურე პერსონალი (ქამები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშავები, სოციალური აგენტები, იურისტები – 1 ჯგუფი თითოეულ ქალაქში – თბილისი-თელავი-ახალციხე, პოლიცია და პენიტენციალური სისტემის პერსონალი – 1 ჯგუფი თბილისში და 1 ჯგუფი თელავში).

34 ქალს ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ: თავშესაფარში და მის გარეთ მყოფი 10 ქალი, რომელსაც გადატანილი აქვს მძიმე ძალადობის შემთხვევა; 10 იძულებით გადაადგილებული პირი, 5 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (ქალაქში და სოფელში), 5 აქტივისტი ქალი სოფლებიდან, რომლებიც ოჭახში ძალადობის თემაზე მუშაობენ და 4 ქალი სოფლიდან. თავშესაფარში ჩატარდა ორი ჩართული დაკვირვება.

კვლევა განხორციელდა ორი ორგანიზაციის მიერ: “ეისითი კვლევა” და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თვისებრივ მონაცემთა ნაწილი (4 ფოკუს ჯგუფი და 9 სიღრმისეული ინტერვიუ სამცხე-ჯავახეთში) მოპოვებულ იქნა გაეროს ქალთა განვითარების ფონდის (UNIFEM) მიერ აღმინისტრირებული პროექტის “საუწყებათაშორისო

და საბოგადოებრივი 8ომები ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად საქართველოში” ფარგლებში; აღნიშნული პროექტი ხორციელდება ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის გაეროს სატრასტო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

## კვლევის შედეგები

### ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა [სულ 2385]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტრადიციული კულტურული ნორმების თანახმად ოჯახი მიჩნეულია უსაფრთხო ადგილად, სადაც ნებისმიერი პრობლემა ქრება, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ არსებობს დიდი განსხვავება წარმოსახვით, იდეალიზირებულ ოჯახსა და რეალურ ოჯახს შორის, სადაც ძალადობის პირდაპირი თუ ირიბი ფორმების შედეგად იჩაგრება ქალი და ირლვევა ადამიანის ძირითადი უფლებები.

„ძალადობის ყველა ფორმა მაქვს გადატანილი ჩემი ქმრისაგან ჩვენი თანაცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. როგორც კი რამე შეაწეუბდა, დაუყოვნებლივ აგრესიული ხდებოდა და ეს საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ოცი წელია გათხოვილი ვარ და ჩემს შემთხვევაში ძალადობის მთავარი მიზეზი ოჯახის წევრების პროვოკაციული ქმედებები იყო. ჩემი მამამთილი ნაკლებად იყო რაიმეზე პასუხისმგებელი, ძირითადად, დედამთილი ახდენდა ზენოლას ჩემს ქმარზე” (თავშესაფარში არმყოფი მსხვერპლი).

„მეექვე წელია ქორწინებაში ვარ და ჩემი ქმარი ექვსი წელია მცემს. მას დედა და დები აქეზებენ. საკუთარი აზრი არ გააჩნია. მის ოჯახს ხშირად მოუყენებია ჩემთვის შეურაცყოფა და მე თავი ვერ დამიცვია... (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი).

### ქალთა მიმართ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა [სულ 2385]

საქართველოში ცოტა ქალი თუ მიიჩნევს თავს ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლად. საერთო ჯამში მხოლოდ 6.9%-მა აღიარა რომ გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობა. მათ-

გან 2.6%-მა თქვა, რომ გამოცდილი აქვს ძალადობის მსუბუქი ფორმა და 4.3%-ს კი გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობის მძიმე ფორმა.

არ არის არსებითი განსხვავება საცხოვრებების ადგილის, განათლების დონის, ოჯახური მდგომარეობისა და შემოსავლის მიხედვით, როდესაც საქმე ფიზიკურ ძალადობას ეხება. მნიშვნელოვანი შედეგები მივიღეთ 25-34 და 35-44 ასაკობრივი ჯგუფების გამოკითხვის შედეგად.

გამოკითხულ ქალთა 3.9%-მა აღიარა, რომ გამოცდილი აქვს სქესობრივი ძალადობა. მათგან 64% აქვს ოჯახი, ხოლო 37% გაუთხოვარია; აღნიშნულ გაუთხოვარ ქალთა უმეტესობა (32.6%) ამბობს, რომ არ ჰყავთ პარტნიორი და არ აქვთ სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცთან. აგრეთვე, ქალთა 0.7%-მ აღიარა, რომ სექსი პირველად ძალადობის შედეგად ჰქონდათ. აღნიშნული მონაცემები არ იცვლება საცხოვრებელი ადგილის, განათლების დონისა და დამოუკიდებელი შემოსავლის ქონის მიხედვით; აღნიშნული მონაცემების ცვლილება აღინიშნება მხოლოდ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით – 35-44 ასაკობრივი ჯგუფის ქალები უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. ქალთა 2.3% არის ორივე ტიპის, როგორც ფიზიკური, ასევე სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი, აღსანიშნავია, რომ სექსუალურ ძალადობას ხშირად ფიზიკური ძალადობაც მოჰყვება.

### ფიზიკური ძალადობის აქტები

კვლევაში შეისწავლა ფიზიკური ძალადობის მსუბუქი და მძიმე ფორმები. ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმებიდან ქალები აღნიშნავნ, რომ გამოცდილი აქვთ ორი მათგანი:

- სახეში გაარტყა ან რაიმე ესროლა – 6.8% - მსუბუქი ძალადობა
- ხელი ჰკრა, უბიძგა ან თმა მოქაჩა – 2.9% - მსუბუქი ძალადობა
- დაარტყა მუშტი ან რაიმე საგანი – 3.9% - მძიმე ძალადობა
- ნიხლი ჰკრა, ათრია ან მძიმედ სცემა – 2.0% - მძიმე ძალადობა
- ახრჩობდა ან დასწვა – 1.6% - მძიმე ძალადობა
- ემუქრებოდა, ან ერჩოდა ცეცხლსასროლი იარაღის, დანის ან სხვა ტიპის იარაღის გამოყენებით – 1.0% - მძიმე ძალადობა

ქვეყნის მასშტაბით კვლევამ გამოავლინა ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმები: ემოციური ძალადობა – აღიარა გამოკითხულ ქალთა 14%-მა; ქალის მაკონტროლირებელი ქმედებები (35%), მაგალითად ქალთა 29% არ აქვს უფლება ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ ოჯახთან, 11.6%-ს სტირდება ქმრის ნებართვა ექიმთან წასასვლელად, ხოლო ქალების 11.1% ამბობს, რომ ქმარი ბრაზდება, როდესაც ის სხვა მამაკაცს ელაპარაკება. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ქალები უფრო გახსნილად საუბრობენ ძალადობის იმ ფორმების შესახებ, რომლებიც სოციალურიად მისაღებია და ცდილობენ დამალონ სიმართლე, როდესაც საქმე ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობას ეხება (შიშისა და სირცხვილის გამო).

აღსანიშნავია, რომ ქალის მაკონტროლირებელი ქმედებები მშენებობით კავშირშია განათლების დონესთან. რაც უფრო დაბალია ქალის განათლების დონე, მით უფრო მაღალია ასეთი ქმედებების პროცენტულობა. მაგალითად, ქალების 60%, რომლებსაც აქვთ არასრული საშუალო განათლება უფრო ხშირად ექცევიან ქმრის კონტროლის ქვეშ, ვიდრე ქალები, რომელსაც აქვთ სრული საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლება (35%).

კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს ქალის მიერ ოჯახის, როგორც ხელშეუხებელი ადგილის აღქმა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ არასდროს უნდა გავიდეს მის ფარგლებს გარეთ და არ უნდა იქცეს საჯარო დებატების საგნად. ოჯახის ასეთი აღქმა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას. მსგავსი შეხედულებების მქონე ქალთა რაოდენობა არის 78.3%. ეს მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: დედაქალაქი 21.7%, ქალაქები 30.3%, სოფლები 48.0%

15 წლის ასაკს ზემოთ ქალთა მხოლოდ 0.1% აღიარებს ოჯახის წევრის ან სხვა მამაკაცის მიერ მის მიმართ სქესობრივი ძალადობის ფაქტს. არც ერთმა რესპონდენტმა არ გასცა დადებითი პასუხი პირდაპირ დასმულ კითხვას, იმის შესახებ

გამოუცდიათ თუ არა მათ სქესობრივი ძალადობა 15 წლის ასაკამდე. ამავე დროს, არაპირდაპირ კითხვაზე რესპონდენტთა 6.5%-მა აჩვენა მოწყენილი სახე (რესპონდენტებს დაურიგდათ ბარათები მომღიმარი და მოწყენილი სახეებით), რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ სქესობრივი ძალადობა გავრცელებულია 15 წლის ასაკამდე, მიუხედავად ამისა, რესპონდენტები ამის შესახებ ღიად არ საუბრობენ.

იმ ქალთა შორის, რომლებიც ოდესმე ყოფილან გათხოვილნი, ყოველი მეთერთმეტე არის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი და 34.7%-ს რამდენჯერმე მიუღია სხეულის დაზიანებები. ამ ქალთა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის 45-49 წლის ასაკობრივ ჯგუფს. დაზიანებების ყველაზე გავრცელებული ფორმებია ნაკაწრები, დაბეჭილობა, სისხლჩაქცევები (84.4%) და შიდა დაზიანებები (29.1%). ქალთა 18.8%-მა აღიარა, რომ მიუღია ტვინის შერყევა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად, გამოკითხულ ქალთა 15.3%-ს რომლებიც ოდესმე გამხდარან ქმრის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი, დასჭირვებიათ სამედიცინო დახმარება ერთხელ მაინც. მათ შორის, 18.2%-ს მიუღია სამედიცინო დახმარება. გამოკითხულთა 33.3%-ის შემთხვევაში საავადმყოფოში გატარებული პერიოდი მოიცავს 2-დან 30 დღემდე. ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ორსულ ქალთა 2.7%-ის კანძრთელობის მდგომარეობა ორჯერ გაუარესებულა იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც არ გამოუცდიათ ძალადობა ფეხმძიმობის პერიოდში. ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ გამოკითხულთა 28.2% ამბობს, რომ არასდროს მიუღიათ რაიმე ტიპის დახმარება.

კვლევის შედეგები ცხადყოფს ეფექტური პოლიტიკისა და მექანიზმების არსებობის აუცილებლობას გენდერული ძალადობის შესამცირებლად და ოჯახში ძალადობის დასაძლევად, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას გენდერული თანასწორობისა და გენდერული ძალადობის საკითხების შესახებ.

# თავი 1.

## შესავალი

მარინე ჩიტაშვილი, ნინო ჭავახიშვილი

### კვლევის წინაისტორია

ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გლობალური პრობლემაა, მას არ აქვს კულტურული, გეოგრაფიული, რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური თუ ეროვნული საზღვრები. ქალის მიმართ ძალადობა განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევა და იგი ფართოდ გავრცელებულ ფენომენს წარმოადგენს სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეთნიკური წარმომავლობისა და ენის მქონე ადამიანებს შორის. ქალთა მიმართ ძალადობა სოციალური პრობლემაა, რომელიც ყველაზე ხშირად ჩაკეტილი სოციალური წყობისათვისაა დამახასიათებელი. ამ პრობლემას აქვს უაღრესად სერიოზული შედეგები არამარტო ძალადობის მსხვერპლი ქალების ფიზიკურ და ემოციურ ჭანმრთელობაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე, არამედ იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდებს ბავშვებზე, ოჯახებსა და საზოგადოებაზე ზოგადად. ძალადობა ოჯახში ქალს ართმევს უფლებას მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აიძულებს მას პატიმარივით იცხოვროს განსაკუთრებულ პირობებში, რომელიც ოჯახის, ნათესავების და ასევე, უმრავლესობის სოციალური ნორმებითა და ღირებულებებითა განსაზღვრული. ძალადობა, კერძოდ კი, ოჯახში ძალადობა ქალის მიმართ, მუდმივად ცვალებადია და იხრება ისეთი სოციალური ვექტორების მიხედვით, როგორიცაა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარება, ასევე, საზოგადოებრივი ნორმები, რომლებიც ერის არსებულ კულტურაში „ნორმალურად“ აღიქმება. ოჯახში ძალადობის ძირითადი გავლენა ქალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ჩართულობასა და მონაწილეობაზე აისახება. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანის უფლებები უნდა განიხილებოდეს ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად საჭირო მთავარ ინსტრუმენტად.

1993 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „დეკლარაცია ქალთა ძალადობის წინააღმდეგ“ (DEVAW), სადაც ქალის სუბორდინაცია ოჯახში ძალადობის პრინციპულ მიზებადაა განსაზღვრული. დეკლარაციაში ნათქვამია: „ისტორიულად, ძალადობა ქალის მიმართ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული არათანაბარი ურთიერთობების მანიფესტაციაა. ამგვარი ურთიერთობის შედეგია კაცის მხრიდან ქალზე დომინირება და მისი დისკრიმინაცია“.<sup>1</sup> ოჯახში ძალადობას გაერო ასე განსაზღვრავს „ძალადობის ფორმა, რომელიც ჩნდება სქესობრივი კავშირის ან სისხლით ნათესაობის მქონე ორ ადამიანს შორის მათ პირად ცხოვრებაში“.<sup>2</sup>

საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები, როგორებიცაა ICPD სამოქმედო პროგრამა, დამტკიცებული მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე 1994 წელს და პეკინის სამოქმედო პლატფორმა დამტკიცებული ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე 1995 წელს, განსაზღვრავენ ქალის მიმართ ძალადობის ფორმებს და ძალადობასთან ბრძოლის მეთოდებს. ოჯახში ძალადო-

1. <http://www1.umn.edu/humanrts/svaw/domestic/laws/international.htm#unconf>

2. [http://www.ksgm.gov.tr/tdvaw/doc/Main\\_report.pdf](http://www.ksgm.gov.tr/tdvaw/doc/Main_report.pdf) (pp.19)

ბის საკითხის შესწავლა, ჰანმრთელობის კუთხით, 1985 წელს დაიწყო და დღესაც გრძელდება.<sup>3</sup> „მსოფლიოს ჰანდაცვის ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა კვლევამ „მსოფლიოს ჰანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია – ქალთა ჰანმრთელობისა და ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების კვლევა“ (ავტორი გარსია მორენი და სხვები, 2005 წ.) აჩვენა, რომ ქალთა მიმართ მთელი ცხოვრების განმავლობაში ფიზიკური ძალადობა 15 დან 71%-მდე მერყეობს<sup>4</sup>.

1992 წელს გაერომ საქართველო ოფიციალურად აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; მას შემდეგ, საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემა ფართოდ განიხილება ბევრი სახელმწიფო თუ არასამთავრობო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და მათი სამოქმედო მისია ხდება. თუმცა, 2008 წლამდე, ძალიან მნირი იყო ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული ეროვნული მონაცემები, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ უაღრესად დაბალ ხარისხში. არსებობს მხოლოდ ორი სანდო, თუმცა მნირი ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზა, რომელიც მიღებულია ოჯახში ძალადობის შესახებ 2005 წელს განხორციელებული მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევისა (MICS3)<sup>5</sup> და ქალთა რეპროდუქციული ჰანმრთელობის შესახებ გამოკითხვის (RH Survey)<sup>6</sup> შედეგად... აღნიშნულმა მონაცემებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობა კომპლექსური საკითხია და მასთან ბრძოლა შეუძლებელია მხოლოდ გარე ფაქტორების აღმოფხვრით; საჭიროა უფრო სიღრმისული მიდგომის გამოყენება ქალთა ცნობიერების ასამაღლებლად, რათა მათ მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ საკუთარი უფლებებისა და ძალადობის შესახებ.

მონაცემთა სიმწირე ოჯახში ძალადობის მასშტაბების, მიზეზების, გავლენისა და შედეგების შესახებ მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო

3. <http://www.un.org/en/development/devagenda/gender.shtml>  
4. [http://www.who.int/gender/violence/who\\_multicountry\\_study/Chapter3-Chapter4.pdf](http://www.who.int/gender/violence/who_multicountry_study/Chapter3-Chapter4.pdf)

5. მონაცემები ქალთა შეხედულებებზე და დამოკიდებულებაზე ქმრის მიერ ქალის/ცოლის ცემის ფაქტების მიმართ შეიკრიბა რამდენიმე ერთეულის საშუალებით: ქალი მიდის მამაკაცის დაუვითხავად (1.8%); ქალი უგულვებელყოფს შვილებს (5.9%); ქალი დაობს მმაკაცთან (2.4%); ქალი მამაკაცს უარს ეუბნება სქესობრივ ვაგირზე (1.0%); ქალი წვავს საგმელს (1.0%), ნებისმიერ სხვა მიზეზით (6.9%). მრავალ ინდივიდორიანი კლასტერული კვლევები, ბავშვთა და ქალთა მდგომარეობის მონიტორინგი, ანგარიშები, საქართველო, 2005 წელი. [http://www.childinfo.org/mics3\\_surveys.html](http://www.childinfo.org/mics3_surveys.html)

6. <http://www.cdc.gov/reproductivehealth/surveys/SurveyList.htm#Georgia> Republic 2005

სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მიღებას. წინამდებარე კვლევა ჩატარდა 2009 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ განხორციელებული პროექტის „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ (GBV-SC) ფარგლებში. ეს არის რეგიონალური, მრავალმხრივი ინიციატივა, რომელიც ნორვეგიის ხელისუფლების მხარდაჭერით ხორციელდება ამიერკავკასიის სამ ქვეყანაში – აზერბაიჯანში, სომხეთსა, და საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდის ოფიციების მიერ. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს წვლილი შეიტანოს ოჯახში ძალადობის მიმართ ბრძოლაში და გააძლიეროს დემოკრატიული მმართველობა აღნიშნულ სამ ქვეყანაში ადამიანების უფლებების დაცვის, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით.

აღნიშნული პროექტი (GBV-SC) არის ამ ტიპის პირველი ინიციატივა, რომელიც მოიცავს მთელს რეგიონს და აქვს მრავალმხრივი მიდგომა გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის კუთხით შემდეგი მიმართულებებით:

- საზოგადოების ინფორმირების ამაღლება გენდერის საკითხებზე; გენდერული თანასწორობის მხარდაჭერი ხაზის გატარება კანონმდებლობასა და პოლიტიკაში;
- გენდერული ძალადობის პრევენციის, მასზე რეაგირებისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის სათანადო მექანიზმების შექმნის მხარდაჭერა;
- გენდერული ძალადობის დაძლევისაკენ მიმართული ძალისხმევის ეფექტურობისა და შედეგიანობის გაზრდა

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის (UNFPA/Georgia) დახმარებით კვლევა ჩატარდა ორი არა-სამთავრობო ორგანიზაციის: „ეისითი კვლევა“ (ACT-Research)<sup>7</sup> და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS)<sup>8</sup> მიერ. თვისებრივ კვლევაში გამოყენებულ იქნა სამცხე-ჯავახეთში შეგროვებული მონაცემები, რომელიც მოპოვებულ იქნა გაეროს ქალთა განვითარების ფონდის (UNIFEM) მიერ ადმინისტრირებული პროექტის „საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში“ შედეგად; აღნიშნული პროექტი დაფინანსდა ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის გაეროს სატრანსპორტო ფონდის მიერ.

7. [http://www.act.ge/index.php?lang\\_id=ENG](http://www.act.ge/index.php?lang_id=ENG)  
8. <http://www.css.ge/>

ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევა რომელიც მოიცავდა როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენებრივ კომპონენტებს, მიმართული იყო გენდერული ნიშნით ძალადობის (კონკრეტულად კი ოჯახში ძალადობის) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ პირველი ეროვნული მასშტაბის მონაცემების მიღებისკენ. კვლევის შედეგები საფუძვლად დაედება გენდერული ნიშნით ძალადობის ნინააღმდეგ ბრძოლის შესაფერისი ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებას.<sup>9</sup>

„ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების შესახებ საქართველოში“ არის პირველი სრულყოფილი კვლევა, რომელიც ოჯახში ძალადობის მრავალ ასპექტს შეეხება:

- ეს არის პირველი კვლევა ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა და მასშტაბური შერჩევის წყალობით, წარმოადგინა ინფორმაცია საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობაზე;
- რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებული კითხვარის საშუალებით, შესაძლებელია კულტურათაშორისი შედარების გაკეთება, რადგან იგი მომზადდა მსოფლიოს ჭანმრთელობის ორგანიზაციის კითხვარის საფუძველზე. კითხვარში შევიდა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- კვლევამ გააერთიანა რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები, რის შედეგადაც, ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და შედეგების, ასევე, ოჯახში ძალადობის მიმართ ქალთა განწყობებისა და შეხედულებების შესწავლა გახდა შესაძლებელი.
- ეს არის პირველი კვლევა, რომელმაც შეკრიბა მონაცემები არასრულწლოვან ქალთა მიმართ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის, ასევე, ქმრისა და ოჯახის წევრის გარდა, სხვა მოძალადის მხრიდან სქესობრივი ძალადობის შესახებ.

ამ საერთო ეროვნული გამოკითხვის რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდა 15-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალები. ინტერვიუ ჩატარდა 2391 ქალთან. რაოდენობრივი კვლევის პარალელურად ჩატარდა თვისებრივი კვლევა ოჯახში ძალადობის შესახებ. თვისებრივი კვლევ-

ის მეთოდოლოგია, ისევე როგორც შერჩევის დიზაინის მეთოდოლოგია, გადაიხედა და დამტკიცდა საერთაშორისო კონსულტანტის დახმარებით. ჩატარდა 25 სიღრმისეული ინტერვიუ; ქალაქსა და სოფლებში ჩატარდა 10 შეხვედრა ფოკუს ჯგუფებთან; ასევე ჩატარდა 2 ჩართული დაკვირვება. ეს შერეული ტიპის მეთოდოლოგიური კვლევა გვაძლევს დეტალურ ინფორმაციას ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის გავრცელების, ძალადობის ფორმების, მიზეზებისა და შედეგების, ქალთა მიერ გენდერისა და ძალადობისადმი დამოკიდებულების, ჭანმრთელობაზე ძალადობის გავლენის, ოჯახსა და ბავშვებთან დამოკიდებულებების შესახებ.

საქართველო, როგორც ერთ-ერთი იმ დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგანი, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, მიეკუთვნება ტრადიციულ/ჩაკეტილი ტიპის საზოგადოებას, რომელიც დღესდღეობით პირველ ნაბიჯებს დგამს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისაკენ. კვლევები ადასტურებს, რომ ქალის მიმართ ძალადობა განსაკუთრებით გავრცელებულია ისეთ ქვეყნებში, რომელთაც ახასიათებთ ჩაკეტილი წყობა, ერთი კონკრეტული რელიგიისა და რწმენის თაყვანისცემა, სადაც ქალები განიხილებიან მეორეხარისხოვან მოქალაქეებად.<sup>10</sup> ოჯახში ძალადობისა და ქალთა პრობლემების შესახებ მონაცემთა სიმცირე საბჭოთა წარსულითა განპირობებული – გენდერული თანასწორობის საკითხი კომუნისტურმა პარტიამ ოფიციალურად გადაჭრა – ფორმალურად არ არსებობდა კვლევების განხორციელების საჭიროება ისეთ სოციალურ საკითხებზე, როგორიცაა, ძალადობა, დისკრიმინაცია, ა.შ. ვინაიდან, ასეთი უსამართლობა „არ არსებობდა“ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა რეჟიმის დაშლის შემდეგ, ახლად შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს დემოკრატიულ წყობაზე გადასვლა კრიზისის მართვის პირობებში მოუნიათ, სამივე კავკასიური სახელმწიფო შეიარაღებულ ეთნიკურ კონფლიქტებში ჩაეფლო: საქართველოში ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი მთიანი ყარაბახის ოში იყო ჩართული. „დიდი პოლიტიკა“ მნიშვნელოვანია, როგორც პოლიტიკოსებისა და მთავრობებისათვის, ასევე მოსახლეობისათვის, ხოლო სოციალური ცხოვრების ისეთი კრიტიკული ფაქტორები, როგორიცაა ადამია-

9. <http://www.unfpa.org.tr/gender.htm>

10. [http://www.who.int/gender/violence/who\\_multicountry\\_study/Introduction-Chapter1-Chapter2.pdf](http://www.who.int/gender/violence/who_multicountry_study/Introduction-Chapter1-Chapter2.pdf)

ნის უფლებების დარღვევა, თანასწორობა და კანონმორჩილება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, განიხილება (ან საერთოდ არ განიხილება), როგორც მეორეხარისხოვანი პრობლემები. მაგალითად: საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და დემოკრატიული ფასეულობების არჩევის შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდა სოციალურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი, დრამატულად დაეცა ქალთა დასაქმების მაჩვენებელი, ქალები ნაკლებად არიან ნარმოდგენილი პოლიტიკასა და ისეთ სფეროებშიც კი, რომლებიც ტრადიციულად ქალთა სფეროებად აღიქმება – განათლება და ჭანდაცვა. ამჟამად პარლამენტში ქალთა რაოდენობა 6%-ს შეადგენს, მაშინ როცა 2003 წელს იგივე მაჩვენებელი 11% იყო.

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის (რომელიც სწავლობს ქვეყნების ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობის, საგანმანათლებლო მიღწევების, პოლიტიკური ძალაუფლებისა და ჭანმრთელობის საკითხებს და აკეთებს ქვეყნების შეფასებებს იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად აქვთ მათ განაწილებული რესურსები და შესაძლებლობები მამაკაცებსა და ქალებს შორის) 2009 წლის გლობალური ანგარიშის მიხედვით გენდერული თანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით საქართველო იმყოფებოდა 84-ე ადგილას. (2008 წელს – 82 ადგილი, 2007 წელს – 67 და 2006 წ. – 54).

საქართველო ტრადიციულ საზოგადოებად ხასიათდება. აქ მყარადაა გამჭდარი ოჯახის, როგორც წმინდა, საიდუმლო ადგილის აღქმა. ყველა ადამიანი მოვალეა შეინარჩუნოს ოჯახის ღირსება მათი პირადი შეხედულებების მიუხედავად. ქართველები ხშირად ამბობენ, რომ ჩხები ოჯახის წევრებს შორის ოჯახს გარეთ არ უნდა გავიდეს. ამგვარად, ოჯახი ხდება ციტადელი, რომლის შიგნითაც მომხდარი ნებისმიერი დაპირისპირება მის კედლებს გარეთ არ გადის. კაცი არის ოჯახის უფროსი, რომელიც ოჯახს საკუთარი შეხედულებებისამებრ მართავს. ოჯახში ქალის როლი მკვეთრადაა განსაზღვრული – იგი არის დედა და დიასახლისი. საბჭოთა კავშირის მიერ ქალების ლიბერიზაცია და მათ გათანაბრება კაცებთან სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში, არასოდეს ყოფილა მხარდაჭერილი სოციალურ პოლიტიკაზე ორიენტირებული სერიოზული ინსტიტუტების მიერ. ქალებისათვის სამუშაო უფლების ასე გულუხვად მინიჭება სხვა

არაფერი იყო თუ არა მათი მონური მუშაობის ფასად სამუშაო ძალის გაზრდა; ამასთან ერთად მათ უნდა შეესრულებინათ ის ტრადიციული მოვალეობებიც, რომელიც ისედაც ეკისრებოდათ. საბჭოთა რეჟიმის რღვევის შემდეგ, ფორმალური თანასწორუფლებიანობა უკანა მხარეს გადავიდა და წინა პლანზე ქალთა პრობლემებმა და ოჯახში ძალადობის საკითხმა წამოიწია.

საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ საქართველომ უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადა – სამოქალაქო ომები, ეკონომიკური რღვევა, ინფლაცია, უმუშევრობა, კორუფცია, შეიარაღებული კონფლიქტები და დაკარგა ტერიტორიის ერთი მეხუთედი. ამ ფაქტორებმა უდიდესი გავლენა მოახდინა საბჭოთა მოქალაქეების სოციალური აზროვნების სწრაფ ცვლილებაზე – ისინი ოცნებობდნენ დამოუკიდელობაზე და სანაცვლოდ, აღმოჩნდნენ არასტაბილურ და მძიმე პირობებში. ქალებმა, აღნიშნული ცვლილების შედეგად, ბევრი რამ დაკარგეს და ბევრიც შეიძინეს. მათ დაკარგეს კაცის, როგორც მარჩენალის აღქმა, რადგან ქვეყანაში მასიურად გაჭირდა სამუშაოები მამაკაცებისათვის, შესაბამისად, ქალებმა თავის თავზე აიღეს მარჩენალის მისია. უამრავი ქალი წავიდა და დღესაც მიდის სამუშაოს საძიებლად საზღვარგარეთ. ქალებმა, ოჯახის რჩენის მიზნით, სხვადასხვა არაფორმალური საქმიანობა დაიწყეს, რომელიც არ შეესაბამებოდა მათ განათლებასა და კვალიფიკაციას (საქართველოში, ქალების 50%-ზე მეტს პროფესიული და უმაღლესი განათლება აქვს). ოჯახები გარემოდან გასვლა თავისთავად ქალის ცხოვრების ღირებულებებთან და რეალობასთან დაშორებასაც იწვევს.

ამავე დროს, რელიგიური რწმენის აღორძინება და საბჭოთა ათეიისტური აზროვნებიდან მართმადიდებლურ რწმენაში დაბრუნება ასოცირდება კონსერვატიული, ოჯახური ტრადიციების აღდგენასათან, რაც კიდევ უფრო აღრმავებს სხვაობას რეალურ ცხოვრებასა და ხელახლა აღმოჩნდილ ტრადიციებს შორის. მთელს ქრისტიანულ სამყაროში, გაცილებით მეტი ქალი დადის ეკლესიაში, ვიდრე მამაკაცი და შესაბამისად, მეტად კონსერვატულები არიან, ვიდრე მამაკაცები. რწმენაში დაბრუნებული ქალები ცდილობენ იყვნენ კაცების მორჩილნი, ამავე დროს, სრულად ჩაერთონ საქართველოში თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში. ახლა უკვე, აზრის გამოხატვის თავისუფლება

კონტროლდება არა მხოლოდ ოჯახური ტრადიციების, არამედ ეკლესიის მიერაც მამაკაცისა და ქალის როლის მვაცრად განსაზღვრის გზით.

დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს რაიმე სახის კრიტიკული დისკურსი ქალთა საკითხების შესახებ, თუ არ ჩავთვლით ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებული არიან საზოგადოებაში ქალის როლისა და ადგილის სოციალური ასპექტების წინ წამოწევაზე. მედიის მხარდაჭერა გავრცელებული ტრადიციული სტერეოტიპებისა და გენდერული როლებისადმი მუდმივად აქტებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას; აგრეთვე, მედიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ბავშვების მიტოვება, მიგრაცია, მზარდი მარგინალიზაცია და სისხლის სამართლის საქმეთა დანაშაულების რაოდენობა, ძალადობის მზარდი მაჩვენებელი, დევნილი ქალები და მათი ინკლუზიურობა.

გენდერულ საკითხებზე მოქნილი პოლიტიკის ნაკლებობა კიდევ უფრო უწყობს ხელს გენდერული ნიშნით ძალადობის განვითარებას. საქართველო 1994 წელს შეუერთდა „კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. თუმცა, მისი რატიფიცირებიდან 15 წლის შემდეგაც ჰერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ძალადობასთან ბრძოლის კუთხით. ბიუკეტებში ნაკლებად ითვალისწინებენ გენდერულ დისკრიმინაციას, ქალები პოლიტიკაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მინიმალურად არიან ჩართულები, დაბალია ქალთა დასაქმების მაჩვენებელი. ყველა ეს პირობა ხელს უწყობს ქალთა დაუცველობის ზრდას.

ქალის მიმართ ძალადობის საკითხებზე რამდენიმე ანგარიში არსებობს.<sup>11</sup> ყველა ანგარიში და კვლევა ეხება ოჯახში ძალადობის მასშტაბებს და პრობლემის შესახებ ცოდნას. სხვადასხავა წყაროების მიხედვით, ძალადობა დამახასიათებელია ოჯახების 5-31%-სათვის. მაჩვენებლებს შორის ასეთი სხვაობა ცხადყოფს შემდგომი კვლევების საჭიროებას იმის დასადგენად, თუ ძალადობის რა დონეებთან გვაქვს საქმე. ქვემოთ წარმოდგენილია წინა წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც ოჯახში ძალადობას ეხებოდა.

11. აღნიშნული ანგარიშების თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა აქცენტს აკეთებს თემის შესწავლასა და კვლევაზე.

გაეროს მოსახლეობის ფონდმა, 1999 და 2005 წლებში, განახორციელა ორი კვლევა საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. ორივე კვლევაში, ქალთა 20%-ზე ნაკლებმა აღიარა სიტყვიერი ძალადობის ფაქტები ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან, 5%-ს განცდილი პერიოდა ფიზიკური ძალადობა და დაახლოებით 2% საუბრობდა სქესობრივ ძალადობაზე. 2005 წლის კვლევის მონაცემების თანახმად, მსხვერპლთა 5%-მა ოჯახში ძალადობის შესახებ პოლიციას აცნობა, ხოლო 4%-მა მიიღო სამედიცინო კონსულტაცია. დაზარალებული ქალების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული მიზები, რის გამოც, მათ არ მიმართეს ძალოვან უწყებას, იყო უნდობლობა აღნიშნული უწყების ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ (38%) ან ძალადობის ფაქტის გამოღავნებასთან დაკავშირებული უხერხულობა (32%). კვლევაში სხვა მიზებებიც დასახელდა: ოჯახის რეპუტაციის შეღახვა (10%), ფიზიკური ძალადობა არ იყო ძალიან მძიმე (7%), უფრო მეტად ცემის შიში (5%) და ქორნინების დარღვევის შიში (3%).<sup>12</sup>

ამავე კვლევაში დაფიქსირდა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ასიმეტრია: კაცების 89% აღნიშნავდა, რომ ქალს არ აქვს უფლება ქმრის მიმართ რაიმე სახის ძალა გამოიყენოს, ხოლო იგივე შერჩევაში, 38% ამტკიცებს, რომ კაცს შეუძლია გამოიყენოს ძალა ქალის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი მას უღალატებს. ორივე კვლევის მონაცემებში (1999/2005 წწ.) სიტყვიერი ძალადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა (20% ორივე კვლევაში), ქალთა 5% ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო კვლევის მიმდინარეობის წელს, ძალადობის სულ მცირე ერთი შემთხვევა დაფიქსირდა ქალთა 1%-ს შემთხვევაში.

„კავკასიის ქალთა კვლევისა და კონსულტირების ქსელის“ მონაცემებით, 2005 წელს, ქვეყნის მასშტაბით 1000 გამოკითხული ქალიდან, 22,2% მეუღლის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი სულ მცირე ერთხელ ყოფილა; ქალთა 5% ძალადობის მსხვერპლი ხშირადაა, ხოლო 25,5% მეუღლეების მხრიდან სქესობრივი ძალადობის ფაქტებზე საუბრობს. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები იმ ქალებისათვის, რომელთაც ძალადობისაგან სურთ დაცვა და ეძებენ შესაბამის მომსახურებებს: 13.1% ფიქრობდა

12. Serbanescu F, et al. (2000). Reproductive health survey, Georgia, 1999-2000. Serbanescu F, et al. (2005). Reproductive health survey, Georgia, UNFPA, Tbilisi.

პოლიციისთვის მიემართა და დაცვა ეთხოვა ოჭაბში ძალადობისგან, თუმცა, გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 1.8%-მა მიმართა აღნიშნულ უწყებას დასახმარებლად. იგივე ტენდენცია შეინიშნება სამედიცინო დახმარების მიმართაც: ქალთა 8,4%-ს ესაჭიროებოდა სამედიცინო დახმარება, თუმცა მხოლოდ 2.7%-მა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას დასახმარებლად. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ ქალი უფრო მეტად თავმდაბალი უნდა იყოს და არ უნდა ახდენდეს ძალადობის პროცეციურებას. 60%-ს აზრით, არ აქვს მნიშვნელობა თუ რა ხდება ოჭაბში, მთავარია იგი ოჭაბს გარეთ არ გავიდეს.<sup>13</sup>

არასამთავრობო ორგანიზაციამ „სახლი“ 2002 წელს განახორციელა პროექტი - „ძალადობა ოჭაბში - გენდერული ურთიერთობების კვლევა“, რომლის მიზანი იყო ძალადობის შესწავლა კულტურული თავისებურების ჭრილში. კვლევის მონაცემების თანახმად, ოჭაბში ძალადობის ცნება ორივე სქესის მიერ აღიქმება, როგორც „ქალის ცემა/უხეში მოპყრობა“ (94.8%). (კვლევაში, ოჭაბში ძალადობის აღქმასთან დაკავშირებით განსხვავება არ გამოვლენილა სქესის ჭრილში).

2003 წელს, ორგანიზაციამ „სახლი“ განახორციელა კვლევა „ოჭაბში კონფლიქტების გენდერული ასპექტები“, რომლის მთავარი ამოცანა გენდერული ძალადობის მიზებების დაფენა იყო. კვლევის ფარგლებში ასევე შეისწავლეს ოჭაბში ძალადობასა და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს შორის არსებული კავშირები, ოჭაბის ფუნქციონირება, კონფლიქტის გადაჭრის გზები და საკუთარი თავის პატივისცემის საკითხები. შერჩევის 80მა განისაზღვრა 400 ადამიანით (43.3% ქალი და 56.8% მამაკაცი). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ოჭაბში ძალადობა ძირითადად ეკონომიკური მდგომარეობითა გამოწვეული; გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მამაკაცები ხშირად ადანაშაულებდნენ ქალებს ოჭაბში ძალადობაში, და პირიქით. კვლევის მონაცემების თანახმად, გაკეთდა დასკვნა, რომ ოჭაბში დაძაბული ურთიერთობების გასანეიტრალებლად აუცილებელია მკვეთრად იყოს გამიჯნული ქალისა და მამაკაცის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ოჭაბში.

13. ნ. ციხისთავი, ნ. ბერევაშვილი [რედ.] (2006). ოჭაბური ძალადობა ქალზე: მრავალკომპონენტიანი კვლევა. კავკასიის ქალთა კვლევისა და კონსულტაციების ქსელი, თბილისი.

2005 წელს, ორგანიზაციამ „სახლი“ განახორციელა პროექტი „ოჭაბში ძალადობა, პირადი პროფილები“, რომელმაც შეისწავლა მეუღლებს შორის ოჭაბში ძალადობის შემთხვევების ფსიქოლოგიური ასპექტები. 2006 წელს, ორგანიზაციამ მეორე კვლევა განახორციელა: „ოჭაბში ძალადობა – საფრთხე ჭანმრთელობისათვის“, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს ჭანდაცვის სფეროს ნარმომადგენლების შეხედულებები ოჭაბში ძალადობასთან დაკავშირებით. გამოკითხულ რესპონდენტთა 79.5%-მა აღნიშნა, რომ ოჭაბში ძალადობა სოციალური პრობლემაა, ხოლო 20.5%-მა აღნიშნა, რომ ოჭაბში ძალადობა ოჭაბის შიდა პრობლემაა. რესპონდენტთა 95.2%-ს არ აქვს აღრიცხული ინფორმაცია ოჭაბში ძალადობის შესახებ. 49.9%-მა გამოთქვა ოჭაბში ძალადობის შესახებ პაციენტებთან საუბრის დისკომფორტი. 56.4% ფიქრობს, რომ ოჭაბში ძალადობის საკითხებზე საუბარი პაციენტმა შეიძლება შეურაცხყოფად მიიღოს. სამედიცინო დაწესებულებების რესპონდენტთა 57.8% აღნიშნავს, რომ შესაბამისი მომსახურებების არარსებობა მათ ხელს უშლის ოჭაბში ძალადობის შემთხვევებთან ბრძოლაში, ხოლო 31.3% შემაფერხებელ ფაქტორად, ოჭაბში ძალადობის შესახებ ჭანმრთელობის დაცვის შესაბამისი პოლიტიკის არარსებობას ასახელებს. გამოკითხულთა 62.7% ოჭაბში ძალადობის შემთხვევების აღრიცხვას აუცილებლობად მიიჩნევს, ხოლო 16.95%-ს საპირისპირო აზრი აქვს, რადგან მათი აზრით, სოციალური პრობლემები გადაუჭრელია და არ არსებობს ჭანდაცვის ზოგადი პოლიტიკა.<sup>14</sup>

ოჭაბში ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვლევად ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ 2006 წელს განხორციელებული საბაზისო კვლევა ნათლად ადასტურებს, რომ ოჭაბში ძალადობა არ აღიქმება ისეთ საკითხად, რომლის განხილვა ოჭაბს გარეთ უნდა მოხდეს (75,7%); რესპონდენტების 26.7% მიიჩნევს, რომ ეს საკითხი ქართულ მენტალიტებთან შესაბამისობაში არ მოდის, ხოლო 20,5% თვლის, რომ ოჭაბში ძალადობის ფაქტის გამუღავნებას აზრი არ აქვს, რადგან ეს პრობლემა ამით არ გადაიჭრება და მაინც იარსებებს ოჭაბებში. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ოჭაბში ძალადობის ფაქტები

14. Thomas, C., Nelson, L., Ellingen, M., Sumbadze, N. (2006). DOMESTIC VIOLENCE AND CHILD ABUSE IN GEORGIA: An Assessment of Current Standings of Law and Practice Regarding Domestic Violence and Child Abuse in Georgia, and Recommendations for Future United Nations Country Team Involvement. Institute for Policy Studies, Minnesota Advocates for Human Rights. pp.4

საზოგადოებისაგან დამალულია, მიზეთად საზოგადოებრივი აზრის (80,8%) შიშს ასახელებენ. რესპონდენტთა უმრავლესობას (55.5%) ოჯახში პრობლემების გამჟღავნების სურვილი არ აქვს, რადგან ეს სოციალურ ნორმებში არ ჭდება.<sup>15</sup>

პოლიტიკის კვლევების ინსტიტუტმა განახორციელა კვლევა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. რესპონდენტთა დაახლოებით 16.8%-მა (14.4%-მამაკაცი და 19.2%-ქალი) აღნიშნა, რომ ისინი იცნობენ ოჯახებს, სადაც ქმრები ცოლებს სცემენ. რესპონდენტთა თითქმის 15.9%-მა (22.2%-მამაკაცი და 9.9%-ქალი) განაცხადა, რომ ცოლის ცემა დასაშვებია თუ ის ცუდად მოიქცევა. 2005 წლის კვლევაში, რომელიც ოჯახში ძალადობის მიმართ ახალგაზრდების განწყობებს ეხებოდა, გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 47.1% ოჯახში ძალადობაზე პასუხისმგებლობას მოძალადეს აკისრებს, 8%-მსხვერპლს, ხოლო 32.4% - ორივეს. ამავე ორგანიზაციის 2006 წლის კვლევში სამი შეკითხვა ჩაიდო ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის (97.6%) მიუღებელია ოჯახის უფროს წევრებზე ფიზიკური ძალადობის განხორციელება, ხოლო რესპონდენტთა 66%-სათვის მიუღებელია ხანშიშესული ცოლის ცემა<sup>16</sup>.

2006 წელს, ორგანიზაციამ „ამნესტი ინტერნეშნალ“ დაბეჭდა სრულყოფილი ანგარიში ოჯახში ძალადობისაგან ქალის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით არსებული ხარვეზების შესახებ. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ სისხლის თუ სამოქალაქო სამართლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სათანადო მხარდაჭერას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად<sup>17</sup>.

საქართველოში ადგილი აქვს მეუღლის მხრიდან ცოლის გაუპატიურებას. კავკასიის ქალთა კვლევისა და კონსულტაციის ქსელის (CWN) 2006 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად გამოკითხულ ქალთა 25.5% აცხადებდა, რომ მათი ქმრები აიძულებდნენ მათ სექსუალური კავშირის დამყარებას, რომლისთვისაც ისინი იმ მომენტში მზად არ იყვნენ, ხოლო 4% აცხადებდა, რომ ეს ხშირად ხდებოდა.<sup>18</sup> „ამნესტი ინთერნეშნალის“

თანახმად „ჰერ-ჰერობით არ არსებობს ვანონი, რომელიც სპეციალურად მიმართული იქნება ქორნინებაში გაუპატიურების ფაქტის კრიმინალურ ფაქტად აღიარებისკენ.“<sup>19</sup>

2008 წელს გამოკითხულ პოლიციელთა და ექიმთა თანახმად, რისკ ჰგუფად უნდა განიხილებოდეს გათხოვილი ქალები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 30 წელს. ექიმთა 35% აცხადებს, რომ მათ უმკურნალიათ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. პოლიციის ანგარიშის თანახმად, ყოველი მეოთხე შემთხვევა ოჯახში ძალადობის შემთხვევაა.<sup>20</sup>

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების ნაწილი ჰერ კიდევ არ აღიარებს ამ პრობლემის არსებობას – ეს დამტკიცებულ იქნა 2006 წელს ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მიერ საქართველოში ჩატარებული საბაზისო კვლევის შედეგად, რომელიც იკვლევდა საზოგადოებრივ აზრს ოჯახში ძალადობის შესახებ. კერძოდ, გამოკითხულ რესპონდენტთა 75,5% მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობა არ უნდა იქნას განხილული საჭაროდ, ვინაიდან ოჯახური პრობლემები ტაბუდადებული თემაა. 26,7%-ის თანახმად, ამ საკითხის განხილვა არ შეესაბამება ქართულ მენტალობას; მაშინ როცა, 20,5%-ის აზრით, ამ საკითხის საჭაროდ გაცხადება უსარგებლოა, რადგან პრობლემა კვლავაც იარსებებს ოჯახებში და ასეთი ქმედება ვერ მოახერხებს მის შემცირებას.<sup>21</sup>

საერთო კამპანია ჩვენს ხელთ არსებული ყველა კვლევის მონაცემი ცხადყოფს, რომ სპეციალური გამოკითხვები მხოლოდ პირველად სურათს გვაძლევს პრობლემის სიმძაფრის შესახებ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კვლევები ხელს უწყობს იმის გააბრებას, რომ არსებობს საერთო კვლევის განხორციელების საჭიროება, რათა შესწავლილ იქნას ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალადობა, ოჯახში ძალადობის შედეგები ქალთა სოციალურ სტატუსზე, ოჯახში ძალადობის გავლენა ქალის ჭანმრთელობაზე, სოციალურ კეთილდღეობაზე, ოჯახის შიდა ურთიერთობებზე და ქალთა როლის გაძლიერებაზე.

15. იგივე, 14, გვ.5

16. იგივე (14), გვერდი 6

17. Amnesty International (2006). Georgia: Thousands suffering in silence: violence against women in the family. <http://www.amnestyusa.org/document.php?id=ENGEUR56092006>

18. 6. ციხისთავი, 6. ბერევაშვილი [red.] (2006). ოჯახური ძალადობა ქალები: მრავალკომინენტიანი კვლევა. კავკასიის ქალთა კვლევისა და კონსულტაციების ქსელი, თბილისი.

19. Amnesty International (2006) Georgia: Thousands suffering violence against women in the family. [www.wunrun.com](http://www.wunrun.com)

20. aen by Survey results of Medical Personnel. Tbilisi

21. Aladashvili I., Chkheidze, K. (2008). Monitoring of Implementation of the Action Plan on Elimination of Domestic Violence and Protection and Support to its Victims

## ქალის მიმართ ძალადობის შეს- ახებ არსებული სამართლებრივი ინფრასტრუქტურა და ინსტიტუ- ციური მექანიზმები საქართველოში

საბჭოთა საქართველოს ქალებისა რგებლობდნენ იგივე უფლებებითა და შესაძლებლობებით, რითაც ყველა სხვა ქალი მთელს საბჭოთა კავშირში. სახელმწიფო კონსტიტუციის თანახმად, ქალები უთანაბრდებოდნენ კაცებს, თუმცა რეალურად, მათთვის გაცილებით ნაკლები შესაძლებლობები არსებობდა. იგივე პერიოდში, ბევრ დასავლელ ფემინისტს შურდა კიდეც საბჭოთა ქალების, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ კარგ განათლებაზე, სამედიცინო მომსახურეობაზე და სამუშაოზე. საბავშვო ბაღები, რომლებიც თითქმის არ არსებობდა დასავლეთის ქვეყნებში ამ პერიოდში, ძალიან დიდი დახმარება იყო ქალებისათვის, რადგან მათ შეეძლოთ დღის საათებში მუშაობა. საბჭოთა მთავრობა ყველა პირობას უქმნიდა ქალებს სამუშაოდ, თუმცა სახელმწიფოს გენდერული თანასწორობის იდეოლოგია ნაკლებად აწუხებდა, უბრალოდ, სურდა რაც შეიძლება დიდი სამუშაო ძალა შეექმნა სახელმწიფოს ეკონომიკური აღმასვლისათვის. პოლიტიკურ დონეზე, ქალები მცირედ იყვნენ წარმოდგენილი, თუმცა მათ კვოტები ჰქონდათ აღმასრულებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში. ოჯახის დონეზე, დომინირებდა მამაკაცის ტრადიციული იმიტი, როგორც ოჯახის თავის და მარჩენალის, ხოლო ქალის, როგორც დედისა და შვილების აღმზრდელის; შესაბამისად, ქალს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა.<sup>22</sup>

ზემოაღნიშნულის განზოგადება თავისუფლად შეიძლება პოსტსაბჭოთა საქართველოზე (გარდა კვოტებისა პოლიტიკაში). საქართველოს კონსტიტუციის მე-14 თავში აღნიშნულია: „ყველა ადამიანი თანაბარია, მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური ნარმოშობის, ქონების, სტატუსის და საცხოვრებელი ადგილისას<sup>23</sup>“. სახელმწიფო კანონების მიხედვით, ქალი სარგებლობს ხმის მიცემის იგივე უფლებით, რითაც მამაკაცი და ქალს აქვს იგივე უფლება პასიურ ხმის მიცემაზე (ანუ არჩევითობაზე), როგორც მამაკაცს. თუმცა, რეა-

ლურად, შესაძლებლობების თვალსაზრისით, ქალები მამაკაცებთან შედარებით, მაინც არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. 2003-2004 წლის საპარლამენტო არჩევნების გენდერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კანდიდატთა მხოლოდ 11.8% იყო ქალი, ხოლო პოლიტიკური პარტიების პირველ ათეულში - მხოლოდ 15.7%. ამათგან, პარტიულ სიებში<sup>24</sup> ორ ქალს ეჭირა პირველი ადგილი და სამს მეორე ადგილი. დღეს, პარლამენტის წევრების მხოლოდ 6%-ია ქალი.

საქართველო ადამიანის უფლებათა ბევრი საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეა. 1994 წლის 24 სექტემბერს, საქართველო დათქმების გარეშე შეუერთდა კონვენციას „ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW). შესაბამისად, საქართველო ვალდებულია კონვენციის ყველა პუნქტის შესრულებაზე. 1995 წელს, პეკინის კონფერენციაზე, საქართველო შეუერთდა ქვეყანათა რიგს, რომელთაც თანხმობა განაცხადეს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ეროვნული სამუშაო გეგმის შემუშავებაზე, ხოლო 2002 წელს, საქართველომ მოახდინა CEDAW – I დამატებითი ბრძანების რატიფიკაცია. საქართველო ასევე შეუერთდა მნიშვნელოვან დოკუმენტს: „ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში“, რომლის მესამე მიზნის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს:

1. გენდერული თანასწორობა დასაქმების კუთხით;
2. ქალებისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა პოლიტიკურ სფეროებში და მთავრობის ყველა დონეზე.

აღნიშნული ამოცანები უნდა შესრულდეს 2015 წლამდე. თამარ საბედაშვილი, გენდერული საკითხების ექსპერტი, აღნიშნავს, რომ „ჰერქერობით რაიმე პროგრესი მიღწეული არაა“<sup>25</sup>. ფაქტიურად, არანაირი ღონისძიება არ არის განხორციელებული მათ მიერ, ვინც პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული მიზნების შესრულებაზე, თუმცა, მეორეს მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევის წყალობით, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

22. Javakhishvili, N., Bregvadze I. (2000), Women Roles at a State and Family Levels; In: Exploring Gender Issues in the Caucasus Workshop Materials

23. [http://www.parliament.ge/files/68\\_1944\\_951190\\_CONSTIT\\_27\\_12.06.pdf](http://www.parliament.ge/files/68_1944_951190_CONSTIT_27_12.06.pdf)

2004 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტის თავკდომარის თაოსნობით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო გენდერული თანასწორობის საკითხებში. აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუყირა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში”<sup>26</sup>. საბჭო მოქმედებდა როგორც გენდერული საკითხების მხარდამჭერი ერთეული, რომელიც ამუშავებდა პროექტებსა და რეკომენდაციებს ეროვნული გენდერული პოლიტიკის შესახებ, განიხილავდა და გასცემდა შესაფერის რეკომენდაციებს, ხელს უწყობდა გენდერული მიმართულების კანონმდებლობის შემუშავებას, თანამშრომლობდა გენდერულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ა.შ. 2006 წლის ივლისში, საბჭომ მოამზადა სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ. სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული კონცეფცია განსაზღვრავს, რომ აუცილებელია „ქალთა და მამაკაცთა სრული და თანაბარი მონანილეობა მთავრობის ყველა სფეროსა და დონეებში; ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონანილეობა პოლიტიკურ პარტიებში და აღმასრულებელ/მონიტორინგის სტრუქტურებში.”<sup>27</sup> საბჭოს ერთ-ერთი უპირატესობა ისიც გახლავთ, რომ ის დაკომპლექტებულია მთავრობის, პარლამენტისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მუშაობენ ქალთა და გენდერულ პრობლემებზე.

საბჭოს ძალისხმევით შემუშავდა ახალი კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ”; კანონის შემუშავების პროცესში მონანილეობა მიიღო გაეროს გავითარების ფონდის (UNDP) პროექტმა „გენდერი და პოლიტიკა”. ახალი კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ” ძალაში შევიდა 2010 წლის აპრილში. ახალი კანონმდებლობის თანახმად, ქალებსა და კაცებს აქვთ თანაბარი უფლება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. კანონი კრძალავს სექსუალურ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს თანასწორ უფლებას განათლების მისაღებად, პროფესიის არჩევის თავისუფლებას, პროფესიულ დაწინაურებას. კანონი ადგენს მეუღლების თანასწორუფლებიანობას, ქალისა და მამაკაცის თანაბარ მოვალეობებს ბავშვების მიმართ. მამაკაცებს, ისევე როგორც ქალებს, აქვთ თანაბარი უფლება ბავშვების მეურვეობაზე, ნდობით აღჭურვილობასა და შვილად აყვანაზე. ამ კანონ-

მდებლობის თანახმად, გენდერული თანასწორობის საბჭო იქცა პერმანენტულ ერთეულად საქართველოს პარლამენტში.

ხელისუფლების აღმასრულებელ ნაწილში ჰქონიდენ არ არსებობს ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე. სახელმწიფო ამუშავებს და ნერგავს პერიოდულ 2 წლიან სამოქმედო გეგმებს გენდერული თანასწორობის შესახებ, თუმცა არ ხდება მათი განხორციელება სრული მასშტაბებით.

პოლიტიკაში, ადგილობრივი თვითმმართველობის დინამიკა არჩეულ ქალთა პროცენტულობის კლებაზე მიუთითებს (ამგვარი არჩევნები პირველად 2000 წელს ჩატარდა, მეორედ 2003 წელს და მესამედ 2006 წელს). ექსპერტთა მიხედვით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის ფაქტი, რომ პირველ არჩევნებში მამაკაცები ვერ აცნობიერებდნენ თვითმმართველობის ორგანოების მნიშვნელობასა და ძალაუფლებას, შესაბამისად, სახეზეა უარყოფითი კორელაცია: რაც უფრო მეტმა მამაკაცმა გააცნობიერა არჩევნების მნიშვნელობა, მით უფრო ნაკლებმა ქალმა მიიღო ადგილი სამთავრობო უწყებებში<sup>28</sup>.

მაღალ სამთავრობო დონეზე კვოტების სისტემა სერიოზულად არ განიხილება, მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ იმუშავა კვოტების სისტემის მომზადებაზე და საქართველოს პარლამენტში შემოღებაზე. თუმცა, 2004 წელს, აღნიშნული ინიციატივა ჩავარდა. ხოლო, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა კვოტების სისტემის შემოღებას პოლიტიკურ პარტიებში, თუმცა, ეს ინიციატივაც გამოსვლისთანავე ჩააგდეს. საზოგადოდ, საქართველოში არ მიესალმებიან პოზიტიური ქმედების/პოზიტიური დისკრიმინაციის იდეაბს. 2008 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაახლეს პოლიტიკურ პარტიებში ფრანგული მოდელის ტიპის კვოტების შემოღების ინიციატივაზე მუშაობა. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით, რამდენიმე ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეაგროვა 30 000 ხელმოწერა კვოტების სისტემის შემოღების შესახებ, თუმცა ჰქონის განათლებისა და შემდეგ პოლიტიკურმა პრობლემებმა ხელი შეუშალა აღნიშნული ინიციატივის განხილვას და დღეს, ის ჰქონიდება განსახილველ საკითხთა რიგშია<sup>29</sup>.

26. ოფიციალური ვებ-გვერდი: [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)

27. [www.parliament.ge/files/gender/Conc.pdf](http://www.parliament.ge/files/gender/Conc.pdf)

28. ქალი და ძალაუფლება, (2005), ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი თბილისი

29. ქავახიშვილი (2008) წინააღმდეგობა პოზიტიური ქმე-

ზოგადად, ქალებსა და მამაკაცებს შორის არ არსებობს კარიერის განვითარების თანაბარი შესაძლებლობები. „შუშის ჭერის“ პრინციპი წარმოდგენილია ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში და სექტორში, იქნება ეს განათლება, კულტურა, კანონმდებლობა, ჰანდაცვა თუ ბიზნესი<sup>30</sup>. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული უარყოფითი სტრეოტიპები და ტრადიციები ჭერ კიდევ აქტუალურია ქვეყანაში და მათი არსებობისათვის მასმედია და სოციალიზაციის სხვა ინსტიტუტები კვლავაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. ტრადიციულად: ა) ქალწულობის ინსტიტუტი კვლავაც საკმარის ძლიერადაა დამკვიდრებული, განსაკუთრებით რეგიონებში; ბ) ქალისა და მამაკაცის ქცევისა და მორალის შეფასების ორმაგი სტანდარტები ისევ აქტიურია, გ) ოჯახის მთავარი მემკვიდრე არის კაცი, რაც ქალს ქმარზე დამოკიდებულს ხდის<sup>31</sup>. ზემოთქმულიდან გამოდინარე შეგვიძლია დაგვასკვნათ, რომ „თუ ხელისუფლება შეწუხებულია გენდერული უთანასწორობის პრობლემით, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებს.“<sup>32</sup>

საქართველოს პარლამენტმა 2006 წელს დაამტკიცა კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ, თუმცა პარლამენტის ბევრმა წევრმა ის ვერ გაიგო და მის შესახებ ხუმრობაც კი დაიწყო. კანონმა გაიარა მომზადების ხანგრძლივი პერიოდი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და დასრულებული სახე მიიღო პროექტის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში. საქართველოს კანონის „ოჯახში ძალადობის აღმოფხრვის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ“ თანახმად განხორციელდა მთელი რიგი შესწორები საკანონმდებლო აქტებში. კერძოდ კი, აღმინისტრაციულ საპროცედურო კოდექსში, პოლიციის შესახებ კანონსა და იარაღის შესახებ კანონში.

<sup>30</sup> ტენისადმი: სტუდენტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელების პოზიციები”; კრებული „პოლიტიკის მეცნიერებათა საკითხები“

<sup>31</sup> Khomeriki L. (2002). Gender Equality Issues in Post-Soviet Georgia. In: Democracy in Georgia

<sup>32</sup> Javakhishvili, N. Khomeriki, L. (2003) Gender Dimension in Georgia. In: The Greenwood Encyclopedia of Women's Issues Worldwide. Europe. London

<sup>33</sup> თ. საბედაშვილი (2007) გენდერი და დემოკრატიზაცია საქართველოში 1991-2006 წლებში. თბილისი

კანონმა საქართველოს კანონმდებლობაში პირველად შემოიტანა ოჯახში ძალადობის განსაზღვრება: „ოჯახში ძალადობა გულისხმობს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობის მხრივ; აღნიშნულის თანახმად მომზადდა ლეგალური საფუძველი დაცვისა და შეზღუდვების დანესებისთვის.“<sup>33</sup>

კანონი ითხოვს ფართომასშტაბიან თანამშრომლობას სამინისტროებს, სასამართლოებს, პროკურატურასა და სხვა პასუხიმგებელ პირებს შორის. ახალი კანონი ითხოვს აღმინისტრაციული, კრიმინალური და სამოქალაქო ჭარიმების გამოყენებას საჭიროების შემთხვევაში და გვთავაზობს ორ ახალ საშუალებას: დამცავ სისტემასა და შემზღვდავ სისტემას, რომლის გამოყენებაც შეეძლებათ სასამართლოსა და პოლიციას მსხვერპლის დასაცავად. კანონი მოითხოვს თავშესაფრებისა და სოციალური მომსახურებების დაარსებას და საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობს დაამტკიცოს სამოქმედო გეგმა ამ ზომების მხარდასაცერად ახალი კანონის გამოქვეყნებიდან 4 თვეს განმავლობაში.<sup>34</sup>

2008 წლის დეკემბერში პრეზიდენტის ბრძანების თანახმად დაფუძნდა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო და საკონდინაციო ერთეული სახელად სახელმწიფო საუნიტებათაშორისო საბჭო ოჯახში ძალადობის შესახებ (საბჭო); საბჭოს მოვალეობებში შედის ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მხარდაჭერა და დანერგვა. ეს ნაბიჭი განხილულ იქნა როგორც პოლიტიკური წების დემონსტრაცია და სახელმწიფო წვლილი ოჯახში ძალადობის აღკვეთის საქმეში. სამინისტროების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი ექსპერტებისგან დაკომპლექტებული საბჭოს მოვალეობებში შედის ხელისუფლების ფუნქციების ეფექტურად დანერგვა და კოორდინირება ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის შემცირებისა და აღკვეთის მიზნით;

<sup>33</sup> Aladashvili, I., Kiknadze, Z., Nozadze, N. (2009). UNPFA Regional Legislative Analysis and Mapping for Regional Partners. Country Report-Georgia

<sup>34</sup> Thomas, C., Nelson, L., Ellingen, M., Sumbadze, N. (2006). Domestic Violence and Child Abuse in Georgia: An Assessment of Current Standings of Law and Practice Regarding Domestic Violence and Child Abuse in Georgia , and Recommendations for Future United Nations Country Team Involvement. Institute for Policy Studies, Minnesota Advocates for Human Rights.

გარდა ამისა, 2008 წლის დეკემბერში შესწორება იქნა შესული ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაბარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომ ტექსტში – სახელმწიფო ფონდი) წესდებაში, რაც მოიცავდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებთან მუშაობასაც და სათანადო პრევენციული მექანიზმების დანერგვას. სახელმწიფო ფონდი დაფუძნდა პრეგიდენტის დადგენილების თანახმად 2006 წლის 18 ივლისს.<sup>35</sup>

კანონის ძალაში შესვლას მოყვა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების პერიოდული 2 წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და დანერგვა (2007-2008 და 2009-2010). სამოქმედო გეგმები სახავს კონკრეტულ გზებს კანონის სხვადასხვა მუხლის განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პრაქტიკის დანერგვამ შესამჩნევად გააუმჯობესა სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი.<sup>36</sup> 2007-2008 წლის სამოქმედო გეგმის მოხსენება, რომლის ავტორები არიან ირმა ალადაშვილი და ქეთევან ჩხეიძე, ნათლად აჩვენებს, რომ სრულად არ განხორციელებულა მთელი რიგი აქტივობებისა. აქვეა მოცემული ავტორების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები შემდგომი სამოქმედო გეგმისათვის.

კანონის ძალაში შესვლას მოჰყვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ეროვნული რეფერალური მექანიზმის (NRM)<sup>37</sup> არსებობის საჭიროების გაჩენა. 2009 წლის მარტში ოჯახში ძალადობის აღკვეთის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივითა და საქართველოს ახალგაზრდა იურისთა ასოციაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით შემუშავდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულ იქნა ოჯახში ძალადობის საუწყებათამორისო საბჭოს მიერ 2009 წლის ივლისში.

35. პრეგიდენტის 2006 წლის 18 ივლისის დადგენილება, საქართველოს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაბარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

36. UNFPA-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი “გენდერული ნიშნით ძალადობის დაძლევა სამხრეთ კავკასიიში”

37. ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებსა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შესახებ. ეროვნული რეფერალური მექანიზმის ამოცანაა განსაზღვროს ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის საჭირო აქტივობები, აგრეთვე მსხვერპლთა დაცვა და დახმრება.

საკანონმდებლო ბაზის არარსებობა ოჯახში ძალადობის საკითხებზე კვლიფიცირებული სიციალური მუშაკების ინსტიტუტის დაფუძნებისა და რეგულაციისთვის, თავშესაფრების ნაკლებობა და ზანდაცვის სისტემის არასათანადო ჩართულობა ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისთვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგნს მსხვერპლთა ადეკვატურად დახმარებისთვის.

2010 წელს გაეროს ქალთა განვითარების ფონდმა (UNIFEM) შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვისათვის – ShiEld“. პროექტის ფარგლებში UNIFEM დახმარებას გაუწევს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაბარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს ორი თავშესაფრის აშენებაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გორსა და თბილისში.

არსებობს მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებსაც ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვთ ამ სფეროში სხვადასხვა პროექტების განხორცილებით.

ინფორმაცია აღნიშნული სააგენტოების აქტივობებისა და რეგიონში ქალთა მიმართ ყველაზე ენდემური ძალადობის ფორმის შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: „შეწყვიტეთ ძალადობა ქალთა მიმართ“ (STOPVAW). ადამიანის უფლებათა დამცველებმა აღნიშნული ვებ-გვერდი შექმნეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით.<sup>38</sup> იგი შეეხება ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას მსოფლიოში<sup>39</sup>.

## სტატისტიკა ოჯახში ძალადობის შესახებ

ოჯახში ძალადობა ქართულ საზოგადოებაში ტაბუდადებული თემაა და მისი ოჯახს გარეთ გატანა დაუშვებლად მიიჩნევა, რადგან ამ თემის გამ-

38. ვებ-გვერდი (STOPVAW) შეიქმნა გაეროს ქალთა განვითარების ფონდისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა პროგრამის ქსელის მსარდაჭერით.

39. [http://www.stopvaw.org/Stop\\_Violence\\_Against\\_Women.html](http://www.stopvaw.org/Stop_Violence_Against_Women.html)

უღავნება აღიქმება ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევად. „თუმცა, ნელნელა, ოჭახში ძალადობის საკითხებისაღმი მიდგომა შეიცვალა, რადგან შეუძლებელი გახდა პრობლემის იგნორირება, მითუმეტეს, როცა ის ადამიანის და ოჭახის უსაფრთხოებას, ჭანმრთელობასა და ცხოვრებას საფრთხეს უქმნის<sup>40</sup>“.

სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება ოფიციალურმა უწყებებმა მხოლოდ ძალადობასთან ბრძოლის კანონის მიღების შემდეგ დაიწყეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა შეისწავლეს კანონის განხორციელების ეფექტურობა 2006-2008 წლებში. კვლევაში ეს პერიოდი ორად გაიყო – 2006 წლის სექტემბერი – 2007 წლის ივნისი, 2007 წლის ივლისი – 2008 წლის ოქტომბერი. თითოეული პერიოდი ცალცალკე შეისწავლეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ ორივე პერიოდის მონაცემები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს სამ რეგიონში: თბილისი, იმერეთი და შიდა ქართლი. კვლევის ავტორების დასკვნით, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა უფრო ხშირია, ვიდრე სქესობრივი და ეკონომიკური ძალადობის ფაქტები. კვლევაში ძალიან საინტერესო შედეგები მიიღეს რეგიონებში შემაკავებელი ორდერის ადმინისტრირების შესახებ: 200-ზე მეტი ორდერი გაიცა თბილისში, ხოლო სულ რაღაც 15 - რეგიონებში. დამცავი ორდერების ყველაზე დიდი ორდენობა თბილისში გაიცა, დაახლოებით 20, ხოლო რეგიონებში მათი რაოდენობა ხუთია<sup>41</sup>.

გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ განხორციელებული პროექტის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებ-

40. ი. ალადაშვილი, ნ.ჩიხლაძე (2009 წ.). საკანონმდებლო დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი კანონის „ოჭახში ძალადობის აღვეთა, მსხვერპლთა დაცვა და დახმარება“ შესაბამისად. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველო.

41. Aladashvili I., Chkheidze, K. (2008). Monitoring of Implementation of the Action Plan on Elimination of Domestic Violence and Protection and Support to its Victims .

ში დაიბეჭდა სტატისტიკური ბუკლეტი „ქალი და კაცი საქართველოში“, სადაც მოცემულია ოჭახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობა 2007-2008 წლებში (საქართველო). ბუკლეტში ასეთი სტატისტიკა წარმოდგენილი: 320 მამაკაცი მოძალადე და 313 მსხვერპლი ქალი; 38 ქალი მოძალადე და 45 მსხვერპლი მამაკაცი; მოძალადეთა და მსხვერპლთა უმეტესობა მიეკუთვნება ასაკობრივ ზოგადობას 25-44<sup>42</sup>.

საქართველოში, ოჭახში ძალადობის თემაზე განხორციელებული მწირი რაოდენობის კვლევები ეხებოდა ოჭახში ძალადობის მასშტაბს და პრობლემის შესახებ არსებულ განწყობებსა და ცოდნას. აღნიშნული კვლევების მიხედვით, ძალადობა დამახასიათებელია ოჭახების 5-31%-სათვის.<sup>43</sup>

## კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების მოპოვება ქვეყნის მასშტაბით, რაც შესაძლებელს გახდიდა პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას სახელმწიფო დონეზე და ხელს შეუწყობდა გენდერული ძალადობის შესახებ უფრო ეფექტური ახალი პოლიტიკის შექმნას. აღნიშნული კვლევის საბოლოო ამოცანაა ყველა მონაწილე მხარისათვის სანდო მონაცემების მიზოდება, რათა მათ შეძლონ ადამიანის და ქალთა უფლებათა უკეთ ადვოკატირება და ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის აშენება.

წინამდებარე კვლევა ხორციელდება მონაცემებთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნის დაცვით, რათა შესაძლებელი იყოს სანდო მონაცემების მოპოვება და დამატებითი შედარებების გავთება გლობალურ და უფრო კონკრეტულად რეგიონალურ კონტექსტში.

42. ქალები და კაცები საქართველოში, სტატისტიკური ბუკლეტი (2008 წ.), საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის დეპარტამენტი.

43. Thomas, C., Nelson, L., Ellingen, M., Sumbadze, N. (2006). DOMESTIC VIOLENCE AND CHILD ABUSE IN GEORGIA: An Assessment of Current Standings of Law and Practice Regarding Domestic Violence and Child Abuse in Georgia, and Recommendations for Future United Nations Country Team Involvement. Institute for Policy Studies, Minnesota Advocates for Human Rights

## თავი 2. მეთოდოლოგია

სოფიო ჩაჩანიძე, მარინე ჩიტაშვილი

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგია შემუშავებულ იქნა მონაცემთა მაქსიმალური სანდოობის მიღწევის გათვალისწინებით. კვლევის დიზაინში შევიდა თვისებრივი და რაოდენობრივი მიღვომები, რათა საკითხის სიღრმისეულად და ფართოდ შესწავლა ყოფილიყო შესაძლებელი. მონაცემები ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმების გავრცელებაზე, ძალადობის მიზეზებსა და შედეგებზე მოპოვებულ იქნა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ოჯახში ძალადობა ითვლება ძალიან მგრძნობიარე თემად, როგორც რაოდენობრივი კვლევის, ისე თვისებრივი კვლევის ტექნიკისათვის. კვლევის ჰანგური განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა როგორც, რესპონდენტთა უსაფრთხოებაზე, ისე, ინტერვიურთა მომზადებასა და უსაფრთხოებაზე. კვლევის ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, ტრენინგი, ველი და მონაცემთა ანალიზი) დაცული იყო ჭანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული (2001წ.) ეთიკური და უსაფრთხოების ნორმები.

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი ამოცანა იყო ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ქვეყნის დონეზე, დედაქალაქში, ქალაქებსა და სოფლების დასახლებებში. ძალადობის ფორმების გავრცელება ძირითადი ცვლადების მიხედვით არის წარმოდგენილი, ესენია: ასაკობრივი ჰანგურები, განათლების დონე და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის მიზანი იყო სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კონკრეტულ გამოცდილებებზე და პრაქტიკებზე, ასევე, ოჯახში

ძალადობის შესახებ სხვადასხვა ჰანგურების დამოკიდებულებებისა და სოციალური ცნობიერების შესწავლა და სხვადასხვა ინსტიტუტებისა და მონაწილე მხარეების მხრიდან ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოლოდინები.

### რაოდენობრივი კვლევა

პროექტის რაოდენობრივი კომპონენტის მიზანი იყო მონაცემების მოპოვება ოჯახში ძალადობის ფორმების გავრცელების შესახებ ქვეყნის დონეზე, დედაქალაქში, ქალაქებსა და სოფლის დასახლებებში.

### შერჩევის დიზაინი

ოჯახში ძალადობის კვლევის შერჩევის დიზაინის შემუშავებისას არჩევანი გაკეთდა შენონილ, სტრატიფიცირებულ და რამდენიმე ეტაპიან კლასტერული შერჩევის მიღვომაზე. შერჩევის აღნიშნული დიზაინის მთავარი მიზანია ძალადობასთან დაკავშირებული ინდიკატორების მაჩვენებლების მიღება, როგორც საერთო ქვეყნის მასშტაბით, ისე ქალაქის/სოფლის დასახლებებში და დედაქალაქში. კვლევაში მონაცემთა სიბუსტე განისაზღვრა 95%-იანი სანდოობით. აღსანიშნავია, რომ თბილისი, მოსახლეობის რაოდენობის გამო, გათვალისწინებული იყო ცალკე სტრატად. შერჩევის დიზაინი გაკეთდა კლასტერების მონაცემთა ბაზის საფუძველზე. აღნიშნული ბაზა ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, იგი გამოყენებულ იქნა შერჩევის ჩარჩოდ. განხორციელდა ბაზის

შედარების და განახლების პროცედურები. შინა-მეურნეობები შერჩეულ კლასტერებში შეირჩა სი-სტემურად.<sup>1</sup>

საქართველო დაიყო 21 სტრატად, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დასკვნების გაკეთება როგორც ქვეყნის დონეზე, ისე ქალაქებში/სოფლებში და თბილისში. თავდაპირვლებად, სამიზნე ჰაუზის შერჩევის ბომა განისაზღვრა 4720 შინამეურნეობით, რომლებიც თანაბრად გადანაწილდა 12 რეგიონში. თბილისის გარდა, რომელიც 12 რეგიონიდან ერთ-ერთია, სტრატები ქალაქებსა და სოფლებში თანაბრად გადანაწილდა. თბილისში ძალიან ცოტაა შინამეურნეობების რაოდენობა, რომელიც სოფლის მცხოვრებად შეიძლება ჩაითვალოს (39 შინამეურნეობა). დარჩენილი 11 რეგიონის ქალაქებისა და

სოფლების შინამეურნეობები გადანაწილდა 21 სტრატები. საქართველოში, შინამეურნეობების გადანაწილება ქალაქებსა და სოფლებში თითქმის თანაბრად (48/52%), შესაბამისად, შერჩევაც თანაბრად გადანაწილდა.

თავდაპირველად, სამიზნე კვლევის შერჩევის ბომა (4720 ოჯახი) თანაბრად და პროპორციულად გადანაწილდა სტრატებს შორის. შერჩევის ბომა ითვალისწინებდა 1500 დასრულებულ ინტერვიუს როგორც ქალაქების, ისე სოფლების დასახლებებში (კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ოჯახში ძალადობის კვლევის შესაბამისად). ოჯახებისა და ინდივიდუალური რესპონდენტების სახლში არყოფნა განისაზღვრა 80%-ით. შესაბამისად, პირველადი ფაქტორი (0,8\*0,8) - „რესპონდენტი სახლში არ იყო“ გან-

1. სტატისტიკის დეპარტამენტში არსებული კლასტერების ბაზა ხელმისაწვდომი იყო კვლევისათვის. სულ 16 500 კლასტერია ჩემოთ აღნიშნულ ბაზაში.

ცხრილი 2.1 ოჯახში ძალადობის კვლევა, შერჩევის განაწილება რეგიონების მიხედვით					
შრ	ქალაქი/ სოფელი	რეგიონი	შერჩეული კლასტერების საერთო რაოდენობა	კლასტერის ბომა / შინამეურნეობების რაოდენობა	სტრატები შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობა
1	ქალაქი	აჭარა	8	20	160
2	ქალაქი	გურია	2	20	40
3	ქალაქი	თბილისი	(55+17)=72	20	(1100+340)=1440
4	ქალაქი	იმერეთი	16	20	320
5	ქალაქი	კახეთი	6	20	120
6	ქალაქი	მცხეთა-მთიანეთი	2	20	40
7	ქალაქი	რაჭა, ქვემო სვანეთი	2	20	40
8	ქალაქი	სამცხე-გურია	8	20	160
9	ქალაქი	სამცხე-ჭავახეთი	4	20	80
10	ქალაქი	ქვემო ქართლი	10	20	200
11	ქალაქი	შიდა ქართლი	6	20	120
12	სოფელი	აჭარა	10	20	200
13	სოფელი	გურია	6	20	120
14	სოფელი	იმერეთი	22	20	440
15	სოფელი	კახეთი	18	20	360
16	სოფელი	მცხეთა-მთიანეთი	6	20	120
17	სოფელი	რაჭა, ქვემო სვანეთი	4	20	80
18	სოფელი	სამცხე-გურია	16	20	320
19	სოფელი	სამცხე-ჭავახეთი	8	20	160
20	სოფელი	ქვემო ქართლი	16	20	320
21	სოფელი	შიდა ქართლი	12	20	240
		სულ	182		5080

ისაზღვრა 0.64-თ და დადგინდა, რომ 2350 ოჯახი იქნებოდა საჭირო ქალაქებისა და სოფლების დასაფარად. კლასტერის ფიქსირებული ზომა კვლევაში 20 ოჯახს შეადგენდა სულ შერჩეულ იქნა 236 კლასტერი. ამათგან 118 ქალაქში და 118 სოფელში.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაეროს მოსახლეობის ფონდს ნება დართო გამოყენებინა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემთა ბაზა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მონაცემთა ბაზისაგან, დაახლოებით 236 კლასტერი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა. გამომდინარე იქნიდან, რომ მოსახლეობის აღწერის მონაცემები მოძველებული იყო, თითოეულ შერჩეულ კლასტერში გაკეთდა სიების აქტუალიზაცია. აქტუალიზაციის აგენტები გაიგზავნა 236 შერჩეულ კლასტერში სიების განახლების მიზნით.

უშუალოდ კვლევის საველე სამუშაობის მიმდინარეობის პროცესში გამოვლინდა, რომ თბილისში თავდაპირელი შერჩევის ბაზაზე განხორციელდა მოსალოდნელზე ნაკლების დასრულებული ინტერვიუ. ამგვარად, საკმარისი რაოდენობის ინტერვიუების მისაღებად (დაახლოებით 500 ინტერვიუ), გამოყოფილი იქნა კლასტერების დამატებითი რაოდენობა. თავდაპირველ 55 კლასტერს დაემატა 17 ახალი კლასტერი. ამგვარად, შერჩევის ზომა გაიზარდა 4720-დან 5080 შინამეურნეობამდე<sup>2</sup>.

შერჩევაში მოხვედრილი 5080 შინამეურნეობებიდან, 3872 შინამეურნეობასთან ინტერვიუ წარმატებით განხორციელდა და ჰამში, 15-49 ასაკობრივი ჯუფის 3768 ქალაქობრივი იქნა მიღწეული. ამ ოჯახებში 2621 ქალი შეირჩა კიშის მეთოდის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ერთ ქალს ერთ შინამეურნეობაზე. გამოიკითხა 2391 ქალი (1188 ქალი სოფლებში და 1203 ქალაქებში, ამათგან 500 თბილისში). საბოლოოდ, გამოკითხულ ქალთა რაოდენობა დაგეგმილზე ნაკლები აღმოჩნდა, მაგრამ ორივე ტიპის რაიონში, სოფელშიც და ქალაქშიც, 1000-ზე მეტი დასრულებული ინტერვიუ მივიღეთ.

შერჩევის წონები გამოითვალა სტრატის დონისათვის და გათვალისწინებული იქნა შემდეგი პარამეტრები: კვლევის თარიღისათვის შინამეურნეობათა საგარაუდო რაოდენობა, შინამეურნეობათა საგარაუდო რაოდენობა, შინამეურნეობისა

2. კვლევაში ინტერვიუების ჩატარების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით იხილეთ დანართში 5.

და ქალის განაწილება და შინამეურნეობისა და ქალების სავარაუდო არგამოპასუხება. ბოლო ეტაპზე განხორციელდა ასაკობრივი სტრუქტურის კალკულაცია. საბოლოო შეწონვის პროცედურა განხორციელდა ყველა ზემოთაღის პრინციპით შეიცვლილი გათვალისწინებით შეიცვლილი პარამეტრის გათვალისწინებით.

## კითხვარი

კვლევის კითხვარი მომზადდა ჰანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კითხვარის „მრავალეროვანი კვლევა ქალთა ჰანმრთელობის და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ“<sup>3</sup>. კვლევაში გამოყენებული იყო ორი სახის კითხვარი – შინამეურნეობების კითხვარი და კითხვარი ქალი რესპონდენტებისათვის. ინფორმაცია შეიკრიბა შემდეგ საკითხებზე:

- შინამეურნეობების საცხოვრებელი მახასიათებლები;
- ქალთა ფონური მახასიათებლები, ქორწინება;
- ქალთა ზოგადი და რეპროდუქციული ჰანმრთელობა, ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა;
- ქმრის/პარტნიორის ცხოვრებისეული ისტორია და ქცევის მოდელები;
- ოჯახში ძალადობის ფორმები – ფიზიკური, სქესობრივი, ემოციური და ეკონომიკური ძალადობა, ძალადობა ქმრის/პარტნიორის მიერ;
- 15 წლის ასაკს ზემოთ ქალთა მიმართ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა არა პარტნიორის მიერ;
- სქესობრივი ძალადობა 15 წლამდე ასაკის გოგონებში;
- ქალთა დამოკიდებულება სქესობრივი როლებისა და ძალადობის მიმართ;
- ფეხმძიმობისას განცდილი ძალადობა და ძალადობისაგან მიღებული დაზიანებები;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა ძალადობასთან გამკლავების სტრატეგიები;

15 წლამდე ასაკის ქალებში სქესობრივი ძალადობის ფაქტების გამოსავლენად, ისე, რომ რესპონდენტს არ დასჭირვებოდა ინტერვიუერისათვის პირდაპირ გაემხილა პასუხი, გამოყენებული იყო პროცედული ტექნიკა. რესპონდენტს

3. [http://www.who.int/gender/violence/who\\_multicountry\\_study/Annex3-Annex4.pdf](http://www.who.int/gender/violence/who_multicountry_study/Annex3-Annex4.pdf). საქართველოს რეალობაზე მორგებისას, რამდენიმე არარეგისტრირებული შეკითხვა იქნა ამოღებული. სანაცვლოდ, კითხვარს დაემატა რამდენიმე სპეციფიური შეკითხვა, ოჯახში ძალადობის მიზეზების ადგილობრივი სპეციფიკის შესახებ. სრული ტექსტი იხილეთ დანართი 3.

აძლევდნენ ბარათს, რომელზეც ორი სახე იყო აღბეჭდილი, მომღიმარი და მტირალი. მათ უნდა გაესვათ ხაზი რომელიმე მათგანისათვის, რითაც დგინდებოდა მათი შინაგანი მდგომარეობა.

კვლევის მიზნობრივ ჯგუფს შეადგენდნენ 15-დან 49 წლამდე ქალები. გათვალისწინებული იყო როგორც საქორნინო, ისე ქორწინებაში არმყოფი პარტნიორები (მეგობარი მამაკაცი, საქმრო). ეგზეთ წოდებული კიშის მეთოდით,<sup>4</sup> ინტერვიუსათვის ერთ ოჯახზე შეირჩა ერთი ქალი.

2008 წლის ზაფხულზე მომზადებული კითხვარის დასახვენად ჩატარდა საპილოტე კვლევა, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო პარობირებული კითხვარის ქართული ვარიანტის პილოტირება და საბოლოო ვერსიის მომზადება. კერძოდ, კითხვარი შემოწმდა შემდეგი კუთხით: ტექსტის აღქმა, ტექსტის სიმარტივე/რელევანტურობა, კითხვარში არსებული გადასვლებისა და კითხვარის ფორმატის რელევანტურობა.

## საპილოტე კვლევა

საპილოტე კვლევისათვის შეირჩა ეისითი კვლევის პროფესიონალი ინტერვიუერები, რომელთაც გავლილი ჰქონდათ ზოგადი ტრენინგი კითხვარის პილოტირებაში. ამავე დროს, პროექტის ფარგლებში, პილოტირებისათვის შერჩეულ ინტერვიუერებს ჩაუტარდათ ტრენინგი შემდეგ საკითხებზე:

საპილოტე ეტაპზე ინტერვიუერები ვალდებული იყვნენ შეევსოთ ტექნიკური ანგარიში, რომელიც მომზადებული იყო სპეციალურად შემდეგი ინფორმაციის შესაგროვებლად: რესპონდენტთათვის პრობლემატური კითხვების ჩამოყალიბება, რესპონდენტთათვის რთული ტრენინგებისა და ცნებების განსაზღვრა; რესპონდენტების დამოკიდებულება კითხვარის საკითხებისა და ფორმატისადმი და ტექნიკური თანმიმდევრულობა.

საპილოტე კვლევის ფარგლებში სულ 50 ინტერვიუ განხორციელდა: თბილისი – 10; აღმოსავლეთ საქართველო – ქალაქი (10), სოფელი (10); დასავლეთ საქართველო – ქალაქი (10), სოფელი (10). თითოეულ სეგმენტში გათვალისწინებული იყო რესპონდენტების ასაკი და ოჯახური მდგომარეობა.

4. იშის მეთოდი ზოგადად გამოიყენება ობიექტურობისა და კვლევის მიუკრძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საპილოტე კვლევამ აჩვენა, რომ კითხვარის სტრუქტურა არ იყო დამღლელი რესპონდენტებისათვის; თემებზე გადასვლები ბუნებრივი იყო; კითხვარი არ შეიცავდა ისეთ შეკითხვებს, რაც რესპონდენტთა პროტესტს გამოიწვევდა; რესპონდენტები საკმაოდ დაინტერესებულები ჩანდნენ კვლევის საკითხებში.

თუმცა, გაჩნდა რამოდენიმე პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო ტერმინებისა და ცნებების გაგებასა და ზოგიერთი შეკითხვის თარგმანთან. ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე აღნიშული ტერმინები და ცნებები შეიცვალა შესაფერისი სინონიმებით, თარგმანი კი ჩასწორდა. საპილოტე კვლევის შედეგების საფუძველზე, შემუშავდა საბოლოო კითხვარი.<sup>5</sup>

## მონაცემთა მოპოვება

საველე ჯგუფის შერჩევა და ტრეინინგი: საველე სამუშაოებისათვის შერჩეულმა 89 წევრისაგან შემდგარმა ჯგუფმა გაიარა ცხრადიანი ტრენინგი. ტრენინგის ჯგუფში შევიდა 79 ინტერვიუერი, 9 რეგიონალური სუპერვაიზორი და 2 ველის კოორდინატორი. ტრენინგი განხორციელდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის 5 სპეციალისტისა და ეისითი კვლევის 4 წარმომადგენლის მიერ. ტრენინგი ცალცალკე ჩატარდა დასავლეთ (ქუთაისში) საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისში) ინტერვიუერებისათვის.

თითოეული ტრენინგის სესია მოიცავდა 4 მოდულს: გენდერული საკითხების შესავალი; კითხვარის/კვლევის ინსტრუმენტების გაცნობა და ტრენინგი; შერჩევა და საველე ღონისძიებები, საველე სამუშაოების ეთიკა, პრაქტიკული სამუშაო. ტრენინგზე ინტერვიუერებმა მიიღეს თეორიული ინფორმაცია გენდერული ძალადობის საკითხებზე და ასევე, განივითარეს ინტერვიუს ჩატარების პრაქტიკული უნარები, განსაკუთრებით ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე, როგორიცაა ზოგადად გენდერული კვლევის ეთიკა და ინტერვიუს პროცესში ქალისათვის უხერხული სიტუაციების თავიდან არიდება.

მომზადდა სახელმძღვანელო ინტერვიუერებისათვის, სადაც შევიდა ინტერვიუს პროცესში გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები, კითხვართან დაკავშირებული ზოგადი წესები და ინსტრუქციები. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მოცემული იყო ველის ორგანიზებისა და ზედამხედველობის საკითხები.

5. იხილეთ დანართი 3. კითხვარი

## საველე სამუშაოების სტრატეგია

მსოფლიოს ჭანდაცვის ორგანიზაციის მეთოდ-ოლოგიის თანახმად, ეისითიმ მოამზადა საველე სამუშაოების გეგმა. თბილისის, რეგიონალური ქალაქებისა და სოფლებისათვის შეიქმნა განსხვავებული მიდგომები:

- (1) თბილისი – თბილისში საველე სამუშაოების დაწყებიდან პირველ კვირაში, ერთი სუპერვაიზორი და 2 რევიზიის სპეციალისტ ინტერვიუებს დაქსნერნენ ინტერვიუს პროცესში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კითხვარის დაუყოვნებლივ შესწორება, რაიმე ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში. საველე სამუშაოების მეორე კვირიდან ხდებოდა ყოველი სამუშაო დღის ბოლოს შევსებული კითხვარების შემოტანა ეისითი კვლევის თბილისის ოფისში, სადაც კოორდინატორი და რევიზიის სპეციალისტები დეტალურად ამონტებდნენ შევსებული კითხვარის სისწორეს. რაიმე უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში, ინტერვიუერებს იგივე რესპონდენტი განმეორებით უნდა გამოვკითხათ;
- (2) რეგიონალური ქალაქები – რეგიონალურ ქალაქებში დასრულებული კითხვარები ინტერვიუერებს მიჰყონდათ კომპანიის რეგიონალ-

ურ ოფისებში ყოველი სამუშაო დღის ბოლოს. რეგიონალური სუპერვაიზორები ამონტებდნენ თითოეული შევსებული კითხვარის სისწორეს. რაიმე უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში, ინტერვიუერებს იგივე რესპონდენტი განმეორებით უნდა გამოვკითხათ;

- (3) სოფლები – სოფლებში საველე სამუშაოები განხორციელდა სპეციალურად დაქირავებული მანქანებით. რეგიონალური სუპერვაიზორი თითოეულ ინტერვიუერს დაჰყვებოდნენ ველზე და კითხვარების შევსების სისწორეს ამონტებდნენ ადგილზე.

## საველე სამუშაოების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგია

ხარისხის კონტროლის ჰგუფი დაკომპლექტდა ეისითის გამოცდილი და კარგად მომზადებული თანამშრომლებით. ხარისხის კონტროლის ჰგუფის წერტილის მიეცათ დეტალური ინფორმაცია ინტერვიუერების მარშრუტების შესახებ. შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, ისინი გადიოდნენ სხვადასხვა მისამართებზე, რათა შეემოწმებიათ ინტერვიუს ჩატარების ნამდვილობა და რესპონდენტისაგან მიღებული ინფორმაციის სისწორე.

ცხრილი 2.2 – კვლევა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების შესახებ საქართველოში, ველის სამუშაოების შედეგები			
11	არცერთი შევსებულა	უარი ინტერვიუზე	242
12		საცხოვრისი დაუკავებელია ან მისამართი არასწორია	170
13		საცხოვრისი განადგურებულია	16
14		საცხოვრისი ვერ მოიძებნა, არ არის ხელმისაწვდომი	99
15		შინამეურნეობის ყველა წევრი არ იქნება ადგილზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში	440
16		შინამეურნეობის არცერთი წევრი იყო ადგილზე ვიზიტის დროისათვის	256
17		რესპონდენტმა შინამეურნეობამ გადადო ინტერვიუ	0
18		შინამეურნეობის ყველა წევრი საუბრობს უცხო ენაზე	2
21	მხოლოდ შინამეურნეობის კითხვარი	შერჩეულმა ქალებმა უარი თქვეს ინტერვიუზე	93
22		შინამეურნეობაში არ არის შესაფერისი ქალი	1237
23		შერჩეული ქალი არ არის სახლში	82
24		შერჩეულმა ქალმა გადადო ინტერვიუ	0
25		შერჩეულ ქალს არ შეუძლია მონაწილეობის მიღება	52
31	ქალთა კითხვარი ნაზილობრივ	არ სურს ინტერვიუს გაგრძელება	3
32		ინტერვიუს დარჩენილი ნაწილი გადაიდო შემდგომი ვიზიტისთვის	0
41	ქალთა კითხვარი სრულად		2385
	კამური რაოდენობა ოჯახებისა, სადაც განხორციელდა ვიზიტი		5077

საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემები მონაცემთა ბაზაში შევიდა მხოლოდ ხარისხის კონტროლის შედეგებისა და კითხვარის მონაცემების შედარების შემდგომ.

## საველე სამუშაოების განხორციელება კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, ჭამში, 5077 მისამართზე განხორციელდა ვიზიტი. თითოეული ვიზიტის დეტალური შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

### მონაცემთა შეყვანა და წმენდა

შევსებული კითხვარები შევიდა SPSS –ს მონაცემთა ბაზაში, მათი შემდგომი დამუშავების მიზნით. მონაცემების SPSS – ს ფორმატში შეყვანის შემდეგ, განხორციელდა მონაცემთა წმენდის პროცედურები. მონაცემთა წმენდის პროცესში ყურადღება გამახვილდა შემდეგი სახის შეცდომების აღმოჩენასა და გასწორებაზე:

- კითხვებზე გადასვლების შეცდომა;
- შეყვანის შეცდომა;
- სხვა ტიპის უზუსტობა;
- კითხვარიდან ან მონაცემთა ბაზიდან გამოტოვებული მონაცემები;
- ცვლადების ლოგიკური კონტროლი;

წმენდის პროცედურის მთავარი სირთულე ეხებოდა არასწორი/უაზრო მნიშვნელობების შესწორებას. აღნიშნული პრობლემის მიზები იყო ინტერვიუების მიერ კითხვარის შევსებისას დაშვებული უზუსტობები და მონაცემთა შეყვანის დროს ოპერატორების მიერ დაშვებული შეცდომები (არასწორად აღქმული ან შეყვანილი ციფრები). არასწორი ციფრების შესწორება განხორციელდა შესაბამისი კითხვარებისა და მონაცემების გადამოწმებით. რაც შეეხება ინტერვიუერების მიერ დაშვებულ შეცდომებს (არასწორ კოდირებას), ისინი შესწორდა რესპონდენტთან განმეორებითი კონტაქტის გზით.

### მონაცემთა შეწონვა

ველის განხორციელების შედეგად მიღებული დემოგრაფიული მონაცემების გაცნობის შემდეგ GBV-SC-ს საერთაშორისო ექსპერტებმა, რომელებიც

დაქირავებულნი იყვნენ გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ, ეისითი კვლევის სპეციალისტებს მიაწოდეს რეკომენდაციები მონაცემთა შეწონვის პროცედურასთან დაკავშირებით.

კვლევის მონაცემთა ბაზის შეწონვა განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე და მონაცემთა შეწონვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

### მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

საერთაშორისო ექსპერტების ინსტრუქტაჟის შესაბამისად და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ანალიტიკოსტებთან ერთობლივი მუშაობით განხორციელდა კვლევის მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება. ეისითი კვლევის მონაცემთა ბაზის სპეციალისტმა შემდგომი ანალიზისათვის მოამზადა სიხშირების ცხრილები ანალიზისათვის საინტერესო ცვლადების ჭრილში.

### თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის მიზანი იყო მონაცემთა შეკრება ძალადობის ძირითადი ფორმების კუთხით არსებულ გამოცდილებებზე და ძალადობასთან ბრძოლის სფეროში ჩართულ სხვადასხვა დაწესებულებებზე. შეკრებილი მასალები შეეხო შემდეგ ძირითად საკითხებს:

- ა) ძალადობის ცნების შესახებ ქალთა და მამაკაცთა შეხედულებები (აღქმები და განწყობები, გამოცდილებები და ბრძოლის სტრატეგიები);
- ბ) საქართველოში გენდერული ძალადობის პირადი, ინსტიტუციური და კულტურული თავისებულებების დადგენა;
- გ) გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის პოლიტიკის თავისებულებების დადგენა.

თვისებრივი მონაცემები შეიკრიბა ფოკუსურ ჰაგუფურ განხილვებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით, ასევე, ორი ჩართული დაკვირვებების საფუძველზე. თვისებრივი კვლევის ტრენინგი სპეციალურად ჩაუტარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, რომელთაც გარკვეული გამოცდილება ჰქონდათ გენდერულ საკითხებში კვლევით სამუშაოებში და კვლევის

პერიოდისათვის მუშაობდნენ სამაგისტრო დისერტაციაზე. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში სტუდენტებმა გაიარეს ტრენინგი კვლევის ეთიკაში, ასევე სიღრმისეულად იყვნენ გაცნობილი ოჯაში ძალადობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მგრძნობიარე საკითხებს სამაგისტრო სწავლებისას თვისებრივი კვლევის მეთოდების ნაწილში.

თვისებრივი კვლევის ტრენინგი ჩატარდა 2009 წლის მაისში და იგი შეეხებოდა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, ინტერვიუერების მომზადებას. ინტერაქტიულ ტრენინგზე თითოეული შეკითხვა დეტალურად იყო განხილული. ტრენინგი აიგო როლური თამაშის პრინციპზე, ერთი ინტერვიუერი, ერთი რესპონდენტი და დამკვირვებელთა ჯგუფი. თითოეული ინტერვიუს ბოლოს, მხარეები ერთმანეთს უცვლიდნენ გამოცდილებას და ცდილობდნენ დაედგინათ კითხვების ან ინტერვიუერთა სუსტი მხარეები ინტერვიუს მიმდინარეობის ან ეთიკის ნორმების კუთხით. ფოკუსური ჯგუფის მოდერატორი, რამე სპეციალური ტრენინგი არ ჩატარებია (იგი უნივერსიტეტის პროფესორია), იგი მარტო გაუძლვა ათივე ფოკუსურ ჯგუფს. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია გამოყენებული იყო სამცხე-ჭავახეთის რეგიონში გაეროს ქალთა განივთარების ფონდი (იუნიფერის) მიერ ადმინისტრირებული პროექტის “საუწყებათშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფეხვრელად საქართველოში: გაერთიანებული ძალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის გასახორციელებლად”, (დონორი ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის გაეროს სატრასტო ფონდი, პროექტის ხანგრძლივობა 2007-2009წწ) რომელსაც ახორციელებდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის, ქალთა ინფორმაციისა და განათლების საერთაშორისო ცენტრი, სამცხე-ჭავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება, ქალთა იმედი, ქალტა საინფორმაციო ცენტრი. ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 ფოკუსური ჯგუფი და 9 ჩაღრმავებული ინტერვიუ.<sup>6</sup> სამცხე-ჭავახეთის რეგიონში ინტერვიუერები იყვნენ პროექტში მონაწილე ერთ-ერთი ორგანიზაციის კერძოდ – ქალთა სიანთორმაციო ცენტრის – თანამშრომლები, რომელთაც აქვთ გამოცდილება ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობის და რომელთაც მაგისტრანტებთან ერთად გაიარეს ტრენინგის სრული

6. სულ ჭამში 14 ფოკუსური ჯგუფი და 34 ჩაღრმავებული ინტერვიუ. თვისებრივი კველვის შედეგები ანალიზი იხ. თავი 7

კურსი. სამცხე-ჭავახეთში შეგროვილი მასალა გაანალიზდა გაეროს მოსახლეობის ფონდის პროექტის ფარგლებში შეგროვილ მასალასთან ერთად.<sup>7</sup>

## ფოკუსური ჯგუფები:

ფოკუსურ ჯგუფური მეთოდით მონაცემთა შეკრების მიზანია მამაკაცებისა და ქალების შეხედულებებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ ინფორმაციის შეკრება ოჯახში ძალადობის აღქმასთან დაკავშირებით; ასევე, თვისებრივი ინფორმაციის შეკრება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ოჯახში ძალადობის პრაქტიკა, მონაწილეთა გამოცდილება, მათი განწყობებისა და ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიები, მონაწილეთა შეფასებები და ხედვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მომსახურებებზე.

### ჯგუფის შემადგენლობა:

- ქალები – სამი ჯგუფი. შერჩევის კრიტერიუმები: სოფლებისა (2) და ქალაქების (1) მცხოვრებლები, ასაკობრივი ჯგუფი – 35-59, სპეციალური ან უმაღლესი განათლება, დასაქმებული და ამჟამად უმუშევარი (ადრე მუშაობდნენ და გარდაქმნის შემდეგ, დაკარგეს სამუშაო. უმუშევრობის სულ მცირე 5 წელი).
- კაცები – სამი ჯგუფი. შერჩევის კრიტერიუმები: ქალაქებისა (1) და სოფლების (2) მცხოვრებლები, სპეციალური ან უმაღლესი განათლება, დასაქმებული და ამჟამად უმუშევარი (ადრე მუშაობდნენ და გარდაქმნის შემდეგ, დაკარგეს სამუშაო. უმუშევრობის სულ მცირე 5 წელი).
- ექსპერტები ოჯახში ძალადობის სფეროში – სამი ჯგუფი: შერჩევის კრიტერიუმები: სამთავრობო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები (1), ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პოლიტიკოსები, ქალი აქტივისტები (2).
- მომსახურების მიმწოდებლები – სამი ჯგუფი. შერჩევის კრიტერიუმები: პროფესიონალები – ექიმები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, სოციალური აგენტები, იურისტები, რომლებიც სხვადასხვა უწყებებში მუშაობენ ძალადობის მსხვერპლებთან.

7. სამცხე-ჭავახეთში ჩატარებული ფოკუსური ჯგუფების მოდერატორი იგივე იყო, რომელმაც შეასრულა მოდერატორი ფუნქცია 10 ფოკუსური ჯგუფისათვის და ქალთა სინფორმაციო ცენტრის ორი თანამშრომელი მუშაობდა ინტერვიურად.

- პოლიციისა და პენიტენციალური სისტემის თანამშრომლები - ორი ჰგუფი. შერჩევის კრიტერიუმები: პოლიციის წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის საკითხებზე; პენიტენციალური სისტემის თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძა-

ლადობის გამო დანაშაულის ჩამდენ პატიმარ ქაღებთან.

აღსანიშნავია, რომ ფოკუსური ჰგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით, განხილვის შეკითხვები მცირედით შეიცვალა.<sup>8</sup>

8. ფოკუსური ჰგუფის განხილვების თემების შესახებ დეტალუ-

ცხრილი 2.3 – ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კვლევა საქართველოში, ფოკუსური ჰგუფის შერჩევა		
ასაკი	ქალაქი	სოფელი *
35-59	დაქორნინგებული ქალები (არა მსხვერპლი)	დაქორნინგებული ქალები (არა მსხვერპლი)
35-59	დაქორნინგებული მამაკაცები (კრიმინალური წარსულის არმქონე)	დაქორნინგებული მამაკაცები (კრიმინალური წარსულის არმქონე)
		ექსპერტთა ჰგუფი
მთავრობა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკის შემქმნელები		ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკის შემქმნელები
მომსახურების მომზოდებლები		
ექიმები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და სოციალური აგენტები.		ექიმები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, სოციალური აგენტები და იურისტები
პოლიცია და პენიტენციალური სისტემა		
	ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მომუშავე პოლიციელები.	პროფესინალი მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის მიზეზით დანაშაულის ჩამდენ პატიმარ ქაღებთან.

\* შენიშნვა: ქალაქების/სოფლების კრიტერიუმები შეეხება მხოლოდ ქალებისა და კაცების ჰგუფებს. ქალთა და მამაკაცთა ფოკუსური ჰგუფების წევრები ერთი და იგივე ასაკობრივი ჰგუფის, განათლებისა და დასაქმების/უმუშევრობის იგივე პარამეტრების მქონე პირებით დაკომპლექტდა.

## ჩაღრმავებული ინტერვიუები

ჩაღრმავებული ინტერვიუს მიზანი იყო ინფორმაციის შეკრება ქალებზე, რომელთაც სხვადასხვა ტიპის ძალადობა აქვთ გამოცდილი. მონაცემები შეიკრიბა ქალებზე, რომლებსაც ოჯახში ძალადობის უმძიმესი ფორმები აქვთ გადატანილი, ასევე, ქალებზე, რომლებიც ძალადობის რისკის წინაშე იმყოფებიან. ჟამში ჩატარდა 34 ინტერვიუ<sup>9</sup> შერჩევის დიზაინი სიღრმისეული ინტერვიუსთვის იყო შემდეგი: 10 თავშესაფარში მცხოვრები/არ მცხოვრები ქალი, რომლებსაც გამოცდილი ჰქონდათ ძალადობის მძიმე შემთხვევები; 10 იძულებით გადაადგილებული პირი, 5 ეთნიკური

უმცირესობის წარმომადგენელი ქალი (ქალაქი და სოფელი), 5 სოფელში მცხოვრები ქალი აქტივისტი, რომლებიც ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობენ და 4 სოფელში მცხოვრები ქალი.

ჩაღრმავებული ინტერვიუების თემა იყო ძალადობის აღქმა და ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ქალების მიერ ძალადობასთან გამკლავებისა და პრობლემის დაძლევის ინდივიდუალური ხერხები, მათი შეხედულებები იმის შესახებ, თუ რომელია საუკეთესო გზა პრობლემის გადასაჭრელად; მამაკაცების ზოგადი მოსაზრებები, განსაკუთრებით კი მოძალად მამაკაცების შეხედულებები; ასევე, ქალებისთვის ინფორმაციის მიწოდება დამხმარე ინსტიტუტებისა და სოციალური ქსელების შესახებ. ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატი ოდნავ განსხვავდებოდა სოფელში მცხოვრები არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებისთვის.<sup>10</sup>

რი ინფორმაცია იხილეთ დანართში 4.

9. დაგეგმილი იყო კიდევ 5 სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება სასკოლალსულებით სისტემაში მყოფ ქალებთან, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული პარტნიორის მხრიდან ოჯახში ძალადობის საპასუხოდ; თუმცა უსაფრთხოების მიზეზით კვლევის განხორციელების ნებართვა არ გასცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალთა ციხეში იმ პერიოდში მომზდარი არეულობის გამო.

10. სიღრმისეული ინტერვიუს თემების დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 4.

## ჩართული დაკვირვება:

კვლევის ამ მეთოდის განხორციელება უაღრესად რთული აღმოჩნდა საქართველოში. მხოლოდ ორი დაკვირვება (თავშესაფარში) მოხერხდა დაგეგმილი 6-ს ნაცვლად. ორი დაკვირვება უნდა ჩატარებულიყო პოლიციაში და 2 იმულებით გადადადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში, რომლებიც აღჭურვილია სოციალური და ჰანდაცვის მომსახურებებით. პოლიციაში შესვლაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა,

ისე, რომ კონკრეტული მიზეზი არ დაუსახელებია, ხოლო რაც შეეხება კომპაქტურ დასახლებებს, კვლევის პერიოდში დედაქალაქის არცერთ დასახლებას არ ჰქონდა სოციალური ან ჰანდაცვის ქმედითი მომსახურება. ჩართული დაკვირვების მიზანი იყო გენდერული ძალადობის მგრძნობიარე, კულტურული ასპექტების დადგენა და მომსახურების მიმწოდებელთა შეფასება კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული კულტურული სტერეოტიპებისა და ღირებულებაზე-დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით.<sup>11</sup>

11. შეკრებილი ინფორმაცია ანალიზის გასაკეთებლად ძალიან ცოტაა, იხილეთ თავი 7


თავი 3.

## შინამეურნეობისა და რესპონდენტების მახასიათებლები

სოფიო ჩაჩანიძე

წინამდებარე თავში წარმოდგენილია შინამეურნეობებისა და გამოკითხული ქალების ძირითადი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები “საქართველოში გენდერული ძალადობის კვლევის” ფარგლებში გამოყენებული შინამეურნეობებისა და ქალთა კითხვარებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. კვლევის პოპულაციის აღწერასთან ერთად, გამოკითხულ ქალთა და განსაკუთრებით, შინამეურნეობების ფონზე სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების წარმოაჩენს კვლევის შერჩევის ადეკვატურობას.

გრაფიკი 3.1. მოსახლეობის პირამიდა



## შინამეურნეობების სტრუქტურა

მოსახლეობის პირამიდა, რომელიც შინამეურნეობის წევრთა ასაკობრივ გადანაწილებას ეყრდნობა (მოცემულ ქვემოთ დიაგრამაზე), გვაწვდის ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დღევანდელ მონაცემებზე. მონაცემები გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას რიგი დემოგრაფიული ტენდენციების შესახებ. პირამიდა გვიჩვენებს შობადობის მაჩვენებლის კლებას ბოლო 20 წლის განმავლობაში, თუმცა, აღნიშნული ტენდენცია უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სტაბილურობას ინარჩუნებს. რაც შეეხება, საშუალო ასაკის მოსახლეობის სიმცირეს, ეს როგორც ჩანს გამოწვეულია ამ ასაკობრივი ჰგუფის მოქალაქეთა მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით. (რაც სხვა კვლევებითაც დასტურდება).

ცხრილი 3.1. შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება  
მოსახლეობის პროცენტული გადანაწილება ასაკობრივი ჰგუფების, საცხოვრებელი ადგილის/ტიპის მიხედვით.  
საქართველო, 2009 წ.

	საცხოვრებელი ადგილი			
	სოფელი	ქალაქი	თბილისი	სულ
0 - 14	19.9	19.8	18.3	19.5
15 - 64	68.2	71.6	74.7	70.6
65 +	11.9	8.6	7.0	9.9
სულ	100.0	100.0	100.0	100.0
რაოდენობა	5959	3109	2080	11148

კვლევის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის ერთი მეხუთედი (19.5%) 15 წელს ასაკს ქვემოთაა და ეს სურათი არ განსხვავდება ქალაქებისა და სოფლების მაჩვენებლებს შორის. უფროსი ასაკის ადამიანების წილი (65 წელს ზემოთ) მთელს მოსახლეობაში დღესდღეობით 9.9%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია სოფლებში, რაც გამოწვეული უნდა იყოს სოფლიდან ახალგაზრდა მოსახლეობის ქალაქში მიგრაციით. მიგრაციის პროცესის შედეგად, საშუალო ასაკის მოსახლეობის წილი (15-დან 65-მდე) უფრო მაღალია ქალაქებში და განსაკუთრებით, დედაქალაქში. ამგვარად, ეკონომიკურად პროდუქტიული სეგმენტი მეტად კონცენტრირებულია ქალაქური ტიპის დასახლებებში.

ცხრილი 3.2. „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2009“ საფუძველზე გვიჩვენებს გამოკითხულ შინამეურნეობებისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის შინამეურნეობების საშუალო წევრთა საშუალო რაოდენობებს. ქალაქებში, დედაქალაქის ჩათვლით, ყველაზე ტიპურია ოთხნევრიანი შინამეურნეობა, ხოლო სოფლებში, შინამეურნეობის საშუალო ზომა შედარებით უფრო დიდია და საშუალო მაჩვენებელი 5 წევრია. ამავე დროს, ქალაქური დასახლებებისათვის, განსაკუთრებით თბილისისათვის, უფრო მეტად არის დამახასიათებელი ორ ან ერთნევრიანი ოჯახები.

კვლევის მონაცემების თანახმად, შინამეურნეობების 46% სოფლის ტიპის დასახლებებში ცხოვრობს, ქალაქების მოსახლეობის ნახევარი (25%) თბილისშია კონცენტრირებული. რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, შინამეურნეობების უფრო დიდი ზომის გამო, მოსახლეობის ნახევარზე მეტი (53%) კონცენტრირებულია სოფლებში და მხოლოდ 19% ცხოვრობს დედაქალაქში.

ცხრილი 3.2 შინამეურნეობის შემადგენლობა ოკახების პროცენტული გადანაწილება ოკახის ზომის და საცხოვრებელი ადგილის/ტიპის მიხედვით, საქართველო 2009 წელი.				
შინამეურნეობის ნევრთა რაოდენობა	სოფელი	ქალაქი	თბილისი	სულ
1	0.3	0.9	2.9	1.1
2	3.5	7.2	10.2	6.2
3	11.3	16.9	20.2	15.1
4	22.5	31.7	30.6	27.2
5	26.4	21.5	18.7	23.1
6	20.8	12.9	10.4	15.9
7	9.2	6.7	4.6	7.4
8	3.0	0.9	1.9	2.1
9	1.4	0.7	0.0	0.8
10	1.2	0.6	0.3	0.8
11	0.1	0.0	0.0	0.0
12	0.4	0.1	0.2	0.3
სულ	100.0	100.0	100.0	100.0
შინამეურნეობების შეუწონავი რაოდენობა	1188	703	500	2391
საშუალო ზომა	5.06	4.46	4.15	4.66

ცხრილი 3.3 შინამეურნეობებისა და მოსახლეობის რაოდენობა შინამეურნეობებისა და მოსახლეობის პროცენტული გადანაწილება საცხოვრებელი ადგილის/ტიპის მიხედვით. საქართველო, 2009 წ.						
	შინამეურნეობების რაოდენობა			მოსახლეობის რაოდენობა		
	შენონილი პროცენტი	შენონილი რაოდენობა	შენონავი რაოდენობა	შენონილი პროცენტი	შენონილი რაოდენობა	შენონავი რაოდენობა
სოფელი	46	1104.8	1188	53	1104.8	5959
ქალაქი	29	697.1	703	28	697.1	3109
თბილისი	25	589.1	500	19	589.1	2080
სულ	100	2391.0	2391.0	100	2391.0	11148.0

## რესპონდენტთა ფონური მახასიათებლები

ცხრილებში 3.4 და 3.5 წარმოდგენილია ინფორმაცია 15-49 ასაკობრივი ჯგუფის ქალთა გადანაწილებაზე ძირითადი ფონური მახასიათებლების მიხედვით. წარმოდგენილია როგორც პროცენტული მაჩვენებლები და შეუწონავი რაოდენობები.

კვლევის თანახმად, 15-49 ასაკობრივი ჯგუფის ქალთა უმცირესობას (0.5%) განათლება საერთოდ არ გააჩნია; ქალთა დაახლოებით ერთ მეტადს (9.8%) არასრული საშუალო განათლება აქვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყოველ მესამე ქალს (15-49 წლის) უმაღლესი განათლება აქვს, რაც საერთო რაოდენობის 33.2%-ია, ხოლო ყოველი მეოთხე (25.4%) ტექნიკურ (პროფესიულ) განათლებას ფლობს.

ცხრილი 3.4. რესპონდენტების ფონური მახასიათებლები - 1 განათლებისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ქალთა პროცენტული გადანაწილება საქართველო, 2009 წ.		
ფონური მახასიათებლები	პროცენტი	ქალთა შეუწონავი რაოდენობა
განათლება		
განათლების გარეშე	0.5	[11]
არასრული საშუალო	9.8	193
სრული საშუალო	31.1	731
ტექნიკური	25.4	656
უმაღლესი	33.2	800
ოჯახური მდგომარეობა		
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	27	530
ამჟამად ქორწინებაში	68	1722
ქვრივი	2	57
განქორწინებული/დაშორებული	3	82
სულ	100	2391

რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას, ქალთა 27% არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, ხოლო დაახლოებით 5% ქვრივი ან განქორწინებულია. კვლევის პერიოდისათვის, საქართველოში მცხოვრებ ქალთა უმრავლესობა (68%) ქორწინებაში იმყოფება.

რაც შეეხება საცხოვრებლის ადგილს/ტიპს, კვლევა აჩვენებს, რომ ქალთა 46.2% ცხოვრობს სოფლებზე, ხოლო დაახლოებით მეოთხედი (24.6%) თბილისში.

ცხრილი 3.5 რესპონდენტთა ფონური მახასიათებლები – 2 ქალთა პროცენტული გადანაწილება საცხოვრებელი ადგილის/ტიპის მიხედვით საქართველო, 2009 წ.			
ფონური მახასიათებლები	შენონილი პროცენტი	ქალთა შეუწონავი რაოდენობა	ქალთა შენონილი რაოდენობა
საცხოვრებლის ტიპი			
სოფელი	46.2	1188	1104.8
ქალაქი	29.2	703	697.1
თბილისი	24.6	500	589.1
ასაკი			
15 – 24	29.8	712	515
25 – 34	27.1	649	718
35 – 44	30.0	717	716
45 – 49	13.1	313	442
სულ	100.0	2391	2389

## თავი 4.

# ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება

ნინო ჭავახიშვილი

### ძალადობა ქმრებისა და სქესობრივი პარტნიორების მხრიდან

კვლევაში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება რამდენიმე შეკითხვის საშუალებით იქნა შესწავლილი. კვლევის მიზანია ინფორმაციის მოძიება ფიზიკური, სქესობრივი, ემოციური, ეკონომიკური ძალადობის ფორმების და ქმედებების შესახებ, რომლებიც ხორციელდება ქმრების/პარტნიორების/არაპარტნიორების მხრიდან ქალზე კონტროლის მიზნით. ძალადობის აღნიშნული ფორმები იყოფა ქვე-ფორმებად და შეისწავლება ცალკე. გარდა ამისა, კვლევაში ძალადობის ამ ფორმების მიმართ ქალთა განწყობებიც შევისწავლეთ. ასევე, საინტერესოა, კვლევაში მონაწილე ქალებს ბოლო 12 თვის განმავლობაში (ან მანმადე) ან 15 წლამდე (ან მერე) ასაკში თუ განუცდიათ ძალადობა.

აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხები პროცენტული მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი 5 ფონური ცვლადის მიხედვით.

- დამოუკიდებელი შემოსავალი (მოცემულია ორი ჯგუფი: საკუთარი შემოსავლის მქონე და არმქონე ქალები);
- რესპონდენტთა ასაკი (მოცემულია ოთხი ჯგუფი: ჯგუფი I – 15-24 ასაკობრივი ჯგუფი, ჯგუფი II – 25-34 ასაკობრივი ჯგუფი, ჯგუფი III – 35-44 ასაკობრივი ჯგუფი, ჯგუფი IV (44-49 წელი);
- განათლება (მოცემულია 4 ჯგუფი: არასრული საშუალო განათლება, საშუალო განათლება,

საშუალო-ტექნიკური განათლება და უმაღლესი განათლება);

- საცხოვრებელი ადგილი (სამი ჯგუფი: სოფლების მცხოვრებლები, ქალაქების მცხოვრებლები, თბილისი, საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლები);
- ოკაცური მდგომარეობა (ორი ჯგუფი: დაქორწინებული, დაუქორწინებული)

### ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა

საქართველოში, ქალთა შედარებით დაბალი რაოდენობა აღიარებს მათ მიმართ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის განხორციელების ფაქტს. ჰამში, ქალთა 6.9%-მა განაცხადა, რომ განუცდია ფიზიკური ძალადობა. ამათგან, 2.6%-საშუალო სიმძიმის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა, ხოლო 4.3% მძიმე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ამავე დროს საქართველოში, კვლევის მონაცემების თანახმად, იმ ქალთა 9.1%-ს, რომლებიც ქორწინებაში არის/ყოფილა ან ჰყავს/ჰყოლია პარტნიორი, განუცდია ძალადობა მეუღლის/პარტნიორის მხრიდან, რაც ნიშნავს, რომ ქორწინებაში მყოფი ყოველი მე-11 ქალი ფიზიკური თუ სქესობრივი ძალადობის მსხვერპლია.

საცხოვრებელი ადგილი, განათლების დონე, ოკაცური მდგომარეობა, შემოსავლები – ეს პარამეტრები აღმოჩნდა მჭიდრო კავშირში ფიზიკური ძალადობის გამოცდილებასთან. ასაკი ცალკე საკითხია: ოთხი ასაკობრივი ჯგუფიდან,

მხოლოდ ორმა ჭგუფმა აჩვენა მნიშვნელოვანი შედეგები. მონაცემები მოცემულია ცხრილში 4.1.

ქალთა 3.9% აცხადებს, რომ განუცდია სქესობრივი ძალადობა. ამათგან, მხოლოდ 64%-ია დაქორწინებული, ხოლო 37% არა. დაუქორწინებელ ქალთა დიდი უმრავლესობა – 32.6% აცხადებს, რომ მათ არ ჰყავთ პარტნიორი და არ არიან ჩართული სქესობრივ ურთიერთობებში. ქალთა 0.7% აღნიშნავს, რომ მათ პირველი სქესობრივი კავშირი ძალდატანებით ჰქონდათ.

## ფიზიკური ძალადობის აქტები

კვლევაში შესწავლილი იყო სხვადასხვა სიმძიმის ფიზიკური ძალადობის ფორმები, მათ შორის, ყველაზე დიდი წილი მოდის ქალებზე, რომელთაც განცდილი აქვთ ძალადობის ორი ფორმა:

- სილის გაწვნა სახეში, ან მათთვის რაიმე ნივთის სროლა – 6.8% - საშუალო სიმძიმის ძალადობა;

- მუშტის ან სხვა რაიმეს გარტყმა – 3.9% - მძიმე ფორმა;
- ხელის კვრა, წაქცევა ან თმების მოქაჩვა – 2.9% - საშუალო სიმძიმის ძალადობა;
- ფეხის დარტყმა, ხელით გათრევა ან ცემა – 2.0% - ძალადობის მძიმე ფორმა;
- ყელში წაჭერა და დამწვრობის მიყენება შეგნებულად – 1.6% - ძალადობის მძიმე ფორმა;
- თოფის, დანის ან სხვა იარაღის გამოყენებით დამუქრება ან გამოყენება – 1.0% - მძიმე ფორმა.

ფიზიკური ძალადობის ფორმებს შორის, მხოლოდ ერთმა - სილის გაწვნა სახეში, ან მათთვის რაიმე ნივთის სროლა – აჩვენა მნიშვნელოვანი შედეგები ფონურ ცვლადებზე. მონაცემები მოცემულია ცხრილში 4.1:

ცხრილი 4.1: ფიზიკური ძალადობა ქალთა მიმართ.

პროცენტული მაჩვენებელი ფონური ცვლადების მიხედვით იმ ქალებთან მიმართებაში, რომელთაც განცდილი აქვთ ფიზიკური ძალადობა. ასევე, იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ფიზიკური ძალადობის ერთი ფორმა (სილის გაწვნა სახეში, ან მათთვის რაიმე ნივთის სროლა) აქვთ გადატანილი (ფონური ცვლადების მიხედვით).  
საქართველო, 2009 წ.

	ფიზიკური ძალადობა	შეუწონავი რაოდნება	სილის გაწვნა სახეში, ან რაიმე ნივთის სროლა	შეუწონავი რაოდნენობა
საცხოვრებელი ადგილი				
დედაქალაქი	32.1	34	31.6	34
სოფელი	36.9	50	37.8	50
ქალაქი	30.9	38	30.6	38
ასაკი				
15-24	-		-	
25-34	32.2	39	30.3	39
35-44	43.0	49	43.9	49
45-49	-		-	
განათლება				
საშუალო	27.8	36	27.3	32
ტექნიკური	33.4	43	32.2	38
უმაღლესი	21.1	26	22.0	26
დამოუკიდებელი შემოსავალი				
დიახ	28.5	90	27.9	35
არა	71.5	37	72.1	87

ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ მონაცემებმა ბოლო 12 თვის განმავლობაში მათი წარმოშობის სიხშირის მიხედვით, რაიმე მნიშვნელოვანი შედეგები არ აჩვენა, რაც ნიშნავს, რომ ქალთა დაახლოებით თანაბარმა პროცენტმა – 3.9% - განიცადა ფიზიკური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში და მანამდე. ქალთა დიდი რაოდენობა აღნიშნავს, რომ ამგვარ შემთხვევებს რამდენჯერმე ჰქონია ადგილი ბოლო 12 თვის განმავლობაში ან მანამდე. სიტყვა „რამდენჯერმე“ საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანი შინაარსისაა ქართულ ენაში, ის შეიძლება ნიშნავდეს ნებისმიერ სიხშირეს, მათ შორის შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც „მრავალჯერ“.

## სქესობრივი ძალადობის ფაქტები

კვლევაში რესპონდენტებს სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებით სამი შევითხვა დაუსვეს:

- ქალთა 3.5%-ს ჰქონია სქესობრივი კავშირი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ;
- ქალთა 3.0%-ს ჰქონია სქესობრივი კავშირი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, მათ ეშინოდათ რეაქციის;
- ქალთა 1.0%-ს დააძალეს ისეთი სქესობრივი ქმედება, რაც მათთვის დამცირებისა და დეგრადირების აღმნიშვნელი იყო.

სქესობრივი ძალადობის სხვადასხვა ფორმების სიხშირის შესახებ მონაცემებმა ბოლო 12 თვის განმავლობაში მათი წარმოშობის სიხშირის მიხედვით რაიმე მნიშვნელოვანი შედეგები არ აჩვენა, რაც ნიშნავს, რომ ქალთა დაახლოებით თანაბარმა პროცენტმა – 1.95% - განიცადა ფიზიკური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში და მანამდე. ფიზიკური ძალადობის მსგავსად, ქალთა დიდი რაოდენობა აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში და მანამდეც, ძალადობის ამ ფორმებს „რამდენჯერმე“ ჰქონია ადგილი.

## ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა

მონაცემების თანახმად, ფიზიკურ ძალადობას უფრო ხშირად აქვს ადგილი, ვიდრე სქესობრივ ძალადობას: ქალთა 6.9% ყოფილა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი და ქალთა 3.9% - სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი, ქალთა 2.3%-

ს გამოცდილი აქვს ორივე: ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა.

ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის გავრცელების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საცხოვრებელი ადგილის პარამეტრის მიხედვით: სოფლების, ქალაქებისა და დედაქალაქის მცხოვრები ქალები მსგავს ტენდენციებს ავლენენ – ყველა რეგიონში დაახლოებით ქალთა 2% ადასტურებს ორივეს, როგორც ფიზიკური, ისე, სქესობრივი ძალადობის გამოცდილებას.

ქალთა განათლების მიხედვით, ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის გავრცელების კუთხით რაიმე განსხვავება არ დაფიქსირებულა. იგივე სურათია შემოსავლების კუთხითაც – საკუთარი შემოსავლის ქონა/არქონა არაფერს ცვლის.

სქესობრივი ძალადობა უფრო ხშირია ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, ვიდრე ფიზიკური ძალადობა სქესობრივთან ერთად:

- იმ ქალებს შორის, ვისაც გადატანილი აქვთ ფიზიკური ძალადობა, 33.7% აღნიშნავს, რომ სქესობრივი ძალადობის მსხვერპლიც გამხდარა.
- მათ შორის, ვისაც სქესობრივი ძალადობა აქვს განცდილი, 60.6% ფიზიკური ძალადობის მსხვერპლიც ყოფილა.

ამ მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუ არსებობს ქალის მიმართ სქესობრივი ძალადობის ფაქტი, იქ ფიზიკურ ძალადობასაც ექნება ადგილი.

## ემოციური ძალადობა

ქალთა 14.3% ყოფილა ემოციური ძალადობის მსხვერპლი. შემთხვევათა უმეტესობაში, ქალებს ემოციური ძალადობის რამდენიმე ფორმა აქვთ გამოცდილი:

- ქალთა 13.9% აღნიშნავს, რომ პარტნიორი შეურაცხყოფდა ან აგრძნობინებდა თავს ცუდად;
- ქალთა 5.3% აღნიშნავს, რომ პარტნიორი შეგნებულად შეურაცხყოფდა და ამცირებდა სხვების თანდასწრებით;
- ქალთა 5.1% აღნიშნავს, რომ პარტნიორი აშინებდა და ემუქრებოდა.

- ქალთა 3.8%-ს პარტნიორი თავად მისი ან მისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანის დაბიანებით ემუქრებოდა.

მონაცემები ემოციური ძალადობის ან მისი სხვადასხვა ფორმების შესახებ მათი სიხშირის მიხედვით ბოლო 12 თვის განმავლობაში ან მანამდე რაიმე მნიშვნელოვან შედეგებს არ აჩვენებს, რაც

ნიშნავს, რომ ქალთა დაახლოებით თანაბარმა პროცენტმა – 7.15% - განიცადა ფიზიკური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში და მანამდე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ ემოციური ძალადობის მონაცემები ფონური ცვლადების მიხედვით:

ცხრილი 4.2: ქალთა მიერ გადატანილი ემოციური ძალადობა ემოციური ძალდობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებლები ფონური ცვლადების მიხედვით. საქართველო, 2009 წ.		
	ემოციური ძალადობა	შეუწინავი რაოდენობა
საცხოვრებელი ადგილი		
დედაქალაქი	33.8	76
სოფელი	36.2	99
ქალაქი	30.0	77
ასაკი		
15-24	-	
25-34	27.7	74
35-44	48.1	112
45-49	14.7	48
განათლება		
დამოუკიდებელი შემოსავალი		
დიას	29.6	73
არა	70.4	179
არასრული საშუალო	11.9	29
საშუალო	23.9	63
ტექნიკური	32.0	82
უმაღლესი	32.3	78

არასრული საშუალო განათლების მქონე ქალთა 12%, სრული საშუალო განათლების მქონე ქალთა 24% და უმაღლესი განათლების მქონე ქალთა 32% ემოციური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ განათლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მონაცემთა თანახმად, რაც უფრო განათლებულია ქალი, მით მეტად შეუძლია ემოციური ძალადობის ფორმის ამოცნობა.

## ეკონომიკური ძალადობა

კვლევაში ეკონომიკური ძალადობა სამი შევითხვით გაიზომა. ესენია: 1. შეუძლიათ თუ არა ქალებს საკუთარი შემოსავლის დახარჯვა თავისი სურვილისამებრ; 2. მათ ქმრებსა და პარტნიორებს წაურთმევიათ თუ არა მათთვის ფული ან დანაზო-

გი მათი სურვილის წინააღმდეგ და 3. როდესმე მათ ქმარს/პარტნიორს უარი უთქვამს თუ არა ოჯახის ხარჯებისათვის ფულის მიცემაზე, მაშინ, როცა მათ სხვა რამისთვის ფული ჰქონდათ.

ქალთა 6.0% აღნიშნავს, რომ მათ უწევთ საკუთარი შემოსავლის გაზიარება ქმართან/პარტნიორთან და ქალთა 0.8% მთელს შემოსავალს ქმარს/პარტნიორს აძლევს.

ქალთა 4.7% აღნიშნავს, რომ მათ ქმრებს/პარტნიორებს ბევრჯერ წაურთმევიათ ფულია, მათ შორის:

- ქალთა 2.2%-ს თქმით, ქმარს/პარტნიორს ფული წაურთმევია ერთხელ ან ორჯერ.
- ქალთა 1.8%-სათვის ქმარს/პარტნიორს ქალის შემოსავალი რამდენჯერმე აქვს წართმეული.

- ქალთა 0.7% აღნიშნავს, რომ ქმარს/პარტნიორს მრავალჯერ აქვს მათი საკუთარი შემოსავალი წართმეული.

ქალთა 5.1%-მა აღნიშნა, რომ მათი ქმრები/პარტნიორები უარს ეუბნებიან ფულის მიცემაზე საოჭახო ხარჯებისათვის, მათ შორის:

- ქალთა 4.2% აღნიშნავს, რომ მათ ოჯახური ხარჯებისათვის მეუღლემ/პარტნიორმა რამდენჯერმე არ მისცა ფული, თუმცა აღნიშნულ მამაკაცებს სხვა რაღაცეებზე დასახარჯი ფული გააჩნიათ.
- ქალთა 0.9% აღნიშნავს, რომ მეუღლემ/პარტნიორმა ბეყრძერ უთხრა უარი ოჯახური ხარჯებისათვის საჭირო თანხების მიცემაზე, თუმცა მას სხვა რაღაცეებისათვის ფული გააჩნდა.

ემოციური ძალადობის შემთხვევებთან მჯიდრო კავშირშია შემოსავლების მიღების პოტენციალი, თუმცა, ჰამში, სამაკერ მეტია იმ ქალთა რაოდენობა, ვისაც საკუთარი შემოსავალი გააჩნია და ზემოთ მოცემულ შეკითხვაზე უარყოფითად უპასუხა. იგივე შეიძლება ითქვას რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობის პარამეტრზე: დაქორნინებულ ქალთა 97%-მა და პარტნიორთან მცხოვრებ/დაუკორნინებელ ქალთა 3%-მა შეკითხვას უარყოფითი პასუხი გასცა.

## ქალის კონტროლის მიზნით ჩადენილი ქმედებები

ძალადობის ფიზიკური, ემოციური, სქესობრივი და ეკონომიკური ფორმების გარდა, არსებობს ძალადობის სხვა ფორმებიც, რომლებიც ერთიანდება კონტროლის მიზნით განხორციელებული ქმედებების კატეგორიაში. ქალთა 35.9% აცხადებს, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან განუცდია კონტროლის მიზნით განხორციელებული ქმედება:

- ქალთა 29.0% აცხადებს, რომ პარტნიორი უკრძალავს საკუთარ ოჯახთან კავშირს.
- ქალთა 11.6%-ს პარტნიორი აიძულებს მისგან აიღოს ნებართვა, ვიდრე სამედიცინო მომსახურებისათვის ექიმს მიმართავს;
- ქალთა 11.1% აცხადებს, რომ მისი პარტნიორი ბრაზდება, თუ მისი ცოლი სხვა მამაკაცს დაელაპარაკება;
- ქალთა 5.5% აცხადებს, რომ მისი პარტნიორი ხშირად ეჭვიანობს და ღალატში დებს ბრალს;

- ქალთა 4.0% აცხადებს, რომ მისი პარტნიორი არ აძლევს მეგობრებთან შეხვედრის საშუალებას;
- ქალთა 3.9% აღნიშნავს, რომ მისი პარტნიორი იგნორირებას უკეთებს და გულგრილად ეყყრობა;
- ქალთა 3.8% აღნიშნავს, მან სამსახური მიატოვა/უარი თქვა შემოსავლიან სამსახურზე, რადგან მის ქმარს/პარტნიორს არ უნდოდა მას ემუშავა.
- ქალთა 2.4% აღნიშნავს, რომ მისი პარტნიორი დაუინებით მოითხოვს, მუდმივად იცოდეს თუ სად არის იგი.
- ქალთა 1.4%-ს ქმარი/პარტნიორი უკრძალავს შეხვედრებზე დასწრებას ან რომელიმე ორგანიზაციაში მონაწილეობას.

არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტთა 60%-მა აღიარა, რომ მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან ყოფილა კონტროლის ობიექტი. რაც შეეხება სრული საშუალო, ტექნიკური ან უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებს, მათ 35%-ს აქვს მეუღლის/პარტნიორის მხრიდან კონტროლის გამოცდილება. ამგვარად, განათლების დონე მნიშვნელოვანია მხოლოდ საშუალო განათლების დონემდე.

იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ადასტურებენ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან კონტროლის ქმედებებს, 76.6%-ს საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია, ხოლო დარჩენილ რესპონდენტებს საკუთარი შემოსავალის წყარო აქვთ (23.40%). ამგვარად, შემოსავლის პარამეტრიც მნიშვნელოვანია.

მეუღლის/პარტნიორის მხრიდან კონტროლის ობიექტი რესპონდენტების 36.5% მიეკუთვნება 35-44 ასაკობრივ ჯგუფს, შემდეგ მოდის 25-34 ასაკობრივი ჯგუფი (30.9%), ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფი (15-24) – 18.1%, ხოლო ყველაზე დაბალი ნილი მოდის ასაკობრივ ჯგუფზე 45-49 – 14.5%.

## ქალის მიერ ადრეულ ასაკში გადატანილი ძალადობა საკუთარ ოჯახში

კვლევა გვიჩვენებს, რომ ძალიან ადრეული ასაკში ძალადობის განცდა ქალის შემდგომ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს. ქალებს ეკითხებოდნენ, ხომ არ გამხდარან ოჯახში დედის მიმართ მეუღლების გადატანილობის განცდაზე. ამგვარად, შემოსავლის პარამეტრიც მნიშვნელოვანია.

ლის ან მეგობარი მამაკაცის ძალადობის მოწმე. ქალთა 3.2% აცხადებს, რომ ბავშვობის წლებში, დედა ხშირად ყოფილა მამის (ან მეუღლის/მეგობარი მამაკაცის) ცემის ობიექტი. მათგან (ვინც ადასტურებს დედაზე ძალადობის ფაქტს):

- 66.7% შეესწრო ძალადობის ფაქტს, დაინახა ან გაიგონა.
- 33.3% - პირადად არ შეესწრებია.

## ქალთა დამოკდებულება გენდერული როლებისა და ძალადობისადმი

კვლევაში ქალ რესპონდენტებს დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა, რათა გამოევლინათ მათი დამოკიდებულება ძალადობისა და გენდერული როლებისადმი. ქალთა განწყობები მეტ ნათელს მოჰყენს მათ რეაქციას ძალადობის ფაქტებზე. მაგ. თუ გვეცოდინება, როგორ უმკლავდებიან ჩვენი რესპონდენტები ძალადობის ფაქტებს, შეგვეძლება ვინინასნარმეტყველოთ მათი რეაქცია ძალადობის აქტებზე.

### ძალადობასთან ბრძოლა

- ქალთა 78.3%-ს მიაჩნია, რომ ოჭახური პრობლემები მხოლოდ ოჭახში უნდა განიხილებოდეს;
- ქალთა 52.1% ფიქრობს, რომ თუ მამაკაცი მეუღლეს ცუდად ექცევა, ოჭახის სხვა წევრები არ უნდა ჩაერიონ;
- ქალთა 30.7% მიიჩნევს, რომ ოჭახური ძალადობა არის პირადული საკითხი და დაუშვებელია კანონის ჩარევა.

იმ ქალ რესპონდენტებს (78/3%) შორის, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ოჭახური პრობლემები მხოლოდ ოჭახში უნდა განიხილებოდეს, 48.0% სოფლების, 30.3% - ქალაქების და 21.7% თბილისის მცხოვრებია.

ეს მონაცემები გვიჩვენებს ქალთა განწყობებს პრობლემებთან თავის გართმევის მიმართ. ზემოაღნიშნულ სამ შეკითხვაზე პასუხების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქალთა ნაწილი ოჭახურ პრობლემას ოჭახური ძალადობის კლასიფიკაციას არ აძლევს: მათ შორის, ვინც თვლის, რომ ოჭახური პრობლემები ოჭახს გარეთ არ უნდა გავიდეს, 30.5% ფიქრობს, რომ თუ ქმარი ცუდად ეპყრობა ცოლს, სხვები არ უნდა ჩაერიონ,

ხოლო მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ ოჭახური პრობლემა მხოლოდ ამ ოჭახის პრობლემა არ არის, თითქმის იგივე რაოდენობა, ანუ 31.1% ამბობს, რომ თუ ქმარი ცუდად ეპყრობა ცოლს, არავის აქვს უფლება ჩაერიოს.

### მორჩილება

რესპონდენტები, რომლებიც თვლიან, რომ ოჭახის უფროსი არის მამაკაცი და ქალი მას უნდა დაემორჩილოს ისეთ საკითხებშიც კი, როგორიცაა მეგობრების არჩევა, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ სქესობრივი კავშირი ქმართან და ქმრის მხრიდან ცემა, სავარაუდოდ ნაკლებად მისცემენ ფიზიკურ, ემოციურ, სქესობრივ და ეკონომიკურ ძალადობის ფორმებს ძალადობის კლასიფიკაციას.


- რესპონდენტთა 58.3%-ს მიაჩნია, რომ ქალს უნდა შეეძლოს საკუთარი მეგობრების არჩევა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მის ქმარს არ მოსწონს.
- ქალთა 50.7% ფიქრობს, რომ კარგი ცოლი ქმარს უნდა უჰერებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება.
- ქალთა 44.9%-ს სწამს, რომ აუცილებელია მამაკაცმა ცოლს/პარტნიორს კარგად დაანახოს, თუ ვინ არის ოჭახის უფროსი.
- ქალთა 34.1% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს.
- ქალთა 16.0% მიიჩნევს, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს.

რესპონდენტთა საცხოვრებელი ადგილი ზემოთ მოცემულ კითხვებს დამატებით ინფორმაციას სძენს: თბილისში ყველაზე დაბალია იმ ქალთა მაჩვენებელი, ვინც ფიქრობს, რომ ქმარს უნდა ემორჩილებოდეს (14.5%), ქალაქებში უფრო მეტი ქალია ამგვარი შეხედულებით (27.7%), ხოლო სოფლებში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 57.8% რესპონდენტებისა, ვინც თვლის, რომ ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს.

იმ ქალთა 44.9%-დან, ვინც მიიჩნევს, რომ აუცილებელია მამაკაცმა ცოლს/პარტნიორს კარგად დაანახოს, თუ ვინ არის ოჭახის უფროსი, 55.3% სოფლის მცხოვრებია, 26.3% - ქალაქის და 18.4%


- თბილისის. რაც შეეხება ქალებს, ვინც ფიქრობს, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს, მათი 57.3% სოფლის მცხოვრებია, 25.6% - ქალაქის და 17.2% - თბილისის. შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სოფლის მცხოვრები ქალები ყველაზე მეტად მორჩილები არიან ქმრების სურვილების, ქალაქების მცხოვრები ქალები შედარებით მორჩილები, ხოლო დედაქალაქის ქალები – ყველაზე ნაკლებად მორჩილები.

**გრაფიკი 4.1 ქალების პროცენტული მაჩვენებელი ვინც ფიქრობს, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს, საცხოვრებელი ადგილის ჭრილში. საქართველო, 2009 წ.**




განათლებაც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს; რაც უფრო განათლებულები არიან რესპონდენტები, მით უფრო ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალი ქმარს უნდა დაემორჩილოს:

**გრაფიკი 4.2 ქმრის მორჩილება, ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მიიჩნევს, რომ ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს; განათლების დონის მიხედვით; საქართველო, 2009 წ.**




უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა 61.4% ფიქრობს, რომ არ არის აუცილებელი ქმარმა ცოლს/პარტნიორს აჩვენოს, თუ ვინ არის ოჯახში უფროსი. განათლების დონის კლებასთან ერთად, ეს მაჩვენებელიც მცირდება:

**გრაფიკი 4.3 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს, საცხოვრებელი ადგილის ჭრილში, 2009 წ.**




იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს. მაჩვენებელი იკლებს განათლების დონის კლებასთან ერთად:

**გრაფიკი 4.4. ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს; განათლების დონის მიხედვით, საქართველო, 2009 წ.**



განათლების დონის ბრდასთან ერთად იმატებს იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელიც, რომელიც არ ეთანხმება შეხედულებას, რომ „ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს“.

**გრაფიკი 4.5. ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ ქალს შეუძლია უარი უთხრას მეუღლეს სქესობრივ კავშირზე, თუ მას თავად ეს არ სურს; განათლების დონის მიხედვით, საქართველო, 2009 წ.**



ქალები, რომელთაც საკუთარი შემოსავალი აქვთ, უფრო დამოუკიდებლები არიან მეუღლეებთან ურთიერთობაში. მათი შედარებით ნაკლები რაოდენობა (43.3%) აცხადებს, რომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს ქმარს, ხოლო იგივე შეხედულება შემოსავლის არმქონე მეტ ქალს გააჩნია (53.0%).

დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე ქალთა 39.3% მიიჩნევს, რომ აუცილებელია მამაკაცი ცოლს/პარტნიორს აჩვენებდეს, ვინ არის უფროსი ოჯახში. იგივე მაჩვენებელი, საკუთარი შემოსავლის არმქონე ქალთა შემთხვევაში 46.8%-ია.

ქალთა 34.1% მამაკაცის მიერ ცოლის ცემას ამართლებს გარკვეულ შემთხვევებში. მათი პროცენტული მაჩვენებლები სხვადასხვა მიზეზების მიხედვით ასე გადანაწილდა:

- მამაკაცმა გაიგო, რომ ქალი ღალატობს – 28.5%
- მამაკაცი ეჭვობს, რომ ქალი ღალატობს – 4.0%
- ქალი მამაკაცს არ ემორჩილება – 3.1%
- ქალმა სახლის საქმე მამაკაცის მოსაწონად არ გააკეთა – 1.5%
- ქალი უარს ამბობს სქესობრივ კავშირზე – 1.4%
- ქალი ეჭვიანობს და ეკითხება მამაკაცს, სხვა ქალი ხომ არ ჰყავს – 0.6%

რესპონდენტთა უმეტესობა ქალის ცემას არცერთ შემთხვევაში არ ამართლებს, მაგრამ, თუ ამართლებენ, იმ შემთხვევაში, თუ ცოლი ქმარს ღალატობს (28.5%) და თუ ქმარს ცოლის ერთგულებაში შეაქვს ეჭვი - 4%. სხვა მიზეზების გამო ქალის ცემას რესპონდენტთა ძალიან დაბალმა პროცენტმა დაუჭირა მხარი.

იმ რესპონდენტების 57.9%, ვინც ამართლებს ქალის ცემას, ასევე ფიქრობს, რომ მამაკაცმა ცოლს უნდა აჩვენოს, რომ ის არის უფროსი ოჯახში. ხოლო, მათგან, ვინც ფიქრობს, რომ მამაკაცმა ცოლს უნდა აჩვენოს, რომ ის არის უფროსი ოჯახში, 43.9% ქმრების მიერ ცოლების ცემას ამართლებს. რაც შეეხება რესპონდენტებს, ვინც ასე არ ფიქრობს, მათი 26.2% ქმრის მიერ ცოლის ცემას ამართლებს. ამგვარად, რესპონდენტთა განწყობები ერთმანეთთან კავშირშია: ისინი, ვინც ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ მამაკაცი უნდა იყოს უფროსი ოჯახში და მან ცოლს ეს უნდა დაანახოს, ასევე, ეთანხმებიან აზრს, რომ ქმარს ცოლის ცემის უფლება აქვს.

ქალთა მხოლოდ 16.0% ფიქრობს, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან ჰქონდეს სქესობრივი კავშირი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს. რესპონდენტებმა დაასახელეს მიზეზები, რომელთაც გამოც, ქალს შეუძლია მეუღლეს უარი უთხრას სქესობრივ კავშირზე. დაქორწინებულ ქალს შეუძლია უარი უთხრას ქმარს იმ შემთხვევაში, თუ:

- ცოლს არ სურს – 81.5%
- ქმარი ნასვამია – 82.4%
- ცოლი ავადაა- 90.1%
- ქმარი ცუდად ეპყრობა - 88.1%

რაც შეეხება მორჩილებას, გაურკვეველია, რას გულისხმობენ ქალები ამ ტერმინში. უმეტესობა მათგანი არ დათანხმდებოდა ქმარს სქესობრივ კავშირზე საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, თუმცა, მათ მაინც მიაჩნიათ, რომ ქმარს უნდა დაემორჩილონ. იმ ქალებს შორიც, ვინც ფიქრობს, რომ ისინი უნდა დაემორჩილონ ქმრებს, 24.4% ასევე თანახმაა მეუღლესთან საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ჰქონდეს სქესობრივი კავშირი. იმ ქალებს შორის, ვინც არ ფიქრობს, რომ მეუღლეებს უნდა დაემორჩილონ, 6.9% თანახმაა სქესობრივ კავშირზე, მაშინაც კი თუ ამის სურვილი არ აქვს. ამგვარი კროს ტაბულაცია გვიჩვენებს, რომ ქალები მორჩილებას ქმართან ურთიერთობის ყველა სიტუაციას არ მიუსადაგებენ.

შეხედულების ქმრების მიერ ცოლების ცემასთან და მამაკაცის ოჯახის უფროსობასთან დაკავშირებით ერთმანეთთან არის დაკავშირებული: ისინი, ვინც თანახმა, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცი უნდა იყოს და ამის დემონსტრირებასაც უნდა ახდენდეს, მიიჩნევენ, რომ მამაკაცს შეუძლია საკუთარი ცოლი ცომის. თუ ქალები ფიქრობენ, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი იმ შემთხვევაშიც კი ჰქონდეს, როცა თავად ამის სურვილი არ აქვს, მათი უმეტესობა ამართლებს კიდეც მოძალადე ქმრებს (53.3%); ხოლო მხოლოდ 30.3% იმ ქალებისა, ვინც არ ფიქრობს, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი იმ შემთხვევაშიც კი ჰქონდეს, თუ თავად ამის სურვილი არ აქვს, ამართლებს ქმრების მიერ ცოლების ცემის ფაქტს. ეს განწყობებიც კავშირშია: მორჩილი ცოლები უფრო მეტად ამართლებენ მოძალადე ქმრებს, ვიდრე „დაუმორჩილებელი ცოლები“.

რესპონდენტებს მისცეს დებულებათა ჩამონათვალი იმის დასადგენად, აღიქვამენ თუ არა ამ სიტუაციებს გენდერულ ძალადობად. მიღებული მონაცემების თანახმად, რესპონდენტთა უმეტესობა მოცემულ ქმედებებს ძალადობად აღიქვამს:

- 93.4% - ქმარი ცოლს ფიზიკურად შეურაცხყოფს.
- 89.9% - ქმარი ცოლს აიძულებს სქესობრივ კავშირს.
- 89.0% - ქმარი ცოლს საზოგადოებაში ამცირებს.
- 81.3% - ქმარი ცოლს უფლებას არ აძლევს იმშაოს.
- 80.5% - ქმარი სიტყვიერად ემუქრება ცოლს (განქორწინებით, დაზიანებით).
- 79.7% - ქმარი სიტყვიერ ძალადობას ახორციელებს ცოლზე (ამცირებს, აგინებს, უყვირის).
- 68.4% - ქმარი ცოლს უარს ეუბნება ფულის მიცემაზე.

ფიზიკური შეურაცხყოფა ძალადობის პირველი მთავარი მიზეზია. საზოგადოებაში დამცირება და სქესობრივი კავშირის დაძალება ძალადობად მიიჩნია ქალთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ; ქალთა საკმაოდ დიდი რაოდენობა მიიჩნევს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქალს შეეძლოს მუშაობა, შესაბამისად, მათი აზრით, ძალადობაა, თუ ქმარი ამის საშუალებას არ აძლევს. ძალადო-

ბის ფორმების თვალსაზრისით, ქალთა ყველაზე მაღალი რაოდენობა ფიზიკურ, შემდეგ კი სქესობრივ, ემოციურ და ეკონომიკურ ძალადობას აღიარებს.

## ქალთა განწყობები ფიზიკური და სქესობრივი ძალადობისა და ძალადობის გამოცდილების მიმართ

იმ ქალთაგან (6.9%), ვისაც ფიზიკური ძალადობის რაიმე ფორმა აქვს განცდილი, 45.9% ^ფიქრობს, რომ მამაკაცს აქვს ცოლის ცემის მიზეზი, ხოლო იმ ქალთაგან (93.1%), ვინც ძალადობის მსხვერპლი არასოდეს ყოფილა, იგივეს ფიქრობს 36.3%.

აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ იმ ქალთა შედარებით მეტი რაოდენობა ამართლებს ძალადობას, ვინც თავად ყოფილა ძალადობის მსხვერპლი (შედარებით იმ ქალბატონებთან, ვინც მსხვერპლი არასოდეს ყოფილა).

## ძალადობა ქალთა მიმართ არა მეუღლის/პარტნიორის მიერ (არა პარტნიორების მხრიდან ძალადობის გავრცელება 15 წელს ასაკს ზემოთ ქალებში; შედარება პარტნიორი მოძალადების მონაცემებთან)

კვლევაში ჩაიდო შეკითხვები იმის დასადგენად, ყოფილან თუ არა ქალები სხვა ადამიანების მხრიდან (გარდა მეუღლისა და პარტნიორისა) ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი.

## ფიზიკური ძალადობა 15 წლის ასაკს ზემოთ, არაპარტნიორის მიერ

გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 2% აღნიშნავს, რომ აქვს ფიზიკური ძალადობის/ცემის გამოცდილება არაპარტნიორის მხრიდან, მას შემდეგ, რაც 15 წელი შეუსრულდა. აღნიშნული რესპონდენტების პასუხები (2%) მცირე პროცენტული მაჩვენებლებით გადანაწილდა ოჯახის სხვა წევრებზე, ასევე, უახლეს გარემოცვაზე. თუ ქალთა მხოლოდ 6.9% აცხადებს, რომ ფიზიკური

ძალადობის მსხვერპლი ყოფილა პარტნიორის ან ქმრის მხრიდან, მხოლოდ 2%<sup>ა</sup>დასტურებს ფიზიკური ძალადობის გამოცდილებას არა პარტნიორის მხრიდან.

## სქესობრივი ძალადობა 15 წელს ზემოთ ასაკის ქალთა მიმართ (პარტნიორის და არაპარტნიორის მიერ)

- ქალთა 0.1% აღნიშნავს, რომ მათ დააძალეს სქესობრივი კავშირი ან სქესობრივი აქტი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, 15 წლის ზემოთ ასაკში. მოძალადე იყო ოჭახის წევრი მამაკაცი;
- ქალთა 0.1% აღნიშნავს, რომ მათ დააძალეს სქესობრივი კავშირი ან სქესობრივი აქტი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, 15 წლის ზემოთ ასაკში. მოძალადე იყო უცნობი ადამიანი.

ქალთა 3.9% აღნიშნავს სქესობრივ ძალადობას ქმრის, პარტნიორის მხრიდან, ქალთა მხოლოდ 0.2% საუბრობს სქესობრივი ძალადობის გამოცდილებაზე არა პარტნიორის მხრიდან. ქალთა 2.3%-ს ძალადობის ორივე ფორმა აქვს გამოცდილი: ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა ქმრის ან პარტნიორის მიერ, ხოლო ქალთა 1.9% არა პარტნიორის მხრიდან ყოფილა ძალადობის ორივე ფორმის მსხვერპლი.

## სქესობრივი ძალადობა 15 წლამდე ასაკის გოგონებში

კვლევაში 15 წლამდე ასაკის გოგონებში სქესობრივი ძალადობის გამოცდილებაზე ორი შეკითხვა ჩაიდო. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ ეკითხება რესპონდენტებს, ყოფილან თუ არა სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი; მეორე შეკითხვას ინტერვიუს ბოლოს უსვამდნენ. რესპონდენტს აჩვენებდნენ ბარათს, სადაც გოგონას მომღიმარი და მოწყენილი სახეები იყო აღბეჭდილი. შემდეგ სთხოვდნენ მოხეაზათ ერთ-ერთი მათგანი და ჩაედოთ ბარათი კონვერტში, ისე, რომ ინტერვიუერს არ დაენახა, რომელი სახე გახაჩა რესპონდენტმა.

კვლევაში გამოკითხულ არცერთ ქალს არ ჰქონია ოჭახის წევრისაგან რაიმე ფორმის სქესობრივი ძალადობის გამოცდილება (სექსუალური შეხება ან სქესობრივი ქმედების დაძალება) 15

წლამდე ასაკში. ქალთა 6.5% შემოხაზა მოწყენილი სახე, იმიტომ, რომ ვიღაც შეხებია სექსუალურად ან დაუძალებია სქესობრივი ქმედება ვიდრე 15 წლის გახდებოდა. ქალთა 93.5% შემოხაზა მომღიმარი სახე, რადგან მსგავს ფაქტებს მის ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია (15 წლამდე). არაპირდაპირი შეკითხვის შედეგებს თუ შევადარებთ პირდაპირი შეკითხვისაგან მიღებულ მონაცემებს ასეთ სურათს მივიღებთ: არაპირდაპირი შეკითხვისას ქალები აღიარებენ, რომ ყოფილან ოჭაური ძალადობის მსხვერპლი, თუმცა პირდაპირი შეკითხვისას არა (შესაბამისად, 6.5% და 0%).

## შედეგების განხილვა

ოჭაური ძალადობის ფორმების შესახებ მიღებული მონაცემები შემდეგ სურათს გვაძლევს: ქალთა 35.9% აღნიშნავს, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან გამოუცდია ძალადობის სხვადასხვა ფორმა, რომელთა მიზანი ქალის კონტროლი იყო; ქალთა 14.3% აღნიშნავს, რომ ემოციური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა მეუღლის/პარტნიორის მხრიდან; ქალთა 6.9% ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყო ქმრის/პარტნიორის მხრიდან; ქალთა 6%-ს ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება აქვს მეუღლის/პარტნიორის მხრიდან და ბოლოს, ქალთა 3.9% ადასტურებს, რომ ყოფილა სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან.

კვლევის მონაცემების თანახმად, ქალთა შედარებით დაბალ რაოდენობას აქვს ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის გამოცდილება არა პარტნიორის მხრიდან. გარდა ამისა, ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლთა ყველაზე დიდი რაოდენობა დედაქალაქში დაფიქსირდა.

მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებული მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ადამიანები ინფორმაციის გამჟღავნებას ერიდებიან და რეალურად, ოჭაური ძალადობის მსხვერპლთა გაცილებით მეტი რაოდენობა არსებობს. მოცემული მონაცემებით, საინტერესოა მიმოვისილოთ იმ ქალთა პროცენტული გადანაწილება, რომლებიც აღიარებენ, რომ ოჭაური ძალადობის სხვადასხვა ფორმების გამოცდილება აქვთ. საინტერესოა, რომ კონტროლის მიზანით განხორციელებული ძალადობის ფორმას ქალთა ყველაზე დიდი რაოდენობა ადასტურებს, ალბათ, იმიტომ, რომ ძალადობის ეს ფორმა ყველაზე ნაკლებად არის სამარცხვინო

გასამუღლავნებლად. რა თქმა უნდა, გაცილებით ადვილია თქვა, რომ ქმარი გიკრძალავს ოჯახთან, მეგობრებთან კონტაქტს, ვიდრე აღიარო, რომ ქმარი გცემს ან სქესობრივი კავშირისას გაიძულებს ისეთი ქმედებების ჩადენას, რაც შენთვის შეურაცხმყოფელია. ქალთა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიჩნევს პირველ რიგში ძალადობის ფიზიკურ, შემდეგ სქესობრივ, შემდეგ ემოციურ,

შემდეგ კონტროლის მიზნით ჩადენილ ქმედებებს და შემდეგ ეკონომიკურ ფორმას ძალადობად.

**სქემა 4.1.** ოჯახური ძალადობის ფორმები, რომელთა გამოცდილება რესპონდენტებს აქვთ და ოჯახური ძალადობის ფორმები, რომელთაც რესპონდენტები ასახელებენ, როგორც ძალადობას. საქართველო, 2009 წ.

ოჯახური ძალადობის დასახელებული ფორმები	ძალადობად მიჩნეული ოჯახური ძალადობის ფორმები
ქმედებები კონტროლის მიზნით	ფიზიკური
ემოციური	სქესობრივი
ფიზიკური	ემოციური
ეკონომიკური	ქმედებები კონტროლის მიზნით
სქესობრივი	ეკონომიკური

ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლი არასოდეს არ არის მხოლოდ ერთი ფორმის მსხვერპლი. ისინი უმეტესად ძალადობის რამდენიმე ფორმას განიცდიან.

საქართველოში ძალიან საინტერესო ტენდენცია ვლინდება: ქალთა 32.6% აცხადებს, რომ არასოდეს ჰქონია სქესობრივი ურთიერთობები. როგორც ამ ანგარიშის პირველ თავში უკვე აღვნიშნეთ, ქართველებში ქალწულობის ინსტიტუტი ჰერკიდევ ძლიერია და შესაბამისად, ბევრი ქალი არ აღიარებს სქესობრივ ურთიერთობას, რადგან აშინებს ოჯახისა და საზოგადოების რეაქცია, რომელიც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი კოლექტიური საზოგადოების წევრები არ არიან.

ძალადობაზე რეაგირების თვალსაზრისით, მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმ ქალთა უფრო მეტი რაოდენობა ამართლებს ძალადობას, ვინც თავად არის ძალადობის მსხვერპლი, შედარებით იმ ქალებთან, ვისაც ძალადობის გამოცდილება არ აქვს. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების მცხოვრები ქალები ძალადობასთან ბრძოლის უფრო აქტიურ სტრატეგიას ირჩევენ. ქალთა დაახლოებით 35% პასიურ სტრატეგიას ირჩევს, რაც შემოიფარგლება ოჯახის წევრებთან პრობლემის განხილვით ან არ განხილვით; ქალთა 34.1% ქმრის მიერ ცოლის ცემას ამართლებს გარკვეულ შემთხვევებში. ქალები არ არიან მორჩილები ყველა სიტუაციაში, ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ცოლი ქმარს ყველაფერში უნდა ემორჩილებოდეს, თუმცა ამავე დროს, ამბობენ, რომ ქალს შეუძლია მამაკაცს სქესობრივ კავშირზე უარი უთხრას, თუ თავად ამის სურვილი არ აქვს.

თავი 5.

## ოჯახის ძალადობა ქალთა მიმართ და ძალადობის შედეგები ჰანმრთელობაზე

მარინე ჩიტაშვილი, ლუიზა არუთინოვი

ქალთა მიმართ ძალადობის შედეგები ძირითადად აისახება ქალთა ფიზიკურ და ფინანსურ ჭანმრთელობაზე, რაც სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებისათვის სერიოზულ პრობლემაა და პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივ ჭანდაცვასთან, ხოლო არაპირდაპირ - სოციალურ კეთილდღეობასა და უთანასწორობის საკითხებთან. კვლევა გვიჩვენებს, რომ საკუთარი ჭანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისას, მკვეთრი განსხვავება არსებობს ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის გამოცდილების მქონე ქალებისა და ამ გამოცდილების არმქონე ქალების შეფასებებს შორის (მსოფლიოს ჭანმრთელობის ორგანიზაცია, 2005 წელი). ქალები, რომლებიც საუბრობენ ზოგადი ან მენტალური ჭანმრთელობის პრობლემებზე, ასევე, მოიაზრებენ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის არაპირდაპირი გავლენის ფართო სპექტრსაც, რასაც ისინი განიცდიან კონკრეტულად მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რასაც გავლენა აქვს მათ სოციალურ და ფინალოგიური კეთილდღეობასა და სუბიექტურ კარგად ყოფნაზე.

### ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები


კითხვარის საშუალებით შეიკრიბა მონაცემები იმ ქალთა ჭანმრთელობისა და ცხოვრების საკითხებზე საქართველოში, რომლებიც სქესობრივი პარტნიორების მხრიდან ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი ყოფილან.

დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა ძალადობის შედეგად მიღებულ დაზიანებებისა, მათი სიხშირისა და ფორმების შესახებ.

საქართველოში, კვლევის მონაცემების თანახმად, იმ ქალთა 9,1%-ს, რომლებიც ქორწინებაში არის/ყოფილა ან ჰყავს/ჰყოლია პარტნიორი, განუცდია ძალადობა მეუღლის/პარტნიორის მხრიდან, რაც ნიშნავს, რომ ქორწინებაში მყოფი ყოველი მე-11 ქალი ფიზიკური თუ სქესობრივი ძალადობის მსხვერპლია. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების პროცენტული განაწილება (ცხრილი 5.1).

იმ ქალთა 34,7%-ს, რომელთა მიმართ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან განხორციელებულა ძალადობა, ამის შედეგად გარკვეული სახის დაზიანება აქვთ მიღებული.

გრაფიკი 5.1. ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც მიუღიათ დაზიანება ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის შედეგად; დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე და არმქონე ქალები.



ცხრილი 5.1 ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები  
სქესობრივი პარტნიორის (პარტნიორების) მიერ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების პროცენტული მაჩვენებელი, საცხოვრებლის ტიპის, ასაკის, განათლების დონისა და შემოსავლის მიხედვით, საქართველო, 2009 წელი.

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	დაშავებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი	ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამოცდილების მქონე ქალთა რაოდენობა
საცხოვრებელი ადგილის ტიპი		
ქალაქი	36.2	[21]
სოფელი	35	[17]
თბილისი	32.6	[14]
ასაკობრივი ზოფები		
15 – 24	12	[10]
25 – 34	28	[24]
35 – 44	45	38
45 – 49	15	[13]
განათლება		
არასრული საშუალო	30.8	[8]
სრული საშუალო	31.7	[13]
ტექნიკურ	38.3	[18]
უმაღლესი	37.1	[13]
შემოსავალი		
დიახ	42.9	[18]
არა	31.5	34
საქართველო	34.7	52

იმ ქალთა თანაფარდობა, რომელთაც მიუღიათ ან არ მიუღიათ დაზიანება ძალადობის შედეგად, არ განსხვავდება სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობა – არარსებობის თვალსაზრისით, ეს თანაფარდობა 42.9-%\_57.1%-ზეა საკუთარი შემოსავალის მქონე რესპონდენტთან, ხოლო საკუთარი შემოსავლის არმქონე ქალებთან – 31.5%\_67.6%.

არ არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტულ მაჩვენებლებში მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (დედაქალაქი, სოფელი, ქალაქი) გარკვეულ ტენდენციაზე შეიძლება საუბარი ასაკობრივ ჭრილში: დაზიანებების შემთხვევათა ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (45%) აღინიშნება 35-44 წლის რესპონდენტებთან, შემდეგ კი – 25-34 წლის ქალებთან. ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა სხვა ასაკობრივ ზოფებში (12% - 15-24 წლიანებში და 15% - 45-49 წლის ქალებთან).

კვლევაში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი სხვაობა რესპონდენტთა განათლების დონის მიხედვით. თუმცა შეინიშნება ერთი კონკრეტული ტენდენცია: ტექნიკური (38,3%) და უმაღლესი განათლების (37,1%) მქონე ქალთა უფრო მეტი წილი აღნიშნავს, რომ მიუღია დაზიანება მეუღლის/პარტნიორის ძალადობრივი ქმედების შედეგად, ხოლო იგივე მაჩვენებელი საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებში 31,7% და 30,8%-ია..


კვლევაში გამოყენებული კითხვარი მიზნად ისახავდა მონაცემთა შეკრებას იმ ქალთა ჯანმრთელობისა და ცხოვრების საკითხებზე, რომელთაც გადატანილი აქვთ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან. მათ დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა ძალადობისაგან მიღებული დაზიანებების, მათი სიხშირისა და ტიპების შესახებ.

<p style="text-align: center;">ცხრილი 5.2 ძალადობის შედეგად მიღებულ დაზიანებათა წილი დაზიანებათა სიხშირე და იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვისაც ოდესმე დასჭირვებია სამედიცინო დახმარება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო; საცხოვრებელი ადგილის ტიპის, განათლების დონისა და შემოსავლების მიხედვით. საქართველო, 2009 წ.</p>
---

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები					
	დაზიანებების სიხშირე				
	1-2	3-5	ხუთზე მეტი		
საცხოვრებელი ადგილის ტიპი					
ქალაქი	21.1	15.8	52.6	8	[17]
სოფელი	57.1	14.3	23.8	9	[20]
თბილსი	23.1	46.2	30.8	7	[13]
ასაკობრივი ჰგუთები					
15 – 24	57	0	43	40	[7]
25 – 34	25	33	42	57	[12]
35 – 44	35	25	40	45	[20]
45 – 49	40	40	20	21	[10]
განათლება					
არასრული საშუალო	50	12.5	25	3	[7]
სრული საშუალო	13.3	20	53.3	6	[13]
ტექნიკურ	44.4	33.3	22.2	6	[18]
უმაღლესი	33.3	25	41.7	7	[12]
შემოსავალი					
დიახ	16.7	38.9	33.3	9	[16]
არა	42.9	17.1	37.1	14	34
საქართველო	35.8	22.6	35.8	24	50

ქალებს, რომელთაც განაცხადეს, რომ ჰქონიათ სქესობრივი პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილება, ეკითხებოდნენ, თუ რამდენჯერ მიუღიათ დაზიანება ძალადობის შედეგად (კვლევის მომენტისათვის), დიაგნოსტიკური და სქესობრივი ძალადობის სიხშირის გადანაწილება ქართველ ქალებს შორის (საქართველო, 2009 წ.).

გრაფიკი 5.2 ქალის მიერ ცხოვრების მანძილზე ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების პროცენტული მაჩვენებელი და განაწილება, საქართველო, 2009 წ.




საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოვლენილი სხვაობა შესაბამის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სანდოა (Asymp. Sig. (2-sided) Pearson Chi-Square = 0,040; Likelihood Ratio = 0,039). კვლევამ აჩვენა, რომ სოფელში მცხოვრებ ქალთა უმეტესობა (57.1%), სხვა ჭავუფების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, აღნიშნავს, რომ ძალადობის შედეგად დაზიანებები მათ ერთხელ ან ორჯერ მიუღიათ. ამავე დროს ქალაქებისა ან თბილისის რესპონდენტთა მეტი წილი მიუთითებს, რომ მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრებისას ამგვარი შემთხვევები მათ რამდენიმეჭრ (15.8% და 46.2%) და მრავალჭრ (52.6% და 30.8%) გადახდენიათ თავს. ამგვარი ინციდენტების საერთო მაჩვენებელი (ერთგე მეტჭრ) შემდეგია: სოფლის მცხოვრებლებთან – 38.1%, ქალაქის მაცხოვრებლებთან – 68.4%, თბილისის რესპონდენტებთან – 77%.

ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოვლენილა განსხვავება დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავლის მქონე და არმქონე რესპონდენტთა შორის, არც ასაკობრივი ჭავუფებისა და განათლების დონის ჭრილში.

ქალთა იმავე ჭავუფს (რომელიც აცხადებს, რომ მიღებული აქვს დაზიანება პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის შედეგად) ეკითხებოდნენ, განუცდიათ თუ არა მათ ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი ქმედების შედეგად დაზიანება აქვთ მიღებული ქალთა 25%-ს. ეს მაჩვენებელი არსებითად არ იცვლება მონაცემთა განხილვისას საცხოვრებელი ადგილის, დამოუკიდებელი შემოსავლის ქონა-არქონის, ასაკისა და განათლების დონის გათვალისწინებით. თუმცა მაინც აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ სოფლის მაცხოვრებლებთან შედარებით, რეგიონული ქალაქებისა და თბილისის რესპონდენტების მეტი წილი მიუთითებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში მომხდარი ამგვარი შემთხვევების შესახებ (შეადარეთ, 26,3 % და 30,8% წინააღმდეგ სოფლის მაცხოვრებელთა 19%-სა). ასევე ბოლო 12 თვის განმავლობაში მიყენებული დაზიანებების შესახებ მიუთითებს ახალგაზრდა რესპონდენტების შედარებით მეტი წილი: 20-24 წლის რესპონდენტებთან 42.9%; 25-29 წლისა – 50% წინააღმდეგ 30%-სა 30-34 წლის და 25% -სა 35-49 წლის ქალებთან.

მიღებული მონაცემების თანაბმად, სქესობრივი პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შედეგად ქალებს სხვადასხვა ტიპის დაზიანებები აქვთ მიღებული. დაზიანებების ტიპების მიხედვით, საქართველოში ყველაზე ხშირად მიღებული დაზიანებებია „ნაკაწრები, დაჟეჟილობა, დალურჯებული ადგილები“ – 84,4%, შემდეგ მოდის შიდა ორგანოების დაზიანებები – 29.1%. გრაფიკზე 5.2 წარმოდგენილია საქართველოში ქალთა მიერ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად მიღებულ დაზიანებათა სხვადასხვა ტიპების განაწილება.

გრაფიკი 5.3 პარტნიორების მხრიდან ოჯახში ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების ტიპების პროცენტული მაჩვენებელი, საქართველო, 2009 წ.



სურათი მნიშვნელოვნად არ იცვლება ისეთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში, როგორებიცაა ასაკი, დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობა/არარსებობა. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკუთარი შემოსავლების მქონე ქალებში ძირითადად ფიქსირდება შედარებით მსუბუქი ხასიათის დაზიანებები (დაჭიმვა, ამოვარდნილობა, ჩატეხილი კბილები, გონების დაკარგვა/გულის წასვლა). რაც შეეხება, საკუთარი შემოსავლების არმქონე ქალებს, მათთან უფრო ხშირად ვლინდება მძიმე დაზიანებების შემთხვევები (ფეხმძიმობის მოშლა, ფსიქოლოგიური ზიანი, ტრაუმა).

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მონაცემთა განაწილება იგივე სურათს გვაძლევს.. თუმცა ფიქსირდება გარკვეული თავისებურებები: სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით, ქალაქებში და დედაქალაქებში რესპონდენტები უფრო ხშირად ასახელებენ ისეთ დაზიანებებს, როგორიცაა: გაკაწრა, დაჟეჟილობა, ჩატეხილი (74.1% წი-

ნააღმდეგ 90.9% და 91.2%-სა შესაბამისად). თუმცა, შინაგანი დაზიანებების შესახებ თბილისის რესპონდენტთა შედარებით მეტი წილი მიუთითებს (დედაქალაქში - 48.2%, სოფელში - 20.7% და ქალაქებში 24.2%). მეორე მხრივ, თბილისის შემთხვევაში თითქმის არ დაფიქსირებულა ყურის ბარაბანის/თვალის დაზიანება, თუმცა მსგავსი ტიპის ტრავმები სოფლის (12.4%) და განსაკუთრებით ქალაქების (32.5%) მოსახლეობაში გვხვდება. მთლიანობაში, რეგიონალური ქალაქებისა და თბილისის რესპონდენტთა მეტი წილი მიუთითებს სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა მიღების შესახებ, ვიდრე სოფლის მცხოვრებინ.


ასაკის მიხედვით გამოყოფილ ჰგუფებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შედარებით უფრო დიდი ასაკის ქალებთან აღინიშნება დაზიანებათა სახეების მეტი მრავალფეროვნება. განსაკუთრებით ეს ითქმის 35-39 წლის რესპონდენტებზე, რომლებთანაც გამოვლინდა ყველა ჩამოთვლილი ტიპის დაზიანება, გარდა „ჩატეხილი კბილებისა“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მათთანაა გამოვლენილი დაზიანებათა ყველაზე ხშირი შემთხვევები (ჭამური მაჩვენებელი - 228,2%). დაზიანებათა მრავალგვარობის მიხედვით, შედეგ მოდიან 45-49 წლის (ჭამური მაჩვენებელი - 186,9%) და 40-44 წლის (161,3%) რესპონდენტები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ მათ ცოლქმრული თანაცხოვრების მეტი გამოცდილება აქვთ და მთლიანობაში მათი რიცხვი ამ კატეგორიის, ანუ ძალადობის მსხვერპლთა და ამის შედეგად დაშავებულ ქალთა შორის შედარებით მეტია.

ძალადობის მსხვერპლი ქალების 18,8 პროცენტი აღნიშნავს, რომ მათ ქმართან/პარტნიორთან თანაცხოვრების განმავლობაში ამ უკანასკნელის ძალაობრივი ქმედებების შედეგად დაუკარგავთ გონება.

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებას არ შეაქვს რაიმე არსებითი განსხვავება მონაცემთა განაწილებაში. თუმცა, გარკვეული ტენდენციებზე მაინც შესაძლებელია საუბარი: სხვა ასაკობრივი ჰგუფების წარმომადგენლებთან შედარებით, 35-39 წლის რესპონდენტების მეტი წილი (31% წინააღმდეგ 13-18%-სა სხვა ასაკობრივ ჰგუფებში) აღნიშნავს ამგვარი შემთხვევების არსებობას მათ გამოცდილებაში; არასრული საშუალო (23,1%) და საშუალო (27,9%) განათლების მქონე ქალების უფრო მეტი

წილი მიუთითებს ამგვარი შემთხვევების შესახებ, ვიდრე ტექნიკური და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები (14,9% და 11,4%); საკუთარი შემოსავლის მქონე ქალები შედარებით ნაკლებად ხდებიან ძალადობის მძიმე ფორმის მსხვერპლი (გონების დაკარგვა), იმათთან შედარებით, ვისაც შემოსავალი არ აქვთ (20,4% და 14,6% შესაბამისად); სხვა ქალაქებისა (21,3%) და ქალების (20%) მაცხოვრებლებთან შედარებით, თბილისელ რესპონდენტთა ნაკლები წილი (14%) მიუთითებს ამგვარი გამოცდილების შესახებ.

**გრაფიკი 5.4 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ოდესმე დაუკარგავთ გონება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად; დამოუკიდებელი შემოსავლის ქონა-არქონის ჭრილში.**




ქალთა 21.4%, რომელთაც ოდესმე დაუკარგავთ გონება სქესობრივი პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის შედეგად, აცხადებს, რომ ამგვარ ფაქტს ადგილი ჰქონდა ბოლო 12 თვის განმავლობაში. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით მონაცემთა განხილვისას რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოვლენილა.

ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის გამოივთა გამოკითხულთა 15,3%, რომლებიც ქმრის /პარტნიორის ქმედებათა შედეგად ერთხელ ან რამდენიმეჯერ იმდენად დაშავებულან, რომ საჭირდებოდნენ სამედიცინო დახმარებას (თუმცა, შესაძლოა, მისთვის არ მიუმართავთ). 7,3 პროცენტი ამგვარ სიტუაციაში ერთხელ აღმოჩნდა, 2-ჯერ \_ 3,3 პროცენტი, 3-ჯერ – 2 პროცენტი, ხოლო 4, 5 და 10-ჯერ გამოკითხულთა დაახლოებით თითო-თითო პროცენტი.

გრაფიკებები 5.5 მოცემულია ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო სამედიცინო ჩარევის საჭიროების შემთხვევათა პროცენტული მაჩვენებელი.

გრაფიკი 5.5 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის შედეგად ერთხელ ან რამდენიმეჯერ მძიმე დაზიანება მიიღეს და საჭიროებდნენ სამედიცინო დახმარებას.



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასაკი მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. ამ კრიტერიუმით გამოყოფილ ჰგუფებში განსხვავებული ვითარება დაფიქსირდა და ეს სხვაობა სტატისტიკურად სანდოა (Asymp. Sig. (2-sided) Pearson Chi-Square = .000). სხვა ასაკობრივ ჰგუფებთან შედარებით, საშუალო ასაკის, ანუ 35-39 (20,6%) და 30-34 წლის (18,5%) ქალების მეტი წილი მიუთითებს, რომ ამგვარ სიტუაციაში მათ ერთხელ და მეტჯერ მოუწია ყოფნა. სხვა ჰგუფების შესაბამისი კამური მაჩვენებლებია: 20-24წ. – 6,7%; 25-29წ. – 12%; 40-44 წ. – 13% მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ პასუხისმგან თავი შეიკავა სწორედ 35-39წ. რესპონდენტთა საკმაოდ დიდმა ნარილმა (13,8%); აგრეთვე დიდია ეს მაჩვენებელი 45-49წ. ასაკის რესპონდენტებთან (14,3%). დანარჩენ ჰგუფებში შესაბამისი მაჩვენებელი 0\_3,7% შორის მერყეობს.


იმ ქალების 9,1 პროცენტს, ვისაც ამგვარი რამ მეუღლესთან /პარტნიორთან თანაცხოვრების განმავლობაში თავს გადახდა, ეს ბოლო 12 თვის განმავლობაში შეემთხვა.

სხვა ქალაქებისა (14,3%) და სოფლების (12,5%) მცხოვრებლებისაგან განსხვავებით, თბილისის

არც ერთი რესპონდენტი არ მიუთითებს, რომ ამგვარი რამ მას ბოლო ერთი წლის განმავლობაში შეემთხვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასაკი მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

ამ შემთხვევაშიც, ასაკი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა: ბოლო 12 თვის განმავლობაში ამ ტიპის გამოცდილება პქონდათ მხოლოდ 20-24 წლისა და 24-29 ასაკობრივი ჰგუფების რესპონდენტებს. მიღებული სხვაობა სტატისტიკურად სანდოა (Asymp. Sig. (2-sided) Pearson Chi-Square = .024);

გრაფიკი 5.6 ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც სამედიცინო მომსახურება დასჭირდათ ინტიმური პარტნიორის მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო; დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობს/არ არსებობის ჭრილში.



ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო გამოკითხულთა 18,2% საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ არ მიუმართავთ ექიმისთვის. საჭიროების შემთხვევაში რესპონდენტების 31.8% „ყოველთვის“ და 40.9% „ზოგჯერ~ სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით. საავადმყოფოში დარჩენის პერიოდი (ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთა საერთო რაოდენობის 33.3%) მერყეობს 2-დან 30 ღამემდე. ამ რესპონდენტთა 5.6% საავადმყოფოში 2 ღამე დარჩა, 16.6% - 3 ღამე, 5,6-5,6% - 18 და 30 ღამე შესაბამისად.

იმ რესპონდენტთა პასუხების ანალიზის საფუძველზე, რომელთაც ჰყავთ ან ჰყავდათ ქმარი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- გამოკითხულ ქალთაგან ყოველი მეთერთმეტე ან მეთორმეტე ყოფილა მეუღლის/პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ძალადობის გარკვეული ფორმის მსხვერპლი;
- აღნიშნულ ქალთა ყოველ მესამეს, მეუღლის/პარტნიორის ძალადობის შედეგად გარკვეული ტიპის დაზიანებები აქვს მიღებული;
- ქალთა უმრავლესობა (60.3%), რომელთაც ქმრის/პარტნიორის ძალადობის შედეგად მიღებული აქვთ დაზიანება, აღნიშნულის მსხვერპლი რამდენჯერმე გამხდარა ქმართან/პარტნიორთან თანაცხოვრების პერიოდში.
- საცხოვრებელი ადგილის ჭრილში: თბილისისა და ქალაქების მცხოვრებთა უფრო მეტი წილი ასახელებს ძალადობის შედეგად მიღებულ დაზიანებებს, ვიდრე სოფლის მცხოვრებლები;
- იმ ქალთა ერთი მეოთხედი, ვისაც მიუღია დაზიანება ქმრის/პარტნიორის ძალადობის შედეგად, აღნიშნავს, რომ ამგვარ ფაქტს ბოლო 12 თვეში ჰქონია ადგილი;
- დაზიანებათა ყველაზე ხშირი ტიპებია: ნაკანი, დაუყოლობა, დალურჯება, შინაგანი დაზიანება და ყურის/თვალის დაზიანებები;
- ძალადობის მსხვერპლ ქალთა ერთ მეუთედს დაუკარგავს გონება/წასვლია გულია მათი მეუღლეების/პარტნიორების ძალადობრივი ქმედებების შედეგად;
- მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრების პერიოდში ამგვარი ინციდენტის გამოცდილების მქონე ქალთა ერთი მეუთედი აცხადებს, რომ დაზიანების ფაქტს ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონია ადგილი.
- ძალადობის მსხვერპლთა ერთი მეექვსედის განცხადებით, მათ დაზიანება მეუღლის/პარტნიორის ძალადობის შედეგად, სულ მცირე, ერთხელ მიუღიათ. ძალადობა ისეთი მძიმე იყო, რომ სამედიცინო დახმარება დასჭირდათ. აღნიშნულ რესპონდენტთა გარკვეული ნარილი (დაახლოებით ერთი მეათედი) ამგვარ მდგომარეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში აღმოჩენილა;
- მსხვერპლი ქალების ერთი მესამედი, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის სარგებლობს შესაბამისი სამედიცინო დახმარებით.
- ამ ქალთა მხოლოდ ერთი მესამედი მკურნალობდა საავადმყოფოში, იმის, გამო, რომ მეუღლის/პარტნიორის ძალადობის შედეგად მიღო გარკვეული დაზიანება სხვადასხვა დროს (მკურნალობის პერიოდი 2-დან 30 დღემდე). ამ კუთხით, ასაკი ძალიან მნიშვ-

ნელოვანი აღმოჩნდა: საავადმყოფოებს ძირითადად ახალგაზრდა (20-29 წლის) რესპონდენტები მიმართავენ.

## ფეხმძიმობის პერიოდში მიღებული ძალადობის გამოცდილება

ფეხმძიმობის პერიოდში სტრესის ნებისმიერი ფორმა, იქნება ეს მსუბუქი სტრესი თუ მძიმე, ქალს უქმნის სერიოზულ საფრთხეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ძალადობის ძალიან სერიოზულ გავლენაზე დედისა და ჰერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ჭანმრთელობაზე. კვლევაში დაისვა რამდენიმე შეკითხვა ფეხმძიმობის პერიოდში გადატანილი ფიზიკური ძალადობის გამოცდილების, ასევე, ძალადობისა და დაზიანებების სხვა ფორმების, მათი სიხშირისა და სიმძიმის შესახებ.

საქართველოში იმ ქალთა 2,7%, რომლებიც ოდესმე ყოფილან ფეხმძიმედ, ფეხმძიმობის პერიოდში გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი (ცხრილი 5.3). კვლევაში იმ ქალთა მაჩვენებელი, რომელთაც ფეხმძიმობის პერიოდში ძალადობის გამოცდილება ჰქონიათ, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდება შემოსავლის, ასაკისა და განათლების მიხედვით. მნიშვნელოვანი სტატისტიკური სხვაობა (Asymp. Sig. (2-sided) Pearson Chi-Square = 0,048; Likelihood Ratio = 0,038) გამოვლინდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კერძოდ, ქალაქებისა (3,1%) და თბილისის მაცხოვლებლებთან (4,4%) შედარებით, სოფლის მცხოვრებლებთა გაცილებით ნაკლებმა წილმა (1,6%) განაცხადა, რომ ფეხმძიმობის პერიოდში მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა.

ფეხმძიმობისას განცდილი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლთა 71,1% აღნიშნავს, რომ ასეთ ფაქტს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი, ხოლო 22,2%-ს შემთხვევაში - ორჯერ. ქალთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, ამ ცვლადში განსხვავდება არ დაფიქსირებულა. იმ ქალთა 63,0%, რომელთაც გარკვეული სახის ძალადობა აქვთ გადატანილი ფეხმძიმობის პერიოდში, აღნიშნავს, რომ ამგვარ ფაქტს ბოლო ფეხმძიმობისას ჰქონდა ადგილი. 2,2%-მა პასუხისაგან თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ ფეხმძიმობის პერიოდში ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტთა საერთო რაოდენობის 1,7%-ს შეადგენს.

ცხრილი 5.3. ფიზიკური ძალადობა ფეხმძიმობის დროს  
პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა, რომელთაც განცდილი აქვთ ფიზიკური ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფეხმძიმობის პერიოდში, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, განათლების დონისა და შემოსავლების დონის მიხედვით.  
საქართველო, 2009 წელი

სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები	ძალადობის გამოცდილების მქონე ქალები	ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ფეხმძიმე
საცხოვრებელი ადგილის ტიპი		
ქალაქი	3.1	479
სოფელი	1.6	832
თბილისი	4.4	383
ასაკობრივი ჯგუფები		
15 – 24	4	235
25 – 34	2.2	515
35 – 44	3.3	652
45 – 49	1.5	291
განათლება	0	[6]
არასრული საშუალო	5.8	120
სრული საშუალო	1.8	505
ტექნიკურ	3.3	515
უმაღლესი	2	546
შემოსავალი		
დიახ	3.7	[16]
არა	2.3	29
საქართველო	2	1694


## ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა და ზოგადი ჭანმრთელობა

კვლევაში ქალ რესპონდენტებს სთხოვდნენ შეეფასებინათ საკუთარი ჭანმრთელობის მდგომარეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში. ინფორმაციის მოპოვება ჭანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მანამ ხდებოდა, ვიდრე, ქალებს ძალადობის ფაქტების შესახებ დაუსვამდნენ შეკითხვას. ჭანმრთელობასთან დაკავშირებით მიღებული პასუხები გაანალიზდა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებისა და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამოცდილების მიხედვით.

საქართველოში, იმ ქალების წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ პარტნიორების მხრიდან ფიზიკური თუ სქესობრივი ძალადობა აისახება მათი ჭანმრთელობის მდგომარეობაზე, ორჟერ მეტია, ვიდრე იმ რესპონდენტებისა, რომელთა თანახმად, ძალადობა არანაირ გავლენას არ ახდენს მათ ჭანმრთელობაზე (გრაფიკი 5.7ა და ბ).

### გრაფიკი 5.7ა ძალადობა და ზოგადი ჭანმრთელობა

ქალთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც საუბრობენ საკუთარი ჭანმრთელობის მდგომარეობაზე ზოგადად და პარტნიორის მხრიდან განცდილი ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამოცდილებაზე; ასაკისა და დამოუკდიებელი შემოსავლის მიხედვით.  
საქართველო, 2009 წ.




1. გრაფიკში 5.7.ა „დიახ“ ნიშნავს ქალების პროცენტულ რაოდენობას რომელთაც აქვთ დამოუკდიებელი ეკონომიკური შემოსავალი, „არა“ ნიშნავს ქალების პროცენტულ რაოდენობას ვისაც არა აქვს.

## გრაფიკი 5.7ბ. ძალადობა და ზოგადი ჭანმრთელობა

ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც საუბრობენ საკუთარი ჭანმრთელობის მდგომარეობაზე ზოგადად და პარტნიორის მხრიდან განცდილი ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამოცდილებაზე, საცხოვრებელი ადგილის ტიპისა და განათლების მიხედვით.

საქართველო, 2009 წ.




განათლების დონე გარკვეულ სანდო კავშირშია (Pearson Chi-Square Asymp. Sig. (2-sided) 0,050, Likelihood Ratio 0,028) ამ კრიტერიუმით გამოყოფილ ჯგუფებში მიღებული პასუხების განაწილებასთან: არასრული უმაღლესი განათლების მქონე ქალებთან შედარებით, დანარჩენი ჯგუფების წარმომადგენელთა მეტი ნილი მიუთითებს, რომ მეუღლის ქმედებებმა ძლიერი გავლენა მოახდინა მათ ფიზიკურ თუ სულიერ მდგომარეობაზე.

ძალადობის მიზეზით სამედიცინო მომსახურების საჭიროების თვალსაზრისით ქალთა შორის გარკვეული განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით. ქვემოთ მოცემულია ორი გრაფიკი (გრაფიკი 5.8ა და 5.5ბ), სადაც წარმოდგენილია იმ ქალების პროცენტულ ნილი, რომელთაც ოდესმე მიუმართავთ სამედიცინო დახმარებისთვის იმის გამო, რომ გახდნენ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი. მონაცემები მოცემულია სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით.

## გრაფიკი 5.8A ძალადობა და ჭანმრთელობის მდგომარეობა


ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ოდესმე მიუღიათ სამედიცინო დახმარება; ასაკისა და დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავლის მიხედვით.<sup>2</sup>

საქართველო, 2009 წ.



## გრაფიკი 5.8 ბ. ძალადობა და ჭანმრთელობის მდგომარეობა

ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ოდესმე უსარგებლიათ სამედიცინო მომსახურებით, საცხოვრებელი ადგილის, განათლების დონის მიხედვით, საქართველო, 2009 წ.



2. გრაფიკში 5.8.ა „დიაბ“ ნიშნავს ქალების პროცენტულ რაოდენობას რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავალი, „არა“ ნიშნავს ქალების პროცენტულ რაოდენობას ვისაც არა აქვს.

ძალადობა, სოციალური განზომილების ჭრილში ორი ასპექტით ხასიათდება. ერთ-ერთია ქალის მიერ მამაკაცის მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი აქტის აღქმა და გამართლება. ცნობილია, რომ სოციალური ნორმები და სქემები იმის თაობაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ერთი თუ მეორე სქესის წარმომადგენელმა ადამიანმა, გავლენას ახდენს ისეთი ფენომენების შეფასებაზე, როგორიცაა ძალადობა. ქვემოთ მოცემული ცხრილი 5.4

საშუალებას გვაძლევს გავარვეოთ, თუ რა მიზებით ხსნიან (და გარკვეულნილად ამართლებენ) ქალები მამაკაცის ძალადობრივ ქმედებას ქალის მიმართ.

მოცემულ შეკითხვაზე მიღებულია და გაანალიზებული ქალების მთელი შერჩევის პასუხები. ამ

შეკითხვასთან დაკავშირებით მიღებული შედეგებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანკეტაში ჩამოთვლილი მიზებებიდან არც ერთი არ არის ისეთი, რომელსაც ქალების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა არ აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესპონდენტების ამა თუ იმ ნაწილის თანხმად, ჩამოთვლილთაგან თითოეული შესაძლებელია (და, შესაბამისად, დასაშვებია), იქცეს საკმარის მიზეზად იმისა, რომ მეუღლემ/ პარტნიორმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს ქალს. ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელსაც გამოკითხულთა მესამედი უკერს მხარს, ესაა ქალის ღალატი (32,9%, 6,3% თავს იკავებს პასუხისგან). შემდგომი მნიშვნელოვანი მიზეზებია „მამაკაცს ეჭვი აქვს, რომ ქალი ღალატობს~ (6,6%) და „ქალი არ უკერებს მამაკაცს~(5,4%).

ცხრილი 5.4 ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა (აქვს თუ არა მამაკაცს გასამართლებელი მიზეზი ქალის საცემად) ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც სხვადასხვა მიზეზებით ამართლებს ძალადობრივ ქმედებას, საცხოვრებელი ადგილის, რეგიონის, ასაკის, განათლებისა და დამოუკიდებელი შემოსავლის მიხედვით.

საქართველო, 2009 წ

სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები	დიახ	არა
მამაკაცს არ აკამაყოფილებს ქალის მიერ გაკეთებული საქმე	2.4	96.8
ქალი არ უკერებს მამაკაცს	5.4	91.9
ქალი უარს ამბობს მამაკაცთან სქესობრივ კავშირზე	2.1	95.3
ქალი ეკითხება მამაკაცს ყავს თუ არა მას სხვა მეგობარი ქალები	1.4	96.2
მამაკაცს ეჭვი აქვს, რომ ქალი ღალატობს	6.6	89.7
მამაკაცი იგებს, რომ ქალმა უღალატა	32.9	60.8

ჩვენთვის საინტერესო სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები მნიშვნელოვან კავშირში აღმოჩნდა შესაბამის ჰგუფებში ყველა ჩამოთვლილი მიზეზის გარშემო მიღებული პასუხების განაწილებასთან. სოფლის მაცხოვრებელთა, აგრეთვე არასრული საშუალო განათლების მქონე, საკუთარი შემოსავლის არმქონე ქალთა მეტი წილი, სხვა შესაბამის ჰგუფებთან შედარებით, მამაკაცის ძალადობრივ ქმედებას გამართლებულად მიზეზევს თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის არსებობისას. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ქალის ღალატი. ამჭერად სხვა შესაბამისი ჰგუფებისგან გამორჩეულია გამოკითხულთა ის ჰგუფი, რომელშიც შედარე-

ბით ნაკლებია მათი პროცენტი, ვინც დადებითად პასუხობს ამ შეკითხვას. კერძოდ, ესენი არიან თბილისელი რესპონდენტები, უმაღლესი განათლებისა და საკუთარი შემოსავლის მქონე ქალები. ყველა მითითებულ შემთხვევაში მიღებულია სტატისტიკურად სანდო სხვაობა.

ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი შედეგი ქართულ რეალობაში არის, ის რომ ძალადობრივი ქცევა სოფლის მაცხოვრებლებთან შედარებით ნაკლებად ფიქსირდება. ეს შედეგები სრულიად ენინააღმდეგება იმავე თემაზე განხორციელებულ სხვადასხვა კვლევების შედეგებს (მსოფლიოს ჰანდაცვის ორგანიზაცია, 2005

წელი), რაც შესაძლებელია აიხსნას ოჯახური პრობლემების უცხო ადამიანებისაგან დამალვის მცდელობით (სოციალური პოზიცია). ტრადიციულ საზოგადოებებში ცდილობენ გარკვეული ქმედებები დამალონ და ამას დაარქვან სოციალური ნორმების შეცვლის პროცესი. ტრადიციული საზოგადოების გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის შედეგად, მკვიდრდება ახალი წესები და პირადი ურთიერთობების ახალი ნორმები, თუმცა მათ ჭერ კიდევ არ აქვთ მყარად მოკიდებული ფეხი. ახალი წესებისა და ნორმების დამკვიდრება შეიძლება დანახული იყოს, როგორც ერთ-ერთი არაპირდაპირი ფაქტორი, რის გამოც სოფლის დასახლებებში ქალთა ცხოვრების შესახებ სიმართლეს მაღავენ.


## ძალადობის გავლენა ბავშვებზე

ქალებს, რომელთაც, სულ მცირე, ერთი ბავშვი ჰყავთ (5-12 წლის), ეკითხებოდნენ, ავლენენ თუ არა მათი შვილები რაიმე ქცევით თავისებურებას. ქალებს, რომელთაც ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის რომელიმე ფორმის გამოცდილება ჰქონდათ, სთხოვდნენ შვილების ქცევის შეფასებას. გრაფიკში 5.6 მოცემულია ბავშვებისათვის დამახასიათებელი ქცევითი პრობლემების განაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ბავშვები მიეკუთვნებიან ოჯახებს, სადაც ქალები ფიზიკური ან სქესობრივ ძალადობის მსხვერპლი არიან.

შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ 5-12 წლამდე ბავშვებში ყველაზე მეტად გავრცელებული ქცევითი მოდელებია: სიმორცხვე/საკუთარ თავში ჩავეტილობა (19.6%), ბავშვს ხშირად ესიზმრება კოშმარები (10.4%), დედის ან სხვა ბავშვების მიმართ აგრესიულობა (7.2%); ღამით შარდის შეუკავებლობა (5%), რომლის მაჩვენებელი გაცილებით მეტია ზოგადად დადგენილ პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით (3%)<sup>3</sup>.

## გრაფიკი 5.9. ძალადობის გავლენა ბავშვებზე (5-12 ასაკობრივი ჰაეფი)

ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი იმ დედებთან მიმართებაში, რომლებიც პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი არიან. საქართველო, 2009 წ.



3. A practical handbook for community health nurses working with children and their parents. Ed. Katie Booth and Karen A Luker. 1999. Blackwell Science.

თავი 6.

## ქალთა მიმართ ოჭახში ქალადობასთან ბრძოლა

მარინე ჩიტაშვილი, ლუიზა არუთინოვი

ქალგედ მნიშვნელოვანია ქალის თვალით დანახული ოჭახში ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და იმის ცოდნა, თუ როგორ ართმევენ ქალები თავს ამ პრობლემას, უზიარებენ თუ არა ვინმეს გამოცდილებას და კონკრეტულად ვის მიმართავენ - აღნიშნულ სფეროში მიღვაწე სამსახურებს, დამხმარე ინსტიტუტებს, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ა.შ.

საქართველოში 2006 წლიდან, კანონი ოჭახში ძალადობის შესახებ უფლებას აძლევს პოლიციას ჩაერიოს ძალადობის აღკვეთაში და დასაჯოს დამნაშავეები. გარდა ამისა, არსებობს მცირე რაოდენობით თავშესაფრები ძალადობის მსხვერპლთათვის, სადაც მათზე ზრუნავენ, ეხმარებიან და მკურნალობენ ოჭახში ძალადობის არასასურველ შედეგებისაგან თავის დაღნევაში. მსგავს თავშესაფრებს მართავს სახელმწიფო ან არასამთავრობო ორგანიზაციები. კვლევაში დასახელებული ზრუნვის მომსახურებების, ასევე, მჭიდრო სოციალური ქსელის დამხმარების ხელმისაწვდომობის პრობლემა, ერთის მხრივ, მიუთითებს ამ ორგანიზაციათა ეფექტურობაზე და, მეორეს მხრივ, დამხმარების ამგვარი სისტემის შესახებ საზოგადოების ინთორმირებულობაზე. კითხვარში იყო რამდენიმე კითხვა ქალებისათვის, ვინც გამოსცადა ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა პარტნიორის მხრიდან. კითხვა ეხვოლდა ოჭახში ძალადობასთან ბრძოლის და თავის გართმევის საშუალებებს.

მოცემულ თავში წარმოდგენილია მონაცემები ოჭახში ძალადობის გამომწვევი მიზეზების შესახებ

ქალის თვალთახედვიდან, სტრატეგიები და მომსახურებები, რომლებსაც ქალი იყენებს ძალადობასთან თავის გართმევის მიზნით, სოციალური ქსელები, რომლებსაც ქალი იყენებს საკუთარი გამოცდილების გასაბიარებლად და ოფიციალური სტრუქტურები, რომელთაც ყველაზე ხშირად მიმართავენ დამხმარების მიზნით. გარდა ამისა, განხილულია ქალთა რეაქციები ძალადობის მიმართ და ძალადობისგან თავის დაღწევის მეთოდები.

### ქალის თვალით დანახული ძალადობის მიზეზები

ქალებს, რომლებსაც გამოცდილი აქვთ ფიზიკური ძალადობა მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან, ჰკითხეს ძალადობის მიზეზების შესახებ. პასუხებს შორის ყველაზე ხშირია „მამაკაცის სიმთვრალი“ (51.3%). მეორე ასევე გავრცელებული მიზეზია „ფინანსური პრობლემა“ (25.6%). ქალების მიერ დასახელებულ სხვა პრობლემებს შორისაა „ეჭვიანობა“ (21.9%), „მამაკაცის უმუშევრობა“ (17.3%), „არ არის კონკრეტული მიზეზი“ (15.1%), „სახლში არ არის საგმელი“ (12.4%), „ქალი არ უკერებს მეუღლეს“ (13.7%), „ქალი უარს ამბობს სექსშე“ (11%). შემდგომ მოდის მიზეზები, რომლებსაც 10%-ზე დაბალი მაჩვენებელი აქვს: ოჭახში პრობლემები, სირთულეები სამსახურში, მეუღლის იმპოტენცია, ბავშვები, ავადმყოფობა, ცოლის მხრიდან ეჭვიანობა, სიყვარულის დეფიციტი. ცხრილებში 6.1 და 6.2 დეტალური მაჩვენებლებია წარმოდგენილი (ამ კითხვაზე 123-მა ქალმა უპასუხა, კითხვაში ერთზე მეტი პასუხი იყო დასაშვები).

<p style="text-align: center;">ცხრილი 6.1 ქალის თვალთახედვით დანახული ფიზიკური ძალადობის მიზებები-1 მუცლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი ძალადობის მიზებების, რეგიონებისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით საქართველო, 2009 წელი</p>										
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	არ არის კონკრეტული მიზები	მამაკაცი მთვრალია	ფინანსური პრობლემები	პრობლემები სამსახურში	მამაკაცის უმუშევრობა	საჭმლის უქონლობა სახლში	ოჯახური პრობლემები	ქალის ფეხმიმობა	მამაკაცის გაჭიანობა	ძალადობის მსხვერპლ ქალთა რაოდენობა
საცხოვრებელი ადგილის ტიპი										
ქალაქი	15.7	53.1	28.5	11.3	17.3	14.5	14.8	2.3	25.0	38
სოფელი	15.3	44.9	22.3	5.3	12.1	11.3	10.2	2.1	20.4	45
თბილისი	14.3	59.9	26.7	5.7	23.2	11.8	2.6	0	20.5	39
ასაკობრივი ჯგუფი										
15 – 24	17	23	6	8	0	8	4	6	0	[12]
25 – 34	14	18	3	13	3	8	5	3	2	40
35 – 44	16	22	2	9	5	7	3	2	2	53
45 – 49	16	16	0	10	3	8	10	6	1	[19]
განათლება										
არასრული საშუალო	28.3	26.6	17.4	0	0	10.3	12.5	0	19.5	[22]
სრული საშუალო	17.2	45.9	22.6	3.1	13.9	18.3	8.4	0	35.2	34
ტექნიკური	7.6	64.1	24.5	5.5	28.5	12.9	11.3	4.5	14.3	41
უმაღლესი	13	58.9	38.2	21.7	18.4	5.9	4.1	0	18.2	26
შემოსავალი										
დიას	6.8	63.7	26.3	9.3	19.6	15.3	6.7	0	19.2	35
არა	18.4	46.4	25.4	6.5	16.4	11.3	10.2	2.1	22.9	88
საქართველო	15.1	51.3	25.6	7.3	17.3	12.4	9.2	1.5	21.9	123

<p style="text-align: center;">ცხრილი 6.2 ქალის თვალთახედვით დანახული ფიზიკური ძალადობის მიზებები-2 მუცლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი ძალადობის მიზებების, რეგიონებისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით საქართველო, 2009 წ.</p>								
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	ქალი უარს ამბობს სექსჩე	ქალი არ უჰერებს ქმარს	მეუღლის იმპოტენცია	ბავშვები	ავადმყოფობა	ქალის მხრიდან გაჭიანობა	სიყვარულის დეფიციტი	ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი
საცხოვრებელი ადგილის ტიპი								
ქალაქი	21	21.1	3.4	0	2.8	2.5	0	38
სოფელი	5.4	1.3	2.1	2.2	0	1.6	2.6	45
თბილისი	7.9	20.9	2.7	0	0	2.6	0	39
განათლება								
არასრული საშუალო	6.7	0	0	0	0	0	0	[22]
სრული საშუალო	15.8	10.7	0	0	0	2.8	0	34
ტექნიკური	3.9	17.5	2.3	0	0	2.5	2.8	41
უმაღლესი	19.7	23.2	9.1	0	4.1	2.8	0	26
შემოსავალი								
დიას	9.8	15.5	3	0	3	2.1	0	35
არა	11.5	13	2.6	1.1	0	2.3	1.3	88
საქართველო	11	13.7	2.7	0.8	0.9	2.2	0.9	123

## ძალადობის გამოცდილების გაზიარება

კვლევაში ქალებს დაუსვეს კითხვა, თუ ვის უბიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას ძალადობის შესახებ - უახლოეს სოციალურ ქსელებს თუ სოციალურ მომსახურებებს. კითხვები ისე იყო შედგენილი, რომ ქალებს შეეძლოთ ეპასუხათ, რომ ისინი არავის უმხელდნენ ამ პრობლემას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ პრობლემის არსებობის შესახებ გვაქვს ინფორმაცია, თუმცა არაფერი ვიცით მათ გრძნობებსა და დამოკიდებულებებზე. საქართველოში ძალადობის გამოცდილების გაზიარების მიზნით ქალები ძირითადად მიმართა-

ვენ უახლოეს სოციალურ ქსელს - მშობლებს (47.5%), მეგობრებს (31.2%), დას ან ძმას (22.4%), მეუღლის ოჯახს (14.8%). ქალების 27.8% არავის უბიარებს ამ პრობლემას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალების მესამედი მარტო ართმევს თავს ოჯახში ძალადობას და ყველას უმაღლავს ამ პრობლემას. დაბალია მაჩვენებელი იმ ქალებს შორის, რომლებიც ჩამოთვლილი ახლობლების ნაცვლად სხვებს მიმართავენ პრობლემის გაზიარების მიზნით - სულიერი მოძღვარი (3.2%), პოლიცია (2%), ექიმი (1.9%), ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია (1%). დეტალური შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 6.3ა და 6.3 ბ (ამ კითხვაზე 150-მა ქალმა უპასუხა, დასაშვები იყო ერთხე მეტი პასუხი)

ცხრილი 6.3.ა ოჯახი ძალადობის გამოცდილების გაზიარება  
მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც სხვას უბიარებენ საკუთარ პრობლემას რეგიონებისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით  
საქართველო, 2009 წ.

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	არავინ	მეგობრები	მშობლები	ძმა ან და	ბიძა ან დეიდა	მეუღლის/პარტნიორის ოჯახი	ბავშვები	მეზობლები	პარტნიორის მიერ ფიზიკური ან სექსობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი
საცხოვრებელი ადგილის ტიპი									
ქალაქი	24.1	29.2	44	20.1	10.7	17.7	12	15	48
სოფელი	38.4	22.9	40.7	25.2	25.2	11.8	11.4	10.8	59
თბილისი	17.2	45	60.8	21	21	15.8	1.9	2.6	43
ასაკობრივი ჯგუფი									
15 - 24	20.8	20.8	37.5	12.5	4.2	4.2	0.0	0.0	[24]
25 - 34	18.2	20.5	26.1	13.6	3.4	6.8	1.1	6.8	88
35 - 44	13.9	15.7	24.3	13.9	3.5	10.4	7.0	2.6	115
45 - 49	10.3	15.4	28.2	7.7	2.6	7.7	12.8	12.8	39
განათლება									
არასრული საშუალო	29.4	19.7	38.8	16.4	3.9	12.3	5.6	8.9	26
სრული საშუალო	34.2	25.5	42.3	18.4	4.9	14.4	5.7	10.1	42
ტექნიკური	29.3	35.9	52.2	31.7	3.1	12	12.4	13	47
უმაღლესი	16.9	40.2	53.7	18.9	12.2	20.9	10.5	5.7	35
შემოსავალი									
დიახ	21.6	31.7	61.3	28.4	7.3	17.8	8.7	11.5	42
არა	30.2	31	42.2	20.1	5.3	1.6	9	9.1	108
საქართველო	27.8	31.2	47.5	22.4	5.8	14.8	8.9	9.8	150

<p style="text-align: center;">ცხრილი 6.3.ბ ოჯახში ძალადობის გამოცდილების გაზიარება მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ს ხვას უზიარებენ საკუთარ პრობლემას რეგიონებისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით საქართველო, 2009 წ.</p>							
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	პოლიცია	ექიმი/ ჭანდაცვის მუშავი	სულიერი მოძღვარი	არასამთავრობო ორგანიზაცია/ ქალთა ორგანიზაცია	ბებია	მეუღლის ნათესავები	პარტნიორის მიერ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი
საცხოვრებელი ადგილის ტიპი							
ქალაქი	2.2	0	3.5	3	2.1	0	48
სოფელი	1.3	3	1.7	0	0	1.3	59
თბილისი	2.6	2.6	5.1	0	0	0	43
ასაკობრივი ჰაბუფი							
15 - 24	0	0	0	0	0	0	[24]
25 - 34	0	0	0	0	0	0	88
35 - 44	0.1	0	0.1	0	0	0	115
45 - 49	0.3	0.2	0.1	0.1	0.1	0	39
განათლება							
არასრული საშუალო	0	0	0	0	0	0	26
სრული საშუალო	2.5	4.2	2.4	0	0	0	42
ტექნიკური	2.4	2.4	5.9	0	2.1	1.6	47
უმაღლესი	2.2	0	3	4.2	0	0	35
შემოსავალი							
დიახ	4.5	4.5	5.2	0	0	0	42
არა	1	0.9	2.5	1.3	0.9	0.7	108
საქართველო	2	1.9	3.2	1	0.7	0.5	150


წარმოდგენილი მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ქალები არ მიმართავენ ოფიციალურ თრგანიზაციებს დახმარებისთვის. ისინი ოჯახში ძალადობის შესახებ პრობლემებს უზიარებენ ახლობლებს, უფრო მეტად საკუთარ მშობლებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ვიდრე მეუღლის ნათესავებს. ამ შედეგებით ნათლადაა ასახული ტრადიციული საბოგადოების ტიპი, სადაც მსგავსი ფაქტები საიდუმლოდ რჩება ოჯახის შიგნით და ქალები დაუცველი არიან მეუღლის ოჯახში (ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხოლოდ 14.9% უზიარებს ამ პრობლემას მეუღლის ოჯახს).

ქალების მიერ ოჯახში ძალადობის გაზიარების ფაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება ასაკის,

დამოუკიდებელი მატერიალური შემოსავლის, განათლების დონისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით. გრაფიკში 6.1ა მოცემული ციფრები წარმოადგენს ოჯახში ძალადობის გაზიარების ფაქტებს ასაკობრივი ჰაბუფების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევათა სიმცირის გამო, ჩვენ მხოლოდ ტენდენციას ვაფიქ-სირებთ და არა კორელაციას. გრაფიკში 6.1ა ნაჩვენებია, რომ ოჯახში ძალადობის გაზიარების უმაღლესი მაჩვენებელი მოდის მშობლებზე (ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ნებისმიერ ასაკობრივ ჰაბუფში). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამ თვალსაზრისით მოდის მეუღლის ოჯახები.

## გრაფიკი 6.1.ა ძალადობის გამოცდილების გაზიარება

მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.  
საქართველო, 2009 წ.




გრაფიკში 6.1.ბ წარმოდგენილია ოჭახში ძალადობის გამოცდილების გაზიარების მაჩვენებლები იმ ქალებთან მიმართებაში, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი მატერიალური შემოსავალი. მონაცემები ცხადყოფს, რომ შემოსავლის მქონე ქალთა შორის გამოცდილების გაზიარების მაჩვენებელი განსხვავდებულია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის მშობლებზე. შემდეგ მოდის მეგობრები, არავინ და მეუღლის ოჭახი (ეს ფაქტორი არ არის დამოუკიდებული ქალის შემოსავალზე). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით, დიდი განსხვავებაა შემოსავლის მქონე და არმქონე ქალებს შორის. ქალები, რომლებსაც აქვთ შემოსავალი, უფრო თავისუფლად უზიარებენ სხვას ოჭახში ძალადობის გამოცდილებას (21.6%), ვიდრე შემოსავლის არმქონე ქალები (30.2%).

## გრაფიკი 6.1.ბ ძალადობის გამოცდილების გაზიარება

მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი რომლებიც საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ სხვებს დამოუკიდებელიშემოსავლის არსებობის მიხედვით.<sup>1</sup>  
საქართველო, 2009 წ.


1. გრაფიკი 6.1.ბ “დიახ” ნიშნავს, რომ ქალებს აქვთ დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავალი, “არა” ნიშნავს დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავლის არ ქონას.



გრაფიკში 6.1.გ წარმოდგენილია ოჭახში ძალადობის გამოცდილების გაზიარების მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით. მონაცემებში ჩანს, რომ განათლების დონე გავლენას ახდენს ქალებზე ძალადობის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით (იგულისხმება ახლობლები). თუმცა, იმ ქალთა წილი, რომლებიც არავის უმხელენ ოჭახში ძალადობის პრობლემას, კვლავ მაღალია (30%) და შედარებით მცირეა უმაღლესი განთლების მქონე ქალთა შორის.

## გრაფიკი 6.1.გ ძალადობის გამოცდილების გაზიარება


მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით  
საქართველო, 2009 წ.



გრაფიკში 6.1.დ წარმოდგენილია ოჭახში ძალადობის გამოცდილების გაზიარების მაჩვენებლები საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით. შედეგები ცხადყოფს, რომ ოჭახი ძალადობის გამოცდილების გაზიარების შემთხვევები ყველაზე მაღალია თბილისში და ყველაზე დაბალი - სოფლებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს სოფლად მცხოვრები ქალების დამოკიდებულება ოჭახის წესის, როგორც სოციალური ნორმის მიმართ - ოჭახური პრობლემები გარეთ არ უნდა გავიდეს.

## გრაფიკი 6.1.დ ძალადობის გამოცდილების გაზიარება

მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის  
მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი  
საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით  
საქართველო 2009



## სოციალურ ქსელში და სხვა ოფიციალურ ინსტიტუტებში დახმარების ძიება

პვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ქალთა გარკვეულ ნაწილს ურჩევნია ახლობლებს გაუზიაროს ოჯახში ძალადობის ფაქტები, ვიდრე ოფიციალურ ორგანიზაციებს მიმართოს. თუმცა, კვლევაში გამოყენებული იყო კითხვები, რომლებიც უზრუნველყოფდა სამიზნე ჰაგუფიდან დახმარების ფაქტების დადგენას ვინორ სოციალური ქსელის ფარგლებში. ცხრილებში 6.4.ა და 6.4.ბ ნარმოდებინილია იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებაც განიცადეს ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან და მიიღეს დახმარება მათგან, ვისაც გაუზიარეს ეს პრობლემა. ძირითადად ქალები დახმარებას იღებენ მშობლებისგან (37.9%), მეუღლის ოჯახ-

**ცხრილი 6.4.ა ახლობლები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს დახმარებას სთავაზობენ  
მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც შესთავაზეს  
დახმარება რეგიონებისა და საცხოვრებელი ადგილის ტპის მიხედვით  
საქართველო, 2009 წ.**

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	არავინ	მეგობრები	მშობლები	და ან ძმა	ბიძა ან დეიდა	მეუღლის/ პარტნიორის ოჯახი	პარტნიორის მიერ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი
საცხოვრებელი ადგილის ტიპი							
ქალაქი	38	16.7	34.2	10.4	6.7	16.3	48
სოფელი	45.9	8.1	32.4	13.8	3.4	13.3	59
თბილისი	27	25.2	49.9	8.3	0	24.9	43
ასაკობრივი ჰაეფები							
15 - 24	35	20	30	5	5	5	20
25 - 34	34	9	24	7	4	12	74
35 - 44	23	9	24	8	1	15	86
45 - 49	14	11	30	11	0	8	37
განათლება							
არასრული საშუალო	38.6	4.4	23.4	6	3.9	15.6	26
სრული საშუალო	45.3	17.8	31.3	6.3	4.8	20	42
ტექნიკური	34.1	23.9	46.6	19	0	13.1	47
უმაღლესი	34.1	10.5	45	10.2	6.3	22.1	35
შემოსავალი							
დიახ	28.2	18.9	53.5	17.8	2.4	16.2	42
არა	41.8	14.5	32	8.6	3.9	18.1	108
საქართველო	38	15.7	37.9	11.2	3.5	17.5	150

ცხრილი 6.4.ბ ახლობლები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს დახმარებას სთავაზობენ  
მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც  
შესთავაზეს დახმარება რეგიონებისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით  
საქართველო 2009

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	ბავშვები	მეზობლები	პოლიცია	სულიერი მოძღვარი	მეუღლის ნათესავები	პარტნიორის მიერ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი
საცხოვრებელი ადგილის ტიპი						
ქალაქი	12.6	18.7	0	3.5	0	48
სოფელი	7	6.4	1.3	0	1.3	59
თბილისი	9.3	4.8	0	2.5	0	43
ასაკობრივი ჰგუფები						
15 - 24	0	0	0	0	0	20
25 - 34	0	7	0	3	0	74
35 - 44	10	6	1	0	1	86
45 - 49	14	11	0	3	0	37
განათლება						
არასრული საშუალო	5.6	9.8	0	0	0	26
სრული საშუალო	6.6	5.2	0	0	0	42
ტექნიკური	17	19.3	0	3.5	1.6	
უმაღლესი	5.5	2.6	2.2	3	0	35
შემოსავალი						
დიახ	9.4	8.8	1.9	2.5	0	42
არა	9.4	10.2	0	1.5	0.7	108

ისგან (17.5%), მეგობრებისგან (17.5%), დისგან ან ძმისგან (11.2%), მეზობლებისგან (9.8%), ბავშვებისგან (9.4%), ბიძის ან დეიდისგან (3.5%), სულიერი მოძღვრისგან (1.8%) და პოლიციისგან (0.5%). ქალების საკმაოდ დიდი ნაწილი ეძებს დახმარებას ახლობლების წრეში, მაგრამ ვერ იღებს მას (38%). (ამ კითხვაზე 150-მა ქალმა უპასუხა და 1-8ები პასუხი იყო დასაშვები).

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ დახმარების მოძიება ოფიციალურ ორგანიზაციებში ძალიან იშვიათია. კვლევაში გარკვეული შეკითხვების მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რატომ არ მიმართავენ ქალები ოფიციალურ სტრუქტურებს. ცხრილში 6.5 წარმოდგენილია მიზებები, რომლებიც მითითებულ იქნა ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის

მსხვერპლი ქალების მიერ დახმარების მოძიება/არ მოძიებასთან დაკავშირებით (რომელთა გამო ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა მიმართეს/არ მიმართეს სხვადასხვა დანესებულებებსა თუ უწყებებს პარტნიორის ძალადობის გამო). დახმარების ძიების ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზია “სხეულის მძიმე დაზიანება” (30.2%), ხოლო უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მიმართავენ ქალები დახმარებას არის უხერხებულობა, სირცხვილი და შიში (29.6%), ასევე, ოჯახის რეპუტაციის შეღახვა (23.7%). აღნიშნულ მიზეზებს მოსდევს კიდევ ორი - “ძალადობა ნორმალურია ან არ არის ძალიან სერიოზული” (16.2%) და “მუქარის/ შედეგების/ მორიგი ძალადობის შიში” (11.9%).

ცხრილი 6.5 ორგანიზაციისგან ან პიროვნებისგან დახმარების ძიების ან არძიების ყველაზე გავრცელებული მიზეზები მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიერ დასახელებული მიზეზები, რატომ ეძებენ ან არ ეძებენ დახმარებას ერთი ორგანიზაციისგან მაინც მეუღლის ან პარტნიორის ძალადობის გამო საქართველო, 2009 წ.		
	პროცენტი	შემთხვევათა რაოდენობა
დახმარების ძიების ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები		
ოჯახის/მეგობრების მიერ წაქებები	17.1	[5]
მეტის ატანა ვედარ შეძლო	79	[22]
სერიოზულად დაშავდა	30.2	[8]
მამაკაცი მოკვლით დაემუქრა ან მოკვლა სცადა	6.3	[2]
მამაკაცი დაემუქრა ბავშვებს ან დაარტყა მათ	2.9	[1]
ხედავდა ბავშვების ტანკვას	7	[12]
ეშინოდა, რომ მეუღლე მას მოკლავდა	6.9	[2]
სულ	149.9	28
დახმარების არძიების ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები		
მუქარის/ შედეგების/მორიგი ძალადობის შიში	11.9	[14]
ძალადობა ნორმალურია/არაა სერიოზული	16.2	[20]
უხერხულობა/სირცხვილი/შიში რომ მას არ დაუჭერებენ ან დაადანაშაულებენ	29.6	36
სხვა ქალების მაგალითი იცის/არ სჭერა, რომ დაეხმარებიან	7.2	[9]
ეშინია ურთიერთობების დასრულების	3.3	[4]
ეშინია ბავშვების დაკარგვის	6.7	[8]
ოჯახის რეპუტაციის შელახვა	23.7	29
არ ფიქრობს რომ აუცილებელია/არ მიიჩნევს ამას დიდ ძალადობად	5.6	[7]
აზრი არა აქვს, მაინც იგივე გაგრძელდება	1.1	[1]
მეუღლის ავადმყოფობა	0.8	[1]
უკანონოდ ცხოვრება რუსეთში	0.9	[1]
სულ	133.5	122

## წინააღმდეგობის განევა ძალადობაზე

ძალადობაზე საპასუხო რეაქციის შემთხვევები საქართველოში ძალიან მცირეა. ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის ქვეშ მყოფი ქალების 63.4%-ს არაფერი მოუმოქმედია საპასუხოდ. 15.4%-ს ჰქონდა ერთი მცდელობა ამ თვალსაზრისით, 10.6%-ს \_ რამდენიმე და მხოლოდ ქალების 8.1% ცდილობს ძალადობასთან ბრძოლას.

ცხრილში 6.6. წარმოდგენილია მონაცემები იმ ქალებზე, რომლებსაც აქვთ საპასუხო რეაქცია ძალადობაზე. თვისობრივ კვლევაში გამოყოფილი იყო სპეციალური თავი ინტერვიუებისთვის ქალებთან, რომლებიც სასკელს იხდიან მოძალადე პარტნიორებზე საპასუხო რეაქციის გამო. თუმცა, სამწუხაროდ, ინტერვიუერთა ჯგუფს არ მიეცათ უფლება გასაუბრებოდნენ ამ ქალებს 2009 წლის გაზაფხულზე ქალთა საპატიმროში მომზდარი არეულობის გამო.

ცხრილი 6.6 ქალების საპასუხო და თავდაცვითი რეაქცია ფიზიკურ ძალადობაზე პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს პარტნიორების ფიზიკურ ძალადობას რეგიონებისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის მიხედვით. საქართველო, 2009 წ.					
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	არასდროს	ერთხელ ან ორჯერ	რამდენჯერმე	ბევრჯერ	პარტნიორის მიერ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი
საცხოვრებელი ადგილის ტიპი					
ქალაქი	64.9	13.5	10.8	10.8	37
სოფელი	63	19.6	6.5	4.3	40
თბილისი	62.5	12.5	15	15	40
ასაკობრივი ჯგუფები					
15 - 24	58	33	8		[12]


25 - 34	70	8	8	10	40
35 - 44	61	17	13	9	54
45 - 49	58	21	11	5	[19]
განათლება					
არასრული საშუალო	68.2	18.2	4.5	9.1	[22]
სრული საშუალო	71.4	11.4	5.7	5.7	35
ტექნიკური	53.7	19.5	14.6	9.8	41
უმაღლესი	61.5	15.4	15.4	7.7	26
შემოსავალი					
დიახ	60	11.4	14.3	14.3	35
არა	65.9	17	9.1	4.5	88
საქართველო	63.4	15.4	10.6	8.1	123

## ძალადობის გამო ოჯახის დატოვება

ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა ქალების სახლიდან წასვლას ფიზიკური ძალადობის გამო. გრაფიკული 6.2 და 6.3. ასახავს ქალების მიერ ძალადობის გამო სახლის დატოვების პროცენტულ მაჩვენებლებს და სიხშირეს. შედეგები ცხადჰყოფს, რომ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის საკმაოდ გამოხატულია მათი წილი, ვისაც 2-5-ჯერ აქვს დატოვებული სახლი. ამ მხრივ ყველაზე მეტი ამ ქალთა წილი 30-34-სა და 45-49 წლიანებს შორის, აგრეთვე ტექნიკური განათლების მქონეთა და თბილისის მაცხოვრებელთა შორის.


## გრაფიკი 6.2 სახლიდან წასვლა ძალადობის გამო

პარტნიორის ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამო სახლიდან წასვლის სიხშირე ასაკობრივი ჭგუფებისა და დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავლის მიხედვით<sup>2</sup> საქართველო, 2009 წ.



## გრაფიკი 6.3 სახლიდან წასვლა ძალადობის გამო

პარტნიორის ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამო სახლიდან წასვლის სიხშირე საცხოვრებელი ადგილის ტიპის და განათლების მიხედვით საქართველო, 2009 წელი



ქალები, რომლებიც ერთხელ მაინც წასულან სახლიდან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამო, ყველაზე ხშირად ასახელებენ მიზეგს, რომ მეტის ატანა არ შეეძლოთ (84.5%) და სერიოზული დაზიანება მიიღეს (10.2%). დასახელებული მიზეგები ცხადჰყოფს, რომ ქალები ოჯახს მოოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ტოვებენ. ისეთი მიზეგი, როგორიცაა, მაგ. მოკვლით დამუქრება, იშვიათად სახელდება სახლიდან წასვლის მიზეგად. მოკვლის მუქარას ან მცდელობას მხოლოდ 5.7% აღიარებს, მუქარას ბავშვების მიმართ, მათ ცემას და ბავშვების ტანკვას - 6%, მოკვლის შიშს - 6.3% და სახლიდან გაგდებას - 4.7%.

2. გრაფიკში 6.2 „დიახ“ ნიშნავს, რომ ქალებს აქვთ დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავალი, „არა“ ნიშნავს დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავლის არ ქონას.

<p style="text-align: center;">ცხრილი 6.7 ძალადობის გამო სახლიდან წასვლის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიერ დასახელებული მიზეზები, რომლებიც ერთხელ მაინც წავიდნენ სახლიდან პარტნიორის ძალადობის გამო საქართველო, 2009 წ.</p>		
სახლიდან წასვლის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები	პროცენტი	შემთხვევათა რაოდენობა
ოჯახის/მეუღლების მიერ წაქებება	1.6	[1]
მეტის ატანა ვეღარ შეძლო	84.5	55
სერიოზულად დაშვდა	10.2	[7]
მამაკაცი მოკვლით დაემუქრა ან მოკვლა სცადა	5.7	[3]
მამაკაცი დაემუქრა ბავშვებს ან დაარტყა მათ	6	[4]
ხედავდა ბავშვების ტანკვას	6	[4]
სახლიდან გაგდება	4.7	[4]
შიში, რომ მეუღლე მას მოკლავს	6.3	[4]
ფიზიკური ძალადობა	1.5	[1]
არ არის კონკრეტული ინციდენტი	1.3	[1]
<b>სულ</b>	<b>127.8</b>	<b>65</b>

ქალებს ასევე ჰქონდეს იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ დაბრუნდენ სახლში ძალადობისგან გაქცევის შემდეგ. ცხრილი 6.8 გვიჩვენებს სახლში დაბრუნების ყველაზე ხშირად დასახელებულ მიზეზებს - „არ უნდა ბავშვების მი-

ტოვება”(36.6%), „ოჯახისა და ბავშვების გამო” (31.5%), „მეუღლემ სთხოვა დაბრუნება” (26.8%), „სიყვარული” (16.5%), მან „აპატია” (16.3%), „ოჯახმა სთხოვა დაბრუნება” (12.6%).

<p style="text-align: center;">ცხრილი 6.8 ძალადობის გამო სახლიდან წასვლის შემდეგ დაბრუნების ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიერ დასახელებული მიზეზები, რომლებიც ერთხელ მაინც წავიდნენ სახლიდან და ისევ დაბრუნდნენ საქართველო, 2009 წ.</p>		
დაბრუნების ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზებია	პროცენტი	შემთხვევათა რაოდენობა
არ უნდოდა ბავშვების დატოვება	36.6	[16]
ქორწინების სანქცირება	6.1	[3]
ოჯახის/ბავშვების გამო	31.5	[14]
ვეღარ არჩენდა ბავშვებს	4.4	[2]
უყვარდა კაცი	16.5	[7]
მამაკაცმა სთხოვა ქალს დაბრუნება	26.8	[12]
ოჯახმა სთხოვა დაბრუნება	12.6	[6]
ქალმა მამაკაცს აპატია	16.3	[7]
ქალს იმედი ჰქონდა, რომ შეიცვლებოდა	8.6	[4]
დაემუქრა მას/ბავშვებს	3	[1]
ვეღარ დარჩებოდაიქ, სადაც თავშესაფარი იპოვა	8.4	[4]
ძალადობა ნორმალურია/არასერიობულია	4.3	[2]
<b>სულ</b>	<b>175</b>	<b>44</b>

ქალების მიერ გაცემული პასუხები ბუნდოვანია და არ არის ნათლად გამოხატული, თუ რატომ რჩებიან ისინი პარტნიორებთან ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მიუხედავად. ქალების 68.5% არ აკონკრეტებს მიზეზს და ფაქტი ისაა, რომ ქალი ინარჩუნებს ოჯახს და რჩება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.

სოდეს წასულა სახლიდან, შედარებით უფრო ხშირად ფიგურირებს დაახლოებით იგივე ფაქტორები, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით, ანუ ოჯახთან და ბავშვებთან; აგრეთვე მეუღლესთან დაკავშირებული მიზეზები; მათ ემატება მარტო დარჩენის შიში (12.7%) და სხვაგან წასვლის შესაძლებლობის არარსებობა (14.9%).

მიზეზებს შორის, რომელთა გამო გამოკითხულთა წანილი, ქმრის საქციელის მიუხედავად, არა-

სხვადასხვა დემოგრაფიული ნიშნის საფუძველზე გამოყოფილი ჯგუფების პასუხების განაწილება არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ცხრილი 6.9 გვიჩვენებს გამოვითხულთა მიერ დასახელებულ მიზეზებს, თუ რატომ არ მიღიან ისინი სახლიდან ძალადობის მიუხედავად.

ცხრილი 6.9 ოჭახიდან არნასვლის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები ძალადობის მიუხედავად მეუღლის ან პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიერ დასახელებული მიზეზები, თუ რატომ არ მიღიან სახლიდან ძალადობის მიუხედავად საქართველო, 2009 წ.		
	პროცენტი	შემთხვევათა რაოდენობა
ოჭახიდან არნასვლის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები	25.2	[20]
არ უნდოდა შვილების მიტოვება	8.6	[7]
ქორწინების სანქცირება	32.3	26
ვერ არჩენდა ბავშვებს	7.6	[6]
უყვარდა ქმარი	9.6	[8]
არ უნდოდა მარტო დარჩენა	12.7	[10]
ოჭახმა სთხოვა დარჩენა	5.3	[4]
აპატია მას	16.1	[13]
იმედი ჰქონდა, რომ ქმარი შეიცვლებოდა	17.1	[14]
აშინებდა მას/ბავშვებს	14.9	[12]
ძალადობა არ იყო სერიოზული	17.2	[14]
ქმარმა არ მისცა სახლის დატოვების უფლება	1.3	[1]
თავი შეიკავა პასუხისმგან	7.5	[6]
სულ	176	81

თავი 7.

## სცენის მიღმა: თვისებრივი კვლევის შედეგები

ლია წულაძე

### რა არის ძალადობა?

ნებისმიერ ინგლისურენოვან ლექსიკონში ტერმინი „ძალადობა“ შემდეგნაირადაა განმარტებული: ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც იწვევს დაზიანებას/გამიზნულია დაზიანებაზე, განადგურებაზე, ა.შ..აღსანიშნავია, რომ ამ განსაზღვრებაში აქცენტი ფიზიკურ ძალაზეა გაკეთებული. ფიზიკური ძალის გამოყენება იწვევს ხილული ზიანის მიყენებას ან განადგურებას და არაფერია თქმული ძალადობის ისეთ ფორმებზე, რომელიც თვალისათვის ხილული არაა, თუმცა უაღრესად სახიფათოა ადამიანისათვის. მაგალითად, ემოციური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა. სავარაუდოდ, ლექსიკონის განსაზღვრება ასახავს ძალადობის ყველაზე გავრცელებულ აღქმას და მოიაზრებს ფორმებსაც, რომელსაც ადამიანები ვერ ხედავენ და ვერ გრძნობენ, ვიდრე ისინი თვალსაჩინო არ გახდება. აქედან გამომდინარე, ძალადობის მსხვერპლი ადამიანები ხშირად ვერც კი აცნობიერებენ, რომ მსხვერპლი არიან. შესაბამისად, არც საზოგადოება და არც თავად ძალადობის მსხვერპლი აკეთებს რამეს ძალადობასთან საბრძოლველად. ზემოაღნიშნული ზუსტად შეესაბამება ჩვენი კვლევის მონაცემებს. მოდით, შევიხედოთ სცენის მიღმა და გამოვაჭლინოთ გენდერული ძალადობის ნაკლებად თვალსაჩინო ასპექტები საქართველოში.

ფართო საზოგადოებისათვის ჩვენი მიმოხილვის გამარტივებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია კულტურული თავისებურებების გათვალისწინება. არსებობს შეხედულება, რომ ტიპოლო-

გიურად ქართული კულტურა მიეკუთვნება კოლექტივისტური კულტურის ტიპს, რომელიც ორიენტირებულია მცირე სოციალურ ჯგუფებზე და, რაც მთავარია, ოჯახზე, ურთიერთმიჯაჭვულობაზე, მჭიდრო ემოციურ ურთიერთობებზე, სირცხვილზე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიაზე სოციალურ ურთიერთობებში, ა.შ. (ნიუარაძე, 2001; სურმანიძე, 2000, 2001, 2003; წულაძე 2003.). ისტორიულად, მცირე სოციალურ ჯგუფებზე ორიენტაცია გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საუკუნეების განმავლობაში, თვითმყოფადობის შენარჩუნება და თავდაცვა იყო ეთნიკური იდენტობის ფორმირების ორი მთავარი სტრატეგია. ამ პროცესში, ოჯახის ერთიანობა და შეკრულობა გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ოჯახი წარმოადგენდა სახელმწიფოს „მიკრო მოდელს.“ აღსანიშნავია, რომ ქართულ კულტურაში ოჯახის ღირებულება, მისი მიღრევილება ერთიანობისა და შეკრულობისკენ, სხვა შიდა ჯგუფებზეც ვრცელდება (ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ა.შ.).

რა არის „ოჯახის“ მთავარი საყრდენი ძალა საქართველოში? ნებისმიერი ადამიანი, ვინც ქართულ კულტურას იცნობს, გიპასუხებთ, რომ ეს არის „დედა.“ ნამდვილად, საქართველოში დედის კულტი საკმაოდ ძლიერია. ქალის, როგორც დედის, სოციალური ღირებულების თაყვანისცემა ეფუძნება ქართულ ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც ქალს ოჯახში რელიგიის მთავარ გამავრცელებლად განიხილავს. გარდა ამისა, ქალისაგან კულტის შექმნა ისტორიული პირობებითაცაა გამოწვეული. მამაკაცს, გაუთავებელი

ომების გამო, ხშირად უწევდა სახლიდან შორს ყოფნა, ამიტომ დედა განიხილებოდა მამაკაცის ჩამნაცვლებლად და მეუღლედ, ანუ უღლის<sup>1</sup> მატარებლად. ამ კულტს ზურგს უმაგრებს დედის, როგორც „ბავშვის აღმზრდელის“ სოციალური ოოლი და მომავალი თაობის აღმზრდაში „დედის ხაზის“ გაძლიერება. ამავე დროს, ისტორიულმა პირობებმა ქალი აიძულა, ბავშვის აღმზრდის მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აეღო და შეეთავსებინა „მამის ხაზის“ ელემენტებიც. ამგვარად, ნორმატული სტერეოტიპის (ქალი - თავმდაბალი და მორჩილი) მიუხედავად, ქართველი ქალი ყოველთვის ღომინანტურ ფუნქციას ასრულებდა ოჭახის ცხოვრებაში. დღეს-დღეობით, დედის გავლენა ბავშვის, თუნდაც მომზრდილი შვილის ცხოვრებაში, ჰერ კიდევ საკმაოდ ძლიერია საქართველოში. მაგალითად, დედის გემოვნება და შეხედულება ხშირად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივია დაქორნინგისას. შესაბამისად, მეუღლის პარმონიული ურთიერთობა დედასთან/დედამთილთან ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს მეუღლებს შორის ურთიერთობებში.

ქართულ კულტურაში დედის კულტი ასევე კარგად ჩანს კანონიერი ქორნინების მყარ ნორმატულ ღირებულებაშიც, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს ქრისტიანული იდეოლოგიის ღრმა გავლენას. ცნობილია, რომ ამ იდეოლოგიის თანახმად, სექსუალური ქცევა, ჩვეულებრივ, განიხილება რელიგიურ-ეთიკური კუთხიდან. სექსუალობის ორი მთავარი ასპექტიდან – ეროტიზმი და რეპროდუქცია, მხოლოდ ეს უკანასკნელია ტრადიციულად ნამყანი (და არა მხოლოდ საქართველოში). რაც შეეხება ეროტიზმს, ეს სფერო განსაკუთრებული ბენოლის ქვეშაა, მას მკაცრად არეგულირებენ და მისი გამოაშვარავება ამორალურ აქტად ითვლება. ამავე დროს, ორმაგი მორალი ქალს უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე მამაკაცს. რა თქმა უნდა, საკითხი ეხება არა ეროტიზმის არარსებობას, არამედ კულტურის ნორმატულ ორიენტაციას, რომელიც ეროტიზმს იდეოლოგიური აზროვნების კონტექსტში განიხილავს.

ქართული კულტურის რამდენიმე არსებითი ასპექტი, რომელიც, შესაძლოა, დაგვეხმაროს ოჭახში ძალადობის გარკვეული ასპექტების ახ-

1. ოველდღიურ ენაში „ცოლი“ ხშირად არის ხოლმე ჩანაცვლებული სიტყვით „მეუღლე“, რაც უღლის მზიდავ ადამიანს ნიშნავს, ხოლო სიტყვა „დედაკაცი“ შედგება დედისა და ვაცისაგან და ნიშნავს ქალს.

სნაში, ოჭახის კონტექსტში უკვე განვიხილეთ, ახლა დავუბრუნდეთ გენდერული თანასწორობისა და ოჭახში ძალადობის აღქმის საკითხს ჩვენი კვლევის ფარგლებში. ფოკუსური ჯგუფების ტრანსკრიპტებიდან ამონარიდი დაახლოებით შეგიმნით წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ ჩვენი რესპონდენტები გენდერულ თანასწორობაზე. აუცილებელია, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მამაკაცებსა და ქალებს თითქმის ერთნაირი შეხედულებები აქვთ ოჭახში ძალადობის საკითხის მიმართ.

**რესპონდენტი #2:** „ქალმა შესაძლოა თავი არას-რულყოფილად იგრძნოს, რადგან მას აზრს არ ეკითხებიან. ესლა წარმოიდგინეთ ქართველი მამაკაცი, რომელიც ყოველ ხუთ წუთში რაღაცას ეკითხება მეუღლეს, ეს წარმოუდგენელია. რაღაც დონე არსებობს, რაღაც საზღვარი, რომლის გადაკვეთა დაუშვებელია. რაღაც პრიორიტეტები არსებობს, რასაც ქალს დაფუთმობ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.....“

**რესპონდენტი #3:** „ყველა წვრილმანჩე მეუღლეს ხომარ შევუთანხმდები. მაგალითად, მეგობართან წასვლა მინდა ან მეგობრის სახლში მიყვანა.“

მოდერატორი: „და თქვენს მეუღლეს რომ მოუნდეს მეგობრის მოყვანა, მან უნდა გვითხოთ?“

**რესპონდენტი #3:** „რა თქმა უნდა, მეუღლემ უნდა მვითხოს.“

[ფოკუსური ჯგუფი, მამაკაცები, ასაკი 35-59, თბილისი]

**რესპონდენტი:** „მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს-ად კაცები ახორციელებენ ძალადობას ქალების მიმართ, არის ოჭახი, სადაც ქალები არიან მოძალადებები, ისინი დომინირებენ მამაკაცებზე. ჩემთვის ეს მიუღებელია.“

**მოდერატორი:** „თქვენთვის მიუღებელია ქალი მოძალადე, მაგრამ რას იტყვით კაც მოძალადებე? მისი ატანა შეგიძლიათ?“

**რესპონდენტი:** „არა, ჩემთვის ეგეც მიუღებელია, მაგრამ რა ვწნათ? სად წავიდეთ? მე, მაგალითად, მიცხოვრია ასეთ პირობებში.“

[ფოკუსური ჯგუფი, ქალები, სამცხე-ჭავახეთი]

ამონარიდები ორივე ჰგუფიდანაა მოცემული, ქალთა და მამაკაცთა ჰგუფებიდან და მკაფიოდ აჩვენებს ზოგად ტენდენციას, მამაკაცებს არ მოეთხოვებათ ცოლისათვის აზრის კითხვა „ყველა დეტალზე,” თუმცა ქალებმა ეს აუცილებლად უნდა გააკეთონ. მათთვის მისაღებია დომინანტი მამაკაცი, თუმცა სრულიად მიუღებელია დომინანტი ქალი. უფრო მეტიც, ქალის დომინანტობა ავტომატურად აღიქმება ძალადობად მამაკაცის მიმართ. ფოკუსური ჰგუფის დისკუსიებიდან კიდევ რამდენიმე ნაწყვეტს გთავაზობთ, რათა გაჩვენოთ, რას ფიქრობენ ჩვენი რესპონდენტები გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

სოფლის მცხოვრები ქალები საუბრობენ ოჭახში სამუშაოს გადანაწილებაზე.

**რესპონდენტი #9:** „მეტ წილ შემთხვევებში მამაკაცი შრომობს და რა მოხდა, ქალსაც თუ მოუნია ხანდახან.”

მოდერატორი ეკითხება რესპონდენტებს, თუ რა არის ქალისათვის ყველაზე მძიმე სამუშაო.

**რესპონდენტი #3:** „მიწასთან მუშაობა.”

**რესპონდენტი #10:** „ფიზიკური სამუშაო. სარეცხი, ეზო-კარი, ბავშვების მოვლა, მათი მეცადინეობა და ა.შ.”

**რესპონდენტი #4:** „რაც, მგონი, ყველას ხვედრია აქედან.”

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, 35-59 ასაკობრივი ჰგუფი, თელავი, კახეთის რეგიონი]

ჩნდება კითხვა: თუ სოფელში მცხოვრები ქალები ფიზიკურ სამუშაოს აკეთებენ სახლში და გარეთ, დაწყებული საოფახო საქმეებით, დამთავრებული მიწის დამუშავებით – მაშინ რას აკეთებენ კაცები და როგორლაა შესაძლებელი, რომ „მეტ წილ შემთხვევებში მამაკაცი შრომობს”? თუ ქალები ასე ფიქრობენ, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კაცებიც გენდერულ თანასწორობას იგივე კუთხით უყურებენ.

**რესპონდენტი #1:** „...რატომაც არა, თუ თანასწორუფლებიანები არიან ქალები და კაცები, მაშინ ქალებმა ნახირშიც უნდა იარონ, იარაღიც უნდა აიღონ და იომონ კიდევ, თუ საჭირო გახდა.” მოდერატორი: „უნდა აკეთოს თუ არა კაცმაც ქალის სამუშაო?”

**რესპონდენტი #1:** „აბა, კაცი ხომ ვერ გაზრდის ბავშვებს? ოჭახს მოვლა უნდა, გარეცხვა უნდა, სადილს დამზადება და კაცის გენეტიკაში კი არ დევს ის, რომ სარეცხი რეცხოს.”

[ფოკუსური ჰგუფი, კაცები, 35-59, თელავი, კახეთის რეგიონი]

ზემოთ მოცემული დისკუსიიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მამაკაცების წარმოდგენით, გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალმა უნდა აკეთოს კაცის საქმე და არავითარ შემთხვევაში - პირიქით. თუ მამაკაცებს არ შეუძლიათ საოფახო საქმეების კეთება და სარეცხის დარეცხვა იმის გამო, რომ „ეს მათ გენეტიკაში არ დევს”, ნუთუ ქალების გენეტიკისთვის მართლაც ჩვეულია მიწის დამუშავება, საქონლის მოვლა და ომში ბრძოლა? დაუკერებელია, რომ ქალები თავად ფიქრობენ, რომ მათ უნდა შეასრულონ ყველა სახის ფიზიკური სამუშაო სახლში და გარეთ. აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებას იზიარებენ დედაქალაქში და რეგიონულ ქალაქებში მცხოვრები ქალები. თუმცა ყველაზე პრობლემურად მაინც შემდეგი საკითხი რჩება: საიდან უნდა ჰქონდეთ ჩვენს რესპონდენტებს შესაბამისი წარმოდგენა გენდერული თანასწორობის საკითხებზე, თუ მათ არ იციან, რა არის გენდერული თანასწორობა.

ყველაზე მარტივი გბა, რომ გავიგოთ რესპონდენტების აბრი გენდერის ნიშნით ოჭახში ძალადობის შესახებ, არის მათთვის ოჭახში ძალადობასთან ყველაზე ხშირად ასოცირებული ცნებების სიის წარმოდგენა. ეს სია რესპონდენტთა შეხედულებების რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის საფუძვლებზეა მიღებული. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი რესპონდენტებისთვის ოჭახში ძალადობა ასოცირდება სისასტიკესთან, შეურაცხყოფის მიყენებასთან (როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი), ცემასთან, საკუთარი აზრის სხვებისათვის თავს მოხვევასთან, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, იძულებით რაღაცის გაკეთებასთან ა.შ. რესპონდენტთა მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული ძალადობის ფორმებია ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა. თუმცა, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში ამჟამად (ან წარსულში) მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ადამიანები, ასევე, ექსპერტები და მომსახურების მიმწოდებლები, ფიზიკურ და სიტყვიერ ძალადობასთან ერთად, ხაზს უსვამენ ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სქესობრივ ძალადობას.

რატომ ხდება ასე? რატომ სხვები (მამავაცებიც ან ქალებიც) არ საუბრობენ ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ან სქესობრივ ძალადობაზე? რატომ აღნიშნავენ ძალადობის მსხვერპლნი ხშირად, რომ ისინი წლების განმავლობაში განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას და არც კი იცოდნენ, რომ ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ? რატომ ამტკიცებენ ექსპერტები და მომსახურების მიმწოდებლები, რომ ამ ტიპის ძალადობა ძალიან სახითათოა ადამიანისათვის და ზოგჯერ ფიზიკურ ძალადობაზე უარესიც კია...

„.... ფსიქოლოგიური ძალადობაც უმძიმეს შედეგებს გვაძლევს. თუმცა, ის ხილული არ არის და, შესაბამისად, მასთან ბრძოლაც რთულია. ფიზიკური ძალადობა ხშირად აშვარა ფიზიკური ნიშნებით გამოიხატება და ყველას შეუძლია მისი დანახვა, შესაბამისად, ამ ტიპის ძალადობასთან ბრძოლა შეიძლება; თუმცა, ფსიქოლოგიურ ძალადობასთან შებრძოლება ძალიან რთულია.”(ექსპერტი, თელავი)

„მე არასასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობ ამ კონკრეტულ თემაზე. ხშირად მინევს ძალადობის მსხვერპლ ადამიანებთან მუშაობა და ვიცი, რომ ფიზიკური ძალადობა არის ბოლო ფორმა. თავიდან მოდის ისეთი ფორმები, როგორიცაა ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და სქესობრივი ძალადობა, სულ ბოლოა ფიზიკური ძალადობა. თუმცა, სანამ მსხვერპლი არ დადგება ფიზიკური ძალადობის ფაქტის წინაშე, იგი ვერ აცნობიერებს, რომ მანამდეც მსხვერპლი იყო.”(მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი)

„ჩვენი ქალები ფსიქოლოგიურ ძალადობას ვერ აღიქვამენ ძალადობად. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ბუნებრივია, ვიღაც ფსიქოლოგიურად უნდა დომინირებდეს ოჭახში.... სქესობრივი ძალადობის შესახებ სულ ბოლოს ამბობენ, რადგან მათ რცხვენიათ და ცდილობენ მის დამალვას. თუმცა, მსხვერპლ ქალებთან საუბრიდან ვხვდებით, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა მუდმივად თან ახლავს ფიზიკურ ძალადობას.” (მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი)

„ქალებმა ხშირად არც იციან, რა არის ეკონომიკური ძალადობა. თუმცა არის უამრავი შემთხვევა, როცა ვაცები აიძულებენ ქალებს მუშაობას და თვითონ იღებენ ქალის მიერ გამომუშავებულ მთელ ფულს. ქალები ამას შეჩვეულები არიან და ეჭვადაც კი არ აქვთ, რომ ეს ძალადობის გარკვეული ფორმაა.” (ექსპერტი, თბილისი).

„ჩემი ქმრისაგან ეკონომიკურ ძალადობას, ხოლო მისი ოჯახიდან ფსიქოლოგიურ ძალადობას განვიცდიდი და 17 წელი დამჭირდა მის მისახვედრად, რომ მსხვერპლი ვიყავი.” (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალადობის ნაკლებად თვალსაჩინო ფორმებისა და ინფორმირებულობის ნაკლებობის გამო, ქალებმა ხშირად არც იციან, რას ნიშნავს ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა. ისინი ცდილობენ თავი აარიდონ სქესობრივ ძალადობაზე საუბარს ქართული კულტურის გემოხსენებული ნორმატული ორიენტაციის გამო. ექსპერტები და მომსახურების მიმწოდებლები ხშირად უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ეს სფერო ტაბუირებულია. რეალურად, კვლევაში გამოკითხული ოჭახში ძალადობის ათი მსხვერპლიდან მხოლოდ ერთმა აღიარა, რომ ყოფილა სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი. დანარჩენებს არაფერი უთქვამთ ამ საკითხის შესახებ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ექსპერტებთან და მომსახურების მიმწოდებლებთან ჩატარებული ფოკუსური ჰაგუფების შედეგებს, შეგვიძლია ვივარადოთ, რომ სქესობრივი ძალადობის გაცილებით მეტი შემთხვევა არსებობს, რადგან სქესობრივი ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობის თანმდევია.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ძალადობაზე ის ადამიანები, რომლებიც თავის თავს არ მიიჩნევენ ძალადობის მსხვერპლად და არასოდეს მიუმართავთ სპეციალური დაწესებულებებისათვის. თუ გადავხედავთ რეგიონებსა და დედაქალაქში ჩატარებულ ფოკუსური ჰაგუფების ტრანსკრიპტებს (განსაკუთრებით მამაკაცთა ჰაგუფებს), აშკარად დავინახავთ, რომ მათ ძალიან მწირი წარმოდგენა აქვთ ოჭახში ძალადობის შესახებ. იხილეთ ამონარიდები ტრანსკრიპტებიდან:

**რესპონდენტი #1:** „ძალადობა ალბათ არის მეუღლებები გაბრაზება და მისი აზრის გაუთვალისწინებლობა.”

**მოდერატორი რესპონდენტებს ეკითხება, მოძალადე ყოველთვის ქმარია თუ არა.**

**რესპონდენტი #1:** „შეიძლება პირიქითაც იყოს, მაგრამ მე ვიგულისხმე ჩვენი მენტალიტებიდან გამომდინარე.... თუ ცოლია მოძალადე, მას ალბათ გაუშვებს ქმარი, არა?!”

**რესპონდენტი #2:** „ვინოობში ვუყურებ მე ძალადობას. ქმარი ცოლს რომ უჩივის, ძალით ჩამიწვა ლოგინშით და ასეთი რაღაცები. სხვა ძალადობა მე არ მინახავს.“

[ფოკუსური ჰგუფი, კაცები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თბილისი]

მოდერატორი ეკითხება რესპონდენტ მამაკაცებს აზრს ქალების ცემის შესახებ.

**რესპონდენტი #1:** „გააჩნია რატომ სცემს, იქნებ საცემია. მიზებს გააჩნია ამ ცემის, მაგრამ ცემა უნდა ვირს მარტო და თუ სცემ, უნდა გაუშვა კიდეც...“

**რესპონდენტი #4:** „ცემა გმართებს გამზრდელისა, როს ყმა ნახო ცუდად ზრდილიო“ - ნათქვამია და აი, მაშინ უნდა სცემო და ისე არა.

[ფოკუსური ჰგუფი, კაცები, ასაკობრივი ჰგუფი 35-39, თელავი, კახეთის რეგიონი]

ზემოთმოცემული ამონარიდებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მამაკაცი რესპონდენტების აზრით, „ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე“, მხოლოდ მამაკაცს აქვს უფლება იყოს მოძალა-დე ცოლზე და თუ ქალი გაძედავს იგივეს, მა-მაკაცმა იგი დაუყოვნებლივ უნდა გაუშვას; რე-სპონდენტების თანახმად, ქალის ცემა რიგ შემ-თხვევებში გამართლებულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ჭიუტია (აქ ცოლი ვირთანაც კი არის შედარებული) ან ბავშვებს ვერ ზრდის სა-თანადოდ (თითქოს მამაკაცი საერთოდ არ იყოს პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდაზე). თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რესპონდენტები მათ ირგვლივ ძალადობას ვერ ხედავენ. მათი თქმით, ძალადობა მხოლოდ კინოებშია, ხოლო ძალადობის ერთადერთი ფორმა ცოლების მიერ ქმრების შეცდენაა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი რესპონდენტები არსად ახსენებენ ოჭახში ძალადობის ამ ბოლო ტიპს, საკმაოდ ხშირად, ვერც ისინი ამჩნევენ მათ ირგვლივ არსებულ ძალადობას, რაც აშკარაა ფოკუსური ჰგუფის ტრანსკრიპტებიდან. საბო-ლოოდ, მათი იდეები მამაკაცების შეხედულებებს ემთხვევა და აძლიერებს კიდეც.

**რესპონდენტი #4:** „ჩემს ირგვლივ ოჭახური ძალა-დობა არ ხდება.“

**რესპონდენტი #8:** „არც ჩემს ირგვლივ.“

**რესპონდენტი #4:** „წვრილმანი უსიამოვნებები ყველა ოჭახში არის და ხშირია, მაგრამ როგორც ასეთი, რომ გამორებით დამთავრდეს და დიდი უსიამოვნება იყოს, ხშირი არ არის. ჩემს ქალიშ-ვილს ოჭახი დაენგრა ძალადობის გულისფვის, მაგრამ მესამე პირი რომ ჩაერევა ცოლ-ქმარს შორის, მაშინ მეტი ძალადობაა. ამიტომ, უმკობე-სია წყვილი ცალკე ცხოვრობდეს. თორმემ ოჭახები გვაქვს ყველას და ქმარი რომ რაღაცას გეტყვის, უნდა მოუთმინო. მერე რა მოხდა, ან ერთმა უნდა დათმოს და ან მეორემ. ყველამ რომ გაქცევაზე ითიქროს, არაფერი გამოვა. უსიამოვნებები ნები-სმიერ ოჭახშია. ჩემმა ქმარმა რომ შემაგინოს, მაგაზე სახლიდან ნამდვილად არ გავიქცევი; რა მოხდა, ცხოვრებაა.“

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თელავი, კახეთის რეგიონი]

ამგვარად, ქალს, რომელიც ამტკიცებდა, რომ მის ირგვლივ ძალადობა არ ხდება, მეორე წუთში მისი ქალიშვილის მაგალითი მოჰყავს და ყვება, თუ როგორ დაენგრა ოჭახი მის ქალიშვილს ძალა-დობის გამო. ალბათ, ეს საკმაოდ სერიოზული შემთხვევა იყო (თუმცა მანამდე არ გაახსენდა), რადგან იგივე ქალბატონი ფიქრობს, რომ ქალი ტოლერანტული უნდა იყოს და უნდა აიტანოს ქმ-რის გინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა. იგი აქვე აღნიშნავს, რომ პრობლემას არ წარმოადგენს, თუ ერთი ან მეორე მხარე დათმობაზე წავა. მისი საუბრიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, დამთ-მობი მხარე ყოველთვის ქალი უნდა იყოს.

ქალთა მეორე ჰგუფი, რომლის წევრებიც ირ-გვლივ ძალადობას ვერ ხედავენ, იძულებით გადაადგილებული პირთა ცენტრებში ცხოვრო-ბენ თბილისში. მათთან ყველა ინტერვიუს ტრან-სკრიპტი თითქმის იდენტურია: ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ ძალადობის შემთხვევების შეს-ახებ მათ გარემოცვაში არ სმენიათ და თვითონ არასოდეს ყოფილან ძალადობის მსხვერპლნი. მათი უმეტესობა ამბობს, რომ ძალადობა ტელე-ვიზორში უნახავთ და მხოლოდ ერთი რესპო-ნდენტი ყვება ოჭახის ისტორიას (რომელსაც თვითონ შესწრებია), სადაც „ქმარი ცოლს სულ სცემდა, თუმცა მეორე დღეს სრულიად იცვლე-ბოდა და ცდილობდა ცოლის ყველა სურვილი შეესრულებინა..... ისინი ძალიან ტკბილად ცხოვრობდნენ.“ ამდენად, მართალია, ქალმა იცის, რომ ეს ძალადობაა, მისი აზრით, მუდ-

მივი ცემის შემთხვევაშიც კი შეიძლება წყვილი „ტკბილი ცხოვრებით“ ცხოვრობდეს. იძულებით გადაადგილებულ ქალთა შეხედულებები მართლაც უცნაურად ჟღერს, განსაკუთრებით, მათი სტატუსის გათვალისწინებით, ისინი ხომ იმთავითვე ძალადობის მსხვერპლნი არიან. ამავე დროს, კვლევაში გამოკითხული ექსპერტები და მომსახურების მიმწოდებლები ამტკიცებენ, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებში ძალადობას ხშირად აქვს ადგილი. ომისა და საკუთარი სახლების დატოვების გამო, მათ ხშირად ექმნებათ ეკონომიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი ამბობენ, რომ ძალადობა არამარტო მათ ოჭახებში, მათ გარემოცვაშიც კი არ ხდება. აღბათ ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული კულტურის ზემოაღნიშნული ნორმატული ორიენტაცია, სირცხვილის გრძნობა და შიში იმისა, თუ რას იტყვის ხალხი!

ოჭახში ძალადობის შესახებ ქალთა შეხედულებების შემდეგი მაგალითი ჩაღრმავებული ინტერვიუდან ამონარიდია. ინტერვიუები ეთნიკური უმცირესობის ჰგუფის წარმომადგენლებთან, კერძოდ, აზერბაიჯანელ ქალებთან ჩატარდა მარნეულის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რესპონდენტი ამ ეთნიკურ ჰგუფში ყველაზე განათლებული ქალია. იგი არის სკოლის დირექტორი და ასევე სამოქალაქო უფლებების მასწავლებელი. კვლევაში, კითხვაზე, აქვს თუ არა ოჭახში ძალადობის გამოცდილება, იგი პასუხობს:

„კონკრეტული მაგალითები არ მახსენდება, მაგრამ მე ძალიან ეჭვიანი ქმარი მყავდა, იგი არ მაძლევდა საშუალებას, სამსახურში მაღალი თანამდებობა დამეკავებინა ან სხვადასხვა ადგილებში წავსულიყავი. თუმცა, მე მაინც ჩემსას მივაღწიე... მოვახერხე და დავარწმუნე ჩემი ქმარი, რომ მე არა მარტო ქალი, არამედ ადამიანიც ვარ [!]. ჩემს ქმარს ვუწევდი წინააღმდეგობას, რაც ხშირად გინებითა და ხელის კვრით მთავრდებოდა, მაგრამ მე მაინც მივაღწიე იმას, რაც მიზნად მქონდა დასახული... საკმარი ლამაზი ქალი ვიყავი და ჩემი ქმარი ეჭვიანობდა; სწორედ ამაზე გვეონდა უთანხმოება. იგი ეჭვიანობდა, თუ ქორწილში ვიყავით სადმე და ან კაცების მიმართულებით გავიხედავდი ქუჩაში. ერთხელ ამ მიზეზით პირდაპირ ქუჩაში გამარტყა.“

აშკარაა, რომ ქალი, რომელიც სამოქალაქო უფ-

ლებებს ასწავლის, არ არის დარწმუნებული, ცემა, გინება და ხელის კვრა ძალადობის ფორმებია თუ არა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალისათვის მუშაობის აკრძალვაზე.

ჩნდება კითხვა: ინფორმირებულობის ნაკლებობა მხოლოდ არაკვალიციური მოსახლეობისათვისაა დამახასიათებელი? სამწუხაროდ, არა. თუ გავითვალისწინებთ პოლიციის თანამშრომლებთან ჩატარებული ფოკუსური ჰგუფის შედეგებს, დავინახავთ, რომ აღამიანებს, რომელთაც ყოველდღიურად უწევთ ოჭახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ოჭახში ძალადობის მნიშვნელობაზე.

„ყველა ქალს შიში აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც, რომ რაღაცას რომ დააშავებს, არატრადიციულს რომ გააკეთებს..... შეიძლება ქალმა თქვას, რომ სადღაც წასვლა უნდა. შეიძლება შელაპარაკდნენ. კაცისთვის ეს არ არის ძალადობა, ეს ურთიერთობის გარკვევაა ტრადიციული გზით. ხოლო ქალს რომ შევითხო, ეს ძალადობაა. რატომ არ უნდა წავიდე სადღაცო?“ (პოლიციელი, თბილისი)

„ვთქვათ, გვატყობინებენ, რომ ძალადობის შემთხვევას აქვს ადგილი. მივდივართ ადგილზე და აღმოვაჩენთ, რომ ქალს სურს მუშაობა და მამაკაცი არ აძლევს ამის უფლებას. რა რეაქცია უნდა გვქონდეს ამაზე? შეგვიძლია ამას დავარქვათ ძალადობა? ეს არის ფსიქოლოგიური ზეწოლა. ძალადობას მაშინ აქვს ადგილი, როცა აზრი არ აქვს ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რადგან ამით ქალზე გავლენას ვერ ახდენ.“ (პოლიციელი, თბილისი)

„უნდა არსებობდეს ოჭახური ძალადობის მკაფიო განმარტება. შემდეგ, უნდა დაამტკიცონ კანონი, რომელიც ადამიანებს ძალადობისათვის დასკის...“ (პოლიციელი, სამცხე-ჭავახეთი).

ადამიანებს, რომელთაც, წესით, მოსახლეობა უნდა დაიცვან ოჭახში ძალადობისაგან, არამარტო წარმოდგენა არ აქვთ ოჭახში ძალადობის მნიშვნელობაზე (უფრო მეტიც, არ იციან, რას ნიშნავს ოჭახში ძალადობა და არც შესაბამისი კანონის არსებობის შესახებ სმენიათ), არამედ თავად აქვთ სექსისტური და ძალისმიერი იდეები: „ყველა ქალს შიში აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც, რომ რაღაცას რომ დააშავებს, არატრადიციულს რომ გააკეთებს.....“. და, შესაძლოა, იმასაც კი

ფიქრობდნენ, რომ ძალადობა წყვილს შორის უთანხმოების გადაჭრის ტრადიციული გზაა.

ექსპერტები და მომსახურების მიმწოდებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ პოლიციელებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია და ხშირად არც კი იციან, რა არის ოჯახში ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ მათ გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგები ოჯახში ძალადობის საკითხებში, მათი აზრით, მაინც ფუჭია ამ კუთხით რაიმეს კეთება, რადგან „საზოგადოების მენტალიტები ჰერ არ არის სათანადო დონეზე ჩამოყალიბებული.“

„პოლიციამ არ იცის, რა აკეთოს;... ისიც კი არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ, თუმცა ტრენინგებიც კი აქვთ გავლილი ამ სფეროში. ჩემი აზრით, მათ საერთოდ არ ესმით, რა არის ძალადობა“ (მომსახურების მიმწოდებელი, თელავი).

„ჩვენი ორგანიზაცია სისტემატურად ატარებს საპატრულო პოლიციელებთან ტრენინგებს ოჯახური ძალადობის კუთხით. ერთ-ერთ ასეთ ტრენინგზე მე თვითონ დავინტერესდი, 22 პოლიციელიდან მხოლოდ სამმა აღიარა, რომ განსახილებით წარმოდგენილი ძალადობის ფაქტი მართლა იყო ძალადობა. დანარჩენები მათ არ დაეთანხმნენ. ეს ხდება დატრენინგებულ პოლიციელებთან და ვისთანაც შეხება არ გვქონია, წარმოიდგენთ ალბათ. საზოგადოების მენტალიტები ჰერ არ არის სათანადო დონეზე ჩამოყალიბებული და იმიტომ.“ (მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი)

„პოლიციელს უნდა ჰქონდეს მეტი ინფორმაცია ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე და უნდა იყოს მეტად ჩართული მასთან ბრძოლის საქმეში. პოლიციელი კარგად უნდა იცნობდეს შესაბამის კანონს, რათა საჭიროებისამებრ გამოიყენოს იგი... საკმარიდ ხშირად, ისინი არ იყენებენ ამ კანონს.“ (ექსპერტი, თბილისი)

ამგვარად, ჩნდება კითხვა: ინფორმაციის ნაკლებობა და არასაკმარისად გაცნობიერებულობა მხოლოდ არაკვალიფიციური მოსახლეობისა და პოლიციისთვის არის დამახასიათებელი თუ სხვებისთვისაც? ექსპერტებთან და მომსახურების მიმწოდებლებთან ჩატარებულმა ფოკუსურმა ჯგუფებმა გამოავლინა, რომ ზუსტად იგივე სურათია მათ შემთხვევაშიც. მაგალითად, მომსახურების ზოგიერთი მიმწოდებელი ფიქრობს,

რომ ის, რაც დიდი ხნის განმავლობაში ხდება და ტრადიციის ნაწილად აღიქმება, მაგალითად, ადრე ქალს არ ჰქონდა უფლება, ხმა ამოელო, ვიდრე მას არ მიმართავდნენ, ვერ ჩაითვლება ოჯახში ძალადობად. სხვა ექსპერტები (განსაკუთრებით ქალები) თვლიან, რომ მამაკაცები უფრო მეტ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ფლობენ, ვიდრე ქალები და რომ ოჯახს აუცილებლად უნდა მართავდეს ერთი ადამიანი (იღებდეს ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებს და იყოს დომინანტი ოჯახში). მათი აზრით, აბსოლუტური გენდერული თანასწორობა არ არსებობს (ალბათ, მისი აზრით, ოჯახის უფროსი აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს, რადგან მას გაცილებით უკეთესი ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ქალს). გარდა ამისა, იგი ამტკიცებს, რომ ეს მთელ საქართველოში ასეა და თვითონაც ასეთ ოჯახში აღიზარდა. ჩნდება კითხვა: როგორ უნდა შეებრძოლონ ეს ექსპერტები ოჯახში ძალადობას, თუ თავად არ ესმით, რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა და რაც მთავარია, არ სკერათ „აბსოლუტური გენდერული თანასწორობის“ არსებობის?!“

**ექსპერტი # 3:** „თანაბარ პირობებში, მამაკაცებს გაცილებით მეტი ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ. მამაკაცების და ქალების საუკეთესო ეგზემპლარები რომ ავიღოთ, თუნდაც მათემატიკაში, მამაკაცები გაცილებით ძლიერები არიან. ბუნებრივადაა ასე. ქალის ფუნქცია, საერთოდ, არის შთამომავლობას მოუაროს. ტვინის მუშაობის ხარისხშია განსხვავება.“

**ექსპერტი #4:** „აიღეთ ნებისმიერი მაგალითი. კაცის ინტელექტი უფრო მაღალია, ვიდრე ქალის. თუნდაც ცნობილი პიროვნებები ჩამოვთვალოთ.“  
**ექსპერტი # 2:** „რატომ? მოჭადრაკე ქალები?“<sup>2</sup>

**ექსპერტი # 3:** „კი, ბატონო, მაგრამ ქალთა ჩემპიონი დაგსვათ და ვათამაშოთ მამაკაცთა ჩემპიონთან, რა გამოვა? იმის თქმა მინდა, რომ განსხვავდებიან და ამიტომ დომინანტი იქნება ან ერთი, ან მეორე. ბუნებაში არ იარსებებს ოჯახი, სადაც აბსოლუტურად თანასწორები იქნებიან. რაღაც დოზით მაინც იქნება ერთი დომინანტი, ანუ ოჯახის უფროსი.“

[ფოკუსური ჯგუფი, ექსპერტები, თელავი]

„მე მგონი, ძალადობაა ის, რაც ტრადიციისგან

2. ქართველი ქალი მოჭადრაკები რამდენჯერმე გახდნენ ევროპის ჩემპიონები.

ძალიან გადახვევაა. ტრადიცია ძალიან დიდ განსხვავებას გვაძლევს სხვადასხვა ქვეყნებში. ზოგან რაღაც არის მიღებული და არ აღიქმება ძალადობად. მაგალითად, ვიცით, რომ ჩვენთან ფსიქოლოგიური ძალადობა ძალადობად არ აღიქმება. ანუ, თუ საშუალო მაჩვენებელი გვაქვს რაღაც ტრადიციიდან გამომდინარე, ამ საშუალოსგან გადახვევა უნდა აღვიქვათ ძალადობად. მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში, მთაში ქალს არ ჰქონდა პირველად ხმის გაცემის უფლება. როგორ შეიძლება ეს ძალადობად აღვიქვათ? ვერ აღიქვამ, როდესაც ყველგან ასეა.” (მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი)

ამგვარად, ნუდარ გაგვიკვირდება, თუ მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რადგან, ისინიც კი, ვინც ექსპერტად და მომსახურების მიმწოდებლებად ითვლება ძალადობის სფეროში, ასეთ შეხედულებებს გამოთქვამენ. თუ ჩვენს რეალობაში, ტრადიციულად, ფსიქოლოგიური ძალადობა არ აღიქმებოდა „ძალადობად”, არის ეს არგუმენტი იმისათვის, რომ ის დღესაც არ აღვიქვათ ძალადობად? და თუ ეს ასეა, შეგვიძლია წარმატებით შევინარჩუნოთ ტრადიცია, რომელიც ქალებს უკრძალავს, პირველებმა ამოიღონ ხმა!

აშკარაა, რომ ქართული საზოგადოება არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა არის ოჭახში ძალადობა გენდერის ნიშნით. საჭიროა სერიოზული საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარება საზოგადოების ყველა დონეზე, დაწყებული მსხვერპლთაგან, რომლებიც შეიძლება ათწლეულებია ძალადობის ქვეშ იმყოფებიან და არც კი აქვთ გააზრებული ეს და დამთავრებული ექსპერტებითა და მომსახურების მიმწოდებლებით, რომელთა ფუნქცია ძალადობის მსხვერპლთა დახმარებაა. ეს უკანასკნელი ცდილობენ ადამიანების აზროვნების შეცვლას და ვერც კი აცნობიერებენ, რომ ზუსტად იგივეს ფიქრობენ თვითონაც.

## როგორ და რატომ ხდება ძალადობა?

ძალადობის მსხვერპლი, ისევე, როგორც, პოლიციელები, ექსპერტები და მომსახურების მიმწოდებლები მოძალადის შესახებ მსგავს შეხედულებებს გამოთქვამენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ოჭახში ძალადობა, ძირითადად, ქმრის და მისი ოჭახის (უმეტესად, დედამთილის) მიერ ხორცი-

ელდება, განსაკუთრებით, თუ ქმარი მთვრალია. „მეექვსე წელია ქორწინებაში ვარ და ჩემი ქმარი ექვსი წელია მცემს. მას დედა და დები აქეზებენ. საკუთარი აზრი არ გააჩნია. მის ოჭახს ხშირად მოუყენებია ჩემთვის შეურაცხყოფა და მე თავი ვერ დამიცვია. შევეცადე სამსახური დამეწყო, ჩემმა ქმარმა დედას სთხოვა ნებართვა. მას ეკითხებოდა აბსოლუტურად ყველაფერს. არანაირი პრობლემა არ მექნებოდა, ჩემი ცემა რომ არ დაეწყო. ჩვენ ისევ ერთად ვიქნებოდით.” (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი).

„ჩემი მეუღლე ძირითადად ფიზიკურ და ეკონომიკურ ძალადობას ახორციელებდა, ხოლო ფსიქოლოგიურს – მისი ოჭახის წევრები.” (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი).

„როგორც კი დათვრებოდა ჩემი ქმარი, გინებასა და ცემაზე გადადიოდა. დახმარებისათვის ჩემს დედამთილს მივმართე, მაგრამ მან მიპასუხა, რომ ჩემი ბრალი იყო, ქმარი ასე რომ მექცეოდა. მან კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია.” (თავშესაფარში არმყოფი მსხვერპლი)

„ძალადობის ყველა ფორმა მაქვს გადატანილი ჩემი ქმრისაგან ჩვენი თანაცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. როგორც კი რამე შეაწუხებდა, დაუყოვნებლივ აგრესიული ხდებოდა. და ეს საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ოცი წელია გათხოვილი ვარ და ჩემს შემთხვევაში ძალადობის მთავარი მიზები ოჭახის წევრების პროვოკაციული ქმედებები იყო. ჩემი მამამთილი ნაკლებად იყო რაიმებე პასუხისმგებელი, ძირითადად, დედამთილი ახდენდა გენოლას ჩემს ქმარზე” (თავშესაფარში არმყოფი მსხვერპლი).

თუ გავითვალისწინებთ დედის დომინანტურ როლს ქართულ ოჭახში, დედის გავლენას უკვე ზრდასრული შვილების პირად ცხოვრებაზე (განსაკუთრებით ბიჭზე, რადგან სწორედ მას მოჰყავს ცოლი ოჭახში) და დედის ზემოხსენებულ კულტს ქართულ კულტურაში, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს ამ ქალების სიტყვები. უფრო მეტიც, მომსახურების მიმწოდებელიც კი, რომელსაც ქალების დაცვა ევალება მოძალადე ქმრებისგან და მათი ოჭახებისგან, ამბობს:

„...რა თქმა უნდა, აბსოლუტური ჩაურევლობა არ არსებობს. მე მყავს ვაჟები და ვიცი, რომ თუ ჩემი რძალი სათანადოდ არ მოიქცევა, ვერ შევძლებ

ჩუმად ყოფნას და ამის შევიდად ყურებას. თუმცა, ყველაფერი მაინც დამოკიდებულია ფორმაზე” (მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი).

პოლიციელებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ხშირად უწევთ მუშაობა, თითქმის ყოველდღიურად. ისინიც ადასტურებენ, რომ მოძალადები ძირითადად ქმრები არიან და ამას, უმეტესად, სიმთვრალეში სჩადიან.

„ძალადობის შემთხვევათა უმეტესობა, რომელთანაც პოლიციაში მუშაობის ერთი ნლის მანძილზე მქონია საქმე, ხდება ნასვამი ქმრის მიერ, მას შემდეგ, რაც მას ცოლი ეტყვის, რომ ის მთვრალია. ასეთ შემთხვევაში, ქმრები ავტომატურად ხდებიან აგრესიულები ცოლების მიმართ. როცა ქალს ვეკითხებით, თუ როგორ იქცევა მისი ქმარი სითხიზღვეში, იგი, როგორც წესი, გვეუძნება, რომ მისი ქმარი სითხიზღვეში ფრთიანი ანგელოზია. ”(პოლიციელი, თბილისი)

ძალადობის მეორე ასევე ფართოდ გავრცელებული ფორმაა შვილების მიმართ მშობლების ძალადობა (მსხვერპლთა მონათხოვის თანახმად, ორი შემთხვევა იყო, როცა მამები სცემდნენ მოზრდილ ქალიშვილებს). ერთი შეხედვით, მშობლების ფიზიკური ძალადობა შვილებზე ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე ქმრებისა ცოლებზე. თუმცა, ამონარიდები ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან და ფოკუსური ჰგუფის ტრანსკრიპტებიდან ადასტურებს, რომ მშობლების (განსაკუთრებით დედათა) ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ბავშვებზე ასევე საკმაოდ გავრცელებულია, უბრალოდ, მშობლები ხშირად ვერ აცნობიერებენ, რომ ძალადობას სჩადიან. მათვის ასეთი ქცევა საკმაოდ ბუნებრივია ბავშვებთან მიმართებაში.

„შეიძლება გაბრაზდე ქმარზე და უმიზებოდ ბავშვი დასაჭო, რაც საკმაოდ ხშირია”

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თბილისი].

„ბავშვებთან ვმუშაობ და ვიცი, რომ დედები ხშირად ახორციელებენ ძალადობას საკუთარ შვილებზე. ძალიან ხშირად ვხვდებით ემოციური ძალადობის შემთხვევებს, ვერც დედა და ვერც ბავშვი ამას ვერ აცნობიერებენ. თუმცა, ამას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს. ერთი შემთხვევა მქონდა, დედა მუდმივად ქაჩავდა

ნლინახევრის გოგოს თმას. ვეუბნებოდი, რომ ეს ძალადობაა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით დასჭადი ქმედება. ასევე, ძალიან მაოცებს ბოლოდროინდელი ტენდენცია, ახალგაზრდა წყვილები ხშირად ეუხეშებიან ერთმანეთს და აგრესია ბავშვებზე გადააქვთ.” (მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი)

თუმცა, ფოკუსური ჰგუფის ტრანსკრიპტებიდან აშკარა ხდება, რომ აგრესის ბავშვებზე გადატანა „ბოლო პერიოდის” ტენდენცია სულაც არაა, არც სილის განა ან ბავშვის თმის მოქაჩვაა ახალი გამოგონება. საქართველოში ამგვარი ქცევა საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ბავშვის ზრდასთან ერთად, ჩნდება ძალადობის სხვა ფორმა, კერძოდ, ემოციური, რომელიც ქართველი დედებისთვისაა დამახასიათებელი. მათ სურთ საკუთარი შვილების ცხოვრება, განსაკუთრებით კი, პირადი ურთიერთობები, ყველა ასპექტში გააკონტროლონ.

მომსახურების ის მომწოდებლებიც კი, რომელთაც ბავშვების დაცვა სურთ ოჯახში ძალადობისაგან, აღიარებენ, რომ განუხორციელებიათ ფიზიკური და ემოციური ძალადობა შვილებზე.

„ჩემი პირადი მაგალითიდან გეტყვით - მყავს 20 წლის ბიჭები და 7 წლის გოგონა. შესაბამისად, მაშინ ვიყავი ახალგაზრდა, როცა ბიჭებს ვზრდიდი, თმებსაც ვწინვნიდი და ყველაფერი...” (მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი).

„წლების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ბავშვებზე ძალადობას ვახორციელებდი. ემოციური ძალადობაა, როცა აიძულებ ბავშვს გააკეთოს ის, რაც არ უნდა” (მომსახურების მიმწოდებელი, თბილისი).

ზემოთმოცემული მაგალითები მშობლების შვილებზე ძალადობის ძალიან „მსუბუქი შემთხვევებია.” თუმცა, აღმოჩნდა, რომ ძალადობის უფრო მძიმე ფორმებიც (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) ხდება. ისინი სისხლის სამართლის კატეგორიას მიეკუთვნებიან და კანონით ისკება. მაგალითად, რესპონდენტები ყვებიან შემთხვევას, როცა 18 წლის ფეხმძიმე გოგო ჩუმად გაგზავნეს გორიდან თბილისის თავშესაფარში, რადგან, როცა მამამისმა შეიტყო მისი ქორწინების გარეშე ფეხმძიმობის შესახებ, მოკვლით ემუქრებოდა შვილს; ასევე, იყო შემთხვევა, როცა დედამ, აჭარის მაღალმთიან რეგიონში, 25 წლის ფეხმძიმე ქალიშვილი მოკლა, რადგან

ეს უკანასკნელი ქორწინების გარეშე დაფეხმდიმდა. რაც მთავარია, სოფელში მეზობლები მის საქციელს ამართლებდნენ: „აბა რა უნდა ექნა, როცა მისმა შვილმა ასეთი სირცხვილი აჭამაო.“ როგორც ზემოთ განვიხილეთ, სქესობრივი ქცევა, ჩვეულებრივ, რელიგიურ-ეთიკური პერსპექტივი-დან განიხილება საქართველოში და ეს სფერო ყოველთვის განსაკუთრებული ზენოლისა და მკაცრი რეგულირების ქვეშ იმყოფებოდა. მოცემული მაგალითები ალბათ ყველაზე მკაფიო ნიმუშია იმისა, თუ რამდენად სასტიკი შეიძლება იყოს ეს ზენოლა და რამდენად სახითათოა ტრადიციების ბრძანებული მიყოლა.

და ბოლოს, აუცილებელია განვიხილოთ ძალადობის ტიპი, რომელიც მარნეულის რეგიონში, აზერბაიჯანელმა ქალებმა დაასახელეს. ყველა მათგანი ხასს უსვავს ძალადობის ტიპს, რომელიც მათი თქმით, ძალიან ფართოდ არის გავრცელებული მათი რელიგიურ-ეთნიკური ჰაუფის წარმომადგენლებში – ეს არის არასრულწლოვანი გოგონების მოტაცება. რესპონდენტები ამბობენ, რომ მოტაცებული გოგონები 12-13 წლისანი არიან და ოჯახსა და ქმარს კი არა, საკუთარ თავსაც ძლივს უვლიან. ჩვეულებრივ, ქმრები გოგონებს სკოლაში წასვლას და სწავლის გაგრძელებას უშლიან, ზოგჯერ მეგობრებთან და მშობლებთანაც კი არ უშვებენ. ხოლო, თუ მოტაცებას გადაურჩება, ბევრი აზერბაიჯანელი ქალი ვალდებულია ქმარსა და მის ოჯახს უსიტყვოდ დაემორჩილოს, ხშირად უწევთ საკუთარ უფლებებზე უარის თქმა, რადგან „ეს მათი ეროვნული მენტალიტეტითდაუშვებელია.“

„მე ვიცნობ გოგონას, რომელიც დანიშნულია და სკოლაში ვეღარ დადის, რადგან ამას უკრძალავნ. მას რცხვენია საკუთარი უფლებების დაცვა; სადმე წასვლის ან წათესავებთან სტუმრობის უფლება არ აქვს. მე ასევე ვიცნობ ერთ გოგონას, რომელიც საკუთარი ნებით გათხოვდა, თუმცა მას არ აქვს უფლება საკუთარ დედასთან წავიდეს ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ დედა მასთან საკმაოდ ახლოს ცხოვრობს. იგი პროტესტს ვერ გამოთქვამს ეროვნული მენტალიტეტის გამო, მუსულმანური რელიგია მას ამის უფლებას არ აძლევს. ზოგიერთი ცდილობს საკუთარი უფლებების დაცვას, თუმცა უმრავლესობას ამის რცხვენია და მხოლოდ ის ადარდებს, თუ რას იტყვის ხალხი.... ეროვნული მენტალიტეტი ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს“ (აზერბაიჯანელი ქალი, მარნეული).

კვლევაში ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როცა ახალგაზრდა გოგონებს იტაცებენ არა მხოლოდ ცოლად მოყვანის მიზნით, არამედ გასაყიდადაც. მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის მსგავსი შემთხვევები მარნეულში ხშირად ხდებოდა და მოსახლეობამ ეს იცოდა, დამნაშავეები მაინც დაუსკელნი რჩებოდნენ.

„რახან ასე გულწრფელად ვსაუბრობთ, უნდა ვალიარო, რომ ძალადობას ბევრჯერ შევსწრებივარ. რამდენიმე ოჯახი იყო ჩემს სამეზობლოში, სადაც მუდმივად ჰქონდა ძალადობას ადგილი. ერთ ოჯახში ქალი დაღატობდა ქმარს, ქმარი კი ალკომოლიკი იყო. მათ მოიტაცეს 12-13 წლის გოგონა და გაყიდეს თურქეთში. რამდენადაც ვიცი, ბევრი ადამიანი აკეთებს ფულს ადამიანებით ვაჭრობით. გაყიდული გოგონები თურქეთში ცხოვრობენ და საქართველოში პერიოდულად ჩამოდიან. მარნეულში ასეთი ბევრი შემთხვევა მომხდარა.“ (აზერბაიჯანელი ქალი, მარნეული)

ამგვარად, რესპონდენტთა მონათხოვობების საფუძველზე, გენდერის ნიშნით ოჯახში ძალადობის სამი ტიპი დავადგინეთ საქართველოში, ეს-ენია: ყველაზე გავრცელებული ფორმა, ქმრები (უმეტესად ნასვამ მდგომარეობაში) ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებენ ცოლებზე (ხშირად ოჯახის წევრების წაქებით); მეორე და ასევე გავრცელებული, მშობლების მხრიდან შვილებზე განხორციელებული ძალადობა (რომელიც უმეტესად ძალადობად არ აღიძება) და ბოლოს, სპეციფიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ფორმა, 12-13 წლის გოგონების მოტაცება (ზოგჯერ გაყიდვის მიზნითაც).

საქართველოში გავრცელებული ძალადობის ფორმების განხილვის შემდეგ, გავეცნოთ ძალადობის ჩადენის მიზგებს. პირველი მიზგით, რაც ყველა რესპონდენტის მიერ დასახელდა, არის უმუშევრობა და, შესაბამისად, ფინანსური პრობლემები. ჩვენი რესპონდენტების თქმით, მამაკაცებმა დაკარგეს მათი ტრადიციული ფუნქცია, როგორც ოჯახის მარჩენალის, ხოლო ქალებმა გაცილებით უკეთ მოახერხეს ეკონომიკურ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და თავის თავზე მამაკაცის ფუნქციები აიღეს. რესპონდენტების წარმოდგენით, ოჯახში შემომტანი ვინც არის, ის იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ამგვარად, ქალები ხდებიან დომინანტურნი (რაც ქალის, როგორც მორჩილისა და თავმდაბლის

ნორმატულსტერეოტიპთანწინააღმდეგობაშიმოდის), ოჯახში მამაკაცის პოზიცია სუსტდება და ეს მათ პიროვნულ ღირსებას შეურაცხყოფს. ოჯახში ტრადიციული ფუნქციის დაკარგვა (ლირსებასთან ერთად) მამაკაცებისთვის მტკივნეულია და ისინი საჭიროებენ საკუთარი უფლებების გამყარებას, ინყებენ დალევას და, ნასვამ მდგომარეობაში, ოჯახში ფიზიკური ძალის გამოყენებას.

„ქალები უკვე გადართულნი არიან სამსახურზე და ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფაზე, ხოლო კაცები დამოკიდებულნი ხდებიან ქალებზე. მამაკაცები ამბობენ: „ვერაფერს ვაკეთებ, სამსახურები არ არის.“ და ქალებს უწევთ ქუჩაში გასვლა სამუშაოს საძიებლად; ისინი არანაირ სამუშაოს არ თავილობენ, მიუხედავად განათლებისა და ოჯახური წარმომავლობისა. ოღონდ ოჯახი გადაარჩინონ, ქალები თანახმა არიან ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რაც კაცებისათვის, შესაძლოა, დამამცირებელი იყოს.“ (თავშესაფარში არმცხოვრები მსხვერპლი)

„დღესდღეობით, ჩვენს ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ ქალებს უფრო აქვთ სამუშაო, ვიდრე კაცებს. მამაკაცები ვერ პოულობენ ადგილს ოჯახში და ძალიან ხშირად ეს ხდება მათი აგრესის მიზეზი. მამაკაცს უზრდება არასრულფასოვნების კომპლექსი და ამის კომპენსირებას სხვადასხვა გზით ცდილობს, სვავს, ყვირის, მუშტებს იქნევს.“ (პოლიციელი, თბილისი)

„ოჯახში დომინანტია ის, ვისაც ფული შემოაქვს. თავდაპირველად, მამაკაცი იყო ოჯახის მარჩენალი, დღესდღეობით, იგი აღარ მუშაობს და ქალი ხდება პასუხისმგებელი ოჯახში შემოტანაზე. თუმცა, კაცი ცდილობს ლიდერის პოზიციის შენარჩუნებას, რაც, უმეტესად, კონფლიქტით მთავრდება. ძალადობის მიზეზი ხშირად ხდება ის ფაქტი, რომ მამაკაცი ვერ ეგუება ოჯახში მთავარი პირის როლის დაკარგვას, თუმცა, იმავდროულად, ქალს აიძულებს, იმუშაოს და ოჯახი არჩინოს.“ (სასკალადასრულებითი სისტემის წარმომადგენელი, თბილისი)

„უფულობა ხასიათდება კიდევ ერთი ასპექტით. ფსიქოლოგიურად ძალიან მტკივნეულია, როცა შენი ცოლი მუშაობს და შენ უმუშევარი ხარ, ეს განსაკუთრებით მტკივნეულია ქართველი კაცისთვის. ასეთ სიტუაციაში, ფსიქოლოგიურად ძალიან გაღიზიანებული ხარ და ცდილობ, დაადანაშაულო მეორე ადამიანი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის უდანაშაულოა.“

[თოკუსური ჭგუფი, მამაკაცები, ასაკობრივი ჭგუფი 35-59, თბილისი]

**ექსპერტი #2:** „ძალადობის მთავარი მიზეზი უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული პრობლემებია. დღესდღეობით ნამდვილად ეგ არის. გარდა ამისა ჩვენვენ, ვახეთისკვენ, სასმელი ძალიან მოჭარებულადა და ესც დიდ როლს თამაშობს. ამდენი მატერიალური გასაჭირის, უმუშევრობის ფონზე სვავენ; რა თქმა უნდა, ყველგან დაიწყეს სმა.“

**ექსპერტი #1:** „დასაქმებულები არ არიან, მეტი თავისუფალი დრო აქვთ და ამიტომ სვავენ.“

**ექსპერტი #2:** „კაცები სხვა ადგილებშიც სვავენ, მაგრამ აქ ღვინო თავზე საყრელია. სულ მცირედი პრობლემაც კი მათ გულს უხეთქავთ და ისინი დაუყოვნებლივ დალევას იწყებენ.“

[თოკუსური ჭგუფი, ექსპერტები, თელავი]

ამგვარად, მამაკაცის უმუშევრობა, რაც კაცებისა და ქალების ტრადიციული ფუნქციების, შესაბამისად, ოჯახში პოზიციების ცვლილებას იწვევს, ოჯახში ძალადობის მთავარ მიზეზად მოიაზრება. აღნიშნული საკითხი ტრადიცულ შეხედულებებთან, მენტალიტებთან არის კავშირში, ტრადიციულად მამაკაცი იყო ოჯახის მარჩენალი, რაც მას, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღების ძალაუფლებასაც აძლევდა, ხოლო დღეს, ქალს (რომელიც უფრო წარმატებული აღმოჩნდა ახალ სიტუაციასთან ადაპტირებისა და შვილებისათვის ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით), თავის თავზე აქვს აღებული მამაკაცის ფუნქციები და ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც ის იღებს, თუმცა ფორმალურად ოჯახის უფროსი მაინც მამაკაცია. კვლევაში გამოკითხული ერთ-ერთი მომსახურების მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ „ფორმალურობა საკმარისი არ არის და, შესაბამისად, მამაკაციც იძულებულია თვითდამკვიდრების მიზნით ძალადობას მიმართოს. მან დაკარგა ოჯახში ძირითადი ფუნქცია და მის დაბრუნებას აგრესით ცდილობს“. რესპონდენტი ამტკიცებს, რომ ამგვარ სიტუაციას მოაქვს არა მარტო ქალის ტანკვა, არამედ, ძალიან უარყოფითი გავლენა ბავშვებზე.

„ჩემი დღევანდელი გადმოსახედიდან, მამაკაცები უფუნქციობი არიან. ქალებმა თავის თავზე აიღეს ყველა ფუნქცია და, შედეგად, ბავშვებს დედის ბრუნვა აკლიათ. ამ ყველაფერმა, ბავშვებში შეი-

ძლება ძალიან ცუდი ჩვევები გამოიწვიოს. ქალები მუშაობენ, კაცები კი სვავენ ან წამალს იკეთებენ.” (თავშესაფარში არმცხოვრები მსხვერპლი)

ამ ეტაპზე, ჩვენს წინაშე დგება შეკითხვა ბავშვის სამომავლო განვითარებაზე ძალისმიერი გარემოს უარყოფითი გავლენისა და სოციალიზაციის შესახებ. ე. საზერლენდის კრიმინალური ქცევის ფორმირების თეორიის მსგავსად, ჩვენი რესპონდენტებიც ფიქრობენ, რომ კონფლიქტურ ოჯახში აღზრდილი ბავშვი, რომელსაც სოციალიზაცია აკლია, შეიძლება მომავალში თავად გახდეს მოძალადე.

„არაჭანსაღი ცხოვრების სტილი, გარემო, სადაც ბავშვი იზრდება, მომავლში, შესაძლოა, მისი აგრესის მიზები გახდეს. თუ ბავშვი ნორმალურ ოჯახში იზრდება, იგი არასოდეს გახდება მოძალადე.” (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი)

ინტერვიუერი სვამს შეკითხვას ოჯახში ძალადობის მიზეზების შესახებ.

„არ ვიცი,...თუ ვინმექს არ ჰქონდა ნორმალური ბავშვობა... ჩემი ქმარი გაიზარდა ასეთ ოჯახში; მისი მშობლები ფიზიკურად ეხებოდნენ ერთმანეთს. მამამისს ძალიან ცუდი ხასიათი ჰქონდა. შესაბამისად, ჩემს ქმარსაც არასოდეს ჰქონია მშვიდი ბავშვობა, ალბათ ამის ბრალია, რომ ჩემს ქმარს კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული ოჯახის მთავარი პრინციპები.” (მსხვერპლი, თავშესაფარში არმცხოვრები მსხვერპლი)

„ეს ოჯახზეა დამოკიდებული. თუ ბავშვი იზრდება ოჯახში, სადაც ძალადობა ნორმალური და ჩვეული მოვლენაა, იგი თავად გახდება მოძალადე. ჩვენი, როგორც მშობლების ვალდებულებაა, ჩვენს შეილებს შევუქმნათ ისეთი პირობები, სადაც ისინი ძალადობას ვერ ნახავენ.”

#### [ფოკუსური ჰაუზი, ქალები, სამცხე-ჭავახეთი]

ამგვარად, ჩვენი რესპონდენტების მიერ დასახელებული ძალადობის ორი მთავარი მიზეზია: 1. მამაკაცის უმუშევრობა, რაც მას ოჯახში ტრადიციულ ფუნქციას უკარგავს (რასაც, ხშირად ალკოჰოლიზმი და წამალებელი დამოკიდებულებაც ახლავს თან) და 2. არასათანადო სოციალიზაცია, როგორც ძალადობრივ გარემოში აღზრდის შედეგი.

## ძალადობაზე გავლენის მომხდენი და ხელშემწყობი ფაქტორები

აშკარაა, რომ ზემოხსენებულის თანახმად, ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი უპირველესი ფაქტორი არის ტრადიციული ხედვა თუ „მენტალიტები.” მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ ბევრ ტრადიციას უფრო მეტი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის, ვიდრე სიკეთე, ისინი მაინც არ ღალატობენ მათ. მომსახურების მიმწოდებლებთან ფოკუსური ჰგუფის მონაცემებიდან კარგი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთი ფოკუსური ჰგუფის ფარგლებში საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები დაფიქსირდა: ერთის მხრივ, ისინი ქართულ ტრადიციებს ოჯახში ძალადობისათვის ხელშემწყობ ფაქტორებად განიხილავენ, ხოლო მეორეს მხრივ, ისინი იმავე ტრადიციულ შეხედულებებს აუღერებენ, რომლებიც გენდერულ უთანასწორობას უწყობს ხელს და მამაკაცის უსიტყვო მორჩილებას გულისხმობს.

„ტრადიციები ვახსენეთ და ტრადიციულად, ჩვენს მენტალიტებში, კაცი უნდა იყოს მოძალადე ქალზე. ქალი მამაკაცზეა დამოკიდებული, რაც ძალადობაა. თუნდაც მემკვიდრეობის გადანაწილების საკითხი აიღეთ, ყველაფერი მემკვიდრეობით ვაჟს ერგება.”

და უცებ:

„მე მგონი, ძალადობაა ის, რაც ტრადიციისგან ძალიან გადახვევაა... ვიცით, რომ ჩვენთან ფსიქოლოგიური ძალადობა ძალადობად არ აღიქმება. ანუ, თუ საშუალო მაჩვენებელი გვაქვს რაღაც ტრადიციიდან გამომდინარე, ამ საშუალოსგან გადახვევა უნდა აღვიქვათ ძალადობად. მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში, მთაში ქალს არ ჰქონდა პირველად ხმის გაცემის უფლება. როგორ შეიძლება ეს ძალადობად აღვიქვათ? ვერ აღიქვამ, როდესაც ყველგან ასეა.”

ან:

**რესპონდენტი #7:** „ჩემი აზრით, ოჯახში ავტორიტეტი კაცი უნდა იყოს. ასეთი ოჯახი უფრო ძლიერიცაა, ბავშვები უფრო მშვიდად და დაცულად გრძნობენ თავს მამის გვერდით, ვიდრე დედასთან.”

**რესპონდენტი #5:** „ოჯახში, სადაც დედასა და მამას თანაბარი უფლებები აქვთ, ბავშვი არასწორად იზრდება.”

[ფოკუსური ჯგუფი, მომსახურების მიმწოდებლები, თბილისი]

მეორე მაგალითი სასკელაღსრულებითი სისტემის წარმომადგენლებთან ფოკუსური ჯგუფის ტრანსკრიპტიდან შევვიძლია ავიღოთ. ჯგუფის მონაცენლები ამტკიცებენ, რომ აუცილებელია ტრადიციული სტერეოტიპებისა და მოძველებული საზოგადოებრივი განწყობების შეცვლა. „მენტალიტების პრობლემა ძალიან სერიოზულია, განსაკუთრებით, სოფლებში. თუმცა ასეთი ოჯახები თბილისშიც ბევრია..... ბევრი სამუშაოა საჭირო ადამიანთა ცნობიერების შესაცვლელად.... უნდა ვიმუშაოთ საზოგადოებასთან, რათა შევცვალოთ სტერეოტიპები და განწყობები.” თუმცა, როცა საქმე მათ პირად ცხოვრებას ეხება, ისინი უარყოფენ სტერეოტიპებიდან გადახვევას.

სასკელაღსრულებითი სისტემის წარმომადგენლებთა მიხედვით, ერთ-ერთი სფერო, სადაც ტრადიციული სტერეოტიპები ფუნდამენტურად უნდა შეიცვალოს არის ურთიერთობა მშობლებსა და მათ შვილებს შორის. მათი აზრით, მშობელთა მხრიდან ზედმეტი ყურადღება ძალადობის გარკვეულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს<sup>3</sup>, ხოლო ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის ეფექტური გზა შვილების „გათავისუფლებაა”, როგორც ეს ევროპაში ხდება და ევროპული სტილის ოჯახების დამკვიდრებაა, რომელთა მახასიათებელია ქორწინებამდე თანაცხოვრება.

„პარტნიორის შერჩევას შეიძლება თვეები და წლები დასჭირდეს, თუმცა ადამიანმა ეს აუცილებლად დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს. ჩვენს შვილებს ხშირად არ ვუქმნით პირობებს იმისათვის, რომ ისინი ოჯახს გარეთ დამოუკიდებლად არსებობას მიეჩვიონ.... არც ზრდასრული ადამიანი და არც წყვილი ოჯახშე დამოკიდებული არ უნდა იყოს. მშობლებმა უნდა შეწყვიტონ შვილების კონტროლი მთელი ცხოვრების მანძილზე.” თუმცა იქვე:

**მოდერატორი:** „თანახმა იქნებით თუ არა, თქვენმა შვილმა პარტნიორთან დაუქორწინებლად ცხოვრება რომ მოისურვოს?”

**რესპონდენტი #2:** „თანახმა ვარ, თუ მოსწონს ვინმე, ჩემთან მოიყვანოს და ჩემს სახლში იცხოვოს. უბრალოდ, მარტო არ მინდა იყოს, ბიჭია და

3. ამ ლოგიკით, საქართველოში გავრცელებული ფრაზები „დე-დიგის ბიჭი” და „დედას ნებიერი” ძალადობის პროდუქტებია.

მეშინია რამე არ მოხდეს. თორემ არც ერთ შემთხვევაში წინააღმდეგობას არ გავუწევ. გოგო რომ მყავდეს, მაშინ არა, მაშინ ვერ დავუშვებდი ამას.”

**რესპონდენტი #3:** „ალბათ, მაქსიმუმ ათ წელი-წადში ჩვენც აღარ ვიქნებით ასე.”

**რესპონდენტი #2:** „გოგოსთვის მაინც მიუღებელია. ზოგადად კი, მაგრამ ჩემიანზე ვერ დავუშვებდი. სამარცხვიონ ფაქტად და მეტიჩრობად ჩამითვლიან. საზოგადოება შეურაცხყოფას მომაყენებს, ნამდვილად ვიცი.”

**რესპონდენტი #3:** „შენ თვითონაც შეურაცხყოფილად იგრძნობ თავს.”

[ფოკუსური ჯგუფი სასკელაღსრულებითი სისტემის წარმომადგენლებთან, თბილისი]

და ამ ადამიანებს, რომლებიც თითქოსდა კარგად უნდა იცნობდნენ კანონებს და გენდერულ უთანასწორობას უნდა ებრძოდნენ, არ სურთ მათი ვაჟები ოჯახს გარეთ ცხოვრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თავად კარგად იციან, თუ რა რთულია, როცა ცოლლ-ქმრის ურთიერთობაში ოჯახი, განსაკუთრებით კი, დედამთილი ერევადა და ხშირად ოჯახში ძალადობის მიზეზიც ხდება. მათ ორმაგი მორალი ამორავებთ – ვაჟის პარტნიორთან თანაცხოვრება მისაღებია, ხოლო ქალიშვილის პარტნიორთან თანაცხოვრება - აბსოლუტურად მიუღებელი; ამავე დროს, ისინი თავად მისდევენ მოძველებულ სტერეოტიპებს (რას იტყვის ხალხი?), ამტკიცებენ რა, რომ საზოგადოებასთან მუშაობაა საჭირო აღნიშნული სტერეოტიპების შესაცვლელად. თუ ამ სფეროში გათვითცნობიერებული ადამიანები ასე ფიქრობენ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უბრალო ადამიანები, რომელთაც ოჯახში ძალადობის მნიშვნელობა არც იციან, იგივეს ფიქრობენ.

მეორე სფერო, სადაც საზოგადოების გაკიცხვა თავიდან უნდა იქნას აცილებული, განქორწინებაა, რომელზეც ტრადიციული შეხედულებები დიდ გავლენას ახდენს. ფოკუსურ ჯგუფში ჩართული ქალები განქორწინებას ახასიათებენ, როგორც „კატასტროფას” და „ქვეყნის დასასრულს.” ჯგუფის წევრები თანხმდებიან, რომ „საზოგადოებას, ჩვეულებრივ, ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება აქვს „დაბრუნებული ქალების” მიმართ. ქალის ოჯახს რცხვენია ხოლმე მეზობლებისა და ნათესავების, ძლიერ წუხს, თუ „რას იტყვის ხალხი.” აქედან გამომდინარე, ძალიან

ხშირად, მშობლები უარს ამბობენ განათხოვარი ქალიშვილის უკან მიღებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იციან, რომ მათ ქალიშვილს ქმარი ცუდად ექცევა. ასეთი ფაქტები, ჩვეულებრივ, სოფლებში ხდება ხოლმე. ქართულ კულტურაში ქალის მიმართ ნორმატული შეხედულება გულისხმობს იმას, რომ ქალი უნდა იყოს თავმდაბალი და მორჩილი. მან უნდა აიტანოს ქმრისა და მისი ოჯახის ცუდი მოპყრობა, რათა შეინარჩუნოს ოჭახი და ბავშვებს შეუნარჩუნოს მამა. ამგვარი სიტუაცია არა მარტო ქალის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უქმნის საფრთხეს, არამედ იგი ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც ზიანს აყენებს. მშობლების აზრით, ძალადობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია არასათანადო სოციალიზაცია და ძალადობრივ ოჭახში აღზრდა. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი რესპონდენტი ფიქრობს, რომ „თუ ძალიან აუქანელი არაა მდგომარეობა, ქალმა უნდა გაუძლოს ყველაფერს ბავშვების გულისთვის”, ბევრი მაინც იმას ფიქრობს, რომ „უკეთესია საჭმელი გავლდეს და ბავშვი ნორმალურ და მშვიდ გარემოში აღზარდო - ეს იქნება ბავშვებისთვისაც და ქალისთვისაც საუკეთესო გამოსავალი.” [ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თელავი]

რიგი რესპონდენტებისა ფიქრობს, რომ არა მარტო არასაკმარისი სოციალიზაცია, არამედ, ზოგადად, გენდერული სოციალიზაცია ხელს უწყობს ოჭახში ძალადობას, რადგან მშობლები, ტრადიციულად, ვაჟებს ასწავლიან, იყვნენ აგრესიულები და ყოველთვის გადაუხადონ სამაგიერო სხვებს, ხოლო ქალიშვილებს ასწავლიან, იყვნენ ტოლერანტულები და მიმტევებლები.

„იცით, ძალადობა საიდან ჩნდება? მე ბიჭიც მყავს და გოგოც და იცით, როგორ ვზრდით ჩვენს ვაჟს? ვეუბნებით, რომ თუ ვინმე დაარტყამს, მანაც დარტყმით უნდა უპასუხოს. ვინმემ რამე წაგართვა? შენც იგივე უნდა გაუკეთო. ჩვენ, დედები, ვაკეთებთ ამას; ჩვენ ვართ ყველაფრის საწყისი; ჩემი ქმარი ასე იყო აღზრდილი და ჩვენს ვაჟსაც ასე ვზრდით. თუმცა, გოგონას სხვაგვარად ვზრდით, მას ტოლერანტულებასა და მიმტევებლობას ვასწავლით.”

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, სამცხე-ჭავახეთი]

რესპონდენტების მიერ დასახელებული კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ოჭახში ძალადობას უწყობს ხელს, შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობაა,

რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის დაბალ გათვითცობიერებულობას იწვევს. ზემოთ მოცემულ ნაწილში „რა არის ძალადობა?” აღვნიშნეთ, რომ რესპონდენტებმა არათუ საკუთარი უფლებები არ იციან, ოჯახში ძალადობის მნიშვნელობაც არ ესმით. ეს ტენდენცია დამახასიათებელია როგორც ძალადობის მსხვერპლთათვის, ისე პოლიციელებისა და მომსახურების მიმწოდებლებისათვის.

კვლევაში გამოკითხული ექსპერტები თვლიან, რომ მათ სამუშაოში მთავარი დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირად ქალები ვერ აღიქვამენ თავს ძალადობის მსხვერპლად და, შესაბამისად, არც დახმარებისათვის მიმართავენ შესაბამის სამსახურებს. ისინი იხსენებენ ბევრ შემთხვევას, როცა ხედავენ, რომ „ქალი მსხვერპლია, თუმცა თავად ამას ვერ ხვდება და ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი ამბავია; თუ ქმარი გაბრაზდება და გირტყამს” (ექსპერტი, თელავი). ისინი მსხვერპლ ქალებს ორ კატეგორიად ყოფენ: ქალები, რომლებიც აცნობიერებენ, რომ არიან ძალადობის მსხვერპლი და ძალადობასთან ბრძოლის მიზნით გარკვეულ ზომებსაც იღებენ, ამდენად, შესაბამის შედეგებსაც აღწევენ. თუმცა, ასეთი ქალების რაოდენობა დიდი არაა. მეორე კატეგორიაა ქალები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ, რომ ძალადობის მსხვერპლი არიან, არ ეწინააღმდეგებიან ძალადობას, პირიქით, ცდილობენ იყვნენ ტოლერანტულები. ისინი მსხვერპლთა უმრავლესობას წარმოადგენენ.

კვლევაში გამოკითხული ყველა ექსპერტი და მომსახურების მიმწოდებელი აცხადებს, რომ სოფლებში ყველაზე დიდი პრობლემა ინფორმირებულობის დაბალი დონეა, განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებში. დაბალ ინფორმირებულობას თან ერთვის ტრადიციული შეხედულებების დომინანტური როლი, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას.

„რეგიონებში მთავარი პრობლემა საკუთარი უფლებების არცოდნაა. ორივეს, ქალებსაც და კაცებსაც, განსხვავებული მენტალიტები აქვთ, მათ არ იციან, რომ ის, რასაც ზოგიერთი მამაკაცი სჩადის, ნორმალურისგან გადახრაა. მამაკაცი ფიქრობს, რომ ნორმალურია, რაც საკუთარი ბებია-ბაბუებისაგან და მშობლებისაგან ისწავლა. ჩემს ნათესავებთან და მეგობრებთან რეგიონებში სტუმრობისას, ბევრჯერ მიგრძვნია ასეთი დამოკიდებულება.” (ექსპერტი, თბილისი)

„...ჩვენი მენტალიტებისა და ტრადიციების მიუხედავად, თუმცა ნამდვილად არ არის ტრადიცია, მშვიდად უყურო, როგორ გიკლავს ვიღაცა შვილს, მაინც აიძულებენ ქალიშვილებს, მოთმინებით აიტანონ ქმრის საქციელი. ეს განათლების დაბალ დონეზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, რეგიონების მოსახლეობასთან აუცილებელია მუშაობა, რათა ხალხმა გააცნობიეროს, რომ უკეთესია ოჯახი დაინგრეს, ვიდრე ვიღაცა შვილს გიკლავდეს.“ (სასტულადსრულებითი სისტემის წარმომადგენლები, თბილისი)

რესპონდენტთა თანახმად, კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ოჯახში ძალადობას უწყობს ხელს, კანონის არაეფექტურობაა. რესპონდენტების თქმით, მართალია, ოჯახში ძალადობის კანონი არსებობს, იგი პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება, რადგან არ არსებობს კანონის განსახორციელებლად ად საჭირო მექანიზმები და რესურსები. პოლიციელები საკუთარ თავს ახასიათებენ, როგორც „საფრთხობელებს“, რადგან ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, მოძალადებების მცირე ხნით დაშინება; მათ არ შეუძლიათ ოჯახურ ძალადობასთან ეფექტურად ბრძოლა, რადგან „ამისათვის არ არსებობს შესაბამისი მექანიზმები, აქედან გამომდინარე, ამ პროცესს რაიმე შედეგი არ მოჰყება.“

„აზრი აქვს იმ მხრივ, რომ საფრთხობელასავით ხარ, შენით აშინებ. ვისაც შეხება ჰქონია ამ საქმესთან, თუნდაც სასამართლოში, ყველამ იცის, რომ ამას შედეგი არ მოჰყება – მიიყვან მოსამართლესთან, მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას, რომელსაც შედეგი ნული აქვს. მიხვალ, დაწყნარდება სიტუაცია, წამოხვალ, შემდეგ ისევ დაიძაბება და გამოგიმახებენ, ისევ მიხვალ და ივლი ასე, სანამ ცვლას არ გადაბარებდ.“ (პოლიციელი, თბილისი)

„უბრალოდ, შეგვიძლია მივიდეთ და დავაწყნაროთ, სხვა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. კანონშიც არაფერი წერია.“ (პოლიციელი, თბილისი)

„ერთადერთი, რისი გაკეთებაც პოლიციელს შეუძლია, შემავავებელი ორდერის გამოწერაა, თუმცა, მასაც არაფრის ძალა არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი ოჯახში ძალადობაზე, მის შესასრულებლად ძალიან ცოტა რამ თუ კეთდება, არ არსებობს სარეაბილიტაციო ცენტრები, სადაც ძალადობის მსხვერპლთ მოძა-

ლადებისაგან დააშორებენ. ამგვარი ცენტრების შექმნას არც ბიუჯეტი და არც კანონი არ ითვალისწინებს. შედეგად, მსხვერპლი კვლავაც მოძალადესთან აგრძელებს ცხოვრებას.“ (ექსპერტი, თელავი)

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები და ექსპერტები აცხადებენ, რომ 100 შემთხვევიდან 90 წყდება და სასამართლომდე არ მიღის, რადგან ეს უმნიშვნელო ფიზიკური ტრავმებია და რომ პოლიციას არ აქვს უფლება, დააპატიმროს მოძალადე, მათ გული სწყდებათ, რომ ის ათი შემთხვევაც რეაგირების გარეშე რჩება, რადგან სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლთათვის არც შესაბამის დაფინანსებას უზრუნველყოფს და არც რეაბილიტაციის ცენტრებს. ამგვარად, რესპონდენტთა თქმით, ოჯახში ძალადობის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. ბევრი მათგანი სახელმწიფოსაც კი ადანაშაულებს იმაში, რომ ძალადობის ჩასადენად ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

„ჩემი აზრით, ბოლო 10-20 წლის განმავლობაში, სახელმწიფო თავად არის ძალისმიერი და ეს საზოგადოებაზეც აისახება.“ (ექსპერტი, თბილისი)

ამგვარი „ასახვა“ თითქოსდა ბუნებრივიც არის, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ წარსულს და ოჯახის, როგორც სახელმწიფოს „მიკრო მოდელის“ აღქმას საქართველოში.

## რას აკეთებენ ქალები და რისი გაკეთება შეუძლიათ ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად

წინა თავების მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ ოჯახში ძალადობაზე გავლენის მომხდენი და ხელის შემწყობი ძირითადი ფაქტორები ტრადიციული აგროვნება და მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობის დონეა. რესპონდენტების შეხედულებები ადასტურებს, რომ ეს ფაქტორები გავლენას ახდენს ქალის სრულ უმოქმედობაზე ან ოჯახში ძალადობის მიმართ ტოლერანტობაზე საქართველოში. ამგვარად, შეკითხვაზე: რას აკეთებენ საქართველოში ქალები გენდერული უთანასწორობისა და ძალადობის წინააღმდეგ?, ყველაზე სავარაუდო პასუხია: შემთხვევათა უმეტესობაში, არაფერს, გარდა მოთმინებისა.

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა და ფოკუსურმა ჰგავთებმა, როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების მცხოვრებ ქალებთან გამოავლინა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ისინი ძირითადად პასიურები რჩებიან, რადგან, ტრადიციულად, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობები დომინანტი-დაქვემდებარებულის თვალსაზრისით განიხილება. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეს ქალები ქმრებს „პირველ და არა მეორე ნახევრებად“ აღიქვამენ. ქმარს უფლება აქვს, უკარნახოს ცოლს, რა აკეთოს, სად წავიდეს, რა ჩაიცვას და, თუ საჭიროა, ფიზიკურადაც შეეხოს მას. გარდა ამისა, განქორწინება აღიქმება „სამარცხვინოდ“ ან „ვატასტროფადაც“ კი. ქალი რესპონდენტები თავად აცხადებენ, რომ ქალმა არ უნდა იფიქროს განქორწინებაზე, თუ მის მიმართ ძალადობა აუტანელი არ გახდება. უფრო მეტიც, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ერთი ქალი, რომელსაც ქმარი ექვსი წლის განმავლობაში გამუდმებით აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხებულის, ამტკიცებდა, რომ ქმარს ასე ძლიერ რომ არ ეცემა, ისინი დღემდე ერთად იქნებოდნენ.

„ოჯახში ქალსაც და ვაცსაც ერთი და იგივე აზრი უნდა ჰქონდეთ. მე რომ ვინმებ მკითხოს, ოჯახში ყოველთვის პირველად ჩავთვლი მამაკაცს. ის არის ჩემი პირველი ნახევარი. პირველი და არა მეორე, იმის მიუხედავად, რომ მე მასზე არაფრით ნაკლები არა ვარ... თუ ჩემს მეგობართან ვარ და ქმარი დამირეკავს და მთხოვს, სახლში დაუყოვნებლივ მისვლას, იქ ერთ წუთსაც აღარ გავჩერდები; თუ ჩემს ქმარს არ მოსწონს, როგორ მაცვია, არ დავიწყებ დავას ასეთ უმნიშვნელო რამებე, არ ჩაიცვამ იმ კაბას და მორჩა. ხომ არ მოვალეობი, თუ მაინცდამაინც ის კაბა არ მეცმევა.“

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თბილისი].

„მარტო ქალის ცხოვრება იმდენად საშინელებაა, რომ თუ ქმარი ძალიან არ გირტყამს, სკობს, ისევ შენ გაუგო შენს ქმარს და ოჯახი გქონდეს... გარდა ამისა, განქორწინებულ ქალს ყოველთვის გარკვეული სტიგმა დასდევს საზოგადოებაში.“

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თბილისი]

და თუ თბილისში მცხოვრები დასაქმებული ქალი ფიქრობს, რომ ქმრის სურვილი ავტომატურად იქცევა ცოლის სურვილად და რომ განქორწინე-

ბა „საშინელებაა“ და თუ ქმარი ძალიან არ გცემს, უმკობესია მასთან დარჩე (იმიტომ რომ სტიგმის შიში გაქვს), ალბათ, აღარ გაგვიკვირდება, რომ სოფელში მცხოვრები, დაუსაქმებელი და ფინანსურად ქმარზე დამოკიდებული ქალები იმავეს ფიქრობენ.

„ვაცი ყოველთვის ერთი საფეხურით მაღლა დგას. ოჯახის უფროსია და უნდა წარმართოს ოჯახი, ის არის ვაცი. ვაცის წინ რომ ცოლი მიდის, ცოტა არ სიამოვნებთ მამაკაცებს, მათი ხმა უფრო გადამწყვეტი უნდა იყოს. რაც ვაცის საქმეა და ვაცის გადასაწყვეტია, იქ მიდის ხოლმე ზოგი წინ. ეს ნიშნავს ცოლის წინ წასვლას. ასე არ უნდა მოიქცეს ქალი. საზოგადოების მხრიდან ცოტა სხვანაირად ჩანს ეს უკვე... ადრე სხვანაირად იყო და ახლანდელი ახალგაზრდებისთვის რომ შემიხედავს, სხვანაირად მომხვედრია თვალში, მითქვამს, რომ არასწორად იქცევიან. ვერ წარმომიდგენია, ჩემს მეუღლეზე წინ გადამედგა ნაბიჭი და მეთქვა, არა, მე მაინც უნდა წავიდე სადღაც, გინდ გამიშვა და გინდ არაო. დღეს კი არიან ასეთი ახალგაზრდები, რაც არ მომწონს.“

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თელავი]

ზემოთ წარმოდგენილი ნაწყვეტი ადასტურებს, რომ შუა ხნის ქალები საკმაოდ ტრადიციულ შეხედულებებს ფლობენ ოჯახში მამაკაცის, როგორც დომინანტის, პოზიციის შესახებ. მათი აზრით, მამაკაცი ქალზე ერთი ნაბიჭით წინ დგას. მათ სკერათ, რომ ქალი არ უნდა წავიდეს „მამაკაცზე წინ.“ მათ მოსწონთ დაქვემდებარებულის პოზიციაში ყოფნა და აკრიტიკებენ ახალგაზრდებს, რომელთაც სიტუაციის შეცვლა სურთ.

როგორც ექსპერტების და სასკელალსრულებითი სისტემის წარმომადგენლების, ისე არაკვალიფიციური მოსახლეობის აზრით, სწორედ ეს იწვევს ქალის აქტიურობის/პასიურობის ფუნდამენტურ პრობლემას. მათი თქმით, ქალის პასიურობა წინავს არაფრის კეთებას და ძალადობის აღსაკვეთად დროული ნაბიჭების არგადადგმას, ხოლო ქალის აქტიურობა გულისხმობს უკიდურესი ზომების მიღებას (ქმრის მოკვლასაც კი), როცა ოჯახში ძალადობა უკვე გაუსაძლისი ხდება.

„ადამიანი არჩევანს აკეთებს შემდეგნაირად: არ უნდათ, რომ ახლობელი ციხეში მოხვდეს. ურჩევნიათ ეს ყველაფერი მოითმინონ. უფრო დიდ უბედურებად მიაჩნიათ სასამართლოში საქ-

მის წალება... როცა ესმით, რომ პოლიცია უნდა მოვიდეს და სასამართლოში უნდა წავიდნენ, ეს უფრო აშინებთ. შეიძლება სტერეოტიპი აქვთ პოლიციის და სასამართლოს მიმართ. ისინი ხვდებიან, რომ ამან შეიძლება კი არ უშველოთ, უფრო გაურთულოთ სიტუაცია. ადამიანს უნდა მივაწოდოთ, რომ ეს არ ავნებს მის ოჯახს, მის მდგომარეობას... ვგულისხმობ, რომ პრობლემაა მათ მოქმედებაშიც და მათ უმოქმედობაშიც. მოქმედებაში ვგულისხმობ იმას, რომ მკვლელობის შემთხვევებიც იყო.” (ექსპერტი, თბილისი)

„მე უამრავ ასეთ ოჯახთან მაქვს შეხება და ვიცი, რომ მხოლოდ მაშინ, როცა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგება, მეზობლებმა შეიძლება გაბეჭონ ჩარევა და პატრულს გამოუძახონ.” (მომსახურების მიმწოდებელი, თელავი)

„ქართველი ქალების მინუსი ის არის, რომ, თუ რაღაც უბედურება არ მოხდა, ასეთ ამბავს სააშკარაოზე არ გამოიტანენ. პატრულს იმ შემთხვევაში გამოიძახებენ, ქმარი რომ უკვე დანით დასდევს. დაფარულია ეს თემა ისევე, როგორც სექსუალური პრობლემების დროს, რომელზე საუბარს და ექიმთან მისვლასაც ერიდებიან. პერიფერიებისა და რეგიონებში ეს განსაკუთრებით ასეა. თუ მეზობელმა არ გაიგო, რომ ცოლ-ქმარი ხოცავს ერთმანეთს და პატრულს არ გამოუძახა, თვითონ არ ამბობენ.”

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თბილისი]

ამ პრობლემას უფრო მეტად სასკელალსრულებითი სისტემის წარმომადგენლები იცნობენ, რადგან უწევთ ისეთ ქალებთან შეხება, რომლებმაც ძალადობის სიტუაციაში, თავის დაცვის მიზნით ან უბრალოდ იმის გამო, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლოთ, ქმრები მოკლეს. აღნიშნული სისტემის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ „ეს-ენი არ არიან ქალები კრიმინალური მენტალიტებით, არც პოტენციური მკვლელები, ისინი ჩვეულებრივი დედები არიან.” პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წლების განმავლობაში ითმენდნენ ოჯახში ძალადობას „და ბოლოს, აფექტის მდგომარეობაში, მთელმა ტკივილმა, სიბრაზემ და აგრესიამ ერთად ამოხეთქა.” სასკელალსრულებითი სისტემის თანამშრომლები ამ ქალებს არ ადანაშაულებენ, პირიქით, ცდილობენ მათ გაგებას, რადგან, მათი თქმით, „არავინ იცის, რას ჩაიდენს აფექტის მომენტში, ეს

ხშირად ემოციები უფროა, ვიდრე წინასწარი განზრახვა.” სხვების მსგავსად, სასკელალსრულებითი სისტემაც ამ ყველაფერში „ტრადიციულ მენტალიტებს” ადანაშაულებს. ტრადიციები ქალებს აიძულებს, აიტანონ ძალადობა და ჩუმად იყვნენ, ვიდრე „მოთმინების ფიალა არ აევსებათ.”

თუმცა, ვვლევის სუბიექტების იდეები ასევე ადასტურებს, რომ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნასთან ერთად, სიტუაცია თანდათან იცვლება. მიმდინარე გარდაქმნები ჩვენს საზოგადოებაზე გავლენას ახდენს და ახალგაზრდა თაობა ბრმად აღარ მიჰყება ტრადიციებს, უფრო მეტიც, ხშირად გადაუხვევს კიდევ მათგან. ახალგაზრდა გოგონები ვეღარ იტანენ ქმრებისაგან იგივეს, რასაც მათი ბებიები და დედები იტანდნენ თავის დროზე. ისინი შეცყრობილი არიან „გენდერული თანასწორობის” იდეებით, რაც „მოდერნიზაცია-ვესტერნიზაციის” შედეგია. შესაბამისად, ისინი მზად არიან საკუთარი უფლებების დასაცავად.

„ჩვენი ბებიებისა და დედების თაობებიდან მოდის, რომ კაცი მთავარი იყო ოჯახში. ჩემზეც ასე გადმოვიდა, მაგრამ ჩემს შვილებში უკვე ასე აღარ არის... ჩვენს თაობას გამჭდარი აქვს მშობლებისგან, რომ, კაცი რომ სახლში მოვიდოდა, ცოლი ჩუსტებს მიუტანდა, მაგიდას გაუწყობდა. კაცი რომ სახლში მოვიდოდა, იგრძნობოდა... ჩემი ქალიშვილი ამას აღარ იჩამს. ვიცი, ქმარმა რომ სთხოვოს, ჩუსტი მომიტანეო, არ მიუტანს.... ჩემში მამაკაცის კულტი მაინც ზის, ჩემს შვილში კი აღარ. ჩემი შვილის ოჯახი უკვე თანასწორუფლებიანია. ბევრი ახალგაზრდა წყვილი დღეს ინანილებს ფუნქციებს.”

[ფოკუსური ჰგუფი, ქალები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თბილისი]

„დღევანდელ ცვალებად გარემოში, ჩვენი შვილების თაობაზე გავლენას ახდენს მოდერნიზაცია-ვესტერნიზაციის ტენდენციები, ისინი შეცყრობილი არიან თანამედროვე იდეებით, როგორიცა მშობლებისგან ადრეულ ასაკში დამოუკიდებლად გასვლა, პარტნიორთან ქორწინებამდე თანაცხოვრება, გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლა და ა.შ.” (ექსპერტი, თბილისი)

ამგვარად, დღესდღეობით, ქართველი ქალის ტრადიციული იმიტი (თავმდაბალი და მორჩილი) ჩანაცვლებულია ქალით, რომელსაც შეუძლია „გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლა,” სა-

კუთარი უფლებების დაცვა, თუმცა ტრადიციული შეხედულებები მაინც პრობლემად რჩება, განსაკუთრებით, უფროსი ასაკის ქალებისათვის, რომლებიც კვლავაც ოჭახში ძალადობის მოთმენას და განქორნინების თავიდან აცილებას არჩევენ.

ვიდევ ერთი ფაქტორი, რაც ქალის მიერ ოჭახში ძალადობის ტოლერანტობაზე ახდენს გავლენას, ჭერის გარეშე დარჩენისა და შვილების შენახვის შიშია. აღნიშნული დასტურდება თავშესაფარში მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებით. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ იძულებული იყო აეტანა ქმრის მხრიდან ძალადობა წლების განმავლობაში, რადგან არსად ჰქონდა ნასასვლელი და ქუჩაში დარჩენის ეშინოდა. გარდა ამისა, მათ შვილების დამოუკიდებლად შენახვის საშუალებაც არ ჰქონდათ. ბევრ მათგანს, თავშესაფარში ნასვლის დროისათვის სამსახური არ ჰქონდა, თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიმე სამუშაოს იპოვნიდნენ, ვერ შეძლებდნენ შვილების შენახვას დაბალი ანაზღაურების გამო.

მოდერატორი რესპონდენტ ქალებს ეკითხება, თუ იციან ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა ქმარი ფიზიკურ ძალადობას ახორციელებს ცოლზე და მიუხედავად ამისა, ქალი მაინც არ მიდის ოჭახიდან.

**რესპონდენტი # 1:** „შეიძლება ქალს აღარც უყვარდეს ქმარი, მაგრამ მარტო დარჩენისა და შვილების შენახვის შიში ჰქონდეს, ან ეშინოდეს ხალხის რეაქციის, ვინმემ ცუდად არ შეხედოს. ხომ იცით რა ჭორიკანაა ხალხი....”

**რესპონდენტი # 5:** „ძალიან ხშირად ეკონომიკური ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს. უაღრესად რთულია იპოვო სამსახური, თან იმუშაო და თან შვილები ზარდო. ჩემი აზრით, ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ფიზიკურ ძალადობას იტანენ და ქორწინებაში რჩებიან.“ [ფოკუსური ჯგუფი, ქალები, სამცხე-ჯავახეთი]

„მე ვერაფერი შევძელი. მაშინ ამდენ ინფორმაციას არ ვფლობდი, რასაც ახლა. თავშესაფარში ბევრი რამ ვისწავლე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმარი ეკონომიკურ ძალადობას ახორციელებდა ჩემზე, მაინც ვერ გავდედ და ვერ დავტოვე შვილები მარჩენალის გარეშე.“ (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი)

ქალებისათვის, რომელთაც არ იციან, როგორ დააღწიონ თავი ქმრის ძალადობას და როგორ არჩინონ შვილები, თავშესაფარი ნამდვილი შვებაა. თავშესაფრებში ძალადობის მსხვერპლები იღებენ ფიზიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურულ დახმარებას. მათ ეხმარებიან სასამართლოსთან ურთიერთობის საკითხებში. ამავე დროს, მსხვერპლი ქალებისათვის ტარდება სპეციალური ტრენინგები, რაც მათ სამსახურის მოძიებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების გაძლიერებას ემსახურება. ამგვარად, თავშესაფრების მიზანია, ოჭახში ძალადობის მსხვერპლთა მაქსიმალური გაძლიერება, რაც თავშესაფარში მცხოვრებ მსხვერპლ ქალებთან ინტერვიუებშიც დასტურდება.

„ძალიან მაღლობელი ვარ ამ ორგანიზაციის, ალბათ დავიღუპებოდი, რომ არა მათი დახმარება. ერთი ლარიც კი არ მქონდა, რომ შვილისთვის რამე მეყიდა. არც ღამის გასათევი მქონდა სადმე. თბილისში ჩემს ქმარს გამოვექეცი, მინდოდა, ჩემი ქმრისგან დავმალულიყავი. თბილისი არც ისე ახლოა გორთან. გოგონებმა ყველაფერი გააკეთეს ჩემს დასახმარებლად. ახლა თან ვსწავლობ და თან ვმუშაობ აფისში, მე უკვე შემიძლია ჩემი შვილების შენახვა, თუმცა ბინის დაქირავების საშუალება ჰქონ არ მაქვს.“ (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი).

„ისინი დამეხმარენ სასამართლოში საქმის შეტანაში; მათ სულიერად და ემოციურად გამაძლიერეს; გულთან მიიტანეს ჩემი ტკივილი; ისინი მეხმარებიან შვილების დაბრუნებაში.“ (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი)

„აქ მომცეს თავშესაფარი და ჩემი შვილი ბავშვთა სოფელ „კინდერში“ მოაწყვეს. თავშესაფარში ოთხი თვე გავატარე, მუშაობა დავიწყე და დღეს უკვე საკუთარი თავშესაფარი მაქვს.“ (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი)

„აქ დიდი გამოცდილება შევიძინე. ჩემს ირგვლივ მყოფი ყველა ქალი ძალიან დამეხმარა. ფსიქოლოგიურად ძალიან განადგურებული ვიყავი; ისინი ძალიან ყურადღებიანები არიან, დამეხმარენ გაძლიერებაში და სამუშაოც მაპოვნინებს. როდესაც სახლი დავტოვე, არ ვიცოდი, სად წაგსულიყავი, ერთადერთი აქ შემეძლო მოსვლა და დახმარების მიღება, ისინი ჩემს გვერდით დადგნენ!“ (თავშესაფარში არმცხოვრები მსხვერპლი)

ამგვარად, მსხვერპლთა მონათხობების მიხედვით, თავშესაფარი მათვის ძალიან დიდი შვება იყო. ზოგი იმასაც კი ფიქრობს, რომ უნდა იყოს თავშესაფრები მოძალადებისთვისაც, „რადგან მათ სჭირდებათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, დაუშვებელია მათი უგულებელყოფა. მათ უნდა მიეცეთ გამოსწორების შანსი.“

თავშესაფრების გარდა, კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც ძალადობის მსხვერპლთათვის დიდი შვება მოაქვს, ეკლესიაა. მათი თქმით, ეკლესიაში წასვლა და ლოცვა მათ ყველაზე რთულ პერიოდებში ეხმარება, რადგან რელიგიური რწმენა ადამიანს ოპტიმიზმით ავსებს, ამშვიდებს და მომავლის იმედს უბრუნებს, ასე გაჭირვებაც უფრო ადვილი ასატანი ხდება. ეკლესია გარკვეული თავშესაფარიცაა ძალადობის მსხვერპლთათვის. წარმოგიდგნთ ამონარიდებს ძალადობის მსხვერპლთა ინტერვიუებიდან:

„რას ვაკეთებ ძალადობის თავიდან ასაცილებლად? ეკლესიაში მივდივარ და ვლოცვულობ. ეს ძალიან მეხმარება. ვცდილობ მოთმინების შენარჩუნებას და დამშვიდებას.“ (თავშესაფარში არ მცხოვრები მსხვერპლი).

„როცა ქმრისგან პატარა ბავშვით გამოვიჩეცი, არც კი ვიცოდი, ვისთვის მიმემართა, ამიტომ დაუყოვნებლივ ეკლესიაში მივედი. მათ დამამშვიდეს და ყველანაირი დახმარება აღმომიჩინეს, მიხედეს ჩემს შვილს, მომცეს საკვები და თავშესაფარი. სწორედ მათ მომანოდეს ინფორმაცია ამ თავშესაფარის შესახებ, მითხრეს, რომ აქ დამებრმარებოდნენ სამუშაოს პოვნაში და შვილის რჩენაში.“ (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი)

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ქალები, განსაკუთრებით კი შეა ხნის და უფროსი ასაკის, უმეტესად მოთმინებით იტანენ ოჯახში ძალადობას, თუმცა, უკიდურეს შემთხვევებში, თავშესაფრება და ეკლესიასაც კი მიმართავენ. ისინი დახმარებისათვის თითქმის არასოდეს მიმართავენ სამართლებრივ სისტემას.

## იდეალური სამყარო – რას გვთავაზობენ ქალები და სხვები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად?

და ბოლოს, როგორ წარმოუდგენიათ ჩვენი კვლევის მონაწილეებს ოჯახში ძალადობისაგან თავისუფალი, იდეალური სამყარო? რა გზით ფიქრობენ ისინი ოჯახში ძალადობის დამარცხე-

ბას და იდეალურ სამყაროსთან მიახლოებას? რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანია ქალთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება და მათი გაძლიერების ხელშეწყობა. ექსპერტი, ისევე, როგორც არაესპერტ მოსახლეობას სკერა, რომ პოზიტიური ცვლილებები მაშინ დაიწყება, როცა ქალები გათავისუფლდებიან „ტრადიციული მენტალიტეტისაგან“ (რესპონდენტები ასე უწოდებენ ტრადიციულ აზროვნებას) და შეიძენენ დასავლეთის საზოგადოებებში გავრცელებულ დემოკრატიულ ხედვას. ერთ-ერთი აქტივისტი ქალბატონი გორიდან ამტკიცებს:

„აუცილებელია ქალთა ორგანიზაციები უფრო გაძლიერდეს, მათი მიზანი იყოს ქალების გათავისუფლება რწმენისაგან, თითქოს ქალი უფრო სუსტია, ვიდრე მამაკაცი და რომ, ამიტომ, ქალი ქმრის მონა უნდა იყოს; თითქოს ქალმა არ უნდა დატოვოს მოძალადე ქმარი და წავიდეს თავშესაფარში, რადგან ეს სირცხვილია. დარწმუნებული ვარ, რომ ინფორმირებულობის გაზრდა და მენტალიტეტის შეცვლა ძალიან დიდ ზემოქმედებას ახდენს და პოზიტიური შედეგებიც მოაქვს. სწორედ აღნიშნულს ემსახურება ჩვენი პირდაპირი ტელეტრანსლაციები და სპეციალური ტრენინგები. ჩვენ ვთანამშრომლობთ მთავრობასთან, რადგან ამ პრობლემის გადაჭრაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.“

„ჩემი აზრით, მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მსხვერპლთა გაძლიერებაზე. მე თუ მკითხავთ, მთელი უყრადღება და ძალისხმევა მსხვერპლთა ცნობიერების შეცვლაზე უნდა მივმართოთ. აუცილებელია მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლება, მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.“ (ექსპერტი, თბილისი)

სიღრმისეული ინტერვიუებიდან და ფოკუსური ჰგუფის ტრანსკრიპტებიდან მოყვანილი მრავალი ამონარიდი ადასტურებს, რომ ქალებმა ხშირად არ იციან ქალთა უფლებები და ოჯახში ძალადობის საკითხები. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს პირველ ქვეთავში „რა არის ძალადობა?“, სადაც მკაფიოდ არის დემონსტრირებული, რომ არა მარტო არაექსპერტი მოსახლეობა, ისეთი პროფესიის წარმომადგენლებიც კი, როგორიცაა პოლიცია, მომსახურების მიმწოდებლები და ზოგჯერ ექსპერტებიც, არ ფლობენ სათანადო ცოდნას ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ

საკითხები. შესაბამისად. არ არის გასაოცარი, თუ ოჭახში ძალადობის მსხვერპლს წარმოდგენა არ აქვს, რომ შეიძლება მსხვერპლი იყოს და სასტიკად გაბრაბდება, თუ შემთხვევით ვინმე მსხვერპლს დაუძახებს.

„ზოგი ქალბატონი ფიქრობს, რომ არ აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. არის შემთხვევები, როცა ვხედავ, რომ ქალი ძალადობის მსხვერპლია, მაგრამ ის ასე არ ფიქრობს. მისი აზრით, საკმაოდ ბუნებრივია, თუ ქმარი ცოლს სცემს, როცა გაბრაბდება. ცოტა ხნის წინ გვქონდა ერთი შემთხვევა, ქმარი ცოლს სცემდა და ქალის დედამ მოგვმართა ჩვენ. დაველაპარაკეთ ძალადობის მსხვერპლს, იგი თავს არ მიიჩნევდა მსხვერპლად, თუმცა, ჩვენთან საუბრის შემდეგ, მან თავი ჩათვალა მსხვერპლად, არა იმის გამო, რომ ქმარი სცემდა (რაც საკმაოდ ბუნებრივად მიაჩნდა), არამედ იმის გამო, რაც საკუთარმა დედამ გაუკეთა.” (ექსპერტი, თელავი)

„ყველაზე მნიშვნელოვანია ქალის ინფორმირებულობის გაზრდა. ქალებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და ძალადობასთან ბრძოლის გზები. თუ ქალი ძალადობის პირველივე შემთხვევაზე რეაგირებას მოახდენს, შესაძლებელია, მოძალადემ უკან დაიხიოს. ამას ნამდვილად ექნება შედეგი, რადგან მოძალადე ჩვეულებრივი ადამიანია, მასაც ეშინია სანქციების, ჭარიმების, დასჭის.” (ქალი, სამცხე-ჭავახეთი)

სად შეუძლიათ ძალადობის მსხვერპლთ საჭირო დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება? ექსპერტებისა და ძალადობის მსხვერპლთა მონათხოვების მიხედვით, თავშესაფარი არის ადგილი, სადაც ძალადობის მსხვერპლი იღებს საჭირო ინფორმაციას ოჭახში ძალადობისა და მასთან ბრძოლის გზების შესახებ. ასევე, ემოციურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას და სპეციალურ ტრენინგებს სამსახურის ძებნის უნარების განსავითარებლად. ამგვარად, თავშესაფრები მსხვერპლებს ეხმარებიან გაძლიერებაში. ექსპერტები და ძალადობის მსხვერპლი ადამიანები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო მეტ დაფინანსებას უნდა გამოყოფდეს ამ სფეროში და მეტი თავშესაფრები უნდა იხსნებოდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სხვადასხვა რეგიონების მცხოვრებ ქალებთან ჩატარებულმა ფოკუსურმა ჯგუფებმა აჩვენა, რომ ისინი მოხარულნი იქნებიან, თუ თავშესაფრები იმ რაიონებშიც გაიხსნება, სადაც ცხოვრობენ. ამ გზით, პერიფერიებში მცხოვრები ქალები, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა სახის დახმარებას. ერთ-ერთმა აქტივისტმა ქალმა გორიდან განაცხადა,

რომ ის ოცნებობს ამგვარი თავშესაფრის გახსნაზე გორში. მისი თქმით, იგი ყველაფერს გააკეთებს ამ ოცნების განსახორციელებლად.

ქალთა ინფორმირებულობის გაზრდის გარდა, კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ საჭიროა მათი ინფორმირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გენდერული თანასწორობის დემოკრატიული პრინციპები, რომელთაც ნებისმიერი საზოგადოება უნდა ეფუძნებოდეს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა გავრცელდეს სხვადასხვა საინფორმაციო არხების გზით, როგორიცაა, ბროშურები, ტელევიზია, რადიო, რეკლამები, ა.შ. რესპონდენტთა აზრით, ინფორმაცია უნდა მიენოდოს ორივე სქესის წარმომადგენლებს, ქალებსაც და მამაცებსაც, რათა მათ იცოდნენ, თუ როგორ გაინაწილონ თანაბრად ფუნქციები და პასუხისმგებლობები ოჭახში. რამდენიმე რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მამაკაცები უნდა იყვნენ საინფორმაციო ცენტრებისა და ქალთა ორგანიზაციების გახსნის ინიციატორები, რადგან სწორედ კაცები ახორციელებენ ძალადობას და, შესაბამისად, მათვე უნდა დაიცვან ქალი ამგვარი მოპყრობისაგან.

„ძალიან მნიშვნელოვანია საინფორმაციო ცენტრების გახსნა. ცენტრში ორივე სქესის წარმომადგენელი მიიღებდა ინფორმაციას ნებისმიერ საკითხზე. მოსახლეობას ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს, განსაკუთრებით, სოფლებში, სადაც განათლების შედარებით დაბალი დონეცაა და ოჭახში ძალადობის ხელშემწყობი ტრადიციებიც უფრო მყარადაა გამჭდარი. ჩვენ რამდენიმე ტრენინგი ჩატატარეთ საქართველოს მაღალმთან სოფლებში და დავრწმუნდით, რომ, რაც უფრო ღრმად შევდივართ სოფლებში, მით უფრო მწვავე ხდება პრობლემა. პირველ რიგში, მათ სჭირდებათ სათანადო ინფორმაცია. რაც უფრო განათლებული და ინფორმირებულია ადამიანი, მით ნაკლებია შანსი მოძალადე ან მსხვერპლი გახდეს.” (აქტივისტი ქალი, გორი)

„...ჩემი აზრით, ტრენინგები მამაკაცებსა და ქალებს ერთად უნდა ჩატატარდეთ. ოჭახში ძალადობის მსხვერპლთა უმეტესობა ქალია, ამიტომ, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ მამაკაცები გამოვიდნენ ინიციატივით ამგვარი ორგანიზაციების გახსნის შესახებ და თავად დაიცავდნენ ქალებს ძალადობისაგან. ამ ტიპის ორგანიზაციების გახსნა განსაკუთრებით რეგიონებშია მნიშვნელოვანი, რადგან სოფლის მოსახლეობა უფრო ერთგულია ტრადიციების, შესაბამისად, მეტი ძალადობაც სოფლებში ხდება.” (ქალი, სამცხე-ჭავახეთი) კვლევის მონაწილეები ფიქრობენ, რომ მოსახლეობამ უნდა მიიღოს ინფორმაცია გენდ-

ერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჰქონ კიდევ სკოლის ასაკში. სასკელადსარულებითი სისტემის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ „საშუალო სკოლის მოსწავლეებს უნდა უტარდებოდეთ გაკვეთილები ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, მათ თავიდანვე უნდა იცოდნენ, რომ დოგმა არ არის, ქალი მოძალადე მეუღლესთან დარჩეს მთელი ცხოვრება. მათი აბრით, სასურველია ახალგაზრდა წყვილებსაც ჩაუტარდეთ მსგავსი ლექციები. რესპონდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდა ადრეული ასაკიდანვე და ახალგაზრდა ოჯახებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება გენდერულ თანასწორობასა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის გზებზე.

„აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება არა მარტო ქალებისათვის, არამედ ბავშვებისათვისაც. ჩემი აბრით, ბავშვები თავიდანვე სწორი მიმართულებით უნდა წავიდნენ. ამ სფეროს პროფესიონალების გადასაწყვეტია, რომელ ასაკში დაიწყონ სპეციალური განათლების უზრუნველყოფა ბავშვებისათვის. უდავოა, რომ ეს ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა. ბავშვები უფრო მოქნილები არიან ახალი ინფორმაციის მისაღებად, ვიდრე ზრდასარული ადამიანები. ამ უკანასკნელთ ცვლილებებთან შეგუება ძალიან უჭირთ.“ (მომსახურების მიმწოდებელი, თელავი).

რესპონდენტთა თანახმად, მოსახლეობის კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც სპეციალური ტრენინგები სჭირდება ოჯახში ძალადობის საკითხებში, პოლიციაა. კვლევის მონაწილეები, განსაკუთრებით კი ექსპერტები, აცხადებენ, რომ პოლიცია უკეთ უნდა იყოს ინფორმირებული ოჯახში ძალადობის საკითხებში, რათა მოახდინოს სათანადო ინტერვენცია და ეფექტურად გამოიყენოს ამ სფეროში მოქმედი კანონები. მათი აბრით, უნდა შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები და სახელმძღვანელოები პოლიციისათვის, რათა მათ სწორად განსაზღვრონ ოჯახში ძალადობის შემთხვევა და მოსახლეობას დაეხმარონ ძალადობასთან ბრძოლაში.

„პოლიციას მეტი ინფორმაცია სჭირდება. მათ რეგულარულად უნდა უტარდებოდეთ ტრენინგები. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, მათთვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა. ჩვენ უკვე დავბეჭდეთ სპეციალური სახელმძღვანელოები პოლიციისათვის. არ არის

პრობლემა, თუ კანონში რაიმე შეიცვლება, პროგრამის განახლება ყოველთვის შესაძლებელია. მასალა ყველასთვის ერთი და იგივე უნდა იყოს. ჩვენმა ან სხვა ორგანიზაციამ შეიძლება ჩატაროს სხვადასხვა ტრენინგები, მაგრამ მასალა აუცილებელია საერთო იყოს, რათა შედეგებიც ერთნაირი მივიღოთ.“ (ექსპერტი, თბილისი)

ამგვარად, კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს სჭერათ, რომ ოჯახში ძალადობის დამარცხების მიმართულებით პირველი ნაბიჭი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაა. როგორც წინა ქვეთავებში ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში ქალები უფრო ნარმატებით ადაპტირდნენ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან, ვიდრე კაცები. მათ მოახერხეს ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა და ოჯახში გახდნენ დომინანტურები. ეს ფაქტი მამაკაცებისათვის დაბრკოლებისა და გაღიზიანების წყარო ხდება, რადგან ისინი ვერ ეგუებიან ლიდერის პოზიციის დაკარგვას სოციალურ არენაზე და ოჯახურ ცხოვრებაში, რაც მათი აგრესისა და ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზი ხდება. რესპონდენტების აზრით, მეუღლებს შორის ასეთი კონფლიქტური სიტუაციების, ასევე, მამაკაცების ცოლებზე ფარული თუ ღია აგრესის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფომ აუცილებელია მეტი შესაძლებლობები უზრუნველყოს ორივე სქესის ადამიანებისათვის, რათა მათ პქონდეს სამუშაო ადგილები და მონაწილეობა მიიღონ ოჯახის შემოსავლის უზრუნველყოფაში.

„სახელმწიფომ მოსახლეობისათვის უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ არავინ იფიქროს ქვეყნის დატოვება. მთავრობის მოვალეობაა, შექმნას სამუშაო ადგილები, რადგან თუ ადამიანი დასაქმებულია და ბევრი პრობლემა არ აქვს, ოჯახში ძალადობის შემთხვევებიც იკლებს.“

**[ფოკუსური ჰგუფი, მამაკაცები, ასაკობრივი ჰგუფი 35-59, თელავი]**

„თუ ჩავუღრმავდებით, ეს არ არის კანონის პრობლემა, არამედ უფრო მეტად უმუშევრობის. მამაკაცებს საქმე არ აქვთ, ისინი უმუშევრები არიან, მათ რაღაც სჭირდებათ თვითდამკვიდრებისათვის და იწყებენ სმას. სამსახურები რომ იყოს ან სპორტული შეჭირდებები ტარდებოდეს, ვის ეცლებოდა დასალევად? იმას კი არ უნდა ველოდოთ, ადამიანი როდის ჩავარდება წყალში და დაიხრჩობა, იგი მანამდე უნდა გადავარჩინოთ, ხიდი მანამდე უნდა ავუგოთ, მას ოჯახის გადასარჩნად უნდა შევუქმნათ პირობები. მიღიონები და

მილიარდები იხარჯება შედეგების გამოსწორებაზე, გაცილებით ნაკლები იქნებოდა ხარჯი, თუ აღამიანებს გადასარჩენ ხიდს მანამდე ავუგებთ.” (მომსახურების მიმწოდებელი, თელავი)

რესპონდენტთა თქმით, ბოლო, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი გზა ოჭახში ძალადობასთან საბრძოლველად, სახელმწიფო პოლიტიკის და ხედვის შეცვლაა. ეს ნიშნავს შებამისი კანონის დახვეწას, ამ სფეროს მეტად დაფინანსებას და სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერებას, რათა ერთობლივი ძალებით გახსდეს შესაძლებელი ოჭახში ძალადობის დამარცხება. რესპონდენტთა თანახმად, ამ მიმართულებით, პირველი ნაბიჯი ოჭახში ძალადობის შესახებ კანონის ამოქმედებაა. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვავენ იმის გამო, რომ კანონი მხოლოდ ფურცელზეა და არ არის პრაქტიკაში ამოქმედებული. გარდა ამისა, საჭიროა მისი დახვეწა და ქართულ რეალობაზე მეტად მორგება. მათი აზრით, ამა თუ იმ კანონის შექმნამდე, საჭიროა სათანადო ბაზის შექმნა, სხვაგვარად კანონის პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელია.

„სახელმწიფოსგან ვითხოვთ კანონის განსახორციელებლად საჭირო ბაზისა და მექანიზმების შექმნას. ამავე დროს, კანონის განხორციელებამდე, საჭიროა მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება. საზოგადოება მზად უნდა იყოს კანონის ამოქმედებისათვის.” (მომსახურების მიმწოდებელი, თელავი)

„სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ორგანიზაციების შექმნას, როგორიცაა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” ან სხვა მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც მომსახურებებს უფასოდ უზრუნველყოფენ. ამ ტიპის ორგანიზაციებიმა უნდა დაარწმუნონ ძალადობის მსხვერპლი, რომ მათ შეუძლიათ დახმარების მიღება და რომ მათი უფლებები იქნება დაცული.” (ქალი, სამცხე-ჭავახეთი)

ექსპერტები ხაზს უსვამენ სახელმწიფოს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას. მათი თქმით, არსებობს სპეციალური საკოორდინაციო კომიტეტი, რომლის მიზანია პოლიტიკის ინიცირება და მისი მიმართვა ძალადობის სფეროზე; პასუხისმგებლობები სახელმწიფოს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შორის განაწილებულია. ძალადო-

ბის მსხვერპლთა დასაცავად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახელმწიფო უნდა დაარწმუნონ, რომ ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა ნამდვილად ოჭახში ძალადობის ფაქტია. სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციები უწევენ, ერთობლივად უზრუნველყოფენ თავშესაფრების მართვასა და მომსახურებების ფუნქციონირებას. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, ახლა საჭიროა მათი თანამშრომლობა მაქსიმალურად ნაყოფიერი გახდეს.

„საორედ არასამთავრობო ორგანიციებმა გამოხატეს ინტერესი ამ სფეროში და მათი ინიციატივა იყო სახელმწიფო დაცვის იურიდიული, ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჩვენ ერთად ვმუშაობთ, ერთის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის და, მეორეს მხრივ, სახელმწიფოსაგან ვითხოვთ, შესრულებულ იქნას საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვიმუშაოთ სახელმწიფოსთანაც და არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. ჩვენს სამუშაოს შედარებით ამარტივებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესები ემთხვევა, გარკვეულ კომპონენტებზე არასამთავრობოებთან ვთანამშრომლობთ და გარკვეულ კომპონენტებზე სახელმწიფოსთან.” (ექსპერტი, თბილისი)

„სახელმწიფოს გამოყენებული აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების ყველა რესურსი. თითქმის ყველა რესურსი იქნა გამოყენებული, როგორც პოლიტიკის დაგეგმვის საფუძველი. ჩემი აზრით, ახლა დროა, გადავიდეთ ურთიერთობათა ახალ ეტაპზე და საერთაშორისო ორგანიზაციებიმა დაიწყონ მონიტორინგი იმისა, თუ როგორ მართავს ამ საკითხებს სახელმწიფო და რამდენად ნაყოფიერად ახორციელებს იგი ცვლილებებს. ეს არის კარგი ნიმუში იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო დაფასებულია, თუმცა არის საკითხები, რომელიც ჰქონის სახელმწიფომდე არ მისულა.” (ექსპერტი, თბილისი)

და ბოლოს, როგორ წარმოუდგენიათ ჩვენი კვლევის მონანილებებს იდეალური სამყაროს ხედვაზე მსხვერპლად ყოფნა? რამდენად განსხვავდება მსხვერპლთა წარმოდგენები სხვა ადამიანთა წარმოდგენებისაგან? აღსანიშნავია, რომ ძალადობის მსხვერპლთა წარმოდგენები ბუსტად ემთხვევა სხვა ადამიანების შეხედულებებს. ყვე-

ლა მათგანი ოცნებობს მშვიდ და წყნარ გარე-მოზე, სადაც არ იქნება ძალადობა და მხოლოდ სიყვარული და პატივისცემა დაისადგურებას. ისი-ნი ოცნებობენ ისეთ ქვეყანაში ცხოვრებაზე, სადაც ყველას ექნება საშუალება, ჰქონდეს საკუთარი ჭერი და სამუშაო, ოჯახის რჩენის საშუალება. მათ არ მოუწვევთ ქვეყნის დატოვება სამუშაოს საძიებლად, აღარ დასჭირდებათ ალტერნატივების მოძიება ოჯახის გადასარჩენად; სახელმწიფო პოლიტიკა უფრო ლიბერალურ მიმართულებას აირჩევს, ყველას ექნება თანაბარი უფლებები, გენდერული თანასწორობა იარსებდებს; ბავშვები კი გაიზრდებიან მშვიდობიან და ბედნიერ ოჯახებში, სადაც ძალადობას არასოდეს ექნება ადგილი.

„იდეალურ პირობებში, ადამიანს ფინანსური გაჭირვება არ აქვს, სულიერად და ფიზიკურად ჭანმრთელია. რა უნდა გავაკეთო ასეთი მდგომარეობის მისაღწევად? უნდა დავეხმარო მათ, ვისაც ჩემნაირი პრობლემები აქვს. თუ ვხედავ, რომ ჩემს ირგვლივ ადამიანებს მატერიალური გაჭირვება აქვთ, შევეცდები ფინანსურად დავეხმარო მათ. ჩემს სახლშიც კი ვაცხოვრებდი ასეთ ადამიანებს. განსაკუთრებით დავეხმარებოდი მათ, ვინც მორალურადაა განადგურებული. ვოცნებობ, აღარ დავინახო გაჭირვებული ადამიანი ჩემს ირგვლივ, ასე რომ მაქსიმალურს გავაკეთებ სხვების დასახმარებლად.“ (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი)

„ჩემი ოცნებაა, ჩემს ირგვლივ სიყვარული და პატივისცემა სუფევდეს, რადგან სიყვარული არის მშვიდობიანი და პარმონიული ოჯახური ურთიერთობების საფუძველი. თუ ბავშვები ასეთ პირობებში გაიზრდებიან, ისინი ძალადობას არასოდეს ჩაიდენენ. რა თქმა უნდა, გარკვეულ საკითხებზე ვერ ვრჩიდებით, თუმცა მოლაპარაკებებისა და ახსნის გზით, აუცილებელია საერთო აზრზე შეჯერება. დაუშვებელია ყვირილი და ფიზიკური ძალის გამოყენება.“ (თავშესაფარში არმცხოვრები მსხვერპლი)

„ჩემთვის იდეალური სამყარო ეფუძნება ურთიერთგაგებასა და პატივისცემას, სიყვარულსა და ნდობას. პირველ რიგში, ბავშვები უნდა იზრდებოდნენ მორალური პრინციპების საფუძველზე, რადგან მშობლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, შვილებს შეუქმნან სათანადო პირობები და აღზარდონ ისინი პარმონიულ ოჯახებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მთელს ქვეყანაში და ჩვენს ოჯახებში მშვიდობა უნდა სუფევდეს.“ (იძულებით გადაადგილებული პირი)

„მე მინდა ყველას ნორმალური ცხოვრება ჰქონდეს. ბევრი ფული სულაც არ არის საჭირო, იმდენი უნდა გვქონდეს, რომ ოჯახი შევინახოთ. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ხელფასებს გავუზრდიდი მასწავლებლებს, ექიმებს და სხვებს, რათა მათ სოციალურად დაცულად იგრძნონ თავი. ქალები სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან და მათ არ უნდა უწევდეთ მძიმე სამუშაოს შესრულება. მათთვის ძნელია ყველაფრის ერთად კეთება, საოჯახო საქმე, ბავშვების აღზრდა და ოჯახის რჩენა, ეს უმძიმესი ტვირთია.“ (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)

„ნებისმიერი ძალადობის მთავარი მიზები ეკონომიკური გაჭირვებაა. პირველ რიგში, შევეცდებოდი, რაც შეიძლება მეტი სამუშაო აღილი შემექმნა და ხელფასები ისეთ დონეზე გამეტარდა, რაც ოჯახის შენახვისთვის იქნება საკმარისი. ქვეყანაში ცვლილებების განხორციელება სახელმწიფო დონეზე უნდა დაიწყოს, თუ სახელმწიფო არ იქნება ძალისმიერი და მოსახლეობას საარსებო საშუალებებს შეუქმნის, თანაბარუფლებიანობას დაუჭერს მხარს, ეს ყველაფრი აუცილებლად ოჯახურ ცხოვრებაშიც აისახება.“

[ფოკუსური ჭგუფი, ქალები, ასაკობრივი ჭგუფი 35-59, თბილისი]

ამგვარად, რესპონდენტთა შეხედულებები ცხადყოფს, რომ კვლევაში მონაწილე ადამიანების აზრით, ძალადობისაგან თავისუფალი იდეალური სამყაროს მისაღებად, პირველ რიგში, საჭიროა ეკონომიკური პრობლემების დამარცხება, სამუშაო აღილების შექმნა და სათანადო ხელფასების უზრუნველყოფა, რაზეც პასუხისმგებელი, პირველ რიგში, სახელმწიფოა. რესპონდენტების თანახმად, თუ სახელმწიფო არ იქნება ძალისმიერი და მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ყველასათვის თანაბარი პირობების შექმნას, უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას, ეს აუცილებლად მოახდენს გავლენას ოჯახურ ურთიერთობებზე და ოჯახურ ცხოვრებაშიც მსგავს ტენდენციებს ექნება აღილი. რესპონდენტების ამგვარი იდეები ლოგიკურად უღერს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ოჯახის ტრადიციულ აღმას, როგორც „სახელმწიფოს მიკრო მოდელისა.“ ამასთან, კვლევის მონაწილეების მიერ აღწერილ იდეალურ სამყაროში, მამაკაცები ზრუნავენ იმაზე, რომ ქალს შეუმსუბუქონ ტვირთი, რისთვისაც ისინი პასუხისმგებლობებს ინაწილებენ ოჯახში და გარეთ; ბავშვები იზრდებიან პარმონიულ და მოსიყვარულ ტანახებში, და ბავშვის აღზრდასა და სოციალიზაციაში ორივე მშობელი თანაბრად იღებს მონაწილეობას.

თავი 8.

## პკლევის ძირითადი შეღებების მიმოხილვა

მარინე ჩიტაშვილი

საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულმა კვლევამ საკითხი მრავალი განჩომილებით გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრია დამოკიდებული ერთი მხრივ, ქალთა ფონურ, სოციო-დემოგრაფიულ მახასიათებლებზე და მეორე მხრივ, ზოგიერთ მუდმივ ფაქტორებზე, რაც თითოეული შემთხვევისათვისაა დამახასიათებელი. წინამდებარე თავში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებების ზოგადი მიმოხილვა. აქ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ძალადობის ტიპების, ფორმებისა და ინტენსიურობის ვარიაციებზე, კერძოდ, ქალების მიერ პირად ან ინსტიტუციურ დონეზე გამოყენებული ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიები; პარტნიორების მხრიდან ქალის კონტროლის მიზნით განხორციელებული ქმედებები და ძალადობის მიზებები. ბოლო მიმოხილვითი წანილი შექება ოჯახში ძალადობის სისტემურ ხასიათს, როგორც ქალთა დამცირების ერთ-ერთ ფორმას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაცემები, კვლევის სპეციალისტებსა და პოლიტიკის შემქმნელებს დაეხმარება უფრო მეტ შეკითხვას გასცენ პასუხი, ვიდრე აქ არის განხილული.

### ძალადობის სხვადასხვა ფორმები:

საქართველოში ტრაციდიული კულტურული ნორმა ოჯახს განიხილავს უსაფრთხო ადგილად, სადაც ყველა პრობლემა ქრება. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ დიდი განსხვავებაა წარმოსახვით, იდეალიზირებულსა და რეალურ ოჯახს შორის. რეალურ ოჯახში ძალადობის სხ-

ვადასხვა ფორმების შედეგად ქალებს ამცირებენ და არღვევენ მათ ადამიანურ უფლებას, ამ ცნების ძალიან ზუსტი გაგებით.

ყოველი მეშვიდე ქალი, რომელსაც ჰყოლია ან ჰყავს ქმარი, თავს ძალიან ცუდად გრძნობს, თუ მეუღლე შეურაცხყოფას აყენებს ან დასცინის. ზოგადი სურათი გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელი ადგილისა და განათლების დონის პარამეტრების ანალიზისას, უფრო მეტი თბილისის მცხოვრები, არასრული განათლების მქონე ქალი ადასტურებს ამგვარი ფაქტების არსებობას, ვიდრე სხვა პგუფების წარმომადგენლები.

ქალთა თითქმის იგივე რაოდენობა აცხადებს, რომ ქმარს ისინი დაუმცირებია სხვა ადამიანების წინაშე ან გამიზნულად შეუძინებია (ყოველი მე-18-20 რეპონდენტი). ორივე შემთხვევაში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი. სოფლის მონაცემებთან შედარებით, უფრო მაღალია თბილისისა და ქალაქების იგივე ინდიკატორები. დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობა/არარსებობა კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს, როცა საუბარია, მეუღლების მხრიდან ცოლების შეშინების და დამცირების ფაქტებზე, დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე გაცილებით მეტი ქალი აღნიშნავს, რომ ამგვარ ინცინდენტს ადგილი ჰქონია.

შედარებით დაბალია ქალების მაჩვენებელი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ქმრები დამუქრებიან მათთვის ან მათი საყვარელი ადამიანე-

ბისათვის ზიანის მიყენებით. აქაც, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საცხოვრებელი ადგილისა და დამოუკიდებელი შემოსავლის ფაქტორები. მათი ეფექტი იგივეა, რაც წინა შეკითხვის შემთხვევაში, სოფლის მცხოვრებლები გაცილებით უკეთ სურათს აღწერენ, ვიდრე ქალაქების/დედაქალაქის მცხოვრებლები. რაც შეეხება შემოსავალს, დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე ქალებს უფრო ხშირად აქვთ მსგავსი გამოცდილება მიღებული, ვიდრე იმ ქალებს, ვისაც საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია.

გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს რომ ქმართან სქესობრივი კავშირი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ პქონდა (ყოველი 28-29-ე რესპონდენტი). რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები, ამ კუთხით, რაიმე არსებით მნიშვნელობას არ ავლენენ. ქალები აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის გამოცდილება ბოლო 12 თვის განმავლობაში პქონიათ, მათი უმრავლესობის თქმით, ასეთ ფაქტს ერთგე მეტად პქონია ადგილი. ბოლო 12 თვის განმავლობაში საკუთარი სურვილის წინააღმდეგ სქესობრივი კავშირის გამოცდილების კუთხით გაცილებით დაბალია საშუალო განათლების მქონე ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი. ამგვარად, განათლების დონე გარკვეულწილად დაკავშირებულია აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხების გადანაწილებასთან. ამავე დროს, არ გამოვლენილა არცერთი სოციალურ-დემოგრაფიული ნიშანი, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა ამ ტიპის ინციდენტების სიხშირესთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ იძულებითი სქესობრივი კავშირის მრავალჭრადობა განსაკუთრებით დამახასიათებელია მათთვის, ვისაც ამგვარი ფაქტი ბოლო 12 თვის განმავლობაში არ განუცდია.

ქალთა გარკვეული რაოდენობა (ყოველი 33-ე რესპონდენტი) აღნიშნავს, რომ ქმართან პქონია სქესობრივი კავშირი იმის გამო, რომ ეშინოდა მისი რეაქციის. რესპონდენტების სოციო-დემოგრაფიული მაჩვენებლები ამ კუთხით მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, თუმცა, დაფიქსირდა რამდენიმე ტენდენცია: თბილისისა და ქალაქების მცხოვრებლებისა (სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით) და არასრული საშუალო განათლების მქონე ქალთა გაცილებით მეტი რაოდენობა ადასტურებს ამგვარი ფაქტის არსებობას. იმ ქალთა ერთი მესამედი, რომელთაც აღნიშნული მიზეზის გამო ოდესმე პქონიათ სქესობრივი კავშირი, აღნიშნავს, რომ ამგვარი ფაქტი ბოლო 12

თვეში მომხდარა. ამ კატეგორიის ქალთა დიდი უმრავლესობა აცხადებს, რომ მსგავს ფაქტს ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთხელ პქონია ადგილი. რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი რომელიმე ამ შემთხვევათა შორის. იმ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა, რომელთაც დაბალეს სქესობრივი კავშირი, თუმცა არა ბოლო 12 თვის განმავლობაში, აღნიშნავს, რომ ამგვარ ფაქტს რამდენჯერმე პქონდა ადგილი.

ზემოთ განხილულ შემთხვევებთან შედარებით, დაბალია იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი (ყოველი მეასე რესპონდენტი), ვინც ფიქრობს, რომ მეუღლემ აიძულა ისეთი სქესობრივი ქმედების ჩადენა, რაც მისთვის დამამცირებელი იყო. თუმცა, თუ გამოთვლისას მთელი ქვეყნის მონაცემებს გავითვალისწინებთ, მაჩვენებელი არც ისე დაბალია. ამგვარი გამოცდილების მქონე ქალთა ერთ მეუთედზე მეტს, ასეთი რამ ბოლო 12 თვის განმავლობაში გადაუტანია, რამდენჯერმეც კი; რაც შეეხება რესპონდენტებს, რომელთაც მსგავსი გამოცდილება პქონიათ, მაგრამ არა ბოლო 12 თვის განმავლობაში, მათ რამდენჯერმე ან ბევრჯერ მოუწიათ ასეთი ქმედების ჩადენა.

ქმრის/პარტნიორის ქევას საკმაოდ ბევრი ქალის (ჯამში ყოველ მეოცე გამოკითხულ ქალზე და ძალადობის მსხვერპლ ქალთა ნახევარზე მეტზე) გონებრივ და ფიზიკურ ჭანმრთელობაზე მოუხდენია გავლენა.

აღსანიშნავია, რომ ქმრის საქციელის გავლენის ინტენსიურობის შეფასება დაკავშირებულია რესპონდენტთა განათლების დონესთან, ქმრის ამგვარ საქციელს ყველაზე ნაკლები გავლენა არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებზე აქვს.

ქმრის/პარტნიორის ძალადობრივი ქმედებების გავლენის შესახებ შედეგების საერთო ჭრილში, ქალთა ერთ მეექვსედს ხელი ეშლება სამუშაოში. ქალთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა უფრო მეტად ფსიქოლოგიურ ზიანზე საუბრობს, მეუღლების/ქმრის ძალადობა მათ საკუთარი თავის რწმენისა და კონცენტრაციის უნარების დაქვეითებას იწვევს.

ზემოთაღწერილის გარდა, სოციალურ დემოგრაფიული მახასიათებლების/ნიშნების და მიღებული შედეგების ურთიერთდამოკიდებულება გვა-

ძლევს საფუძველს, რომ ვისაუბროთ ისეთ ტენდენციებზე, რაც სტაბილურად გამოვლინდა სხვა ბლოკების შევითხებშიც. კერძოდ, ქალაქებისა და დედაქალაქების რესპონდენტებთან შედარებით, სოფლის მოსახლეობა ძალადობის უფრო მსუბუქ შემთხვევებზე საუბრობს. ხოლო არასრული განათლების მქონე ქალების მიერ აღნერილი მდგომარეობა უფრო მძიმეა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა.

ყოველი 100 ქალიდან, რომლებიც ოდესმე ყოფილან ფეხმძიმედ, ორი ან სამი ქალი ამბობს, რომ ფეხმძიმობის პერიოდში ქმრის/პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა. რესპონდენტთა საცხოვრებელი ადგილის ჭრილში, მონაცემები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: სოფლის მცხოვრებლები, ქალაქის/დედაქალაქის მცხოვრებლებთან შედარებით, ძალადობის ამ ფორმის მსხვერპლი იშვიათად ყოფილან. ამ თვალსაზრისით, სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნებით რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლენილა.

ქალთა თითქმის ერთი მესამედი (ვისაც ფეხმძიმობის დროს ძალადობის გამოცდილება აქვს) ამგვარი ფაქტების არსებობას ორჯერ ან მეტჯერ ადასტურებს. ამ თვალსაზრისით, რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ინდიკატორები მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა. დაფიქსირდა შემდეგი სახის სუსტი ტენდენციები: შესაბამისი ჰაგუფების წარმომადგენელთა შედარებისას, ამგვარი ინციდენტები უფრო ხშირია იმ ქალთა შემთხვევაში, ვისაც საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია და ქალაქის ან სოფლის მცხოვრებია.

აშკარაა, რომ იმ ქალთა უმრავლესობა, ვინც ფეხმძიმობისას მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტებს აღიარებს, ამტკიცებს, რომ ამგვარ ფაქტს მათი ბოლო ფეხმძიმობისას პქრნია ადგილი. ამ ტენდენციის ერთ-ერთი მრავალ მიზეზთაგანი ისიც შეიძლება იყოს, რომ მათ უახლესი ფეხმძიმობა უფრო კარგად ახსოვთ ან უბრალოდ, მხოლოდ ბოლო ინცინდენტის დამახსოვრება სურთ. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები არსებითად მნიშვნელოვანი არც ამ შემთხვევაში აღმოჩნდა. თუმცა, მაინც აღსანიშნავია, ჰგუფებს შორის გამოვლენილი მცირედი სხვაობები: არასრული საშუალო განათლების მქონე უფრო მეტი რესპონდენტი მიუთითებს ამგვარი ფაქტების არსებობას. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი საშუალო განათლების მქონე და სოფელში მცხოვრებ რესპონდენტებშია.

მეუღლის მხრიდან, ფეხმძიმობის პერიოდში ძალადობის მსხვერპლ რესპონდენტთა ერთ მეხუთედზე მეტი, აცხადებს, რომ მათ დაარტყეს/ხელი ჰკრეს მუცელზე; სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაშიც არ არის, თუმცა, ფიქსირდება ზემოაღნიშნული ტენდენციების მსგავსი ფაქტები: ამგვარი ინციდენტი დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე უფრო მეტ ქალს პქრნია. ხოლო, იგივე მაჩვენებელი დაბალია სოფლის მცხოვრებ რესპონდენტებში.

რესპონდენტთა უმრავლესობის მიხედვით, პირი, რომელსაც ძალადობა აქვს ჩადენილი ფეხმძიმე ქალის მიმართ, მათი შვილის მამაა. სურათი არ იცვლება სოციალურ დემოგრაფიული ინდიკატორების ყქრილში. თუმცა, არის რამდენიმე სუსტი ტენდენცია: საკუთარი შემოსავლის მქონე და ქალაქის მცხოვრები შედარებით მეტი რესპონდენტი არიდებს პასუხს თავს.

ფეხმძიმობისას ძალადობის მსხვერპლ ქალთა დიდი უმრავლესობა მოძალადესთან ცხოვრობდა ძალადობის პერიოდში. ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი არ დაფიქსირებულა, თუმცა, რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა პასუხისაგან თავი შეიკავა. მათი პროცენტული მაჩვენებელი თბილისის რესპონდენტებს შორის უფრო მაღალია.

ფეხმძიმობისას ძალადობის მსხვერპლ ქალთა დიდ უმრავლესობას მსგავსი გამოცდილება ფეხმძიმობამდეც ჰქონდა. საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: ამგვარი გამოცდილების მქონე ქალთა ყველაზე დიდი რაოდენობა სოფლის მცხოვრებია. სიტუაცია განსხვავებულია ქალაქებსა და თბილისში.

ქალთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ადრეულ პერიოდთან შედარებით, ძალადობამ იკლო ან სტაბილურად იგივე დარჩა. თუ ამ და წინა კითხვის პასუხებს შევადარებთ ქალთა მონაცემებს, რომელთაც ფიზიკური ძალადობა ფეხმძიმობის პერიოდში აქვთ გამოცდილი, შესაძლოა ვივარულოთ, რომ მსგავს ძალადობას (თუ უარეს არა) ადრეც ჰქონია ადგილი. თუმცა, შეუსაბამობა მონაცემებს შორის შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ რესპონდენტები ცდილობენ შედარებით მსუბუქი სურათის დახატვას.

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ ბლო-

კის კითხვებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, რომ ქალთა დაახლოებით იგივე რაოდენობა ხდება ძალადობის მსხვერპლი, ასაკის, განათლების და შემოსავლის პარამეტრებში. თუმცა, გარკვეულ ტენდენციებს მაინც აქვს ადგილი საცხოვრებელ ადგილთან მიმართებაში: მდგომარეობა უფრო მსუბუქია (ან ასე აღწერენ) სოფლის მცხოვრებ ქალბატონებში და უფრო რთულია ქალაქელ რესპონდენტებში. განათლებაც გთამაშობს გარკვეულ როლს ამ თვალსაზრისით: კერძოდ, რამდენიმე შეკითხვაზე შედარებით უფრო რთული მდგომარეობა დაფიქსირდა იმ ქალებთან მიმართებაში, ვისაც არასრული განათლება აქვს.

## ქალადობასთან ბრძოლის ქალთა სტრატეგიები:

ქალ მსხვერპლთა ერთი მესამედი ამტკიცებს, რომ მეუღლის ფიზიკურ ძალადობას შებრძოლებიან. ამ ქალთა დაახლოებით ერთი მეხუთედი ამგვარი გამოცდილების ერთხე მეტ შემთხვევაზე საუბრობს.

ქალთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლენილა. თუმცა, მაინც აღსანიშნავია, უმნიშვნელო სხვაობები შესაბამის ჰგუფებს შორის (სანდოობის დონეს ეს მონაცემები არ აღწევს). კერძოდ, ქალაქისა და დედაქალაქის შესაბამის ჰგუფებთან შედარებით, სრული ან არასრული საშუალო განათლების და საკუთარი შემოსავლის მქონე სოფლის მაცხოვრებლის შემთხვევაში ასეთ ინციდენტს ნაკლებად ჰქონია ადგილი, ვიდრე სხვა ჰგუფების შემთხვევაში.

ძალადობაზე საპასუხო რეაქციამ რესპონდენტთა ერთი მეოთხედის ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა, ძალადობა შემცირდა ან შეწყდა. თუმცა, გაცილებით მეტი ქალის ცხოვრება გაუარესდა საპასუხო რეაქციების შემდეგ; რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ინდიკატორები სურათს ზოგადად არ ცვლის.

მსხვერპლ ქალთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ქმარს/პარტნიორს ფიზიკურად არასოდეს შეხებია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ცდილობდნენ პასუხი გაეცათ ძალადობაზე. თუმცა, ქალების გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ ამგვარ ინციდენტს ერთხელ ან მეტჯერ ჰქონია ადგილი. სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები რაიმე

სანდო სხვაობას ჰგუფებში არ გვაძლევს. თუმცა, მაინც არის რამდენიმე განსხვავებული ტენდენცია, რომელთა აღნიშნვაც შეიძლება: ქალაქის/დედაქალაქის რესპონდენტებთან შედარებით, არცერთ სოფლის მცხოვრებს ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი არ გაუცია. ასევე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თბილისელებთან შედარებით, გაცილებით მეტი რეგიონალური ქალაქის მცხოვრები საუბრობს ინციდენტების განმეორებით ხასიათზე. საშუალო განათლების მქონე რესპონდენტების უფრო მეტი რაოდენობა აცხადებს, რომ არასოდეს ჩაუდენია მსგავსი რამ.

ძალადობის მსხვერპლ ქალთა ერთ მეხუთედზე მეტი (28%) არავისთან საუბრობს ქმრის ძალადობრივ საქციელზე. კვლევა გვიჩვენებს, რომ ქალთა უფრო მაღალი რაოდენობა უახლოეს მეგობრებს უმჯდავნებს (პირველ რიგში მშობლებს და შემდეგ მეგობრებს) ძალადობის ფაქტს, ხოლო, ძალიან იშვიათად, შესაბამის ოფიციალურ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს ან მოძვარს.

რესპონდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა (38%) აცხადებს, რომ არასოდეს არავისგან მიუღია დახმარება მეუღლის ქმედებების შესაჩერებლად. ძალიან დიდია აღბათობა იმისა, რომ ამ რესპონდენტთა სულ მცირე 10%-ს სხვებისათვის გაუმხელია საკუთარი პრობლემა.

რესპონდენტებს მიუღიათ დახმარება ან დახმარების მცდელობა ძალიან ახლობელი ადამიანები-საგან (პირველ რიგში, მშობლები და დიდი ინტერვალის შემდეგ, მეუღლის მშობლებისაგან, მეგობრებისა და და-ძმებისაგან). ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი საახლობლო წრე (ვისაც ისინი მიმართავენ) ამ ადამიანებით შემოიფარგლება. ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა უფრო მეტი რაოდენობა (თბილისელებთან შედარებით) აცხადებს, რომ მიუღია დახმარება/დახმარების მცდელობა სხვებისაგან; უმაღლესი და საშუალო/ტექნიკური განათლების მქონე მეტი რესპონდენტი ადასტურებს დახმარების მიღების ფაქტს (შესაბამის ჰგუფებთან შედარებით).

იმ ქალთა რაოდენობა, რომელთაც ოფიციალური ინსტანციებისათვის მიუმართავთ ძალიან დაბალია, რაც გასაოცარი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსხვერპლთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა არავისთან საუბრობს ქმრის ქცევაზე და მხოლოდ უახლოეს ადამიან-

ებს მიმართავს. გარდა ამისა, ისიც ფაქტია, რომ ქალებმა უბრალოდ არ იციან მსგავსი მომსახურებებისა და დაწესებულებების შესახებ. თვისებრივი კვლევის შედეგებმა აშკარად აჩვენა, რომ ოჭახში ძალადობის და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ ინფორმირებულობის დონე ზოგადად ძალიან დაბალია.

ოფიციალური სტრუქტურებიდან, რესპონდენტები ძირითადად მიმართავენ სამკურნალო დაწესებულებებს და სამედიცინო ცენტრებს. რესპონდენტებს შორის, რომლებიც სამართლებრივ დაწესებულებებს მიმართავენ, სჭარბობს არასრული საშუალო განათლების მქონე პირების რაოდენობა, ასევე, ქალაქებისა და სოფლის მცხოვრებლები და 30-39 წლის ასაკის რესპონდენტები. ამავე დროს, ქალები, რომელთაც სოციალური მომსახურებებით ისარგებლეს, მხოლოდ ქალაქელ რესპონდენტებში გვხვდება.

მსხვერპლი ქალების მიერ სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულებებში მიმართვის სხენებულ მიზებთა შორის სტარტობს „მეტის ატანა არ შემეძლო“ (რესპონდენტთან ნახევარზე მეტი ამ მიზებს ასახელებს); შემდეგი შედარებით ხშირად დასახელებული მიზებია „მძიმე დაზიანება“. ბავშვთა მიმართ ძალისმიერი ქმედებებთან ან ამ ქმედების შესაძლებლობასთან (კაცი დაიმუქრა ან მართლა ცემა ბავშვები) დაკავშირებული მიზები იშვიათად დასახელდა.

სხვა ჯგუფებთან შედარებით, ქალაქისა მცხოვრებლები და საკუთარი შემოსავლის მქონე რესპონდენტები გამოირჩევიან დასახელებულ მიზებთა მრავალფეროვნებით. საშუალო-ტექნიკური განათლების მქონე რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ მათ მეტის ატანა აღარ შეეძლოთ. შედეგები აშკარად მიუთითებს მაღალ რისკ ფაქტორზე და ოჭახში ძალადობის უმძიმეს შედეგებზე, რადგან ქალები დაწესებულებებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. ამგვარად, არ არსებობს პრევენციული მექანიზმი, რაც შეამცირებდა ოჭახებში ქალთა მიმართ არსებულ რისკს და დაიცავდა მათ მოძალადე ქმრისაგან/პარტნიორისაგან.

ძირითადი მიზები, რის გამოც მსხვერპლნი დასახმარებლად სხვებს არ მიმართავენ არის: „მერიდება/მცხვენია/მეშინია, რომ არ დამიჭრებენ/დამადანაშაულებენ/ცუდი რეპუტაცია ექნება ჩემს ოჭახს“, რაც არსებითად საზოგადოების გა-

კიცხვის, კრიტიკის შიშითაა გამოწვეული. არსებული სიტუაციის და ოჭახური ურთიერთობების მდგომარეობის გაუარესების შიში შედარებით ნაკლებად გამოვლინდა. ძალიან ძლიერია მცდელობა იმისა, რომ შეარბილონ სიტუაცია და ძალადობა არასერიობულად დაახასიათონ. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევია სოფლებში და არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებში. საზოგადოების ნდობის დაკარგვის შიში უფრო მეტად იმ რესპონდენტებს აწებებთ, ვისაც საკუთარი შემოსავალი არ გააჩნიათ, ხოლო ოჭახის რეპუტაციის შელახვა უფრო მეტად გავრცელებულია და შესაბამისად, აქტუალურიც უფროსი ასაკის რესპონდენტებში.

ქალთა უმეტესობისათვის არ აქვს მნიშვნელობა ვის მიმართავენ, პიროვნებას თუ ინსტანციას, არცერთს არ ანიჭებენ უპირატესობას. ეს ფაქტი იგივე მიზებებით შეიძლება აიხსნას, რის გამოც ქალთა უმეტესობა საკუთარი პრობლემების შესახებ არავისთან საუბრობს და არავის მიმართავს. რესპონდენტთა მხოლოდ ერთმა მესამედმა დასახელებულა კონკრეტული პირები ან ორგანიზაციები, რომელთაგანაც ისურვებდნენ დახმარების მიღებას. ესენია: ოჭახი, დედა, დედამთილი. აბლობლების გარდა, რესპონდენტთა ძალიან ცოტა რაოდენობა ახსენებს პოლიციას, სამედიცინო მომსახურების ცენტრს და მოძღვარს. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები აღნიშნულ სურათს მნიშვნელოვნად არ ცვლის.

რესპონდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა რაოდენობამ (40%-8 მეტი) სახლი დატოვა ქმრის ძალადობრივი საქციელის გამო და იპოვა თავშესაფარი სხვაგან. მათ ერთ მესამედს აღნიშნული გამოყდილება ერთხელ მეტად აქვს მიღებული. სხვა შესაბამის ჯგუფებთან შედარებით, რესპონდენტთა უფრო მეტი რაოდენობა (ქალაქების/თბილისის მცხოვრები/დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე/საშუალო-ტექნიკური განათლებით) ცდილობს ძალადობას ამ გზით დააღწიოს თავი.

სახლის დატოვების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ნახსენები და შესაბამისად, მთავარი მიზები არის „მეტის ატანა აღარ შემეძლო“. სხვა შედარებით გამორჩეული მიზებებია: „მძიმე დაზიანება/მეშინოდა, რომ მომკლავდა/მემუქრებოდა რომ მომკლავდა/უნდოდა ჩემი მოკვლა/მემუქრებოდა ბავშვებით“.

ოჭახის დატოვების შემდეგ, ქალების უმეტესობამ ნათესავის ოჭახს შეაფარა თავი; რესპონდენტთა გარკვეულმა რაოდენობამ ამ განზრახვით მეზობლებს ან მეგობრებს მიმართა. არცერთ მათგანს არ მიუმართავს სპეციალური თავშესაფრებისათვის. თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ თავშესაფრის შესახებ ქალები მხოლოდ იმ შემთხვევაში იგებენ, თუ ვინმე ეტყვით, რომ არსებობს სოციალურ დახმარების დაწესებულება ან თუ შემთხვევით თვითონ იპოვნიან. ამგვარად, არ არსებობს რეალური და ქმედითი პოლიტიკა, რომელიც იმუშავებდა რისკის წინაშე მყოფ ქალებთან და მიაწვდიდა მათ ინფორმაციას ქალთა უფლებებისა და ქალთა დაცვის სისტემაზე. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკა მიზნად ისახავს ქალთა თავშესაფრების შექმნას და მოდერნიზაციას, თუმცა იგი არ ფარავს იმ პრობლემათა უმეტესობას, რომელთაც ქალთა დიდი ჯგუფი განიცდის.

მეუღლესთან დაბრუნებასთან დაკავშირებით, რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული და შესაბამისად, მთავარი მიზეზები ოჭახსა და შვილებს უკავშირდება (ბავშვების დატოვება არ მინდოდა/მეშინოდა ოჭახისათვის სახელი არ გამეტება). ასევე, დასახელდა ქმრის ფაქტორიც (ქმარმა მთხოვა უკან დაბრუნება/ვაპატიე). ეს ბოლო ფაქტორი უფრო მეტად თბილისის რესპონდენტებში დასახელდა, შედარებით სხვა ქალაქებში გამოკითხულთაგან, რომელთათვის, შვილებთან დაბრუნების სურვილი უფრო ხშირია. აღსანიშნავია, რომ საშუალო განათლების მქონე რესპონდენტთა უფრო მაღალი რაოდენობა ზუსტად ამ მიზეზს ახსენებს და არცერთს არ უხსენებია ქმრის სიყვარული.

ქალები, რომელთაც ქმრის ძალადობის მიუხედავად ოჭახი არასოდეს დაუტოვიათ, აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზი მთელი რიგი ფაქტორებია, მათ შორის, ყველაზე ხშირად ნახსენები - „ოჭახის რეპუტაციის შელახვა”, რაც საზოგადოებრივი აზრითა და ბავშვების დაკარგვის შიშითაა გამოწვეული. ასევე საკმაოდ ხშირად სახელდება ქმართან დაკავშირებული მიზეზები (ვაპატიე/იმედი მქონდა, რომ შეიცვლებოდა/არ მინდოდა მარტო დარჩენა). რესპონდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა აღნიშნავს, რომ მათ ვერ შეძლეს სახლიდან წასვლა, რადგან არსად ჰქონდათ წასასვლელი.

## კონტროლის მიზნით ჩადენილი ქმედებები და ძალადობის მიზეზები

მეუღლესთან/პარტნიორთან მცხოვრები რესპონდენტების თანახმად, „თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა” არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული კონტროლის ფორმა: ქალთა ერთ მეოთხედზე მეტი ვალდებულია მეუღლეს ჩაბაროს ანგარიში სად იყო ამა თუ იმ დროს; შემდეგი, ასევე, საკმაოდ გავრცელებული შეზღუდვა უკავშირდება სამედიცინო მომსახურების მიღებას; ყოველი მერცე-მეცხრე ქალი ვალდებულია აიღოს ნებართვა ქმრისაგან, ვიდრე ექიმთან წავა; დაახლოებით იგივე რაოდენობის ქალი (ყოველი მეცხრე რესპონდენტი) ვერ დაელაპარაკება სხვა მამაკაცს, რადგან ეს მის ქმარს სასტიკად აბრაზებს. შედარებით ნაკლებად გავრცელებული, თუმცა ძალიან მტკიცნეული კონტროლის ფორმაა მეგობრებთან (ყოველი 25-26-ე ქალი) და ოჭახთან (ყოველი მე-40-ე ქალი) ურთიერთობის შეზღუდვა; რესპონდენტთა ნაწილისათვის ქმრის ეჭვიანობა (დაახლოებით ყოველი მე-18-) და ცოლის იგნორირება/გულგრილი მოპყრობა (ყოველი 26-ე რესპონდენტი) გარკვეულ დაძაბულობას და პრობლემებს ქმნის.

კვლევაში აღმოჩნდა, რომგანათლების დონე მჭიდრო კავშირშია სხვადასხვა ფორმის შეზღუდვების გავრცელებასთან: არასრული საშუალო განათლების მქონე უფრო მეტი რესპონდენტი ქალი საუბრობს ქმრების მხრიდან თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის, სხვა მამაკაცთან დალაპარაკების, ეჭვიანი ქმრების, ქმრების მხრიდან იგნორირების/გულგრილობის; ექიმთან წასვლისათვის ნებართვის აღების შესახებ, ვიდრე შესაბამისი სხვა ჯგუფების რესპონდენტები. აღსანიშნავია, რომ განათლების დონის მატებასთან ერთად, კლებულობს პროცენტული მაჩვენებელი იმ რესპონდენტებთან მიმართებაში, ვისაც ექიმთან წასვლისათვის ქმრის ნებართვა სჭირდება.

უფრო მეტი სოფლის მცხოვრები და საკუთარი შემოსავლის არმქონე რესპონდენტი საუბრობს ექიმთან წასასვლელად ქმრის ნებართვის საჭიროებაზე, ვიდრე სხვა ჯგუფების რესპონდენტები.

რესპონდენტთა ნაწილი ფიქრობს, ვითვარში მითითებული თითოეული შესაძლო მიზეზი დასაშვებია ქმრისათვის, რათა ცოლი ცემოს. რე-

სპონდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა (მათი ერთი მესამედი) ფიქრობს, რომ ქმარს უფლება აქვს ცოლს ფიზიკური აშეურაცხყოფა მიაყენოს, თუ „გაიგებს, რომ ცოლი ღალატობს”; ზოგიერთი რესპონდენტი ქმრის მიერ ცოლის ცემის ფაქტს ამართლებს იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ეჭვიანია (ყოველი მე-15) ან ცოლი არ უჰერებს მას (დაბალ ყოველი მე-18).

სხვა შესაბამისი ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით, არასრული საშუალო განათლების მქონე სოფლის მცხოვრებთა და შემოსავლის არმქონე რესპონდენტთა უფრო მეტი რაოდენობა ფიქრობს, რომ შემდეგი მიზეზები საკმარისია ცოლის საცემად: „ცოლმა სახლის საქმე ქმრის მოსაწონად არ გაავეთა”, „ცოლი არ უჰერებს ქმარს”, „ცოლი უარს ამბობს ქმართან სქესობრივ კავშირზე”, „ცოლი ეკითხება ქმარს სხვა ქალების შესახებ”, „ქმარი ეჭვობს, რომ ცოლი ღალატობს”.

სხვა შესაბამის ჯგუფებთან შედარებით, თბილისის მცხოვრები, უმაღლესი განათლებისა და საკუთარი შემოსავლის მქონე უფრო მეტი რესპონდენტი ფიქრობს, რომ ქმარს შეუძლია ცოლი ცემოს თუ მისი ღალატის შესახებ შეიტყობს („მა-მაკაცი შეიტყობს, რომ ცოლი ღალატობს”).

ყოველი 24-ე რესპონდენტი, ვისაც ჰყავს მეუღლე/პარტნიორი აცხადებს, რომ ამ უკანასკნელს მის-თვის ფიზიკური ზიანი მიუყენებია. თითქმის იგივე რადენობა მივიღეთ ჯგუფებში სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. მიღებული მონაცემების საფუძველზე, ყველაზე საინტერესო ტენდენცია ასაკობრივ ჭრილში ვლინდება, თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგო-რიაში ქალთა ერთი და იგივე რაოდენობა აღ-მოჩნდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, რაც გვაძლევს საბაძს ვიფიქროთ, რომ ძალადობა ინყება ქორწინების პირველ წლებში და დაახ-ლოებით იგივე დონეზე ხდება ქორწინების ბო-ლომდე. პრაქტიკულად კი ეს ნიშნავს, რომ ფიზი-კური ძალადობის აღმატობა ასაკზე დამოკიდე-ბული არაა.

საკმაოდ ხშირია ცოლის სიტყვიერი შეურა-ცხყოფის ფაქტები. ყოველი მეხუთე რესპონდე-ნტი ადასტურებს, რომ ქმრის სიტყვიერი შეურა-ცხყოფის ობიექტი ყოფილა. სოციო-დემოგრაფ-იულ ინდიკატორებზე, ეს ზოგადი ტენდენცია მნი-შვნელოვნად არ იცვლება.

ყოველი 28-ე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მის ქმარს ჩაუდენია ისეთი აქტები, როგორიცაა: „საზოგადოებაში დამცირება”, „განქორწინებით სიტყვიერი დამუქრება”; ყოველი მე-20 ქალს ქმარი უარს ეუბნება ფულის მიცემაზე, ხოლო ყოველ 25-ე ქალს ეკრძალება მუშაობა; ქალთა გარევულ რაოდენობას (ყოველი მე-40) ქმარი სქესობრივ კავშირს აძალებს.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალა-დობის სხვადასხვა ფორმები (ფიზიკური, სი-ტყვიერი, ფინანსური, სქესობრივი), რომელთაც ქალთა გარკვეული (ზოგჯერ საკმაოდ დიდიც) ნაწილი განიცდის, მნიშვნელოვან სხვაობას არ ავლენს სოციო-დემოგრაფიულ ინდიკატორებზე.

რესპონდენტთა თანახმად, ქმრის მხრიდან სხ-ვადასხვა დისკრიმინაციული ქცევის ძირითადი მიზეზებია სიმთვრალე და მატერიალური პრობ-ლემები (გამოწვეული ფინანსური პრობლემებით და ქმრის უმუშევრობით). ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზია „უმიზებოდ“. ყოველი მეექსე-მეშვიდე რესპონდენტი ქალი ქმრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ხდება იმის გამო, რომ „ცოლი ქმარს არ უჰერებს“ ან „ქმარი ეჭვობს, რომ ცოლი ღალატობს“.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სურათი ასე-თია: თბილისში ხუთიდან ორი ყველაზე მეტად გავრცელებული მიზეზი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას უკავშირდება, ხოლო სოფლებში მატერიალურ მდგომარეობას და ცოლის მოვა-ლეობებს (მაგ. „თუ სახლში ყველაფერი წესრიგ-ში არაა“, ეს მიზეზი დასახელდა ყოველი მეშვიდე რესპონდენტის მიერ). მსგავსი ტენდენცია გამოვ-ლინდა არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებთან მიმართებაშიც.

ქმრის თავდასხმების, ძალისმიერი ქმედებების ძირითადი მიზეზების სპექტრი უფრო ფართოა, ვიდრე სხვა ნებისმიერი დისკრიმინაციული და შემზღვევები ქმედების ჩადენა. ეს ნიშნავს, რომ ქალები ძალადობის მსხვერპლი სხვადასხვა მიზეზთა გამო ხდებიან; ყველაზე ხშირად „მა-მაკაცის სიმთვრალე“ (რესპონდენტთა ნახევარზე მეტი) და „ყოველგვარი მიზეზის გარეშე“ სახელ-დება. ამ შერჩევაში, აქცენტი გაკეთებულია ცოლ-ქმრის ურთიერთობებზე (ეჭვიანობა/ქმარი დარ-წმუნებული არაა ცოლის ერთგულებაში/ცოლი უარს ეუბნება სექსზე/სქესობრივი ურთიერთობებ-ში პრობლემა/ცოლი არ ემორჩილება ქმარს).

ქმრის ძალისმიერი ქმედებები ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო უფრო ხშირად თბილისისა და ქალაქების რესპონდენტებში სახელდება. ეს-ენია უმაღლესი განათლებისა და შემოსავლის არმქონე რესპონდენტები. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, განათლება ადამიანს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს და ქალებიც უფრო გახსნილები არიან საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას. შეიძლება ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი ამ „უცნაური“ გადანაწილებისა, რომლის თანახმადაც, ძალადობის უფრო დაბალი მაჩვენებელი სოფლებზე მოდის. კვლევებში ზოგადად შეიმჩნევა, რომ ძალადობა უფრო მეტად სოფლებშია გავრცელებული, თუმცა ამ კვლევაში აშკარად ქალაქებში უფრო მაღალია ძალადობის მაჩვენებელი. ეს შესაძლოა ორ რამეს ნიშნავდეს: სოფლებში, ქალები არ საუბრობენ ძალადობის გამოცდილებაზე ვინაიდან მათი შეხედულება ძალადობის შესახებ განსხვავდება, ან განათლების დონე გავლენას ახდენს ინდივიდუალური უფლებების წინ წამოწევაზე. ეს შეკითხვა შეიძლება მომავალში სხვა კვლევის ერთ-ერთი საკვლევი საკითხი გახდეს, თუმცა პერსონალით, ფაქტია, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ძალიან მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს და მას დამატებითი შესწავლა სჭირდება.

ძალადობის მსხვერპლ ქალთა ერთი მეხუთე-დი ქმრის ძალისმიერ ქმედებებზე პასუხისმგებლობას გრძნობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის რესპონდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (ყოველი მეცხრე) პასუხისაგან თავს იკავებს; ხოლო იმ რესპონდენტებში, რომლებმაც პასუხს თავი აარიდეს, ყველაზე დიდი რაოდენობა არასრული საშუალო განათლების მქონე, სოფლის მცხოვრებ და საკუთარი შემოსავლის არმქონე რესპონდენტებზე მოდის. განათლების

დონე ამ საკითხთან მჭიდრო კავშირშია: უმაღლესი განათლების მქონე უფრო მეტი ქალი გრძნობს პასუხისმგებლობას ქმრის ძალისმიერ ქმედებებზე, ვიდრე სხვა შესაბამისი ჯგუფების რესპონდენტები. ხოლო ტექნიკური განათლების მქონე ქალთა ძირითადი ნაწილი საკმაოდ რადიკალურადაა განწყობილი და თვლის, რომ ქმარია ყველაფერზე პასუხისმგებელი.

ძალადობის მსხვერპლ ქალთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ ქმრის აგრესიის მთავარი მიზეზი სიმთვრალეა. ქმრის ძალადობრივი ქმედებების ხუთი ყველაზე გავრცელებული კონკრეტული სიტუაციები ისეთ ფაქტორებს მოიცავს, რომლებიც არაა დაკავშირებული მეუღლეების პირად ურთიერთობებთან, არამედ უფრო მძიმე მატერიალურ მდგომარეობასთან (ფინანსური პრობლემები, უმუშევრობა) და ქმრის სიმთვრალესთან. განხილული მიზეზებიდან, კაცისა და ქალის ურთიერთობების კონტექსტში ყველაზე ხშირად ეჭვიანობა სახელდება.

კვლევის შედეგები აშკარად მიუთითებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა საკმაოდ გავრცელებული ფენომენია საქართველოში და მისი აღმოფხვრის სპეციალური პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებზე, კერძოდ, ქალთა სრული ჩართულობა სოციალურ ცხოვრებაში, საინფორმაციო ცენტრების ქსელის შექმნა, პოლიტიკაში ქალის ჩართულობის ხელშეწყობა და ქალის მიმართ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრა. აშკარაა, რომ მომავალში, პროექტების განხორციელებისას, ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი საინფორმაციო პოლიტიკასა და ინფორმირებულობის გამრდაზე უნდა გაკეთდეს.

## თავი 9.

# რეკომენდაციები

მარინე ჩიტაშვილი, ნინო ჭავახიშვილი,  
ლუიზა არუთინოვი, ლია წულაძე, სოფიო ჩაჩანიძე<sup>1</sup>

პროექტის „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ „ფარგლებში განხორციელებულმა ეროვნულმა კვლევამ „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოში“ შექმნა საკმაოდ მყარი ინფორმაციული საფუძველი, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობის შესახებ შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად საჭირო საკმარისი მონაცემების ფლობას ამიერკავკასიისა და მსოფლიოსათვის. ეს არის მრავალგანზომილებიანი კვლევა, რომელიც შეეხმარს ქალთა და მათ პარტნიორთა ძალიან სპეციფიკურ ქვევის მოდელებს, ასევე, საკითხებს, როგორიცაა უსაფრთხოება, ქალთათვის ძალაუფლების მინიჭება და ქართულ საზოგადოებაში ინსტიტუციურად ძალიან მყარად გამჭდარ დისკრიმინაციასთან ბრძოლა. კვლევა გვაძლევს შესაძლებლობას მრავალი პრობლემის მასშტაბებზე სრული წარმოდგენა შევიქმნათ, შესაბამისად, როცა პრობლემის შესახებ მრავალგანზომილებიან ინფორმაციას ფლობ, გაცილებით ადგილია სახელმძღვანელო პრინციპებისა და მიზანმიმართული პოლიტიკის, სტრატეგიებისა და ქალთა დახმარების/დაცვის პროგრამების შემუშავება. მონაცემების გამოიყენება შეუძლიათ სახელმწიფო უწყებებს, ქალთა ორგანიზაციებს, მედიას, სამეცნიერო წრეებს, განათლების სფეროს მუშაკებს და წევანდების პირს, ვინც ოჯახში ძალადობის საკითხებშია ჩართული და დაინტერესებული.

1. წარმოდგენილი რეკომენდაციები არის ერთობლივი ნამუშევარი მკვლევათა ჰაუზის და კვლევის წინასწარი განხილვის სამუშაო ჰაუზის, რომელთა შენიშვნები და რეკომენდაციები ინტეგრირებულია ამ თავში

მოცემული თავი დაყოფილია ორ ნაწილად: პირველი ნაწილი მოიცავს რეკომენდაციებს პოლიტიკის დონეზე და პოლიტიკის შემქმნელებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი არის რეკომენდაციების გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით სოციალურ მეცნიერებათა ფარგლებში მომუშავე პირთათვის, რომლებიც გენდერის, როგორც სოციალური ფენომენის შესწავლას ცდილობენ გარდამავალ საზოგადოებებში.

## რეკომენდაციები პოლიტიკასთან დაკავშირებით

კვლევის შედეგებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ:

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პროცენტული მაჩვენებლის კუთხით არაფერი შეცვლილა, კვლევაში რესპონდენტთა 6.9% აცხადებს, რომ გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, რაც 2005 წლის კვლევის მაჩვენებელს ემთხვევა (MICS).
2. ქალები დახმარებისათვის არ მიმართავენ რომელიმე ოფიციალურ დაწესებულებას ან სოციალურ მომსახურებას, ისინი გამოცდილებას უახლოეს სოციალურ ქსელს უზიარებენ. ოფიციალური დაწესებულებებისათვის დახმარებისათვის მიუმართაობა შეიძლება გამოწვეული იყოს ამ დაწესებულებათა შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონით და მოსახლეობის დაბალი ხელმისაწვდომობით მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, ხშირ შემთხვევებში კი ასეთი მომსახურების არ არ-

სებობაზეც ვი (განსაკუთრებით, სოციალური მუშაკების სისტემის შემთხვევაში). ეს განსაკუ- თრებით იგრძნობა სოფლად და, ნაწილო- ბრივ, პროვინციულ ქალაქებში.

2006 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი  
ოფაში ძალადობის შესახებ, თუმცა ოფაში ძალა-  
დობის შესახებ მიმართვების (მომსახურებების  
მიმწოდებლებთან ან სხვა ოფიციალურ დაწესე-  
ბულებებში) რაოდენობის სიმცირე მიუთითებს,  
რომ გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის ეფექ-  
ტური მექანიზმი ჰქონ კიდევ არ არსებობს. ოფაში  
ძალადობის საკითხებზე მომუშავე სოციალური  
მუშავების ინსტიტუტის არარსებობა ქვეყანაში  
დამატებით დაბრკოლებას ქრისტიანული მართვის  
დოკუმენტის საპასუხო პროგრამების ეფექტური განხ-  
ორციელებისათვის.

კვლევის შედეგების თანახმად, ქალები აშკარად არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ არსებობს დაწესებულებები და ინსტიტუტები, რომლებიც დახმარებას უწევენ ძალადობის მძიმე ფორმის მსხვერპლ ქალებს, ასევე, მუშაობენ საწყის ეტაპზე ძალადობის პრევენციის ზომებზე და ქალთა დაცვაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახურ ძალადობა-სთან ბრძოლის სფეროში აქტიურად ჩართული დაწესებულებები და მომსახურების მიმწოდებლები ერთმანეთის საქმიანობებზე სათანადო ინფორმაციას ფლობდნენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას არსებული აქტივობების ეფექტურობა და განვრძობითობა და დაცული იყოს ძალადობის მსხვერპლი ქალები, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია მყარ თანამშრომლობასა და კოორდინაციაზე. ძალადობის რისკის წინაშე მყოფ ქალთა დასახმარებლად საინფორმაციო ცენტრის შექმნა და ქალთა გადამისამართება (რეფერალური სისტემის ამჟავება) მათი საჭიროებებიდან გამომდინარე სოციალურ სახურებებსა და ქალთა დაცვის ორგანიზაციებში შექმნის შესაძლებლობას, ერთი მხრივ, განხორციელდეს სხვადასხვა თრგანიზაციის მიერ განეული სამუშაოს კოორდინაცია და მეორე მხრივ, დაგენიცეს ყველაზე მეტი საჭიროების ქალთა ჯგუფი და შესაბამისად, შემუშავდეს ადექვატური სტრატეგიები მათ დასახმარებლად და სოციალურ ცხოვრებაში ჩასართავად.

1. የኅዳብሽ ፕሮግራም ስርዓት አገልግሎት ተስፋዣ ይችላል፡ የኅዳብሽ ፕሮግራም ስርዓት አገልግሎት ተስፋዣ ይችላል፡

1.1. სპეციალური პოლიტიკის შექმნა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ქალთა სოცალურ-ეკონომიკური სტატუსის გასაძლიერებლად და ქალთათვის მეტი ძალაუთლების მისანიჭებლად:

1.4. ოჭახში ძალადობის მსხვერპლი ქალები-სათვის რეფერალური მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა საერთაშორისოსტან-დარტების მიხედვით:

1.4.2. რეფერალური სისტემის ხარსხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა;

1.4.3. შრომის, ჭანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ოჯახის ექიმების, პედიატრების, რეპროდუქტოლოგების, ფსიქიატრების, სასწრაფო დახმარების სამედიცინო პერსონალის მომზადება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ამოცნობისა და რეფერირების სისტემის შესახებ; ასეთი განათლების ინტეგრირება დიპლომის შემდგომ განათლებაში;

1.4.4. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით პოლიციელთა სწავლების გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა, გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;

1.4.5. მოქმედი სოციალური მუშავებისა და სოციალური აგენტებისათვის სპეციალური გადამზადების კურსის შექმნა და ინსტიტუციონალიზაცია შრომის, ჭანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით;

2. გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, რათა აღმოიფხვრას ისეთი შეხედულებები და პრაქტიკები, რაც წარმოშობს და ხელს უწყობს დისკრიმინაციასა და ოჯახში ძალადობას

2.1. მოსახლეობის განათლება და ცნობიერების ამაღლება:

2.1.1. რეგიონებში გოგონებისა და ქალების ჩართულობის და მონანილეობის გაზრდა და გაძლიერება; სოფლად მცხოვრებ მოახლეობასთან ინფორმაციის და სერვისების უკეთ მიწოდების მიზნით სოციალური მობილიზაციის მიმდინარე პროექტების გამოყენება;

2.1.2. განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების ჩართვა:

- საბავშვო ბაღებში შესაბამისი აღზრდისა და ინსფრასტუქტურის სტანდარტების დანერგვა;
- სკოლებში სამოქალაქო განათლების მოდულში ოჯახში ძალადობის საკითხების ინკორპორირება და შესაბამისად პედაგოგების გადამზადება;
- უმაღლეს სასწავლებლებში ოჯახში ძალადობისა და ქალთა უფლებების საკითხების მეინსტრიმინგი სასწავლო პროგრამებში (განსაკუთრებით იურიდიული და ეურნალისტიკის სპეციალობებისათვის);

2.1.3. რელიგიურ ორგანიზაციებთან განსაკუთრებით საპატრიარქოსთან, თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით (მხარდამჭერი ქსელების შექმნა);

2.2. საინფორმაციო პოლიტიკა და მედია:

2.2.1. თანამშრომლობა მედია საშუალებებთან გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგისათვის, რათა ხელი შეეწყოს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას გენდერული თანასწორობის მიმართ;

2.2.2. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით მედიაში გენდერული საკითხების გაშუქების პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა; სპეციალური ტრენინგების ჩატარება ჟურნალისტებისათვის, თოქ შოუების წამყვანებისათვის, რედაქტორებისათვის;

2.2.3. მედიასთან თანამშრომლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მოსახლეობისათვის გასაგები ინფორმაციის მიწოდებისათვის; ამ საკითხებზე სპეციალური ტელეგადაცემების ციკლის დანერგვა რეიტინგულ არხებზე, მათ შორის განსაკუთრებით - საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

## ამოცანებისა და რეკომენდაციების განხილვა

ოჯახში ძალადობის დაძლევის პოლიტიკა სოციალური ცხოვრების რამოდენიმე დონეზე უნდა

მოქმედებდეს. მათ შორის პირველი, ქალებისათვის ძალაუფლების მინიჭების მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოქმედსახურება ქალთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გაძლიერებას და უზრუნველყოფს ქალთა ინტეგრირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ფაქტობრივად, ქალისათვის სრულუფლებიანი სოციალური აქტორის როლის მინიჭებზე იქნება ორიენტირებული.

ბუნებრივია, ოჯახში ძალადობის ფაქტების დაფიქსირებისა და პირველადი დახმარების ქმედითი ინსტიტუციის გარეშე შეუძლებელია ფიქრი იმაზე, რომ ქალებმა თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ ოჯახში თუ გარეთ. ამ ამიზნით სრულიად გადაუდებელია სოციალური მუშავების ქსელის შექმნა, რომელიც იმუშავებენ ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით და იქნებიან კოორდინაციაში ერთი მხრივ, ოჯახში ძალადობის უწყებათშორის საბჭოსთან და მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციასთან. ოჯახში ძალადობის ფაქტების სრული აღრიცხვისათვის აუცილებელია სპეციალური მონაცემთა ბაზის არსებობა, რომელშიც სოციალური მუშავები ოჯახში ძალადობის ფაქტებს დააფიქსირებენ (ყველა შემთხვევაში არ ხდება პოლიციისთვის მიმართვა) წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით. მოგროვილი სტატისტიკა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით ცხადად გამოყოფს ძალადობის გავრცელების ყველაზე ცხელ წერტილებს, ინტენსივობასა და მიზეზებს, რომელთა აღმოფხვრის შესაბამისი ინტერვენციებისა და პოლიტიკის შემუშავება იქნება შესაძლებელი.

კვლევის მონაცემები ცხადად აჩვენებს, რომ ჰერკიდევ ძალიან სუსტია რეფერალური მექანიზმები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის. აუცილებელია, ერთი მხრივ, მომსახურების სხვადასხვა მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის გაზრდა და მეორე, მხრივ, არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქალებისათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები შესაძლებელია იქცეს რეფერალური სისტემის გაუმჯობესების ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლად. ვირტუალური საინფორმაციო ქსელის შექმნა, რომელზეც განთავსდება სრული ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დახმარების საშუალებე-

ბისა და ინსტიტუციების შესახებ, ასევე სახელმწიფო დონეზე ჰანდაცვის სისტემის ჩართვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობას დაზარალებულთათვის და უზრუნველყოფს მათ დაცულობას.

რეფერალური სისტემის გამართული მუშაობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, ორგანიზაციულ ჩარჩოზე და მეორე მხრივ, პერსონალის კვალიფიკაციაზე. რეფერალურ სისტემაში დაკავებული პერსონალი სპეციალური მომზადება-გადამზადებას საჭიროებს. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებაც, რომ გადამზადების შედეგად პროფესიული კადრები უნდა აკმაყოფილებდნენ თანამედროვე სტანდარტებს. აუცილებელი ხდება არა მარტო სოციალური მუშავების, როგორც პირველადი დამხმარე ინსტიტუციის წარმომადგენელთა სპეციალური მომზადება, არამედ ოჯახის ექიმების, პედიატრების, რეპრუდუქტოლოგების, ფსიქიატრების, სასწრაფო დახმარების სამედიცინო პერსონალის სპეციალური მომზადება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ამოცნობისა და რეფერირებისათვის. მნიშვნელოვანია განისაზღვროს კომპეტენციები პროფესიონალებისათვის ოჯახში ძალადობის შემთხვევებში რეფერირების აუცილებლობაზე, რადგან შესაძლებელია მოხდეს მსხვერპლის მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტის უარყოფა (თუ გავითვალისწინებთ კვლევის მონაცემებს, კონკრეტულად კი ქალების დამოკიდებულებას, რომ ყველა პრობლემა ოჯახში უნდა დარჩეს და არ უნდა იქნეს საჭაროდ განხილული) და უარი მიიღოს დახმარება ოფიციალური ინსტიტუციიდან.

აქვე ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ოჯახში ძალადობის გამო ზიანდება არა მარტო უშუალო მსხერპლი (ქალი), არამედ ბავშვებიც, რომელებიც ძალადობის უნებლივ მოწმეები ხდებიან (ჩვენს კვლევაშიც დასტურდება ფაქტი, რომ ძალადობის არსებობისას ბავშვების ჰანმრთელობა და ქცევითი დარღვევები უფრო ხშირია, ვიდრე არა ძალადობის შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ თავად ბავშვებ ძალადობის ფაქტს არ ჰქონია ადგილი).

არსებული კანონმდებლობის ჩარჩოში ყველაზე უფრო ინტენსიური შეხება ოჯახში ძალადობის ფაქტთან პოლიციას აქვს და შესაბამისად, აუცილებელია პოლიციელთა სწავლების გაუმჯობესება

ადამიანის უფლებათა, გენტერული თანასწორობისა და ოჭახში ძალადობის საკითხებზე.

პროფესიული კადრების მომზადება იქნება ეს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები, თუ ჰანმრთელობისა და სოციალური სამსახურების კადრები უნდა ატარებდეს კოორდინირებულ სახეს და შეთანხმებული უნდა იყოს შრომის, ჰანმრთელობისა და სოციალური დაცვის და განათლების და მეცნიერების სამინისტროებთან. სასწავლო აქტივობები ერთი მხრივ, უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს და მეორე მხრივ, თავსებადი უნდა იყვნენ ადგილობრივ მოთხოვნებსა და სტანდარტებთან.

კვლევის თვისობრივ ნაწილში გამოკითხული სხვადასხვა პროფესიის ადამიანები (სოციალური მომსახურების ექსპერტები, იურისტები, მოსამართლეები, სასამართლოს ექმები, ფსიქოლოგები, პოლიციის წარმომადგენლები, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები) მიუთითებდნენ ოჭახში ძალადობის პრევენციის აუცილებლობაზე (თავშესაფრების განვითარება და რისკის ქვეშ მყოფი ქალებისათვის წინასწარი ინფორმირება, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა), ასევე არსებული სისტემის ფარგლებში პროფესიული გადამზადების აუცილებლობაზე დამხმარე ინსტიტუციების კადრებისათვის (ძალადობის მსხვერპლი ქალების და მათი ოჭახების სარეაბილიტაციო დამხმარეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება).

ოჭახში ძალადობის დასაძლევად და ქალთა გენდერული თანასწორუფლებიანობის ასამუშავებლად ერთ-ერთი ცენტრალური როლი საზოგადოების ინფორმირებულობას, განათლებასა და ღირებულებათა სისტემას ეთმობა. კვლევამ ცხადად აჩვენა, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და ქალებისა და კაცების წრადიციული გამოჰვენა დამახასიათებელია XXI საუკუნის ქართული ყოფისათვის. მაგალითად, ორმაგი მიდგომის არსებობა ქალების და კაცების მიერ განხორცილებული ერთი და იგივე ქცევის შეფასებისას (მეუღლის ღალატი არ ეპატიება ქალს, მაშინ როდესაც ამის გამო კაცს არც კი კიცხავენ; ან უფრო მარტივი, ცოლს არა აქვს უფლება ქმრის ნებართვის გარეშე ექიმთან მივიდეს, და ა. შ.) საზოგადოებაში არსებული ასეთი დამოკიდებულებები ქალების

მიმართ ცხადად მიუთითებს გენდერული ნიშნით არადისკრიმინაციული ღირებულებითი სისტემის არარსებობის შესახებ და საზოგადოების ინფორმირებულობის დეფიციტზე.

მოსახლეობის განათლება და ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ოჭახში ძალადობის დაძლევის ბრძოლაში. ოჭახში ძალადობა არსებული მუდმივი პრობლება და არა ინდივიდუალური შემთხვევა, როგორც ამაზე ხშირად აპელირებენ. განწყობები, შეხედულებები და საზოგადოებრივი ნორმები უკიდურესად მყარია და აუცილებელია სოციალური ცნობიერების ფორმების კრიტიკულად გადახედვა. აუცილებელია ნათელი ფორმულირება ქალის როლის და ქალთა მონაწილოების აუცილებლობის წარმოჩენა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში. სოციალური მობილიზაციის არსებული პროგრამების გამოყენებასთან ერთად მედიის და საინფორმაციო პოლიტიკის მიზანიმართული წარმართვა ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად უნდა იყოს მიჩნეული. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ძალიან ბევრი გამოკითხული ქალიმიუთითებსროგორცეალების, ისე, მამაკაცების ინფორმირებულობის გაზრდის საჭიროებაზე. თვისობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ქალებიც და კაცებიც ფლობენ საკმაოდ კონკრეტულ, ტრადიციულ, სტერეოტიპულ შეხედულებებს ოჭახში ქალის როლზე. ადამიანებს არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა ოჭახში ძალადობის, როგორც სისტემური პრობლემის შესახებ და ოჭახში ძალადობას არ განიხილავენ, როგორც ადამინის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ ფორმას.

განათლების სისტემის ყველა რგოლში და ყველა საფეხურზე მიზანმიმართული და კარგად დაგეგმილი ჩარევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გენდერული თანასწორობისა და ოჭახში ძალადობის მიმართ მიუღებლობის დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. აღრეული ბავშვობიდან სოციალიზაციის ძირითადი არეალი სწორედ განათლების ფორმალური ინსტიტუტებია საბავშვო ბაღებიდან დაწყებული უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციებით დამთავრებული. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სისტემის ყველა რგოლში შესაბამისი აღზრდისა და ინფრასტრუქტურის შექმნა (ბაღები). სკოლებში სამოქალაქო განათლების მოდულში ოჭახში ძალადობის საკითხების ჩართ-

ვა და მასწავლებელთა გადამზადება, უმაღლეს სასწავლებელებში ოჭახში ძალადობის და ქალთა უფლებების საკითხების ჩართვა სასწავლო პროგრამებში, განსაკუთრებით იურიდიული და უურნალისტიკის პროფესიონალის სპეციალობებისათვის. აუცილებელია გენდერის როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის სწავლების განვითარებისათვის ხელშეწყობა სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

ტრადიციებზე აპელირებისას და მათი დაცვის არგუმენტაციისათვის ხშირად გამოიყენება ზედაპირული მსჯელობა ქალების დაქვემდებარებული როლის შესახებ რელიგიური აღმსარებლობის კონტექსტში. საქართველოში ეკლესია და პატრიარქი ნამდვილად სოციალური აქტორია, რომელსაც ყველზე მეტი ნდობა და მორალური ავტორიტეტი აქვს. აუცილებელია ეკლესიისა და საპატრიარქოს ჩართვა ოჭახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ეკლესიისათან ასოცირებული მრევლი, რაც მოსახლეობის სერიოზულ წილს შეადგენს შესაძლებელია სერიოზულ მხარდამჭერად იქცეს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და კონკრეტული საქმიანობის განხორცილებაში, როგორიცაა მხარდამჭერი ქსელების შექმნა ოჭახში ძალადობის ბრძოლაში.

მედიის გამოყენება და მიზანმიმართული საინფორმაციო პოლიტიკა გენდერული თანსწორობის მეინსტრამინგისათვის ქალთა უფლებამოსილების გაზრდის ერთ-ერთი ცენტრალური ვექტორია. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია თამამშრომლობა ელექტრონულ და ბეჭვდით მედიასთან საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლის მიზნით ქალის როლისა და ოჭახში ძალადობის როგორც სისტემური პრობლემის გასაანალიზებლად და წარმოსაჩენად. ხშირ შემთხვევაში მედიაში გასული ინფორმაცია, რომელიც თითქოსდა მიმართულია ქალთა საკითხების განხილვისათვის ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს უურნალისტური ეთიკისა თუ პროფესიონალიზმის კუთხით ქალთა საკითხებსა თუ ოჭახური ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით. სრულიად აუცილებელია ერთი მხრივ, პროფესიონალიზმის სტანდარტების დამკვიდრება და მეორე მხრივ გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგების ჩატარება უურნალისტებისათვის, თოქ-შოუების წამყვანთათვის და რედაქტორებისათვის.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ხშირ შემთხვევაში ენა, რომლითაც ხდება მაყურებლის, მსმენელისა და თუ მკთხველისათვის გენდერული თანასწორობისა და ოჭახში ძალადობის საკითხების მიწოდება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ბუნდოვანია და გაუგებარი. ამ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალური გადაცემების ციკლის დანერგვა, რომელიც ცოცხალი მაგალითებითა და ენით მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას არსებული სიტუაციის შესახებ. ერთმნიშვნელოვნად ხაგბასასმელია საზოგადოებრივი მაუწყებლის განსაკუთრებული როლი მედია კამპანიის წარმართვაში.

ფაქტობრივად ყველა ზემოაღნიშნული ამოცანა და რეკომენდაცია ორ რამეს ისახავს მიზნად: ერთი მხრივ, ოჭახში ძალადობის საპასუხო სახელმწიფო პოლიტიკის მოსახურების სისტემების, მათგან ხელმისაწვდომობის ეფექტურობისა და ეფექტურიანობის გაზრდას და მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის კონტექსტში საზოგადოების მომზრდილი მოსახლეობის რესოციალიზაციას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებას ქალთა უფლებამოსილების შესახებ.

## კვლევის რეკომენდაციები

ძალადობის საკითხებები სრულფასოვანი მუშაობის შედეგად, მრავალი საინტერესო თემა გამოვლინდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ ფორმატის კვლევები უნდა განმეორდეს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, რათა შესაძლებელი იყოს ქალთა პრობლემების კუთხით სიტუაციის განვითარების პროცესის მონიტორინგი. ოჭახში ძალადობა ჰქონდება კერ კიდევ პრობლემად რჩება ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც წამყვან პოზიციებს იკავებენ გენდერული ინდექსის მიხედვით თუმცა ყველა ამ ქვეყანამ უკვე გაიარა ქალთა დისკრიმინაციის სისტემური ხასიათის ეტაპიდან გადასვლის პერიოდი, რისთვისაც მათ შექმნეს ახალი კანონმდებლობა და ქალთა დახმარების, მათი ჩართულობის გაძლიერების ხელშემწყობი ინსტიტუციები. შესაბამისად, ამ ქვეყნების ეროვნული მასშტაბით განხორციელებული კვლევების შედეგები მკაფიოდ მიუთითებს, თუ როგორ მუშაობს ახლად შექმნილი პოლიტიკა და როგორ შეიცვალა ოჭახში ძალადობასთან დაკავშირებული შეხედულებები და პრაქტიკები.

## სამომავლო ანალიზი:

მიმდინარე კვლევამ რაოდენობრივი და თვისებრივი მასალების საკმაოდ დიდი მონაცემთა ბაზა შექმნა. წინამდებარე ანგარიშში, ამ მასალების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის ჯგუფი გეგმავს მონაცემთა დამატებით დამუშავებას მომავალში.

